



გიორგი მირიანაშვილი


ალამიანის უფლებათა დაცვის
ქოლიზიური ევროპული
სტანდარტები ექსტრადიციის
სფეროში

უფლებათა დაცვის ქოლიზიური
ევროპული სტანდარტები
ექსტრადიციის სფეროში

გიორგი
მირიანაშვილი



GRUNI
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის საერთაშორისო
ეროვნული საზოგადოებრივი ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

გიორგი მირიანაშვილი

ადამიანის უფლებათა დაცვის
კოლიზიური ევროპული
სტანდარტები ექსტრადიციის
სფეროში

თბილისი
2022

პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის” ფინანსური მხარდაჭერით [SP-2-21-437]

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [SP-2-21-437]

გამოცემაზე მუშაობდნენ:

პროექტის კოორდინატორი – მარიამ სულაშვილი

კომპ. უზრუნველყოფა – გიორგი ჩიქვინიძე

© გიორგი მირიანაშვილი 2022

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (ეს იქნება ტექსტი, ფოტოილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონულ თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საავტორო უფლების მქონე სუბიექტის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება საქართველოს კანონმდებლობით.

All rights reserved. No part of this book (be it text, photo-illustration, etc.) may be used in any form or by any means (whether electronic or mechanical) without the written permission of the copyright holder.

Copyright infringement is punishable under Georgian law.



დაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,

თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-131-1

მონოგრაფია მომზადებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვლევითი პროექტის ფარგლებში და გამოცემულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

ავტორი:

გიორგი მირიანაშვილი

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

რედაქტორი:

გიორგი თუმანიშვილი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (თსუ, საქართველოს უნივერსიტეტი), პროფესორი (ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი)

Dr. George Mirianashvili

**Conflicting European Human Rights
Standards in the Area of Extradition**

**Tbilisi
2022**

IV

The monograph is prepared within the framework of the research project of Scientific-Research Institute of Public Administration of Grigol Robakidze University and is published with the support of Grigol Robakidze University and LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

Author:

George Mirianashvili

Ph.D. in Law, Associate Professor of the School of Law, Dean of the School of Public Administration and Politics, Director of Scientific-Research Institute for Public Administration at Grigol Robakidze University

Editor:

Giorgi Tumanishvili

Doctor of Law, Associate Professor (TSU, University of Georgia), Professor (New Vision University)

ედღენება საქართველოს დამსახურებული იურისტის, ღირსების ორდენის კავალერის, პუბლიცისტისა და უბრალოდ მზრუნველი, თბილი, განსაკუთრებული ბებიის **იზა ცნობილადის** ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

მონოგრაფია მომზადებულია ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და ინტერნაციონალიზაცია“ და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მხარდაჭერით.

საგრანტო პროექტმა ერთი მხრივ, 3 წლის განმავლობაში დააფინანსა კვლევის პროცესი საქართველოში, მეორე მხრივ, შესაძლებლობა მომცა თვეების განმავლობაში სამეცნიერო მივლინებით კვლევა განმეხორციელებინა ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტსა და ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტში. გარდა ამისა, პროექტის მხარდაჭერით მონაწილეობა მივიღე ბერლინში, იენასა და თუბინგენში გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში, რომელთა ფარგლებში მიღებულმა გამოცდილებამ, ქართველ და გერმანელ პროფესორებთან დიალოგმა, დისკუსიამ კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო რედაქტორის **სამართლის დოქტორის, პროფესორ გიორგი თუმანიშვილის** მიმართ, რომლის აქტიური მონაწილეობისა და ფასდაუდებელი

დახმარების გარეშე კვლევა ვერ შესრულდებოდა. იგი მუდმივად მხარს მიჭერდა არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით. მისი რჩევები, რეკომენდაციები და შენიშვნები გადამწყვეტი აღმოჩნდა კვლევის პროცესში. ზემოხსენებულ საგრანტო პროექტში ჩემი მონაწილეობა პროფესორ თუმანიშვილის დამსახურებაა.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის **რექტორის, პროფესორ მამუკა თავხელიძის** მიმართ ნდობისთვის, მხარდაჭერისთვის, რომელმაც სამუშაო პერიოდში მომცა გერმანიაში კვლევითი ვიზიტების განხორციელების შესაძლებლობა, ხოლო უნივერსიტეტში შექმნა ყველა პირობა კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის, მათ შორის უახლესი უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის, სამეცნიერო ბაზების შეძენის ჩათვლით.

კვლევის განხორციელებაში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვით **სამართლის დოქტორს, პროფესორ ედვარდ შრამს** და მის დოქტორანტებს, რომლებმაც იენაში ყოფნის განმავლობაში ჩემდამი განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს და ყოველმხრივი დახმარება გამიწიეს.

მადლობა მინდა გადავუხადო **სამართლის დოქტორებს, პროფესორ ანა ფირცხალაშვილს** და **პროფესორ გულნაზ გალდავას**, რომლებიც მიზიარებდნენ სასარგებლო მოსაზრებებს კვლევა-ასთან მიმართებაში. აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროექტების კოორდინატორს **მარიამ სულაშვილს**, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გამიწია კვლევითი პროექტის ადმინისტრირების პროცესში.

მადლობელი ვარ ჩემი მშობლების - **სამართლის დოქტორის, პროფესორ ნინო ცნობილაძის, ვაჟა მირიანაშვილის**, ძმის - **გუგა მირიანაშვილის**, რომლებიც წლების განმავლობაში მიქმნიდნენ კვლევის შესაფერის სამუშაო გარემოს და მამხნეებდნენ. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის ჩემს მეუღლეს - **სამართლის დოქტორს, პროფესორ ია ხურციძეს**, რომლისგანაც ყოველთვის ვგრძნობდი თანადგომასა და მორალურ მხარდაჭერას.

*გიორგი მირიანაშვილი
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თბილისი, აგვისტო, 2021.*

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

წინასიტყვაობა

გამოყენებული შემოკლებანი

თავი I. შესავალი

თავი II. ექსტრადიციის ევროპული სისტემა

თავი III. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა

თავი IV. ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლებისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ევროპულ და კონსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკით განვითარებული კოლიზიური მიდგომები

თავი V. ექვივალენტური დაცვის დოქტრინა - დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის აქცესორული კონვენციური სტანდარტი

თავი VI. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება ექსტრადიციის კონტექსტში - ძირითად უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება თუ გაერთიანება

თავი VII. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ფარგლები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით - ევროპული თუ ქვაზი-ევროპული სისტემის პერსპექტივა

თავი VIII. დასკვნა და სარეკომენდაციო წინადადებები

ბიბლიოგრაფია

ავტორის შესახებ

OUTLINE CONTENTS

From the Editor

Foreword

Abbreviations

CHAPTER I. Introduction

CHAPTER II. European System of Extradition

CHAPTER III. Quasi-European System of Extradition

CHAPTER IV. Conflicting Approaches developed by the ECJ to the European and Constitutional Standards of the Right to Dignity and the Right to a Fair Trial in the Area of Extradition

CHAPTER V. Doctrine of Equivalent Protection- Accessory Conventional Standard for Non-execution of the European Arrest Warrant

CHAPTER VI. Accession of the European Union to the European Convention on Human Rights in the Context of Extradition- Improving or Consolidating Human Rights Standards

CHAPTER VII. Scope of Cooperation between the EU Member States and Georgia under the Association Agreement in the Area of Extradition- Prospects for a European or quasi-European System

Chapter VIII. Conclusion and Recommendations

Bibliography

About the Author

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	VI
გამოყენებული შემოკლებანი	XXII

თავი I.

შესავალი	1
----------------	---

თავი II.

ექსტრადიციის ევროპული სისტემა	12
-------------------------------------	----

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები	15
2. ექსტრადიციის კომპეტენციის მქონე სუბიექტები – ექსტრადიციის ევროპული სისტემა არის პოლიტიკური თუ სამართლებრივი მექანიზმი	19
3. ექსტრადიციის აკრძალვისა და შეზღუდვის საფუძვლები.....	31
3.1. პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვა	33
3.1.1. პოლიტიკური დანაშაულების განსაზღვრის პრობლემა	35
3.1.2. პირის თვითნებური დევნისა და დასჯის მიზანი მიეკუთვნება თუ არა პოლიტიკური დანაშაულის კატეგორიას?.....	48
3.1.3. პირის თვითნებური დევნისა და დასჯის	

	აკრძალვა non-refoulement-ის პრინციპის კონტექსტში.....	51
3.2.	სამხედრო დანაშაულები	54
3.3.	დანაშაულის ჩადენის ადგილი.....	56
3.4.	ერთსა და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოებანი.....	57
3.5.	მოქალაქეთა გადაცემა.....	58
3.5.1.	მოქალაქის გადაცემის ევროპული რეჟიმები და კოლიზიური ქართული მიდგომა.....	59
3.5.2.	მოქალაქეობის ცნების განსაზღვრა	70
3.5.3.	მოქალაქეობის დროში განსაზღვრა	72
3.5.4.	მოქალაქის გადაცემაზე უარის თქმა სახელმწიფოსთვის წარმოშობს თუ არა მისი სისხლისსამართლებრივი დევნის ვალდებულებას?	73
3.6.	ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვა - კოლიზიური მიდგომები ევროპის საბჭოს ფარგლებში	75
3.6.1.	Ne bis in idem-ის პრინციპის მოქმედების ფარგლები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით.....	78
3.6.2.	Ne bis in idem-ის პრინციპის ტრანსნაციონალური ხასიათი ექსტრადიციის	

ევროპულ სისტემაში.....	82
3.6.3. Ne bis in idem-ის პრინციპის ქართული მოდელი ექსტრადიციის სფეროში.....	87
3.6.3.1. Ne bis in idem-ის კონსტიტუციური პრინციპის ავტონომიური სტანდარტი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში.....	88
3.6.3.2. Ne bis in idem-ის პრინციპის ქართული მოდელის ტრანსნაციონალური ხასიათი ექსტრადიციის სფეროში.....	90
3.6.4. Ne bis in idem-ის პრინციპის რომელი ევროპული სტანდარტი უნდა გამოიყენოს საქართველომ ექსტრადიციის პროცესში?	94
3.7. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ექსტრადიციის აკრძალვა.....	96
3.8. სიკვდილით დასჯის გამო პირის გადაცემის აკრძალვა	100
3.9. ამნისტია	105
3.10. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილ სასამართლო გადანყვეტილებებზე ექსტრადიციის შეზღუდვა.....	106
3.10.1. რა იგულისხმება „დაცვის მინიმალურ უფლებებში“?	110
3.10.2. რა ითვლება „საკმარის გარანტიად“?.....	117
3.10.3. ხელახალი გასამართლების ვადის ათვლის	

	სავალდებულო წესი.....	118
3.11.	ბავშვის ექსტრადიცია – რომელი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფომ?	119
3.12.	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია – ექსტრადიციის აკრძალვის ნორმატიული ინსტრუმენტი.....	125
4.	შეჯამება	132

თავი III.

	ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა	135
1.	ექსტრადიციის ევროპული სისტემიდან ქვაზი-ევროპულ მოდელამდე	138
1.1.	ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ფრაგმენტული პერიოდი (1970-1994წწ).....	139
1.2.	ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის გარმავეების წარუმატებელი მცდელობა (1995-1996წწ.).....	144
1.3.	ჩარჩო-გადაწყვეტილების როგორც ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის გამარტივების ნორმატიული ინსტრუმენტის შექმნა (1997წ).....	148
1.4.	პოლიტიკური კონსენსუსი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივად აღიარებაზე (1998-2000წწ).....	154

1.5.	ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ჩამოყალიბება – ექსტრადიციის პროცესის დეპოლიტიზაციის დასაწყისი (2001-2002წწ) ..	160
2.	ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის პრინციპები	164
2.1.	ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპები	165
2.1.1.	ორმხრივი ნდობის პრინციპი.....	167
2.1.2.	ორმხრივი აღიარების პრინციპი.....	171
2.2.	ეროვნული სამართლის ჩარჩო-გადანყვეტილების შესაბამისად განმარტების პრინციპი	176
2.3.	ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სამართლის ეროვნულ სამართალზე უპირატესობის პრინციპი	178
3.	ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ზოგადი მახასიათებლები	182
3.1.	სიტყვების „ექსტრადიცია“ და „პირის გადაცემა“ ურთიერთმიმართება.....	185
3.2.	ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები	188
3.3.	დაკავების ევროპული ორდერის გამომცემი და აღმასრულებელი ორგანო.....	200
4.	დაკავების ევროპული ორდერის	

	შეუსრულებლობის სავალდებულო და არასავალდებულო ნორმატიული საფუძვლები.....	203
4.1.	შეუსრულებლობის სავალდებულო საფუძვლები.....	205
4.1.1.	ამნისტია	206
4.1.2.	ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვის ტრანსნაციონალური პრინციპი	207
4.1.3.	გადაცემას დაქვემდებარებული პირის ბრალუენარობა ასაკის გამო	211
4.1.4.	დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მუდმივად და სერიოზულად დარღვევის გამო	214
4.2.	არასავალდებულო საფუძვლები.....	217
4.2.1.	32 კატეგორიის მიღმა არსებული დანაშაულების ორმხრივი დასჯის მოთხოვნა	219
4.2.2.	ერთი და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოებანი.....	220
4.2.3.	Ne bis in idem-ის პრინციპი როგორც დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის არასავალდებულო საფუძველი	221
4.2.4.	ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო	

	ექსტრადიციის შეზღუდვა	222
4.2.5.	მოქალაქის გადაცემა	224
4.2.5.1.	ბრალდებული მოქალაქის გადაცემა	225
4.2.5.2.	მსჯავრდებული მოქალაქის გადაცემა	226
4.2.5.3.	მოქალაქის გადაცემის ვალდებულების შესაბამისობა კავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციებთან – საკონსტიტუციო სასამართლოების არაერთგვაროვანი მიდგომები	228
4.2.5.3.1.	გერმანიის ძირითადი კანონის სუპრა-ევროპული ინტერპრეტაცია	229
4.2.5.3.2.	ჩეხეთის კონსტიტუციის ევრო-მეგობრული ინტერპრეტაცია	235
4.2.5.3.3.	კვიპროსის კონსტიტუციის არაავთენტური ინტერპრეტაცია	240
4.2.5.3.4.	პოლონეთის კონსტიტუციის ავტონომიური ინტერპრეტაცია	243
4.2.5.3.5	შეესაბამება თუ არა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა საქართველოს კონსტიტუციას მოქალაქის გადაცემის კონტექსტში?	251
4.2.5.4.	ევროკავშირის მოქალაქეობის ეფექტი მესამე სახელმწიფოს საექსტრადიციო თხოვნებზე	254

4.2.6.	დანაშაულის ჩადენის ადგილი.....	260
4.2.7.	ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაზე ექსტრადიციის შეზღუდვა.....	260
4.2.7.1.	ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის შესრულების პირობები.....	261
4.2.7.2.	ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სა- სამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კო- ლიზიური ევროპული საექსტრადიციო სტანდარტი	265
4.2.8.	დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სპეციალური წესი	267
4.2.9.	ძირითად უფლებათა დაცვის მიზნით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ეფექტიანი ნორმატიული სტანდარტის არ არსებობა – ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ღირებულებითი დეფიციტი	269
4.3.	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია – დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ნორმატიული საფუძველი.....	272
5.	შეჯამება	279

თავი IV.

ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლებისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ევროპულ და კონსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკით განვითარებული კოლიზიური მიდგომები 282

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს კოლიზიური მიდგომები ექსტრადიციის პროცესში ღირსების უფლების დაცვასთან მიმართებაში 285

1.1. ღირსების უფლების დაცვის კონვენციური სტანდარტი..... 286

1.2. ღირსების უფლების დაცვის ევროკავშირის სტანდარტი..... 294

2. კოლიზიური მიდგომები ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადანყვეტილების გადასინჯვის მექანიზმთან მიმართებაში 305

2.1. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადანყვეტილების გადასინჯვის მექანიზმის ევროკავშირის სტანდარტი..... 307

2.2. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადანყვეტილების გადასინჯვის მექანიზმის გერმანული სტანდარტი 314

3. შეჯამება..... 322

თავი V.

ექვივალენტური დაცვის დოქტრინა - დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის აქცესორული კონვენციური სტანდარტი..... 325

1. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის წარმოშობა..... 328
2. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის არსი ბოსფორუსის საქმის მიხედვით..... 332
3. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე გავრცელება ორმხრივი ნდობის პრინციპის ეფექტის შემცირებისთვის 341
4. რას გულისხმობს ძირითად უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიზნებისთვის?..... 348
5. შეჯამება..... 356

თავი VI.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება ექსტრადიციის კონტექსტში - ძირითად უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება თუ გაერთიანება..... 358

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების პირველი წარუმატებელი მცდელობა 362
2. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ

კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების მეორე
წარუმატებელი მცდელობა - მართლმსაჯულების
ევროპული სასამართლოს შენიშვნები
ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის
კონტექსტში..... 364

3. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის პერსპექტივა
ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ
კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების შემდეგ ... 378
4. შეჯამება..... 380

თავი VII.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს
შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ფარ-
გლები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით - ევრო-
პული თუ ქვაზი-ევროპული სისტემის პერსპექტივა 383

თავი VIII.

დასკვნა და სარეკომენდაციო წინადადებები..... 386

ბიბლიოგრაფია 408

ავტორის შესახებ 443

გამოყენებული შემოკლებანი

ქართულ ენაზე:

- ა.შ. - ასე შემდეგ
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
- გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
- გვ. - გვერდი
- დანვ. - დანვრილებით
- ე.ი. - ესე იგი
- ე.წ. - ეგრეთ ნოდებული
- ევროიუსტი - იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის ევროპული ერთეული
- ევროკავშირი, კავშირი - ევროპის კავშირი
- ევროკავშირის საბჭო, საბჭო - ევროპის კავშირის საბჭო
- ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება - ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება
- ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება - ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულება

- ინტერპოლი** - საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია
- იხ.** - იხილეთ
- მაგ.** - მაგალითად
- რედ.** - რედაქტორი
- შეად.** - შეადარეთ
- ძირითად უფლებათა ქარტია** - ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

ინგლისურ ენაზე:

Am. J. Int'l L.	- American Journal of International Law
AM. U. J. INT'L L. & POL'Y	- American University International Law Review
AP	- Additional Protocol
Cal. W. Int'l L.J.	- California Western International Law Journal
Cambridge Y.B. Eur. Legal Stud.	- Cambridge Yearbook of European Legal Studies
CCPR	- Covenant on Civil and Political Rights
CDPC	- European Committee on Crime Problems
CFREU	- Charter of Fundamental Rights of the European Union
CJEU	- Court of Justice of the European Union
CJSS	- Caucasus Journal of Social Sciences
CML Rev.	- Common Market Law Review
CoE	- Council of Europe
Council	- Council of the European Union
CRC	- Committee on the Rights of the Children
CYELP	- Croatian Yearbook of European Law & Policy
Denning L.J.	- Denning Law Journal
Dick. J. Int'l L.	- Dickinson Journal of International Law

Duq. L. Rev.	- Duquesne Law Review
EAW	- European Arrest Warrant
EC	- European Community
ECL	- European Current Law
Ed.	- Editor
EEC	- European Economic Community
EILR	- Emory International Law Review
ELJ	- European Law Journal
EP	- European Papers
ESJ	- European Scientific Journal
EU	- European Union
EUCONST	- European Constitutional Law Review
EUR. CRIM. L. REV.	- European Criminal Law Review
Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.	- European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice
Eur. J.L. Reform	- European Journal of Law Reform
EUR. L.J.	- European Law Journal: Review of European Law in Context
European Court of Justice	- ECJ
German L.J.	- German Law Journal
Heidelberg J. Of Int'l L.	- Heidelberg Journal of International Law

HRC	- Human Rights Committee
ICLR	- International and Comparative Law Review
Ind. L.J.	- Indiana Law Journal
Int'l & Comp. L.Q.	- International and Comparative Law Quarterly
Int'l Crim. Just.	- Journal of International Criminal Justice
Int'l Crim. L. Rev.	- International Criminal Law Review
Int'l J. Const. L.	- International Journal of Constitutional Law
IRPL	- International Review of Penal Law
IS	- Internal Security
Italian Y.B. Int'l L.	- Italian Yearbook of International Law
JECL	- Journal of European Criminal Law
JEI	- Journal of European Integration
Law Annals Titu Maiorescu U.	- Law Annals from Titu Maiorescu University
Law Ukr.: Legal J.	- Law of Ukraine: Legal Journal
LJIL	- Leiden Journal of International Law
LQ	- The Lawyer Quarterly
LR	- Law Review
Merkourios-Utrecht J. Int'l & Eur. L.	- Merkourios: Utrecht Journal of International and European Law

MJECL	- Maastricht Journal of European and Comparative Law
Mod. L. Rev.	- Modern Law Review
NEW J. EUR. CRIM. L.	- New Journal of European Criminal Law
Nordic J. Int'l L.	- Nordic journal of International Law
Nova L. Rev.	- Nora Law Review
p.	- page
PC-OC	- Committee of Experts on the Operation of European Conventions in the Penal Field
PF	- Perspectives on Federalism
pp.	- pages
Rev. Eur. Adm. L.	- Review of European Administrative Law
Syracuse J. Int'l L. & Com.	- Syracuse Journal of International Law and Commerce
TEU	- Treaty on the European Union
TFEU	- Treaty on the functioning of the European Union
UN	- United Nations
UNHCR	- UN High Commissioner for Refugees
Utrecht L. Rev.	- Utrecht Law Review
VA. J. INT'L L.	- Virginia Journal of International Law
VIENNA ONLINE J. ON INT'L CONST. L.	- Vienna Online Journal on International Constitutional Law

vol. - volume

Yale J. World Pub. Ord. - Yale Journal of World Public Order

გერმანულ ენაზე:

BverfG - Bundesverfassungsgericht

ZIS - Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik

„ხალხი ან მეფე არ არის აბსოლუტურად ვალდებული დამნაშავე სხვას გადასცეს, მაგრამ მათ ის უნდა დასაჯონ ან გადასცენ.“

ჰუგო გროციუსი

თავი I.

შესავალი

ექსტრადიცია ოქსიდენტური ცივილიზაციის პროდუქტია. ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპაში სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმების ფარგლებში ხორციელდება. ექსტრადიციის მიმართულებით არ არსებობს კოლექტიური ტიპის ევროპული ინსტრუმენტი, რომელიც სახელმწიფოებისათვის განსაზღვრავდა ექსტრადიციის საერთო მექანიზმებს, პროცედურებს, წესებს და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. 1

ექსტრადიციის განსხვავებული ევროპული სისტემების ფუნქციონირებასა და განვითარებას სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებენ. ამ ფაქტორების საერთო ელემენტია ნდობა, რომელიც ევროპულ სახელმწიფოებს შორის ერთმანეთის სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის, ღირებულებათა სისტემის, მართლმსაჯულების, ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტების მიმართ სხვადასხვა ხარისხით არსებობს. 2

3 ევროპაში ექსტრადიციის სხვადასხვა სისტემების არსებობას სწორედ სახელმწიფოებს შორის არასაკმარისი ნდობა უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, ევროპაში ჩამოყალიბდა და განვითარდა ექსტრადიციის ორი ნორმატიული მოდელი: ექსტრადიციის ევროპული სისტემა, რომელშიც ექსტრადიცია ხორციელდება ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული სამართლებრივი ინსტრუმენტებით – ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი პროტოკოლებით; ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული რეჟიმი, რომელიც ჩამოყალიბდა 2002 წელს და ფუნქციონირებს მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებში. ამ სისტემებიდან ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ მექანიზმში ხორციელდება.¹ მის ფარგლებში ერთი მხრივ, პირის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე, გამარტივებული პროცედურებით,² შეზღუდულ ვადებში,³ შემცირებულია ექსტრადიციის შემზღუდავი და გამომრიცხავი საფუძველები, მათ შორის ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებათა დაცვის სტანდარტები, მეორე მხრივ, პირის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო.⁴ ექს-

¹ *Sarmiento, D.*: European Union: The European Arrest Warrant and the quest for Constitutional Coherence, *Int'l J. Const. L.*, vol. 6, 2008, p. 172.

² *Spinellis, D.*: Extradition — Recent Developments in European Criminal Law, *Eur. J.L. Reform*, 2006, p. 227.

³ *Niemesch, M.*: Aspects of CJEU case law regarding the European Arrest Warrant (EAW), *Law Annals Titu Maiorescu U.*, 2015, pp. 178-179.

⁴ *Vennemann, N.*: The European Arrest Warrant and Its Human Rights Implications, *Heidelberg J. Of Int'l L.*, 2003, p. 104.

ტრადიციის ქვაზი-ევროპულ რეჟიმში ევროპული მოდელისგან განსხვავებით, პირის გადაცემისას პოლიტიკური ხელისუფლება ასრულებს მხოლოდ ტექნიკურ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს.⁵

ევროკავშირის სამართალს ექსტრადიციის სფეროშიც ახასიათებს ავტონომიურობა, მოქმედების ერთგვაროვნება, ეფექტიანობა და სხვა სამართლებრივი წესრიგის მიმართ პრიმატი.⁶ კავშირის სამართლებრივი სისტემის ამ თვისებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მექანიზმი მთავრობათაშორისი თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა, იგი ვითარდება კავშირის სუპრანაციონალური ძალაუფლების ზეგავლენით. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული ინსტრუმენტის ფარგლებში პირის გადაცემის პროცედურების გამარტივებამ და სისტემატიზაციამ, მასზე კავშირის სამართლის ზეეროვნულობის ელემენტების გავრცელებამ, თავის მხრივ გავლენა იქონია ექსტრადიციის სფეროში არსებული უფლებების დაცვის სტანდარტებზე.⁷

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მექანიზმი დაფუძნებულია

⁵ Pieter, A.: The European Arrest Warrant system: Recent developments in the case law of the Court of Justice, MJECL, vol. 24(6), 2017, p. 886; Colson, R.: Domesticating the European Arrest Warrant: European Criminal Law between Fragmentation and Acculturation ნაშრომი: Colson, R., Field, S.: (eds.) EU Criminal Justice and the Challenges of Diversity: Legal Cultures in the Area of Freedom, Security and Justice, Cambridge, 2016, pp. 201-202.

⁶ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal [C-399/11].

კავშირის ნევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპებზე, რომლებიც მათ აკისრებენ დაკავების ევროპული ორდერის ავტომატურად, მის გამომცემ სახელმწიფოში უფლებათა დაცვის სტანდარტების შემონახვის გარეშე შესრულების ვალდებულება⁸. ამ პრინციპების გამო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში გადაცემას დაქვემდებარებული პირის უფლებების დაცვის ნორმატიული სტანდარტები იმგვარად შემცირდა, რომ პრაქტიკულობისა და ეფექტიანობის პრობლემა შეექმნა.

- 6 უფლებათა დაცვის ნორმატიული სტანდარტის შემცირების პარალელურად, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, საკუთარი პრეცედენტული სამართლით ქმნის უფლებების დაცვის მოდალობებს, რომელთა სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე ექსტრადიციის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითა და ექსტრადიციის ევროპული სისტემითაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, იგი დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების საკითხის განხილვისას ეროვნულ სასამართლოებს მოუწოდებს მხოლოდ ევროკავშირის დონეზე არსებული უფლების დაცვის სტანდარტის გამოყენებისკენ და კრძალავს მასზე მაღალი ეროვნული (მათ შორის კონსტიტუციური) და ევროპული სტანდარტების გამოყენებას.⁹

- 7 ევროკავშირში ექსტრადიციის დამოუკიდებელი მექანიზმის

⁸ *Sliedregt, V.*: The European Arrest Warrant: between Trust, Democracy, and the Rule of Law, EUCONST, 2007, p. 248.

⁹ *Torres P.A.*: The federalizing force of the EU Charter of Fundamental Rights, Int'l J. Const. L., vol. 15 (4), 2017, p. 1089.

ჩამოყალიბებამ გააუმჯობესა ექსტრადიციის პროცესი, თუმცა როგორც ტენდენცია მეტყველებს, საფრთხე შეუქმნა ექსტრადიციის სფეროში ძირითად უფლებათა დაცვის როგორც ევროპული სტანდარტების ერთიანობასა და ეფექტიანობას, ასევე კავშირის ნევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციური გარანტიების პრაქტიკულობას. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და ნევრ სახელმწიფოთა სასამართლოების კოლიზიური პრაქტიკა. იგი გარკვეული თვალსაზრისით არის 2014 წელს ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე მიერთების მეორე წარუმატებელი მცდელობის ერთ-ერთი მიზეზიც.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეაფასოს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის დაფუძნებამ რა გავლენა იქონია ევროპაში ექსტრადიციის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებზე, ექსტრადიციის მიმართულებით ევროპული ინტეგრაციის დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება განხორციელდა თუ არა ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის შემცირების ხარჯზე. ნაშრომი მიზნად ისახავს ექსტრადიციის სფეროში ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შესწავლასა და იმ კოლიზიური შემთხვევების იდენტიფიცირებას, რომლებიც არსებობს როგორც ნორმატიულ განზომილებაში, ასევე ღირსების უფლებასთან და საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან მიმართებაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს, ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. თავის მხრივ, ნაშრომში დაგეგმილი კვლევა მნიშვნელოვანია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ექსტრადიციის სამართლის განვითარებისთვის. საქართველო როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო სხვა წევრ ქვეყნებთან ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციითა და მისი ცალკეული დამატებითი ოქმების ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. ამავდროულად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება ევროკავშირში განწევრიანებაა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში საქართველოს ინტეგრაციასაც. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები გამოსადეგი იქნება არა მხოლოდ ექსტრადიციის სფეროში ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებისთვის, არამედ ასევე საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესისთვის. ნაშრომი შექმნის შესაძლებლობას, რომ შეფასდეს და გაანალიზდეს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემასა და ქართულ სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვის მიმართულებით არსებული განსხვავებები და დაიგეგმოს ქართული ექსტრადიციის სამართლის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული რეჟიმის შესაბამისად გარდაქმნის, ადაპტაციის პროცესი.

- 9 დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევის ერთი ძირითადი მიმართულება უკავშირდება ერთი მხრივ, ექსტრა-

დიციის ევროპულ მექანიზმში ექსტრადიციის დაცვის გარანტიების ანალიზს, რომლებსაც ერთობლიობაში ქმნიან ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, მისი დამატებითი ოქმები და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მეორე მხრივ, დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ნორმატიული საფუძვლების შესწავლას. კვლევის მეორე ძირითადი განზომილება ექსტრადიციის სფეროში სასამართლოების პრაქტიკის ანალიზია. ამ მიზნისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო შეიქმნა, რადგან მათ გააჩნიათ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ევროკავშირის სამართლის ავთენტური ინტერპრეტაციის კომპეტენცია.¹⁰ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის დონეზე დასახელებული ორი სასამართლოს გარდა სხვა საერთაშორისო თუ ნაციონალურ ინსტიტუტს არ აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებზე საბოლოო სიტყვის თქმის ძალაუფლება. გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო კავშირის ნეკრი სახელმწიფოების სასამართლოებში ერთადერთია, რომელიც მუდმივად ცდილობს კონსტიტუციაზე ევროკავშირის სამართლის ზეგავლენის შესუსტებას, მათ შორის ექსტრადიციის სფეროში. ხსენებული სასამართლოების პრაქტიკაში შესაძლებელია კოლიზიური მიდგომები სხვადასხვა ძირითად უფლებებთან მიმართებაშიც არსებობდეს, თუმცა, კვლევის მიზნებისთვის ღირსების უფლება და საქმის სამართლიანი განხილვის უფ-

¹⁰ *Martinico, G., Pollicino, O.:* The Interaction between Europe's Legal Systems, Massachusetts, 2012, p. 146.

ლება გამორჩეულია ექსტრადიციის სფეროში მათი რელევანტურობით.

- 10 კვლევის მიზნების რეალიზაციისთვის ძირითადად გამოყენებულია კვლევის ფორმალურ-ლოგიკური, ნორმატიულ-დოგმატური, ანალიტიკური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.
- 11 ნაშრომი შედგება რვა თავისგან. **მისი პირველი** თავი თავისთავად შესავალია, რომელშიც წარმოჩენილია თემის აქტუალობა, კვლევის მიზნები, მეთოდოლოგიური აპარატი და მოსალოდნელი შედეგები.
- 12 **მეორე თავში** გაანალიზებულია ექსტრადიციის ევროპული სისტემის ძირითადი მახასიათებლები – ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები, ექსტრადიციის კომპეტენციის მქონე ორგანოები, ექსტრადიციისგან დაცვის ევროპული გარანტიები. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან ექსტრადიციის ევროპული მექანიზმის ფარგლებში თანამშრომლობს, მეორე თავის თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში ექსტრადიციის ქართული მოდელის თავისებურებებიც არის განხილული. ნაშრომის ამ ნაწილში წარმოჩენილია ექსტრადიციისგან დაცვის გარანტიების კოლიზიური ევროპული და ეროვნული მიდგომები, რომლებიც ექსტრადიციის ევროპულ სისტემაშიც არსებობს.
- 13 **მესამე თავი** ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას, მისი თავისებების ანალიზს ეძღვნება. მასში განხილულია ძირითადი პრინციპები, რომლებსაც ექსტრადიციის ეს მექანიზმი ეფუძნება. ნაშრომის მოცემულ ნაწილში მსჯელობა ხორ-

ციელდება ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულებზე, დაკავების ევროპული ორდერის გამოცემ და აღმასრულებელ ორგანოებზე, მისი შეუსრულებლობის ნორმატიულ საფუძვლებზე. მესამე თავში ნათლად არის წარმორჩენილი ის მიზეზები, რომლებიც ერთი მხრივ, პროცედურული თვალსაზრისით ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას ევროპულ მოდელზე ეფექტიანს ხდის, მეორე მხრივ, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ მექანიზმში განაპირობებს ადამიანის უფლებების ექსტრადიციის ევროპულ ინსტრუმენტთან შედარებით უფრო დაბალი სტანდარტით დაცვას.

ნაშრომის **მეოთხე თავში** წარმორჩენილია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მცდელობა ევროპული ინტეგრაციის მიზნებისთვის განახორციელოს ექსტრადიციის სფეროში ძირითადი უფლებებით დაცული სფეროების რედეფინირება, თუნდაც კონსტიტუციური და ევროპული სტანდარტების შემცირების ხარჯზე. ამ თავში სასამართლოების პრეცედენტული სამართალი ორი ძირითადი უფლების პრიზმაშია განხილული. კერძოდ, გაანალიზებულია: 1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს კოლიზიური მიდგომები ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლების დაცვის მექანიზმებთან მიმართებით; 2. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს წინააღმდეგობრივი მიდგომები *in absentia* სამართალწარმოების სტანდარტებთან დაკავშირებით.

14

ექსტრადიციის სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სა-

15

სამართლოს კოლიზიური პრეცედენტული სამართლის ანალიზის შემდეგ, ლოგიკურია, რომ განხილულ იქნეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ევროკავშირის სამართლის თანაფარდობის, ურთიერთზემოქმედების საკითხი. **მეხუთე თავი** სწორედ იმ კონცეფციას ეხება, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და კავშირის სამართლის ჰარმონიული თანაარსებობა. ნაშრომის მოცემულ ნაწილში მსჯელობა ხორციელდება ექვივალენტური დაცვის დოქტრინაზე, მის წარმოშობაზე, განვითარებაზე, მოქმედების ფარგლებსა და ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე გავრცელებაზე. ამ საკითხების განხილვის შედეგად შემოთავაზებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საფუძველზე დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ავტორისეული მოსაზრება.

- 16 ექვივალენტური დაცვის დოქტრინის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის წინაშე ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ინსტრუმენტალური იმუნიტეტის ანალიზის შემდეგ, ასევე ლოგიკურია ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების საკითხის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელის კონტექსტში განხილვა. შესაბამისად, **მეექვსე თავში** პასუხგაცემულია კითხვები: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება წარმოადგენს თუ არა ისეთ მექანიზმს, რომლითაც ექსტრადიციის სფეროში ევროკავშირის სამართალსა და ევროპულ კონვენციას, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტიკას შორის კოლიზიისას უპირატესობა

მიენიჭება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას? ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება გამოიწვევს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე კონვენციის სტანდარტების ერთმნიშვნელოვნად გავრცელებას, თუ პირიქით, მოხდება ექსტრადიციის სფეროში არსებული უფლებათა დაცვის სტანდარტების უნიფიკაცია და ევროკავშირის სტანდარტი შთანთქმავს კონვენციის სტანდარტს?

მეშვიდე თავში შეფასებულია ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ექსტრადიციის სფეროში ასოცირების შესახებ შეთანხმებით დადგენილი თანამშრომლობის ფარგლები. 17

ნაშრომის **მერვე თავი** ეთმობა კვლევის შედეგების შეჯამებას, დასკვნითი მოსაზრებების ჩამოყალიბებას, მიგნებებისა და სარეკომენდაციო წინადადებების წარმოდგენას. 18

თავი II.

ექსტრადიციის ევროპული სისტემა

- 19 ექსტრადიციის ევროპული სისტემა პირის გადაცემის ნორმატიული ინსტრუმენტების ერთობლიობაა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის მოქმედებს. ექსტრადიციის სფეროში იგი აერთიანებს არა მხოლოდ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკას. ექსტრადიციის ევროპული სამართლის ძირითადი წყაროებია ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი პროტოკოლები, რომლითაც დადგენილია პირის გადაცემის საერთო ევროპული წესები და პროცედურები, სახელმძღვანელო ნორმა-პრინციპები. მათ ექსტრადიციის ნაციონალური სამართლებრივი სისტემების მიმართ გააჩნიათ დამფუძნებლური ხასიათი, მაკოორდინირებელი ეფექტი და სუპრა-ნორმატიული სტატუსი. ევროპის სივრცეში ისინი ერთადერთი მრავალმხრივი საერთაშორისო აქტებია, რომლებიც ექსტრადიციის ეროვნულ სისტემებს შორის მატერიალურ კავშირს აყალიბებს.
- 20 ევროპის საბჭოს ფარგლებში დისკუსიები ექსტრადიციის პროცედურების მოწესრიგების ფორმასთან დაკავშირებით 1950-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო. ამ პროცესის ინსპირაციის წყარო იყო ექსტრადიციის შესახებ სკანდინავიური შეთანხმება.¹¹ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფო-

¹¹ *Rusu, I., Rusu, M.B.: The European Arrest Warrant, Romanian and European Legislation, Doctrine and Jurisprudence, 2013, p. 32.*

ებში ექსტრადიციის პროცედურების დარეგულირების ფორმასთან მიმართებაში არსებობდა ორი პოზიცია.¹² ზოგიერთი სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ ქვეყნებს შორის პირის გადაცემა უნდა განხორციელებულიყო ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი გეოგრაფიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ინტერესების სრულად გათვალისწინება.¹³ ცალკეული სახელმწიფოები თვლიდნენ, რომ ექსტრადიციის ერთიანი მინიმალური სტანდარტების დადგენისთვის აუცილებელი იყო მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რაც შემდგომში არ გამორიცხავდა სახელმწიფოთა ორმხრივ სახელშეკრულებო თანამშრომლობას ამ მიმართულებით.¹⁴ საბოლოოდ, ექსტრადიციის ფორმის შერჩევასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რაციონალური გადანყვეტილება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავებისა და ხელმოწერის სასარგებლოდ. ექსტრადიციის საერთო ევროპული მექანიზმის მიღებით ერთი მხრივ, ნაწილობრივ შეივსო სამართლებრივი სიცარიელე, რომელიც ამ სფეროში მუდმივად არსებობდა. მეორე მხრივ, ევროპული სახელმწიფოებისთვის გაჩნდა თანამშრომლობის სივრცე, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ნაციონალური სამართლებრივი სისტემების დაახლოებას.

¹² CDPC, PC-OC, European Convention on Extradition Explanatory Notes, Strasbourg, 1998, p. 12.

¹³ იქვე. p. 14.

¹⁴ იქვე.

- 21 ექსტრადიციის ევროპული სისტემა მატერიალური გაგებით შედგება როგორც ევროპის საბჭოს დონეზე, აგრეთვე მის წევრ სახელმწიფოთა სამართალში სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის სფეროში არსებული ყველა იმ საერთაშორისო და ნაციონალური ნორმისგან, რომელიც მთლიანად თუ ნაწილობრივ, პირდაპირ ან ირიბად პირის გადაცემას უკავშირდება. ფორმალური გაგებით, ექსტრადიციის ევროპულ სისტემას ქმნის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ერთობლიობა, რადგან ამ ინსტრუმენტებს გააჩნიათ საერთო მიზანი – საერთაშორისო რანგში დაარეგულირონ ექსტრადიციის პროცედურა, ხოლო მათ ნორმებს სპეციალური ხასიათი – დაადგინონ პირის გადაცემის თაობაზე გადანყვეტილების მიღების საერთაშორისო წესები და პროცედურები.
- 22 კვლევის ძირითადი ორიენტაციის ვექტორიდან გამომდინარე, რომლის მიზანი მხოლოდ ექსტრადიციის სფეროში (და არა ზოგადად სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის მიმართულებით) ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შესწავლაა, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, ცალკე აღებულ თითოეულ სისტემაში უფლებების დაცვის ხარისხის კვლევას, მეორე მხრივ, მათ შორის კოლიზიური მიდგომების მიგნებასა და იდენტიფიცირებას, ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში მოიაზრებს მის ფორმალურ გაგებას, ე.ი. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ერთობლიობას.

წინამდებარე თავში განხილულია ექსტრადიციის ევროპული სისტემის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ექსტრადიციის თაობაზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში კონვენციურ უფლებებს ან გარანტიებს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით უკავშირდება. ექსტრადიციის ევროპული რეჟიმის ეს ელემენტებია ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები, ექსტრადიციის კომპეტენციის მქონე ორგანოები და ექსტრადიციის აკრძალვისა და შემაფერხებელი საფუძვლები.

23

ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულებისა და პირის გადაცემის აკრძალვისა და შემაფერხებელი გარემოებების ანალიზი აუცილებელია იქიდან გამომდინარე, რომ ისინი როგორც ერთობლიობაში, ასევე დამოუკიდებლად აყალიბებენ ექსტრადიციისგან დაცვის გარანტიას. ექსტრადიციის კომპეტენციის მქონე ინსტიტუტების კონტექსტში ნაციონალური რეჟიმების მიმოხილვა იძლევა ასეთი კონვენციური გარანტიების ეროვნულ დონეზე რეალიზაციის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.

24

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები

სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებული ან მსჯავრდებული პირი სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემას არ ექვემდებარება. ექსტრადიცია ხორციელდება იმ

25

შემთხვევაში თუ ჩადენილი ქმედება ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოშიც დანაშაულად ითვლება და მისი ჩადენისთვის გათვალისწინებული სასჯელის სახე და ხანგრძლივობა ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ და გამცემ სახელმწიფოებში შეესაბამება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით ან/და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ სტანდარტს (ორმხრივი დასჯის პრინციპი¹⁵). აღსანიშნავია, რომ ორმხრივი დასჯის პრინციპი არ ვრცელდება მხოლოდ ექსტრადიციის მიმართულებით კოოპერაციაზე, იგი გამოიყენება სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის სხვა ფორმებთან მიმართებაშიც.¹⁶

26 ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს ორმხრივი დასჯის მოთხოვნის კატეგორიზაციას შემდეგ ტიპებად: აბსტრაქტული

¹⁵ იურიდიული ლიტერატურაში ორმხრივ დასჯასთან მიმართებაში აგრეთვე გამოიყენება შემდეგი ტერმინები: ორმხრივი პენალიზაცია, ორმხრივი პასუხისმგებლობა, დუალური ინკრიმინაცია, დუალური დასჯის მოთხოვნა, დანაშაულების დუალურობის მოთხოვნა, ორმხრივი ბრალეულობა, დანაშაულის ექვივალენტურობა. მაგალითად, იხ.: *Plachta, M.: The Role of Double Criminality in International Cooperation in Penal Matters*, ნაშრომში: *Jareborg, N.: (ed.) Double Criminality: Studies in International Criminal Law*, Uppsala, 1989, pp. 84-134; *Williams, S.A.: The Double Criminality Rule and Extradition: A Comparative Analysis*, *Nova L. Rev.*, 1991, pp. 581-623.

¹⁶ მაგალითად, ქმედების ორმხრივი დასჯის არსებობა აუცილებელია, როდესაც ხორციელდება: 1. ორმხრივი სამართლებრივი დანშარება; 2. წინასასამართლო სხდომისთვის პირის გადაცემა; 3. პირის ექსტრადიცია ან გადაცემა; 4. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცემა; 5. მონშეთა გადაყვანა და დაცვა; 6. სასამართლო გადანყვეტილების აღიარება და აღსრულება და სხვა. ვრცლად იხ.: *Vermeulen, G., De Bondt, W., Ryckman, C.: (eds.) Rethinking International Cooperation in Criminal Matters in the EU*, 2012, p. 110.

(*in abstracto*) ორმხრივი დასჯის მოთხოვნა და კონკრეტული (*in concreto*) ორმხრივი დასჯის მოთხოვნა.¹⁷ აბსტრაქტული ორმხრივი დასჯის მოთხოვნისთვის საკმარისია ჩადენილი ქმედება იყოს ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენ და მიმღებ სახელმწიფოებში დასჯადი, მაშინ, როდესაც კონკრეტული ორმხრივი დასჯის მოთხოვნის კრიტერიუმის საფუძველზე შეფასებას ექვემდებარება ჩადენილი ქმედების არა მხოლოდ ორივე სახელმწიფოში დასჯადობა, არამედ ასეთი ქმედების ჩადენისთვის დადგენილი სასჯელის ზომაც.¹⁸

ექსტრადიციის ევროპული სისტემა განასხვავებს ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ორ სახეს, რომელთაგან პირველი უკავშირდება ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების განსაზღვრას (*ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები*), ხოლო მეორე – პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით გათვალისწინებულ სასჯელს (*ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები*).¹⁹

27

¹⁷ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული ორმხრივი დასჯის მოთხოვნა აგრეთვე ცნობილია კვალიფიციური ორმხრივი დასჯის მოთხოვნის სახელწოდებით. *Vermeulen, G., De Bondt, W., Ryckman, C.*: (eds.) *Rethinking International Cooperation in Criminal Matters in the EU*, Portland, 2012, p. 108. *Deen-Racsmany, Z., Blekxtoon, R.*: *Decline of the Nationality Exception in European Extradition — The Impact of the Regulation of (Non-)Surrender of Nationals and Dual Criminality under the European Arrest Warrant*, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2005, p. 322; *Spinellis, D.*: *Extradition — Recent Developments in European Criminal Law*, *Eur. J.L. Reform*, 2006, p. 234.

¹⁸ *Spinellis, D.*: *Extradition — Recent Developments in European Criminal Law*, *Eur. J.L. Reform*, 2006, p. 234.

¹⁹ *Explanatory Report on the European Convention on Extradition*, Paris, 1957, p. 5.

- 28 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნის სახელმწიფოს ბრალდებული გადაცემა თუ მისი და ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით, თხოვნას დაქვემდებარებული დანაშაულის ჩადენისთვის დადგენილია თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე ერთი წლით მაინც ან უფრო მკაცრი სასჯელი.²⁰ მსჯავრდებულის ექსტრადიცია განხორციელდება, როდესაც ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში ქმედება დასჯადია და თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენით მას მიესჯება პატიმრობა სულ მცირე 4 თვის ვადით ან მის წინააღმდეგ გაცემული იქნება დაკავების ორდერი, რომლითაც მის მიმართ დადგენილი იქნება აგრეთვე სულ მცირე 4 თვიანი პატიმრობა.²¹
- 29 გარდა ამისა, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია მსჯავრდებულის გადაცემასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ე.წ. აქცესორულ ექსტრადიციას. თუ მსჯავრდებულის ექსტრადიციის თხოვნა მოიცავს რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულს, რომლებიც დასჯადია როგორც თხოვნის გამგზავნ, ისე მიმღებ სახელმწიფოებში თავისუფლების აღკვეთით, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ან რამდენიმე დანაშაული შეიძლება არ პასუხობდეს სასჯელის ზომის მიმართ კონვენციით დადგენილ პირობას, თხოვნის მიმღებ მხარეს აქვს უფლება გადასცეს პირი ამგვარი დანაშაულები-

²⁰ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფი.

²¹ იქვე.

სთვისაც (აქცესორული ექსტრადიცია).²² ამ ინსტრუმენტის მიზანია, რომ პირი არ გაექცეს პასუხისმგებლობას ექსტრადიციას დაუქვემდებარებელი დანაშაულების ჩადენისთვის.

ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში პირის გადაცემა ერთგვარად პირდაპირ დამოკიდებულია სასჯელის ზომაზე და არა ქმედების შემადგენლობაზე, დანაშაულის სიმძიმესა და შედეგებზე, ან გადასაცემი პირის სამართლებრივ მდგომარეობაზე. თუმცა, აუცილებელია, რომ დანაშაული როგორც ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ, ისე გამცემ სახელმწიფოებში იყოს დასჯადი. კონვენციის მიზნებისთვის აგრეთვე არ არის გადამწყვეტი ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებში დანაშაულს გააჩნდეს ერთი და იგივე სახელწოდება ან/და შემადგენლობა, სანქცია, მთავარია მისი ბუნება ორივე ქვეყანაში იდენტური, მსგავსი იყოს. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს განსხვავებულ სისხლისსამართლებრივ სისტემებს შორის ექსტრადიციის პროცედურების განხორციელებას.

30

2. ექსტრადიციის კომპეტენციის მქონე სუბიექტები – ექსტრადიციის ევროპული სისტემა არის პოლიტიკური თუ სამართლებრივი მექანიზმი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპით სუვერენული

31

²² Explanatory Report on the European Convention on Extradition, Paris, 1957, p. 5.

სახელმწიფო ძალაუფლება განანილებულია ჰორიზონტალურ საფეხურზე მყოფ სახელისუფლებო შტოებს შორის. აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, ამ პრინციპის ძალით ფლობენ კონსტიტუციურ კომპეტენციებს მათთვის ექსკლუზიურად მინდობილ სფეროებში. ოქსიდენტური ტრადიციების მქონე სახელმწიფოებში საგარეო პოლიტიკის წარმართვა, სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ზოგადად ქვეყნის ტერიტორიის მიღმა სახელმწიფო სუვერენიტეტის განხორციელება აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებაა. სახელმწიფო ძალაუფლების ამგვარად სტრუქტურიზება არის მტკიცე ტრადიცია, რომელსაც თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი ეფუძნება. მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიცია არის საერთაშორისო-სამართლებრივი თანამშრომლობის პროცესი, მასში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან (რომელიც როგორც წესი წარმოდგენილია იუსტიციის მინისტრის სახით) ერთად პროკურატურა²³ და სასამართლო

²³ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში პროკურატურის ადგილთან მიმართებაში სამი მიდგომა არსებობს. სხვადასხვა სახელმწიფოებში (მაგ.: აშშ, ირლანდია, ჩეხეთის რესპუბლიკა) პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილად მოიაზრება. სახელმწიფოთა გარკვეული კატეგორია (მაგ.: საფრანგეთი, იტალია, ლატვია) პროკურატურას სასამართლო ხელისუფლების ნაწილად განიხილავს. ცალკეული სახელმწიფოები (მაგ.: არგენტინა, ბრაზილია, კანადა, საქართველო) პროკურატურას აბსოლუტურად დამოუკიდებელ ინსტიტუტად მოიაზრებენ და არ მიაკუთვნებენ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ვრცლად იხ: The Status and Role of Prosecutors, A United Nations Office on Drugs and Crime and International Association of Prosecutors Guide, 2014, New York, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/14-07304_ebook.pdf, (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021); Zezulova, J.: Status,

ხელისუფლება მონაწილეობს. უფრო მეტიც, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში იუსტიციური ორგანო არის ერთადერთი კომპეტენტური ინსტიტუტი ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილების მისაღებად.²⁴

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის კომენტარში, რომელიც დანაშაულის პრობლემების შესახებ ევროპული კომიტეტის²⁵ მიერ არის მომზადებული, პირდაპირ არის

32

Organization, Role, and Function of the Public Prosecutor's Office (Public Prosecutors) in the Czech Republic, *Judicial Reform: The Prosecution Office and Investigation Authorities in the Context of EU Membership*, Sofia, 2005. 2018 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებამდე, კონსტიტუციური ნორმა, რომელიც პროკურატურას ეხებოდა, მდებარეობდა საქართველოს მთავრობის თავში. საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციით, პროკურატურის ორგანოები შედიოდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში და მათ საერთო ხელმძღვანელობას საქართველოს იუსტიციის მინისტრი ახორციელებდა. კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ, საქართველოს პროკურატურას კვლავ გააჩნია კონსტიტუციური ინსტიტუტის სტატუსი, თუმცა მასთან დაკავშირებული კონსტიტუციური ნორმა საქართველოს მთავრობის თავიდან გადავიდა სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის თავში. საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე თავის თელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პროკურატურა არის ხელისუფლების ყველა შტოსგან დამოუკიდებელი ორგანო.

²⁴ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2019 წლის 27 მაისის გადანყვეტილება საქმეზე: *PF [C-509/18]*. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადანყვეტილება საქმეზე: *Ruslanas Kovalkovas, [C 477/16]*.

²⁵ დანაშაულის პრობლემების შესახებ ევროპული კომიტეტი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1958 წელს დააფუძნა. მისი საქმიანობის მიზანია ევროპის საბჭოს ფარგლებში დანაშაულის პრევენციასთან და კონტროლთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა. ევროპული კომიტეტი სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, კრიმინოლოგი-

მითითება, რომ ექსტრადიციის პროცედურებში სახელმწიფოები მონაწილეობენ პროკურატურისა და სასამართლოების მეშვეობით.²⁶ თუმცა, სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში ეს კონვენციური პრინციპი არ არის დაცული.

- 33 ევროკავშირის მოდელისგან განსხვავებით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს საერთო მიდგომა იმ ეროვნული ორგანოს განსაზღვრასთან მიმართებაში, რომელმაც უნდა მიიღოს პირის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილება. ექსტრადიციის თხოვნის განხილვის ორგანიზაციული და ინსტიტუციური მონყობა ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის არის მინდობილი. ეროვნული კანონმდებლობა თავისუფალია არჩევანში – ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყოს პოლიტიკური თუ სამართლებრივი. ექსტრადიციის ევროპული სისტემის ინდეფერენტულობა პირის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უნიფიცირებული ინსტრუმენტის დადგენასთან დაკავშირებით, განპირობებულია არა ქმედითი, ეფექტიანი და სწრაფი სისტემის მონყობის ინტერესით, არამედ ექსტრადიციის

ისა და პენოლოგიის სფეროში ამზადებს და მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს ინიციატივებს, კონვენციის პროექტებს, რეკომენდაციებსა და ანგარიშებს. ვრცლად იხ.: <https://www.coe.int/en/web/cdpc/home> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁶ კომენტარის მიხედვით, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია გამოირჩევა პოლიციის ამ პროცესში გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად ჩართულობას, ვრცლად იხ.: CDPC, PC-OC, European Convention on Extradition Explanatory Notes, Strasbourg, 1998, p. 16, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168048bd42>, (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

შესახებ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შორის არასაკმარისი ნდობით.

ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილების მიღების პროცესი პოლიტიკურია, როდესაც მასში სასამართლოსთან ერთად გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილებით მონაწილეობს პოლიტიკური სუბიექტი (თანამდებობის პირი ან კოლეგიალური ორგანო), მიუხედავად იმისა იგი იღებს თუ არა პირის გადაცემის საბოლოო გადანყვეტილებას. ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილების მიღების პროცესი არის სამართლებრივი მაშინ, როცა პირის გადაცემის საკითხს ექსკლუზიურად წყვეტს სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პოლიტიკურ სუბიექტებს ექსტრადიციის პროცედურებში მხოლოდ ტექნიკური ფუნქციები გააჩნიათ. ამ პრინციპს ეფუძნება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა.

34

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკრელ სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში პირის გადაცემაზე გადანყვეტილების მიღების ორ ეტაპიანი პროცედურა არსებობს. პირველ ეტაპზე პირის გადაცემის საკითხს განიხილავს და გადანყვეტილებას იღებს სასამართლო. მეორე ეტაპზე, ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილება პოლიტიკური სუბიექტების მიერ მიიღება. ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში გავრცელებული მიდგომები პირის გადაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღებასთან მიმართებაში შესაძლებელია ხუთ ჯგუფად დაიყოს.

35

პირველი მიდგომის მიხედვით, ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილებას იღებენ *სასამართლო და იუსტიციის მინისტრი*. ეს მოდელი ყველაზე უფრო მეტ სახელმწიფოშია

36

გავრცელებული. ავსტრიაში²⁷ პირის გადაცემა დასაშვებია თუ არა, განიხილავს შესაბამისი რეგიონული სასამართლო, რომლის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს უმაღლეს სასამართლოში. გარდა ამისა, პირს შეუძლია უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს ავსტრიის უზენაეს სასამართლოში მისი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამობის საფუძველით. თუმცა, საბოლოო ჯამში ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ავსტრიის იუსტიციის მინისტრი. თუ სასამართლო მიიღებს უარყოფით გადაწყვეტილებას იუსტიციის მინისტრი ვალდებულია მას დაემორჩილოს და უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე. დადებითი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია უარი თქვას პირის გადაცემაზე თუ იგი ჩათვლის, რომ ექსტრადიცია ეწინააღმდეგება ავსტრიის საერთაშორისო ვალდებულებას ან სახელმწიფო ინტერესებს.

- 37 ბელგიაში²⁸ ექსტრადიციის თაობაზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა იგი პირის გადაცემას კრძალავს თუ დასაშვებად მიიჩნევს, რეკომენდაციის ხასიათი გააჩნია და მისი მიზანია ბელგიის იუსტიციის მინისტრს დაეხმაროს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში. იუსტიციის მინისტრი, როდესაც არ იზიარებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით

²⁷ <https://rm.coe.int/austria-template-extradition-2018/16808eca68> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁸ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=090000168042d6d0> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

თი ფორმით დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილებების მოტივაცია. პირი, როცა არ ეთანხმება ბელგიის იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია ექსტრადიციის დაკმაყოფილების შესახებ ბრძანების ჩაბარებიდან 60 დღის ვადაში, იგი გაუქმების მიზნით პირდაპირ გაასაჩივროს ბელგიის სახელმწიფო საბჭოში, რომელიც საჩივარს განიხილავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და აფასებს იუსტიციის მინისტრის აქტის დასაბუთებულობას. ფაქტობრივად, პირის გადაცემის საკითხი ბელგიის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული.

ხორვატიასა²⁹ და უნგრეთში³⁰ ექსტრადიციის საკითხს სასამართლო განიხილავს, თუმცა იუსტიციის მინისტრი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. იუსტიციის მინისტრი ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც პირის გადაცემა იკრძალება. თუმცა, მას უფლება აქვს არ გაითვალისწინოს სასამართლოს გადაწყვეტილება ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ და უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე.

38

ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გერმანული მოდელი³¹ ასევე ორი ეტაპისგან შედგება. პირვე-

39

²⁹ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=09000016806b5ebe> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³⁰ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=0900001680089b39> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³¹ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=09000016806ca356> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ლი, ექსტრადიციის თხოვნას უმაღლესი რეგიონული სასამართლო განიხილავს. მეორე, თუ პირის გადაცემას სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს, გერმანიის იუსტიციის მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრის თანხმობით მიიღებს გადაწყვეტილებას ექსტრადიციის განხორციელებაზე.

- 40 ფინეთში³² პირის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია იუსტიციის მინისტრს გააჩნია. მას შეუძლია თავდაპირველადვე უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე თუ მიიჩნევს, რომ არ არსებობს ექსტრადიციის საფუძველი. ამგვარი საფუძვლის შესაძლო არსებობის შემთხვევაში, იგი ექსტრადიციის თხოვნას უგზავნის გამოძიების ეროვნულ ბიუროს, რომელიც საკითხის გადაწყვეტის მიზნით აგროვებს მტკიცებულებებსა და ადგენს ანგარიშს, რომელსაც იუსტიციის მინისტრს წარუდგენს. პირი, როდესაც ექსტრადიციის წინააღმდეგია, იუსტიციის მინისტრი ვალდებულია ფინეთის უზენაეს სასამართლოს თხოვოს დასკვნის წარმოდგენა. თუ უზენაესი სასამართლო დაასკვნის, რომ ექსტრადიცია არ შეიძლება განხორციელდეს, იუსტიციის მინისტრი ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნს სახელმწიფოს უარს განუცხადებს პირის გადაცემაზე. უზენაესი სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, იუსტიციის მინისტრი ექსტრადიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ფინეთის საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით.

მეზუღია: 30.08.2021).

³² <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=0900001680089b37> (უკანასკნელად გადამონმეზუღია: 30.08.2021).

პორტუგალიური³³ მოდელიც ექსტრადიციის თაობაზე გად-
ანწყვეტილების მიღებისთვის ორი ეტაპისგან შედგება. იუს-
ტიციის მინისტრს ექსტრადიციის თხოვნის მიღებისთანავე
შეუძლია უარი თქვას პირის გადაცემაზე თუ მიიჩნევს, რომ
არ არსებობს ექსტრადიციის განხორციელების სამართ-
ლებრივი საფუძველი. იმ შემთხვევაში, როდესაც იუსტიცი-
ის მინისტრი თვლის, რომ ასეთი თხოვნა დასაშვებია და
ექვემდებარება მსჯელობას, იგი ეგზავნება სასამართლოს.
სასამართლოს გადანწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრ-
დეს როგორც სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში,
აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში.

41

საქართველოში³⁴ ექსტრადიციის თაობაზე გადანწყვეტილება 42
აგრეთვე სასამართლოსა და იუსტიციის მინისტრის მონა-
წილეობით მიიღება, იგი გარკვეულწილად ავსტრიული მო-
დელის მსგავსია. საწყის ეტაპზე, ექსტრადიციის თხოვნას
განიხილავს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ან სა-
ქართველოს პროკურატურა. თუ ისინი მიიჩნევენ, რომ არ-
სებობს ექსტრადიციის უარის თქმის საფუძველი, საქარ-
თველოს იუსტიციის მინისტრი მიიღებს გადანწყვეტილებას
თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ექს-
ტრადიციის თხოვნა, როდესაც შეესაბამება საქართველოს
საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური შე-
თანხმებით დადგენილ მოთხოვნებს, საქართველოს პროკუ-
რატურა ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის გადასანწყვე-

42

³³ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=0900001680089b1d> (უკანასკნელად გადამონ-
მეზულია: 30.08.2021).

³⁴ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის
შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი.

ტად გონივრულ ვადაში მიმართავს შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს. სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს ერთჯერადად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, როდესაც პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია დაუშვებელია, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ვალდებულია უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე. თუმცა, იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია პირის გადაცემაზე უარი განაცხადოს მაშინაც, როცა სასამართლომ ექსტრადიცია დასაშვებად მიიჩნია.

- 43 მეორე მიდგომა გულისხმობს პირის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებას, სადაც პირი სარგებლობს სულ მცირე ერთჯერადი გასაჩივრების უფლებით. ამ პროცესში იუსტიციის მინისტრი არ მონაწილეობს. ამგვარი მოდელი გამოიყენება *რუმინეთში*,³⁵ *კვიპროსსა*³⁶ და *იტალიაში*.³⁷
- 44 მესამე მიდგომის მიხედვით, ექსტრადიციის საკითხს ექსკლუზიურად განიხილავს და ნყვეტს პროკურატურა. იგი მოქმედებს *დანიის სამეფოში*,³⁸ სადაც დანიის პროკურატურის

³⁵ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=0900001680089b33> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³⁶ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=09000016803a72c4> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³⁷ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=090000168048c54f> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³⁸ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM->

დირექტორი აფასებს ექსტრადიციის თხოვნის საფუძვლიანობას. თავდაპირველ ეტაპზე თუ დირექტორი მიიჩნევს, რომ არ არსებობს თხოვნის შეუსრულებლობის საფუძველი, იგი თხოვნას უგზავნის პოლიციას, რომელმაც უნდა მოიპოვოს რელევანტური ინფორმაცია და ანგარიში წარუდგინოს პროკურატურას. საბოლოო ეტაპზე, დანიის პროკურატურის დირექტორი ერთპიროვნულად წყვეტს პირის გადაცემის საკითხს.

მეოთხე მიდგომა უკავშირდება ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას სასამართლოსა და მთავრობის მონაწილეობით. *ესპანეთში*³⁹ ექსტრადიციის თხოვნის საფუძვლიანობას განიხილავს სასამართლო. თუ იგი დაუშვებლად მიიჩნევს პირის გადაცემას, ეს გადაწყვეტილება ყველა სხვა თანამდებობის პირისა თუ ორგანოსთვის შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლო, როდესაც ექსტრადიციას დადებითად წყვეტს, იუსტიციის მინისტრი ახორციელებს პირის გადაცემის საკითხის ინიცირებას ესპანეთის მთავრობის სხდომაზე, რომელიც კოლეგიური წესით იღებს გადაწყვეტილებას.

45

მეხუთე მიდგომა გამომდინარეობს ლატვიის კანონმდებლობიდან, სადაც ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობენ პროკურატურა, უზენაესი სასამართლო და მთავრობა. *ლატვიაში*⁴⁰ ექსტრადიციის

46

Content?documentId=09000016806b9363 (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³⁹ <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTM-Content?documentId=090000168042d6cb> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁴⁰ ლატვიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 705-ე-708-ე

თხოვნის დასაშვებობას განიხილავს პროკურატურა. თუ იგი თხოვნას დასაშვებად მიიჩნევს, იღებს გადანყვეტილებას პირის ექსტრადიციის თაობაზე და საკითხი საბოლოოდ გადანყვეტის მიზნით იუსტიციის მინისტრის მიერ ინიცირდება ლატვიის მთავრობის სხდომაზე. პირი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში პროკურატურის გადანყვეტილება გაასაჩივროს ლატვიის უზენაეს სასამართლოში, ამგვარ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღებამდე პირის გადაცემის საკითხი არ გადის მთავრობის სხდომაზე. საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ექსტრადიციის პროცედურა შეწყდება. თუ უზენაესი სასამართლო განაცხადებს თანხმობას პირის გადაცემაზე, იუსტიციის მინისტრი ახორციელებს მთავრობის სხდომაზე პირის გადაცემის საკითხის ინიცირებას. უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილების მიუხედავად, მთავრობას შეუძლია სხვადასხვა ნორმატიული საფუძვლით უარი განაცხადოს ექსტრადიცი-აზე.

- 47 ევროპის საბჭოს ფარგლებში გავრცელებული მიდგომები პირის გადაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღებასთან მიმართებაში მკაფიოდ მეტყველებს, რომ ექსტრადიციის ევროპული სისტემა არ არის აგებული მართლმსაჯულების განმახორციელებელ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის პრინციპზე. ამ მექანიზმის გამოყენება დამოკიდებულია არა მხოლოდ ექსტრადიციის პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებზე, არამედ, აგრეთვე პოლიტიკური თანამდებობის

მუხლები, ინგლისურენოვანი ვერსია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/19/Latvia/show> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

პირების გადანყვეტილებებზე, რომლებიც სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში წარმოადგენენ საბოლოო, ფუნდამენტურ რგოლს ექსტრადიციის შესახებ გადანყვეტილების მიღების თვალსაზრისით. პოლიტიკურ ინსტიტუტს როგორც ითქვას, სასამართლოს გადანყვეტილებით დაშვებული ექსტრადიციის დაბლოკვის შესაძლებლობა გააჩნია.

თავის მხრივ, სახელმწიფოების მიერ ექსტრადიციის ევროპული სისტემის პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტად გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მის ეფექტიანობას და ხელს უშლის ექსტრადიციის სფეროში საერთო ევროპული ტრადიციების ჩამოყალიბებას.

48

3. ექსტრადიციის აკრძალვისა და შეზღუდვის საფუძვლები

ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში პირის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ქმედების ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებში დასჯადობა. ექსტრადიცია ხორციელდება მაშინ, როდესაც პირის გადაცემას არ კრძალავს ან ზღუდავს ექსტრადიციის ევროპული სისტემის ფარგლებში მოქმედი ნორმატიული საფუძველი. პირის გადაცემის აკრძალვისა და შეზღუდვის საფუძვლები ძირითადად მოცემულია ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაში, თუმცა, ექსტრადიციის აკრძალვის გარემოებებს, რომლებიც მოქმედებენ ექსტრადიციის ევროპულ მექანიზმში,

49

აგრეთვე შეიცავენ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია⁴¹ და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.⁴²

- 50 ექსტრადიციის აკრძალვის საფუძვლის არსებობისას პირის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია. ასეთ შემთხვევებში არ არსებობს გამონაკლისი, რომელიც პირის გადაცემის შესაძლებლობას გაითვალისწინებდა. ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში პირის გადაცემას ნორმატიულად აბსოლუტურად გამორიცხავს ე.წ. *non-refoulement*-ის პრინციპი, სიკვდილით დასჯის აკრძალვის პრინციპი, ერთი და იმავე დანაშაულისთვის მსჯავრის ორჯერ დაკისრების აკრძალვის პრინციპი (*ne bis in idem*), სისხლისსამართლებრივი დევნის ან დასჯისთვის დადგენილი ვადის გასვლა (ხანდაზმულობის ვადა).
- 51 ექსტრადიციის შეზღუდვის საფუძვლები ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს ანიჭებს უფლებას ინდივიდუალური საქმის განხილვის ან ეროვნული სამართლით განსაზღვრული პირობების საფუძველზე უარი განაცხადოს

⁴¹ მიღებულია 1951 წლის 28 ივლისს, ძალაშია 1954 წლის 22 აპრილიდან, ქართულ ენაზე ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=548594564> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁴² მიღებულია 1950 წლის 04 ნოემბერს, ძალაშია 1953 წლის 03 სექტემბრიდან, ქართულ ენაზე ტექსტი ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021). ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილ ექსტრადიციის აკრძალვის საფუძვლებზე იხ.: თავი II, §3.12.

პირის გადაცემაზე. ექსტრადიციას კონვენციურად ზღუდავს პოლიტიკური დანაშაულები, სამხედრო დანაშაულები, მოქალაქეთა გადაცემის თაობაზე თხოვნა, დანაშაულის ჩადენის ადგილი, ერთსა და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოებანი.

ექსტრადიციის ევროპულ მოდელში პირის გადაცემის აკრძალვის ან შეზღუდვის გარემოებებთან მიმართებაში მოქმედებს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემისგან⁴³ მნიშვნელოვნად განსხვავებული რეჟიმი როგორც ძირითადი უფლებების დაცვის, ასევე პროცედურული თვალსაზრისით.

52

3.1. პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვა

პოლიტიკური დანაშაული⁴⁴ მატერიალური სისხლის სამართლის დოგმატიკისთვის უცნობი დანაშაულია. იგი არ წარმოადგენს დანაშაულს ან დანაშაულთა კატეგორიას, რო-

53

⁴³ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში პირის გადაცემის აკრძალვისა და შეზღუდვის საფუძვლებისთვის იხ.: თავი III, §4.

⁴⁴ ტერმინის „პოლიტიკური დანაშაული“ ნორმატიული საწყისია ბელგიის 1833 წლის ექსტრადიციის აქტი. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, იგი პირველად გათვალისწინებულ იქნა 1833 წელს ბელგიასა და საფრანგეთს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამ ინსტრუმენტმა სხვა სახელმწიფოების აღიარება მოგვიანებით მე-19 საუკუნის ბოლოდან მოიპოვა. იხ.: *Petersen, A.C.: Extradition and the Political Offense Exception in the Suppression of Terrorism*, Ind. L.J., vol. 67, 1992, p. 774; *Stanbrook, I., Stanbrook, C.: Extradition Law and Practice*, 2nd Edition, New York, 2000, p. 66.

მელსაც როგორც წესი მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა დამოუკიდებლად ითვალისწინებს, გამომდინარე იქიდან, რომ პოლიტიკურ დანაშაულს არ გააჩნია შემადგენლობა. ის არის პროცედურული ინსტრუმენტი, რომელსაც ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფო იყენებს ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.⁴⁵ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვა არის საერთაშორისო სამართლის უნივერსალურად აღიარებული (და იმავდროულად სადავო) პრინციპი,⁴⁶ არ არსებობს პოლიტიკური დანაშაულის კონვენციური, საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი ან იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონებული დეფინიცია.

- 54 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულია პოლიტიკური დანაშაულის ჩადენისთვის პირის გადაცემა. ეს დანაშაული ამ კონვენციის მიღების პერიოდიდან არსებობს. სტრუქტურული თვალსაზრისით, კონვენციის მე-3 მუხლი 4 პარაგრაფისგან შედგება. პირველი პარაგრაფი პოლიტიკური დანაშაულის ჩადენის გამო პირის გადაცემის აკრძალვის ზოგადი დებულებაა. მეორე პარაგრაფი გამორიცხავს ექსტრადიციას, როდესაც იგი მოთხოვნილია პირის რასის, რელიგიის, მოქალაქეობის ან

⁴⁵ *Magnuson, W.*: Domestic Politics of International Extradition, VA. J. INT'L L., 2012, p. 890.

⁴⁶ *Wijngaert, C.*: The Political Offence Exception to Extradition: Defining the Issues and Searching a Feasible Alternative, Report presented at the International Seminar on Extradition, International Institut of Higher Studies in criminal Sciences. Noto, 1983, p. 741; *Stanbrook, I., Stanbrook, C.*: Extradition Law and Practice, 2nd Edition, New York, 2000, p. 65.

პოლიტიკური შეხედულებისთვის. მესამე პარაგრაფით დადგენილია პოლიტიკური დანაშაულის ჩადენის გამო პირის გადაცემის აკრძალვის ზოგადი დებულებიდან გამონაკლისი, ხოლო მე-4 პარაგრაფი ე.წ. მოქნილობის პუნქტია, რომელიც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას სხვა მრავალმხრივი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ დაარღვიოს.

3.1.1. პოლიტიკური დანაშაულების განსაზღვრის პრობლემა

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის **პირველი პარაგრაფი** მკაფიოდ მიუთითებს, რომ თუ დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან, ექსტრადიცია არ განხორციელდება. თუმცა, კონვენციით შემოთავაზებული არ არის სახელმწიფოს მიერ ამგვარი შეფასების გაკეთების კრიტერიუმები. იგი ამ საკითხს ღიად ტოვებს და სახელმწიფოებს ანიჭებს ფართო დისკრეციას.

55

იურიდიულ ლიტერატურაში პოლიტიკური დანაშაულების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით კონსენსუსია ჩამოყალიბებული. თუმცა, სახელმწიფოებს გააჩნიათ სხვადასხვა

56

მიდგომები დანაშაულის პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად განხილვასთან მიმართებაში. ამ საკითხზე მეცნიერების მიერ რამდენიმე თეორიაა განვითარებული.

- 57 პოლიტიკური დანაშაულების კლასიფიკაციის საკითხზე მეცნიერები თანხმდებიან, რომ არსებობს ე.წ. წმინდა პოლიტიკური დანაშაულები და რელატიური პოლიტიკური დანაშაულები.⁴⁷ წმინდა პოლიტიკურ დანაშაულში მოიაზრება ქმედება, რომელიც მიმართულია უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ და ზიანს არ აყენებს კერძო პირებს, მაგალითად ასეთად მიიჩნევა: სახელმწიფო ლაღატი, შეთქმულება ან ამბოხება სახელმწიფო წყობილების ძალადობით შესაცვლელად, ჯაშუშობა.⁴⁸ რელატიური პოლიტიკური დანაშაულია ქმედება, რომელიც არის სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი და იგი ჩადენილია პოლიტიკურ კონტექსტში, იდეოლოგიური დაპირისპირების, ამბოხების პროცესში, ის შეიძლება მიმართული იყოს როგორც სახელმწიფოს,

⁴⁷ *Wijngaert, C.*: The Political Offence Exception to Extradition: Defining the Issues and Searching a Feasible Alternative, Report presented at the International Seminar on Extradition, International Institut of Higher Studies in criminal Sciences. Noto, 1983, p. 744; *Thompson, D.K.*: The Evolution of the Political Offense Exception in an Age of Modern Political Violence, Yale J. World Pub. Ord., 1983, p. 317; *Petersen, A.C.*: Extradition and the Political Offense Exception in the Suppression of Terrorism, Ind. L.J., vol. 67, 1992, p. 775; *James, J.K.*: The Political Offense Exception: Is the United States-United Kingdom Supplementary Extradition Treaty the Beginning of the End?, AM. U. J. INT'L L. & POL'Y, 1987, p. 208; *Stefanovska, V.*: The Concept of Political and Terrorist Offences in Extradition Matters: A Legal Perspective, ESJ, vol.11, 2015, p. 74.

⁴⁸ *Petersen, A.C.*: Extradition and the Political Offense Exception in the Suppression of Terrorism, Ind. L.J., vol. 67, 1992, p. 775.

აგრეთვე კერძო პირების წინააღმდეგ.⁴⁹ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პარაგრაფის რედაქცია პოლიტიკური დანაშაულების კლასიფიკაციის ამ ლოგიკას მიჰყვება. იგი ნმინდა პოლიტიკურ დანაშაულს უწოდებს – პოლიტიკურ დანაშაულს, ხოლო რელატიურ პოლიტიკურ დანაშაულს მოიხსენიებს პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად.

დანაშაულის პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად შეფასების კრიტერიუმების დასადგენად იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია პოლიტიკური ინციდენტის ტესტი, პროპორციულობის ტესტი და ობიექტურობის ტესტი. 58

პოლიტიკური ინციდენტის ტესტი გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გაერთიანებულ სამეფოში. იგი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დანაშაულს პოლიტიკურ დანაშაულად განიხილავს თუ ქმედება ჩადენილია პოლიტიკური დაპირისპირებისას, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დროს.⁵⁰ გარდა ამისა, ქმედება უნდა იყოს პოლიტიკური პროცესის ესკალაციის თანმდევი და მას უნდა უკავშირდებოდეს.⁵¹ 59

პროპორციულობის (პრედომინატურობის) ტესტი შვეიცა- 60

⁴⁹ *Thompson, D.K.*: The Evolution of the Political Offense Exception in an Age of Modern Political Violence, *Yale J. World Pub. Ord.*, 1983, p. 317.

⁵⁰ *James, J.K.*: The Political Offense Exception: Is the United States-United Kingdom Supplementary Extradition Treaty the Beginning of the End?, *AM. U. J. INT'L L. & POL'Y*, 1987, p. 211.

⁵¹ *Stefanovska, V.*: The Concept of Political and Terrorist Offences in Extradition Matters: A Legal Perspective, *ESJ*, vol.11, 2015, p. 73.

რიაში განვითარდა.⁵² ის დანაშაულს პოლიტიკურ დანაშაულად მოიაზრებს თუ ერთი მხრივ, მას გააჩნია პირდაპირი, მჭიდრო კავშირი პოლიტიკური მოძრაობის მიზნებთან და მეორე მხრივ, ქმედებაში პოლიტიკური ელემენტი უფრო სჭარბობს ვიდრე ორდინარული დანაშაულის, რაც პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის გამორიცხავს საჭიროზე მეტი ზიანის არსებობას.⁵³ ამ ტესტის მიხედვით, პოლიტიკური მიზნის რეალიზაციისთვის დანაშაულის ჩადენა უნდა იყოს ერთადერთი ყველაზე ეფექტიანი გზა.⁵⁴ ნიშანდობლივია, რომ ინტერპოლი საკუთარი საქმიანობის პროცესში იყენებს პრედომინანტურობის ტესტს. ინტერპოლის კონსტიტუციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, იგი არ იღებს სახელმწიფო თხოვნებს იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებსაც პოლიტიკურად განიხილავს.⁵⁵ თუ ინტერპოლი მიიჩნევს, რომ დროებით პატიმრობასთან დაკავშირებული თხოვნა ეხება დანაშაულს, რომელიც მნიშვნელოვანწილად, პრედომინან-

⁵² *Thompson, D.K.*: The Evolution of the Political Offense Exception in an Age of Modern Political Violence, *Yale J. World Pub. Ord.*, 1983, p. 320.

⁵³ იქვე: *Stanbrook, I., Stanbrook, C.*: Extradition Law and Practice, 2nd Edition, New York, 2000, p. 77.

⁵⁴ *Wijngaert, C.*: The Political Offense Exception to Extradition: Defining the Issues and Searching a Feasible Alternative, Report presented at the International Seminar on Extradition, International Institut of Higher Studies in criminal Sciences. Noto, 1983, p. 748.

⁵⁵ Repository of Practice: Application of Article 3 of INTERPOL's Constitution in the context of the processing of information via INTERPOL's channels, 2nd Edition, Geneva, 2013, p. 5. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.interpol.int/About-INTERPOL/Legal-materials/Neutrality-Article-3-of-the-Constitution> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ტურად არის პოლიტიკური,⁵⁶ სამხედრო ან რელიგიური, მან-დატს არ ახორციელებს.⁵⁷ იგი მხოლოდ მაშინ მიიღებს საერთაშორისო დახმარების პროცესში მონაწილეობას, თუ თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო ფაქტებით დაადასტურებს დანაშაულის კავშირს ორდინარული სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან.⁵⁸

პროპორციულობის პრინციპს იყენებს საქართველოც. ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის მიზნებისთვის საქართველო დანაშაულს არ მიიჩნევს პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად, თუ ექსტრადიციის თხოვნით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნების, მოტივის, ფორმის, მეთოდების და სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით სისხლის სამართლის ქმედების ნიშნები გადაწონის და-

61

⁵⁶ პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დანაშაულის პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად შეფასების კრიტერიუმებია: ა) დანაშაულის ბუნება, მისი ჩადენისთვის დადგენილი სასჯელი, დანაშაულის ჩადენის ფაქტობრივი გარემოებები; ბ) დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ან მსჯავრდებული პირის სტატუსი; გ) ინფორმაციის წყაროს წარმომავლობა; დ) სხვა სახელმწიფოს ცენტრალური ბიუროს ან საერთაშორისო უწყების პოზიცია; ე) საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები; ვ) პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის ნეიტრალურობა; ზ) საქმის ზოგადი კონტექსტი. ვრცლად იხ.: Repository of Practice: Application of Repository of Practice: Application of Article 3 of INTERPOL's Constitution in the context of the processing of information via INTERPOL's channels, 2nd Edition, 2013.

⁵⁷ General Assembly Resolution AGN/20/RES/11 (1951), General Assembly Resolution AGN/53/RES/7 (1984), ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.interpol.int/Crime-areas/Terrorism/Resolutions> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁵⁸ იქვე.

ნაშაულის ჩადენის პოლიტიკურ ასპექტებს.⁵⁹ გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირის ექსტრადიციას, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის. ნიშანდობლივია, რომ ანალოგიური შინაარსის ნორმას 2018 წლამდე შეიცავდა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილი. თუმცა, იგი კონსტიტუციის ახალი რედაქციით არ არის გათვალისწინებული.

- 62 ობიექტურობის ტესტი დანაშაულის პოლიტიკურ ან მასთან კავშირში მყოფ დანაშაულად შეფასების ფრანგული მოდელია. იგი აფასებს დანაშაულებრივი ქმედების ადრესატს და თუ იგი სახელმწიფო ხელისუფლებაა, ქმედებას მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად.⁶⁰
- 63 იურიდიულ ლიტერატურაში ყველა ხსენებული ფორმულაა გაკრიტიკებული. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოთა მიდგომები საჭიროებს მოდიფიკაციას და უფრო ეფექტიანი, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებას.⁶¹ თომპსონი თვლის, რომ

⁵⁹ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶⁰ ვრცლად იხ.: *Thompson, D.K.*: The Evolution of the Political Offense Exception in an Age of Modern Political Violence, *Yale J. World Pub. Ord.*, 1983, pp. 332-335.

⁶¹ მაგალითად იხ.: *Petersen, A.C.*: Extradition and the Political Offense Exception in the Suppression of Terrorism, *Ind. L.J.*, vol. 67, 1992, pp. 791-796; *Wijngaert, C.*: The Political Offence Exception to Extradition: Defining the Issues and Searching a Feasible Alternative, Report presented at the Inter-

სახელმწიფოებმა უნდა შეცვალონ არსებული მიდგომები და დანაშაულის შეფასებისას გამოიყენონ ფუნქციონალურობის ტესტი, რომელიც სამი ეტაპისგან შედგება. პირველ სტადიაზე გამოკვლეულ უნდა იქნეს უცხო სახელმწიფოსთვის გადასაცემი პირის პოლიტიკური მიზნები, რომლებმაც დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენა განაპირობა და დადგინდეს ქმედების განხორციელებისას მოქმედებდა თუ არა იგი როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი.⁶² შემდგომ სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს პოლიტიკური მოძრაობის ქმედებები, მიზნები, რომლის წევრიც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირია, მიმართულია თუ არა ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად.⁶³ მისი აზრით, პოლიტიკური კონტროლის მოპოვება უნდა იყოს თვითგამორკვევის უფლების ნაწილი.⁶⁴ მეორე ეტაპზე, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ უნდა განიხილოს მოქმედებს თუ არა პოლიტიკური ორგანიზაცია ფართო საზოგადოებრივი ჯგუფების (რომლებსაც აერთიანებთ ეთ-

national Seminar on Extradition, International Institut of Higher Studies in criminal Sciences. Noto, 1983, pp. 752-754; *Thompson, D.K.*: The Evolution of the Political Offense Exception in an Age of Modern Political Violence, Yale J. World Pub. Ord., 1983, pp. 338-340; *James, J.K.*: The Political Offense Exception: Is the United States-United Kingdom Supplementary Extradition Treaty the Beginning of the End?, AM. U. J. INT'L L. & POL'Y, 1987, pp. 224-226.

⁶² *Thompson, D.K.*: The Evolution of the Political Offense Exception in an Age of Modern Political Violence, Yale J. World Pub. Ord., 1983, p. 339.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

ნიკური, კულტურული, დემოგრაფიული ნიშანი) პოლიტიკური დაკვეთის, მოთხოვნების მიხედვით.⁶⁵ მესამე ეტაპზე უნდა შეფასდეს პოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის რამდენად მოიწონეს პოლიტიკური ორგანიზაციის ან გადასაცემი პირის ქმედება ფართო საზოგადოებრივმა ჯგუფებმა.⁶⁶

64 ვიჯნგაერტისა და პეტერსენის მოსაზრებით, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დანაშაული პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს თუ ექსტრადიციის შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ იქნება პირის საქმის სამართლიანად განხილვის უფლება.⁶⁷

65 კინელი ამ საკითხთან მიმართებაში ორ რეკომენდაციას ავითარებს. პირველი, მას მიაჩნია, რომ პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის მექანიზმი აბსოლუტურად უნდა გაუქმდეს.⁶⁸ მისი აზრით, ამ ინსტრუმენტის შექმნა განაპირობა მე-18-მე-19 საუკუნეებში ტირანული ხელისუფლების არსებობამ.⁶⁹ დღესდღეობით, იგი მოძველდა, რადგან მეტწილად თანამედროვე სახელმწიფოებში

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ იქვე. p. 40.

⁶⁷ *Wijngaert, C.*: The Political Offence Exception to Extradition: Defining the Issues and Searching a Feasible Alternative, Report presented at the International Seminar on Extradition, International Institut of Higher Studies in criminal Sciences. Noto, 1983, pp. 793-794.

⁶⁸ *James, J.K.*: The Political Offense Exception: Is the United States-United Kingdom Supplementary Extradition Treaty the Beginning of the End?, AM. U. J. INT'L L. & POL'Y, 1987, p. 224.

⁶⁹ იქვე.

პოლიტიკური მმართველობის რეჟიმი დემოკრატიულია.⁷⁰ თუმცა, იგი არ გამორიცხავს ამ მექანიზმის გამოყენებას იმ შემთხვევაში თუ საკითხი ეხება თვითგამორკვევის უფლებას.⁷¹ მისი მეორე რეკომენდაცია უკავშირდება საერთაშორისო დანაშაულების იმთავითვე გამორიცხვას პოლიტიკური დანაშაულების კატეგორიიდან.⁷²

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული რეკომენდაციები დანაშაულის პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად დაკვალიფიცირების კრიტერიუმების დადგენასთან მიმართებაში შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს ვიდრე სახელმწიფოთა მიდგომები, ისინი სრულად ვერ გადაჭრიან პოლიტიკური დანაშაულის განსაზღვრის პრობლემას. თომპსონის მიერ განვითარებული ფუნქციონალურობის ტესტის ერთ-ერთი ელემენტია იმ ფაქტის შეფასება ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ხორციელდება თუ არა ხალხის თვითგამორკვევის პროცესი. საერთაშორისო სამართალი აღიარებს ერის თვითგამორკვევის უფლებას,⁷³ თუმცა, დღემდე სადავოდ რჩება ამ უფლების რეალიზაციის ფარგლები.⁷⁴ აქედან გამომდინ-

66

⁷⁰ იქვე.

⁷¹ იქვე. p. 225.

⁷² იქვე, p. 226.

⁷³ გაეროს წესდების პირველი მუხლის მე-2 პარაგრაფი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლი; *ალექსიძე, ლ.*: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 60-68; *Cassese, A.*: Self-determination of peoples: a legal reappraisal, Cambridge, 1995, pp. 37-43.

⁷⁴ ერის თვითგამორკვევის უფლების საკითხზე მაგალითად იხ.: თო-

არე, ფუნქციონალურობის ტესტი ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოსთვის შესაძლებელია ერთგვარად გადაიქცეს პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისთვის.

- 67 ვიჯნგაერტისა და პეტერსენის მიდგომა ფაქტობრივად პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპის გაუქმების ტოლფასია, რაც თავისთავად პოზიტიურად უნდა შეფასდეს. მაგალითად, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ეს პრინციპი აღარ მოქმედებს.⁷⁵ თუმცა, მათ მიერ შერჩეული მოდელი გულისხმობს პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპის ჩანაცვლებას საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპით, რომელიც ისედაც ექსტრადიციის სამართლის ფუნდამენტური ელემენტია. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება არის ექსტრადიციის გამორიცხვის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძველი, იგი ძირით-

ფურიძე, ნ.: ხალხის თვითგამორკვევის პრინციპისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2015, გვ. 82-92.

⁷⁵ „დაკავების ევროპული ორდერისა და კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ 2002 წლის ჩარჩო-გადანყვეტილება პირის გადაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას მხოლოდ მისი მე-3, მე-4, 4ა, და მე-5 მუხლების საფუძველზე იძლევა. ამ ნორმებით გათვალისწინებულ არცერთ საფუძველში პოლიტიკური დანაშაული როგორც ექსტრადიციის ამკრძალავ თუ შემზღვეველ გარემოებად არ მოიაზრება. ვრცლად იხ.: თავი III, §4.

ადი უფლებების როგორც კონსტიტუციური, აგრეთვე საერთაშორისო დონეზე მოქმედი სტანდარტებიდან გამომდინარეობს. ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნის სახელმწიფოში საქმის სამართლიანი განხილვის პერსპექტივა სახელმწიფომ უნდა შეაფასოს არა პოლიტიკური დანაშაულის კონტექსტში, არამედ მისგან იზოლირებულად. თუ მას ექნება რაციონალური ეჭვი, რომ ექსტრადიციის შემდეგ პირის ეს უფლება არ იქნება სათანადოდ რეალიზებული, მისი გადაცემისგან თავი უნდა შეიკავოს იმ შემთხვევაშიც, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულს არ მიიჩნევს პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად.

ექსტრადიციის ევროპული სისტემა თეორიული გადმოსახედიდან, პოლიტიკური დანაშაულების განსაზღვრისას ე.წ. ნეგატიური დეფინიციის მოდელს ეყრდნობა, რომლის ჩანასახი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პარაგრაფში არსებობს. ნეგატიური დეფინიციის მექანიზმი იძლევა სამართლებრივი ცნების შინაარსის პირდაპირი განსაზღვრის გარეშე დაზუსტების შესაძლებლობას. სამართლებრივი ცნების ნეგატიური დეფინიცია გულისხმობს მისი შინაარსის დავინროებას არასასურველი ელემენტების იმთავითვე გამორიცხვით. მაგალითად, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პარაგრაფი პოლიტიკურ დანაშაულად არ მიიჩნევს სახელმწიფოს მეთაურის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის ხელყოფას ან ხელყოფის მცდელობას. იგივე ლოგიკას ეფუძნება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის 1975 წლის დამატებითი ოქმის პირველი მუხლი⁷⁶ და ტერო-

68

⁷⁶ ა) ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, რომ-

რიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის პირველი მუხლი, ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პარაგრაფი,⁷⁷ რომლებიც პოლიტიკური დანაშაულის კატეგორიაში სხვადასხვა დანაშაულებს მკაფიოდ არ მოიაზრებენ. თუმ-

ლებიც განსაზღვრულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 9 დეკემბერს მიღებული გენოციდის პრევენციისა და დასჯის კონვენციით; ბ) დარღვევები, რომლებიც განსაზღვრულია ჟენევის 1949 წლის კონვენციების ცალკეული მუხლებით; ც) ომის კანონების ნებისმიერ შედარებით დარღვევა, რომელსაც ადგილი ექნება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის 1975 წლის დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის დროს და ომის ჩვეულებების დარღვევა, რომლებსაც ადგილი ექნება იმ დროს, როდესაც ისინი არ იქნებიან განსაზღვრული ჟენევის კონვენციათა ცალკეული დებულებებით.

⁷⁷ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის პირველი მუხლი: „ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის არც ერთი შემდეგი დანაშაული არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პოლიტიკურ დანაშაულად, ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით გამოწვეულ დანაშაულად. (ა) დანაშაული, რომელზეც ვრცელდება 1970 წლის 16 დეკემბერს ქ. ჰააგაში ხელმოწერილი კონვენცია საჰაერო ხომალდების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; (ბ) დანაშაული, რომელზეც ვრცელდება 1971 წლის 23 სექტემბერს ქ. მონრეალში ხელმოწერილი კონვენცია სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; (გ) სერიოზული დანაშაულები დაკავშირებული საერთაშორისო დონეზე დაცული პირების, მათ შორის დიპლომატიური აგენტების სიცოცხლის, ჯამრთელობის ან თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან; (დ) გატაცებასთან, მძევლად აყვანასთან ან სერიოზულ უკანონო დაკავებასთან დაკავშირებული დანაშაული. (ე) დანაშაული დაკავშირებული ნაღმის, ხელყუმბარის, რაკეტის, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ან ნერილისა თუ საამანათო ნაღმის გამოყენებასთან, თუ ამით საფრთხე შეექმნა პიროვნებას; (ფ) ნებისმიერი ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის მცდელობა ან დახმარების სახით იმ პირის თანამონაწილედ გამოსვლა, რომელიც ჩაიდენს ან შეეცდება ჩაიდინოს ასეთი დანაშაული.

ცა, ხსენებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში მითითებული დანაშაულების გამორიცხვა პოლიტიკური დანაშაულების კატეგორიიდან არ არის აბსოლუტური დანაწესი, რადგან სახელმწიფოებს გააჩნიათ დათქმის გაკეთების საშუალება და მათი პოლიტიკურ დანაშაულებად განხილვის უფლება.⁷⁸ ამგვარი შესაძლებლობა ამცირებს პოლიტიკური დანაშაულების ნეგატიური (არაპირდაპირი) ფორმით დეფინიციის პერსპექტივას.

პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპი სახელმწიფოებისათვის უფრო მეტად პოლიტიკური ინსტრუმენტია, ვიდრე სამართლებრივი მექანიზმი. სწორედ აქედან გამომდინარე არ ხორციელდება მისი შინაარსის საერთაშორისო დონეზე განსაზღვრა.⁷⁹ პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპი არ გამოდგება ძირითადი უფლებების დარღვევის პრევენციისათვის, რადგან იგი მხოლოდ დანაშაულის ბუნებას აფასებს და არა პოსტ-საექსტრადიციო პროცესს. ევროპის

69

⁷⁸ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მე-4 პარაგრაფი, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის 1975 წლის დამატებითი ოქმის მე-6 მუხლი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი, ტერორიზმის პრევენციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-20 მუხლის მე-2 პარაგრაფი.

⁷⁹ ალსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1900 (2012) რეზოლუციით განსაზღვრულია პოლიტიკური პატიმრის დეფინიცია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ რბილი სამართალია, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ექსტრადიციის პროცესში გადაცემას დაქვემდებარებული პირის წინააღმდეგ მიმდინარე თუ დასრულებული სისხლისსამართლებრივი პროცედურების შეფასებისთვის. თუმცა, ეს რეზოლუცია არ ადგენს ქმედების პოლიტიკურ თუ მასთან დაკავშირებულ დანაშაულად შეფასების კრიტერიუმს.

საბჭოს ფარგლებში ექსტრადიციის პროცესში ადამიანის როგორც ძირითადი სამართლებრივი ღირებულების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში არსებული სტანდარტებით ხორციელდება. ამ არგუმენტების გათვალისწინებით, მსგავსად ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული რეჟიმისა, პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპი ექსტრადიციის ევროპულ სისტემაშიც სასურველია გაუქმდეს. თუმცა, ევროპის საბჭოს ნევრ სახელმწიფოებს შორის თავიანთი მმართველობითი პრაქტიკის და სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების არასაკმარისი ნდობის გამო, ნაკლებად სავარაუდოა ამ პრინციპის ანულირება.

3.1.2. პირის თვითნებური დევნისა და დასჯის მიზანი მიეკუთვნება თუ არა პოლიტიკური დანაშაულის კატეგორიას?

70 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფით იკრძალება პირის გადაცემა იმ შემთხვევაშიც თუ ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს გაუჩნდება საკმარისი საფუძველი ივარაუდოს, რომ ექსტრადიციის თხოვნა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის გაკეთებულია გადასაცემი პირის დევნისა და დასჯის მიზნით მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე ან იმ მიზნით, რომ ამ პირის მდგომარეობას მიადგეს ზიანი რომელიმე ასეთი მიზეზის გამო. თელეოლოგიური განმარტებით, ეს

ნორმა პირს იცავს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში მისი შეხედულების ან მისთვის დამახასიათებელი ნიშნის გამო – ე.ი. თვითნებური დევნისა და დასჯისაგან. კონვენციის მე-3 მუხლში მისი არსებობა კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის პოლიტიკური ან მასთან დაკავშირებული დანაშაულის შინაარსს. ამ ნორმის განმარტებისას ჩნდება კითხვა: კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფი ხომ არ აფართოებს პოლიტიკური დანაშაულის მატერიალურ გაგებას იმ თვალსაზრისით, რომ ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის პირის თვითნებურ დევნას ან დასჯას გარკვეულწილად პოლიტიკურ დანაშაულად განიხილავს? ერთობლიობაში ქმნის თუ არა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულზე ექსტრადიციის მოთხოვნა და პირის თვითნებური დევნის ან დასჯის მოტივი პოლიტიკურ დანაშაულს? იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თუ პირის გადაცემის რეალური მიზანია მისი თვითნებურად დევნა და დასჯა, არსებობს პოლიტიკური დანაშაულის საფუძვლით ექსტრადიციაზე უარის თქმის შესაძლებლობა.⁸⁰ ზოგიერთი მეცნიერი, ექსტრადიციის პროცესში თვითნებური დასჯისა და დევნის აკრძალვის ნორმას ანტიდისკრიმინაციულ პუნქტს უწოდებს და აგრეთვე უკავშირებს პოლიტიკურ დანაშაულს.⁸¹

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე

71

⁸⁰ *Stefanovska, V.*: The Concept of Political and Terrorist Offences in Extradition Matters: A Legal Perspective, ESJ, vol.11, 2015, pp. 71-72.

⁸¹ *Stanbrook, I., Stanbrook, C.*: Extradition Law and Practice, 2nd edition, New York, 2000, pp. 78-79.

ექსტრადიციაზე უარის თქმას კავშირი არ გააჩნია პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პარაგრაფი (პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვა) მე-2 პარაგრაფისგან შინაარსობრივ თვალსაზრისით სრულიად იზოლირებულია. ეს ნორმები კორელაციაშია მხოლოდ ექსტრადიციის აკრძალვის წესის გამოყენების ნაწილში. სახელმწიფომ, როდესაც პირის თვითნებური დევნის ან დასჯის მიზეზით უარს აცხადებს ექსტრადიციაზე, აღარ უნდა განიხილოს დანაშაულის პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულთან შესაძლო კავშირი, რადგან თვითნებური დევნის ან დასჯის აკრძალვა ექსტრადიციის დაუშვებლობის დამოუკიდებელი პრინციპია. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, კონვენციის ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული ამ პრინციპების ერთ მუხლში არსებობა. რეკომენდირებულია, რომ თვითნებური დევნისა და დასჯის აკრძალვის პრინციპი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის პოლიტიკურ დანაშაულებთან დაკავშირებულ (მე-3) მუხლში არ იყოს მოთავსებული და არსებობდეს ავტონომიურად, სხვა მუხლში. ამგვარ მიდგომას იყენებს საქართველო. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველო კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტი თვითნებური დევნისა და დასჯის აკრძალვას განიხილავს ექსტრადიციის დაუშვებლობის დამოუკიდებელ პრინციპად.

3.1.3. პირის თვითნებური დევნისა და დასჯის აკრძალვა non-refoulement-ის პრინციპის კონტექსტში

Non-refoulement-ის პრინციპი გაეროს ფარგლებში მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა⁸² და სხვადასხვა რეგიონული ინსტრუმენტებით⁸³ აღიარებული უნივერსალური პრინციპია.⁸⁴ *Non-refoulement*-ის პრინციპი პირდაპირი გაგებით, ლტოლვილსა და თავშესაფრის მაძიებელს იცავს იმ სახელმწიფოში დაბრუნებისგან, გაძევებისგან, ექსტრადიციისგან, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას, ღირსების უფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რე-

72

⁸² ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლი, მიღებულია 1951 წლის 28 ივლისს, ძალაშია 1954 წლის 22 აპრილიდან, ქართულ ენაზე ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=548594564> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021); ნამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-3 მუხლი, მიღებულია 1984 წლის 10 დეკემბერს, ძალაშია 1987 წლის 26 ივნისიდან, ქართულ ენაზე ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1222504?publication=0> (უკანასკნელად გადამოწმებულია:); HRC, CCPR General Comment No. 20: Article 7 (Prohibition of Torture, or Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment), 1992, p. 9, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.refworld.org/docid/453883fb0.html> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁸³ მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული კონვენციის 22-ე მუხლის მე-8 პარაგრაფი, ხელმოწერილია 1969 წლის 22 ნოემბერს, ძალაშია 1978 წლის 18 ივლისიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.cidh.oas.org/basicos/english/Basic4.Amer.Conv.Ratif.htm> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁸⁴ ბურდული, ნ.: ექსტრადიციის პრობლემები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, 2012, გვ. 95.

ლიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო.⁸⁵ არაპირდაპირი გაგებით, იგი კრძალავს ლტოლვილსა და თავშესაფრის მაძიებლის იმ სახელმწიფოსთვის გადაცემას, რომელმაც შესაძლებელია ის დააბრუნოს ასეთი საფრთხის შემცველ სახელმწიფოში.⁸⁶ გარდა ამისა, *non-refoulement-ის პრინციპი* წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას, რომლის დაცვის ვალდებულება ყველა სახელმწიფოს ეკისრება, მიუხედავად იმისა ის არის თუ არა ამ პრინციპის დამდგენი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.⁸⁷

- 73 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში *non-refoulement-ის პრინციპი* პირდაპირ არ არის ნახსენები, თუმცა კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული

⁸⁵ ამ პრინციპთან მიმართებაში ვრცლად იხ: ტულუში, გ.: „non-refoulement“-ის პრინციპი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2008, №2, გვ. 138-148.

⁸⁶ European Union Agency for Fundamental Rights, Scope of the principle of non-refoulement in contemporary border management: evolving areas of law, Luxembourg, 2016, p. 14.

⁸⁷ UNHCR, UNHCR intervention before the Court of Final Appeal of the Hong Kong Special Administrative Region in the case between C, KMF, BF (Applicants) and Director of Immigration, Secretary for Security (Respondents), 2013, Civil Appeals Nos. 18, 19 & 20 of 2011, 28-ე-36-ე პარაგრაფები, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.refworld.org/docid/510a74ce2.html> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

სამართალი⁸⁸ კრძალავს ლტოლვილისა და თავშესაფრის მაძიებლის იმ სახელმწიფოსთვის გადაცემას, რომელშიც მას დევნიან ზემოთ მითითებული რომელიმე ნიშნის საფუძველზე.

Non-refoulement-ის პრინციპი იზოლირებული ფორმით არც ექსტრადიციის ევროპულ სისტემაშია გათვალისწინებული. ექსტრადიციის კონტექსტში იურიდიულ ლიტერატურაში მას სწორად განიხილავენ პირის თვითნებური დევნისა და დასჯის აკრძალვის პრინციპის შემადგენელ ელემენტად,⁸⁹ რომელიც ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის 33-ე მუხლთან იერარქიული კავშირის საფუძველზე აგრეთვე კრძალავს ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის საფრთხის შემცველ ქვეყანაში ექსტრადიციას.

მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის მიღებისა და ექსტრადიციის პროცედურები განსხვავებული სამართლებრივი პროცესებია⁹⁰ და შესაძლებელია პირის გადაცემის გადა-

74

75

⁸⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Bader and Others v. Sweden [13284/04]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: M.S.S. v. Belgium and Greece [30696/09]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Gaforov v. Russia [25404/09].

⁸⁹ Kapferer, S.: The Interface between Extradition and Asylum, Legal and Protection Policy Research Series, Geneva, 2003, p. x; ტულუში, გ.: „non-refoulement“-ის პრინციპი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2008, №2, გვ. 141.

⁹⁰ იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურის ექსტრადიცია მოთხოვნილია ჩვეულებრივი (არა სამხედრო) დანაშაულის ჩადენისთვის, ექსტრადიცია აკრძალული არ არის. იხ.: CDPC, PC-OC, European

წყვეტილება თავშესაფრის საკითხის გადაწყვეტამდე იქნეს მიღებული, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება თავშესაფრის მაძიებლისთვის საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ განახორციელონ პირის გადაცემა როგორც საფრთხის შემცველ ქვეყანაში, აგრეთვე იმ სახელმწიფოში, რომელთან მიმართებაშიც არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ პირს დააბრუნებს საფრთხის შემცველ სახელმწიფოში.

3.2. სამხედრო დანაშაულები

76 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლი კრძალავს ექსტრადიციას იმ სამხედრო დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ჩვეულებრივი სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.⁹¹ ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით სამხედრო დანაშაულის ცნება ან მასში მოაზრებული დანაშაულების კატეგორია არ არის ჩამოყალიბებული. მისი განსაზღვრა სახელმწიფოთა შეხედულებაზეა დამოკიდებული. სამხედრო დანაშაულს მიეკუთვნება

Convention on Extradition Explanatory Notes, Strasbourg, 1998, p. 6.

⁹¹ იმ შემთხვევაში თუ სამხედრო მოსამსახურის ექსტრადიცია მოთხოვნილია ჩვეულებრივი (არა სამხედრო) დანაშაულის ჩადენისთვის, ექსტრადიცია აკრძალული არ არის. იხ.: CDPC, PC-OC, European Convention on Extradition Explanatory Notes, Strasbourg, 1998, p. 6.

მაგალითად, დეზერტირობა, სამხედრო ნაწილის თვით-ნებურად დატოვება, სამხედრო ქონების დაზიანება ან განადგურება და სხვა.

სამხედრო დანაშაულების ეროვნულ კანონმდებლობაში დეკლარირებასთან მიმართებაში სახელმწიფოთა ორი მიდგომა არსებობს: სამხედრო დანაშაულების განსაზღვრა სპეციალური (სამხედრო) კანონით (მაგ.: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო)⁹² ან სისხლის სამართლის კოდექსით (მაგ.: საქართველო, უკრაინა). მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ექსტრადიციას არ გამორიცხავს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სამხედრო დანაშაულების ჩადენისთვის, ცალკეული სახელმწიფოები ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლზე დათქმის გაკეთებით აფართოებენ ამ საფუძვლით ექსტრადიციის აკრძალვის ფარგლებს და უარს აცხადებენ პირის გადაცემაზე იმ შემთხვევაშიც თუ იგი გასამართლებული იქნება სამხედრო სასამართლოს მიერ (ბულგარეთი) ან სამხედრო კანონმდებლობით (დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია, შვედეთი და უკრაინა).⁹³

77

⁹² შეიარაღებული ძალების შესახებ 2006 წლის აქტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/52/contents> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁹³ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 მუხლზე გაკათებული დათქმები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/>

3.3. დანაშაულის ჩადენის ადგილი

- 78 დანაშაულის ჩადენის ადგილიდან გამომდინარე ექსტრადი-
ციაზე უარის თქმას ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი ორ
გარემოებას უკავშირებს.⁹⁴
- 79 პირველი, როდესაც ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სა-
ხელმწიფოს კანონმდებლობით მიიჩნევა, რომ დანაშაული
ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე ან

declarations?p_auth=zMBsNYaK (უკანასკნელად გადამონმებულია:
30.08.2021).

⁹⁴ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია საქართველოს ოფი-
ციალურ ბეჭდვით ორგანოში არ არის გამოქვეყნებული, შესაბამ-
ისად, მისი ოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე არ არსებობს.
ამერიკის იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიცია-
ტივის“ (ABA ROLI) მიერ 2016 წელს გამოცემულ იქნა პუბლიკაცია
– საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში:
ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექსტრადიცია (სამართლე-
ბრივი აქტები და რეგულაციები). ამ პუბლიკაციაში ქართულ ენაზე
თარგმნილია სხვადასხვა მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშო-
რისო ხელშეკრულებები, მათ შორის ექსტრადიციის შესახებ ევ-
როპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები. სახელმწიფო
ენაზე ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელმისაწ-
ვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსტრადიციის სისტემაზე
ინფორმირებულობის გაზრდას. თუმცა, ექსტრადიციის შესახებ
ევროპული კონვენციის თარგმანი შეიცავს ხარვეზებს, რომლებიც
კონვენციის ნორმებს შინაარსს უცვლის და იწვევს მათ არასწორად
აღქმას. მაგალითად, კონვენციის მე-7 მუხლის (დანაშაულის ჩად-
ენის ადგილი) ოფიციალურ ტექსტში სიტყვა „დამნაშავე“ არ არის
ნახსენები. ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერ-
იტორიის მიღმა დანაშაულის ჩადენისთვის ექსტრადიციის შეზ-
ღუდვას არ განაპირობებს ექსტრადიციას დაქვემდებარებული
პირის პროცესუალური სტატუსი. ევროპული კონვენციის ქართუ-
ლენოვანი თარგმანი აჩენს განცდას, რომ კონვენციის მე-7 მუხ-
ლის მეორე პარაგრაფი მხოლოდ მსჯავრდებულის ექსტრადიციას
უკავშირდება.

იმ ადგილას, რომელიც განიხილება მის ტერიტორიად (მაგ.: ექსტრადიციის თხოვნის მიმღების სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი საზღვაო ხომალდები და ეროვნული საჰაერო ხომალდები⁹⁵), იგი უფლებამოსილია სახელმწიფო სუვერენიტეტიდან გამომდინარე უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე. თუმცა, ამ საფუძვლით ექსტრადიციაზე უარი სახელმწიფოს არ ათავისუფლებს პირის გასამართლების ვალდებულისგან. ექსტრადიციის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – „დასაჯე ან გადაეცი“ გათვალისწინებით, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დანაშაულის გამოძიებისა და დამნაშავის დასჯის მიზნით უნდა განახორციელოს სათანადო რეაგირება.

მეორე გარემოება უკავშირდება დანაშაულის ჩადენას ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა. ასეთ შემთხვევაში, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ დამნაშავის გადაცემაზე უარი შეიძლება განაცხადოს მხოლოდ მაშინ, თუ ეროვნული კანონმდებლობით დაუშვებელია იმავე კატეგორიის დანაშაულზე მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება ან ექსტრადიცია.

80

3.4. ერთსა და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოებანი

ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფო უფლებამოსი-

81

⁹⁵ CDPC, PC-OC, European Convention on Extradition Explanatory Notes, Strasbourg, 1998, p. 8.

ლია უარი თქვას პირის გადაცემაზე, თუ მის მიერ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი პროცესუალური ღონისძიებები ამ პირის წინააღმდეგ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია. სახელმწიფო ამ უფლებას ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ექსტრადიციის თხოვნის მიღებამდე, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პროცესუალური ღონისძიებები არ ხორციელდება. თუმცა, აუცილებელია, რომ ამ საფუძვლით ექსტრადიციაზე უარყოფითი გადანყვეტილების მიღება წინ არ უსწრებდეს პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გატარებას.⁹⁶

3.5. მოქალაქეთა გადაცემა

82 ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში მოქალაქეთა გადაცემასთან დაკავშირებით იმპერატიული მოთხოვნები არ არის დადგენილი.⁹⁷ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ერთი მხრივ, აბსოლუტურად არ კრძალავს მოქალაქეთა გადაცემის შესაძლებლობას, მეორე მხრივ, იმთავითვე არ ადგენს მოქალაქეების გადაცემის ვალდებულებას.⁹⁸ მოქალაქის ექსტრადიციაზე უარის თქმა

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ *Spinellis, D.*: Extradition — Recent Developments in European Criminal Law, Eur. J.L. Reform, 2006, p. 242.

⁹⁸ *Deen-Racsmany, Z., Blekxtoon, R.*: Decline of the Nationality Exception in

სახელმწიფოს უფლებათა.⁹⁹ ამ საკითხზე სახელმწიფოს გააჩნია პოლიტიკური და სამართლებრივი დისკრეცია, რომელიც რეალიზდება ეროვნულ კანონმდებლობაში¹⁰⁰ და შემდგომ ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში (ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე დათქმის გაკეთებით).¹⁰¹

3.5.1. მოქალაქის გადაცემის ევროპული რეჟიმები და კოლიზიური ქართული მიდგომა

ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე გაკეთებული დათქმების¹⁰² ანალიზის საფუძველზე მოქალაქეების გადაცემასთან დაკავშირებით სახელმწიფოთა სხვადასხვა მიდგომა გამოიკვეთა.

83

European Extradition — The Impact of the Regulation of (Non-)Surrender of Nationals and Dual Criminality under the European Arrest Warrant, Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2005, p. 323.

⁹⁹ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის „ა“ ქვეპარაგრაფი.

¹⁰⁰ ვრცლად იხ.: *Plachta, M.*: (non-)extradition of nationals: never ending story, EILR, vol. 13 (1), 1999, pp. 77-160.

¹⁰¹ CDPC, PC-OC, European Convention on Extradition Explanatory Notes, Strasbourg, 1998, p. 7

¹⁰² ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე გაკეთებული დეკლარაციების სრული სია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmbSbNYaK (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

- 84 სახელმწიფოთა უმრავლესობა აბსოლუტურად კრძალავს მოქალაქის გადაცემას, მათ შორის აღსანიშნავია: ლატვია, ლუქსემბურგი ლიხტენშტეინი, ჩრდილოეთ მაკედონია, საფრანგეთი, პოლონეთი, პორტუგალია, მოლდოვა, რუსეთი, სან მარინო, უკრაინა, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, გერმანია, საბერძნეთი.
- 85 დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო დასაშვებად მიიჩნევს საკუთარი მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას.
- 86 უნგრეთსა და ნიდერლანდების სამეფოში გათვალისწინებულია მოქალაქის გადაცემის შესაძლებლობა, თუმცა იმ პირობით, რომ თუ პირს სასჯელი დაეკისრება, მის აღსასრულებლად იგი უკან იქნება გადაცემული.
- 87 ესტონეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცემს საკუთარ მოქალაქეს უცხო სახელმწიფოს, თუ თავად მოქალაქე განაცხადებს ექსტრადიციაზე თანხმობას.
- 88 შვეიცარიაში მოქალაქის გადაცემა ხორციელდება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისას.
- 89 ალბანეთისა და საქართველოს კონსტიტუციებით მოქალაქის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმის მიხედვით, „[ექსტრადიციის შესახებ ევროპული – გ. მ.] კონვენციის მიზნებისთვის საქართველოს ხელისუფლება ინარჩუნებს

უფლებას მისი მოქალაქეების ექსტრადიციის საკითხი გად-
ანწყვიტოს ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე და უარი
განაცხადოს მათ ექსტრადიციაზე საზოგადოებრივი მორა-
ლის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო უსაფრთხოების
საფუძვლით“. ხსენებული დათქმა შესაბამისობაშია საქარ-
თველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომე-
ლიც საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექს-
ტრადიციას დაუშვებლად აცხადებს გარდა საერთაშორისო
ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა. კონსტი-
ტუციის ამ ნორმაში არსებული სიტყვები „საერთაშორისო
ხელშეკრულება“ გულისხმობს საქართველოს როგორც ორმხ-
რივ, ისე მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს,
მათ შორისაა, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია.
მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქის გადაცემისთვის საკმარი-
სია საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ნორმატიული
საფუძვლის – საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობა,
ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე საქართვე-
ლოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული დათქმა კიდევ უფ-
რო ამცირებს მოქალაქის გადაცემის პერსპექტივას. დათქმა
საქართველოს მოქალაქის გადაცემას უკავშირებს ერთი მხ-
რივ, ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ
მისი მოქალაქის საქართველოსთვის გადმოცემის შესაძ-
ლებლობას (*ნაცვალგების პრინციპი*), მეორე მხრივ, და-
მატებით სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას: საქართვე-
ლოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის გად-
ანწყვეტილების შესაბამისობას საზოგადოებრივ მორალთან,
საჯარო პოლიტიკასთან და სახელმწიფო უსაფრთხოების
ინტერესებთან.

90

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის გარდა, მოქალაქის გადაცემის საკითხს უკავშირდება საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თურქეთის,¹⁰³ აზერბაიჯანის,¹⁰⁴ საბერძნეთის¹⁰⁵ რესპუბლიკებთან და უკრაინასთან,¹⁰⁶ რომლებიც აგრეთვე არიან კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები. საქართველოს ყველა ამ საერთაშორისო ხელშეკრულებაში მოქალაქის გადაცემასთან მიმართებაში გააჩნია საერთო ნორმატიული პოზიცია. ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე გაკეთებული

¹⁰³ „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“ ხელშეკრულება, ძალაშია 1998 წლის პირველი იანვრიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1491085?publication=0> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

¹⁰⁴ „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ ხელშეკრულება, ძალაშია 1997 წლის 18 თებერვლიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1382158?publication=0> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

¹⁰⁵ „საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ“ ხელშეკრულება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

¹⁰⁶ „საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ ხელშეკრულება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/336> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

დათქმისგან განსხვავებით, იგი ხსენებულ სახელმწიფოებში საკუთარი მოქალაქეების ექსტრადიციას კრძალავს. ასეთი მიდგომით ბუნდოვანია ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-ნ მუხლზე საქართველოს გაკეთებული დათქმისა და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების სფეროში საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების თანაფარდობა და თანამიმდევრულობა, რაც კითხვებს წარმოშობს მათ შესაბამისობასთან დაკავშირებით. საქართველომ, როდესაც საკუთარი მოქალაქის გადაცემის თაობაზე ზემოაღნიშნული რომელიმე სახელმწიფოსგან მიიღებს თხოვნას, გადანყვეტილება უნდა მიიღოს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის თუ ამ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე?

მოქალაქის გადაცემის საკითხის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციით გადანყვეტის შემთხვევაში, თეორიულად საქართველოს უფლება ექნება მისი მოქალაქე ამ სახელმწიფოს გადასცეს, თუმცა ასეთი გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კონვენციაზე საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე. თუ საქართველო მოქალაქის გადაცემის თაობაზე თხოვნას განიხილავს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში, მოქალაქის გადაცემა დაუშვებელი იქნება.

91

ზედაპირული შეხედვით კოლიზია არ არსებობს ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციასა და სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის სფეროში საქართველოს ორმხ-

92

რივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის. წინააღმდეგობრივია მხოლოდ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე (მოქალაქეთა გადაცემა) საქართველოს გაკეთებული დათქმა და ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოებთან ამ სფეროში დადებული საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები.

- 93 საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლით სახელმწიფოთა დათქმები განიხილება იმ საერთაშორისო ხელშეკრულების ინტეგრირებულ ნაწილად, რომელზეც ისინი გაკეთდა.¹⁰⁷ დათქმა არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების მიღმა არსებულ დოკუმენტს. იგი მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ერთად და მის ფარგლებში არსებობს. დათქმა არის სახელმწიფოს ცალმხრივი განცხადება, რომლის საშუალებითაც იგი ადასტურებს თავის სურვილს, გამოირიცხოს ან შეცვალოს საერთაშორისო ხელშეკრულების განსაზღვრული დებულებების სამართლებრივი მოქმედება ამ სახელმწიფოსთან მიმართებით მათი გამოყენებისას.¹⁰⁸ აქედან გამომდინარე, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე გაკეთებული დათქმა, რომლითაც განხორციელდა მოქალაქის გადაცემის საკითხის საქართველოსთვის მისაღები ფორმულირებით ჩამოყალიბება არის ამავე კონვენციის განუყოფელი ნაწილი. კონვენციის მე-6 მუხლი საქართველოზე მისი დათქმით განსაზღვრული შინაარსით ვრცელდება. შესაბამისად, კოლიზიაშია ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6

¹⁰⁷ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფის „დ“ ქვეპარაგრაფი.

¹⁰⁸ იქვე.

მუხლის საქართველოსთვის მოქმედი რედაქცია და ხსენებულ ქვეყნებთან საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმები, რომლებიც საქართველოს მოქალაქის გადაცემას კრძალავენ. მათ შორის უპირატესობის მინიჭების საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლის გადმოსახედოდან.

ქართულ სამართალში საერთაშორისო ხელშეკრულება ნორმატიული აქტია.¹⁰⁹ იგი არის საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი.¹¹⁰ თუმცა, საქართველოს კანონმდებლობით არ ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების რანგირება. იგი ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას – ორმხრივსა თუ მრავალმხრივს – თანაბარ, იდენტურ იურიდიულ რანგს ანიჭებს. თანაბარი რანგის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას, გამოიყენება ზოგადი პრინციპი და უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.¹¹¹ იგივე წესი ვრცელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების კოლიზიურ შემთხვევებზეც.¹¹² „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით არ განისაზღვრება საქა-

¹⁰⁹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹⁰ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

¹¹¹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი.

¹¹² საერთაშორისო-სამართლებრივი ტერმინოლოგიის თვალსაზრისით

რთველოსთვის რომელი საერთაშორისო ხელშეკრულება ითვლება გვიან მიღებულად. ბუნდოვანია მასში იგულისხმება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ზოგადად ძალაში შესვლის პერიოდი თუ საქართველოსთვის მისი ძალაში შესვლის დრო. ამ საკითხის სწორად მონესრიგებას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის უპირატესობის დადგენის კონტექსტში. თუ გვიან მიღებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაში მოაზრებული იქნება საერთაშორისო ხელშეკრულების ზოგადად ძალაში შესვლის პერიოდი, მაშინ საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თითქმის ყოველთვის უპირატესად იმოქმედებენ საქართველოს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რადგან საქართველო ყველა ფუნდამენტურ საერთაშორისო ხელშეკრულებას დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მე-20 საუკუნის ბოლოს ან 21-ე საუკუნის დასაწყისში შეუერთდა. გვიან მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულების ცნების ინტერპრეტაციის წყაროდ გამოყენებული უნდა იქნეს საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენცია. მისი მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფის „ბ“ ქვეპარაგრაფი სიტყვაში „მიღება“ გულისხმობს საერთაშორისო აქტს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო საერთაშორისოდ აცხადებს თანხმობას მისთვის ხელშეკრულების

სიტყვა „გამოცემა“ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან მიმართებით ირელევანტური, შეუსაბამო ტერმინია. იგი უფრო მეტად შესაფერისია ეროვნულ დონეზე არსებული ნორმატიული აქტებისთვის. სავარაუდოდ, კანონმდებელი სიტყვას „გამოცემა“ იყენებს იმ თანამდებობის პირთან მიმართებაში, რომელსაც ნორმატიული აქტის მიღების კომპეტენცია გააჩნია.

სავალდებულოდ აღიარების თაობაზე. ამ ნორმის ინსპირაციის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ გვიან მიღებულ საერთაშორისო ხელშეკრულებაში იგულისხმება საერთაშორისო ხელშეკრულების საქართველოსთვის ძალაში შესვლის დრო. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის საფუძველზე განმარტება და საქართველოს კოლიზიურ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის უპირატესობის დადგენა, რეკომენდირებულია ეროვნული სამართალში ამ საკითხის უფრო მკაფიოდ მონესრიგება.

ეროვნული სამართლის გადმოსახედიდან, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების სფეროში საქართველოსა და აზერბაიჯანს, თურქეთს, უკრაინას, საბერძნეთს შორის დადებულ ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების იმ ნორმებს შორის, რომლებიც საქართველოს მოქალაქის ექსტრადიციას კრძალავენ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს, რადგან საქართველოსთვის იგი უფრო გვიან – 2001 წლიდან არის ძალაში.

95

საერთაშორისო სამართლის კონტექსტში საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის პრიმატის განსაზღვრა დამოკიდებულია: პირველი – საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების ხასიათზე, სახელმწიფოთა მხრიდან ასეთი ნორმების საყოველთაოდ აღიარებაზე, მეორე – კოლიზიაში მყოფი საერთაშორისო ხელშეკრულებების შინაარსზე, სხვა

96

საერთაშორისო ხელშეკრულებებთან თანაფარდობასთან მიმართებაში მათ მიდგომაზე. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და საქართველოს ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის უპირატესობა ამ ლოგიკით უნდა დადგინდეს.

- 97 პირველი მიდგომა უკავშირდება საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და ნორმების და საერთაშორისო ხელშეკრულების ჩვეულებრივი ნორმების შესაბამისობის საკითხს. იგი წყდება კოლიზიური საერთაშორისო ნორმების იერარქიის საფუძველზე (*სუბორდინაციის თეორია*). საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და ნორმები (მაგ.: ძალის გამოყენების ან ასეთი მუქარის აკრძალვა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, ერის თვითგამორკვევის უფლება, ღირსების უფლების ხელშეუვალობა, მონობის აკრძალვა და სხვა), რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში¹¹³ მოთავსებული, იერარქიული უპირატესობით სარგებლობენ საერთაშორისო ხელშეკრულების ჩვეულებრივ ნორმებთან მიმართებით.¹¹⁴ მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემის საკითხი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით რეგულირებულ სფეროს. შესაბამისად, მოქალაქის ექსტრადიციასთან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მყო-

¹¹³ მაგალითად, გაეროს წესდება, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.

¹¹⁴ *ალექსიძე, ლ.*: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 41.

ფი საერთაშორისო ხელშეკრულებების, მიუხედავად იმისა ისინი მრავალმხრივი თუ ორმხრივია, ამ მიდგომით გადანწყვეტა ვერ მოხდება.

მეორე მიდგომა ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებების ჩვეულებრივი ნორმების კოლიზიას. მათ შორის უპირატესობა შესაძლებელია დადგინდეს საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით¹¹⁵ ან კოლიზიაში მყოფი რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულებით (თვითუპირატესობის თეორია). გამომდინარე იქიდან, რომ ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციითა და სისხლის სამართლის საქმეებზე დახმარების სფეროში საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით შექმნილი არ არის მათ აღსრულებასა და ავთენტურ ინტერპრეტაციაზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ორგანო, მათი შეუსაბამობის საკითხი განხილულ უნდა იქნეს თავიანთი შინაარსის ფარგლებში. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია თავადვე ანიჭებს საკუთარ ნორმებს პრიმატს მის ხელშემკვრელ მხარეებს შორის ექსტრადიციის სფეროში დადებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში.¹¹⁶

98

¹¹⁵ მაგ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრულია, რომ ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები სარგებლობენ პრიმატით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში. იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2008 წლის 03 სექტემბრის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Yassin Abdullah Kadi and Al Barakaat International Foundation v Council of the European Union and Commission of the European Communities [C-402/05 and C-415/05], 307-ე და 308-ე პარაგრაფები.

¹¹⁶ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის 28-ე მუხლის პირველი პარაგრაფი.

- 99 საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდანაც, სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების სფეროში საქართველოსა და აზერბაიჯანს, თურქეთს, უკრაინას, საბერძენთს შორის დადებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების იმ ნორმებთან მიმართებაში, რომლებიც საქართველოს მოქალაქის ექსტრადიციას კრძალავენ, უპირატესობა ენიჭება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-ნ მუხლს. ამგვარად, არსებობს ამ ქვეყნებისთვის საქართველოს მოქალაქის გადაცემის სამართლებრივი პერსპექტივა.

3.5.2. მოქალაქეობის ცნების განსაზღვრა

- 100 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია სახელმწიფოებს მოქალაქეების გადაცემის საკითხის გადანყვევტის უფლებამოსილებასთან ერთად, ანიჭებს მოქალაქეობის ცნების განსაზღვრის კომპეტენციასაც. ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის მიზნებისთვის სახელმწიფოები ცდილობენ გააფართოვონ მოქალაქეობის შინაარსი და ექსტრადიციის დაბლოკვის ეს მექანიზმი სხვა პირებზეც გაავრცელონ. მაგალითად, პოლონეთი ექსტრადიციის მიზნებისთვის საკუთარ მოქალაქეებსა და თავშესაფრის მქონე პირებს იდენტიურ მდგომარეობაში აყენებს.¹¹⁷ იგი ასევე კრძალავს უცხო სახელ-

¹¹⁷ პოლონეთის მიერ გაკეთებული დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

მნიფოსთვის პოლონეთში მყოფი თავშესაფრის სტატუსის მქონე პირის ექსტრადიციას.¹¹⁸ ასეთი აკრძალვა ვრცელდება ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნის ყველა სახელმწიფოზე, მათ შორის პირველ რიგში იმ ქვეყანაზე, რომლის ქმედებების გამოც პირს თავშესაფრის უფლება მიენიჭა.¹¹⁹ დანიისთვის, ფინეთისთვის, ისლანდიისთვის, ნორვეგიისა და შვედეთისთვის თავიანთი სკანდინავიური იდენტობიდან გამომდინარე ტერმინი „მოქალაქე“ ნიშნავს დანიის, ფინეთის, ისლანდიის, ნორვეგიის ან შვედეთის მოქალაქეს ან ამ ქვეყნებში მუდმივად მცხოვრებ პირს.¹²⁰ საქართველო „მოქალაქის“ ცნებაში მოიაზრებს იმ პირს, რომელიც მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით (დაბადებით ან ნატურალიზაციით) ფლობს მოქალაქეობას.¹²¹

¹¹⁸ იქვე.

¹¹⁹ თურქეთს, გერმანიასა და ავსტრიას პოლონეთის ამ მიდგომასთან მიმართებაში ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნიათ. ისინი ეთანხმებიან ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე პოლონეთის გაკათებულ დეკლარაციას – თავშესაფრის მქონე პირის ექსტრადიციის აკრძალვას დაკავშირებით მხოლოდ იმ შინაარსით თუ ექსტრადიციას ითხოვს ის სახელმწიფო, რომელშიც არსებული საფუძვლების გამო პოლონეთში პირს მიეცა თავშესაფარი. იხ.: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

¹²⁰ დანიის, ფინეთის, ისლანდიის, ნორვეგიისა და შვედეთის დეკლარაციები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

¹²¹ საქართველოს დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

3.5.3. მოქალაქეობის დროში განსაზღვრა

101 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი იძლევა მოქალაქეობის დროში განსაზღვრის შესაძლებლობასაც. ზოგადი წესის თანახმად, „პირის მოქალაქეობა განისაზღვრება ექსტრადიციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას“.¹²² თუმცა, კონვენცია შეიცავს დათქმას, რომელიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს უარი განაცხადოს პირის ექსტრადიციაზე თუ იგი ამ ქვეყნის მოქალაქე გახდა ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემის შუალედში.¹²³ ექსტრადიციის მიზნებისთვის სახელმწიფოებმა დეკლარაციები მოქალაქეობის დროში განსაზღვრასთან მიმართებაშიც გააკეთეს. ავსტრია ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას თვითონ განსაზღვრავს გადასაცემი პირის მოქალაქეობის საკითხს, მას ნებისმიერ პერიოდში შეუძლია განაცხადოს, რომ პირი მისი მოქალაქეა და არ გადასცეს სხვა სახელმწიფოს.¹²⁴ საფრანგეთი მოქალაქედ მიიჩნევს მხოლოდ იმ პირს, რომელიც ქმედების სავარაუდოდ ჩადენისას უკვე იყო საფრანგეთის მოქალაქე.¹²⁵ ბულგარე-

¹²² ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის „ც“ ქვეპარაგრაფი.

¹²³ იქვე.

¹²⁴ ავსტრიის მიერ გაკეთებული დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021)

¹²⁵ საფრანგეთის მიერ გაკეთებული დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

თისთვის პირი მოქალაქედ ითვლება ექსტრადიციის შესახებ თხოვნის მიღებამდე.¹²⁶ საქართველოს ამ მიმართულებით კონვენციაზე დეკლარაცია არ აქვს გაკეთებული. თუმცა, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ იგი ექსტრადიციის მიზნებისთვის მოქალაქედ თვლის იმ პირს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობას ფლობდა სულ მცირე ექსტრადიციის თხოვნის საქართველოსთვის გაგზავნამდე. ასეთი მოსაზრება გამომდინარეობს „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიდან, რომელიც კრძალავს საქართველოს მოქალაქის ნატურალიზაციის ფორმით მინიჭებას თუ პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების, ინტერპოლის მიერ ან/და მის მიმართ მიმდინარეობს საექსტრადიციო ან გაძევების პროცედურა.

3.5.4. მოქალაქის გადაცემაზე უარის თქმა სახელმწიფოსთვის წარმოშობს თუ არა მისი სისხლისსამართლებრივი დევნის ვალდებულებას?

საერთაშორისო სისხლის სამართლისგან განსხვავებით ექსტრადიციის ევროპულ სამართალში პრინციპი „დასაჯე ან გადაეცი“ არ არის აბსოლუტური ხასიათის. ექსტრადიციის ევროპული სისტემა სახელმწიფოებს არ აკისრებს მოქალაქის

102

¹²⁶ ბულგარეთის მიერ გაკეთებული დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

მიმართ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების განხორციელების პირდაპირ ვალდებულებას იმ შემთხვევაში თუ ისინი უარს აცხადებენ ექსტრადიციაზე.¹²⁷ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი, დისპოზიციური დანაწესით შემოიფარგლება. თუ სახელმწიფო არ გადასცემს საკუთარ მოქალაქეს, ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ ქვეყანას შეუძლია მას თხოვოს, რომ თავადვე დაიწყოს სამართალწარმოება საკუთარი მოქალაქის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს შეუძლია პოლიტიკური თვალსაზრისით უარი განაცხადოს მოქალაქის დევნაზე, შეიძლება არსებობდეს სხვა დამაბრკოლებელი გარემოებები: მოქალაქის იმუნიტეტი, უცხო სახელმწიფოში ჩადენილი ქმედების დანაშაულად არ არსებობა ეროვნულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში, უცხო სახელმწიფოში ჩადენილ დანაშაულზე იურისდიქციის არ არსებობა და სხვა. სახელმწიფოს ერთადერთი კონვენციური ვალდებულება გააჩნია, რომ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ ქვეყანას აცნობოს მოქალაქესთან მიმართებაში მის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

¹²⁷ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის პროექტზე მუშაობის პროცესში სამი ექსპერტის მიერ შეთავაზებულ იქნა დებულება, რომელიც მოქალაქის ექსტრადიციასთან მიმართებაში „დასაჯე ან გადაეცის“ პრინციპს ითვალისწინებდა. ამ ინიციატივის მიხედვით, სახელმწიფო თუ უარს განაცხადებდა მოქალაქის გადაცემაზე, იგი ვალდებული იყო საკუთარი მოქალაქის წინააღმდეგ დაეწყო ისეთი პროცედურა, რასაც დაიწყებდა საკუთარ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისთვის, თუმცა ეს ინიციატივა არ იქნა გაზიარებული. იხ.: CDPC, PC-OC, European Convention on Extradition Explanatory Notes, Strasbourg, 1998, p. 7.

3.6. ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვა – კოლიზიური მიდგომები ევროპის საბჭოს ფარგლებში

ერთი და იმავე დანაშაულზე პასუხისმგებლობის ორჯერ და- 103
კისრების აკრძალვა (*ne bis in idem*) საერთო ევროპული ტრა-
დიციაა.¹²⁸ იგი პირს იცავს ერთი და იმავე დანაშაულისთვის
ორჯერ გასამართლებისგან. *Ne bis in idem* ზოგიერთ ევროპულ
სახელმწიფოში კონსტიტუციური რანგისაა და ძირითად უფ-
ლებად განიხილება,¹²⁹ ხოლო ცალკეულ ქვეყნებში სისხლის
სამართლის კანონმდებლობაშია ინტეგრირებული და სის-
ხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების იმპერატიულ
პროცედურულ წესად მიიჩნევა.¹³⁰

იურიდიულ ლიტერატურაში კონსენსუსი არ არის მიღწეუ- 104
ლი *ne bis in idem*-ის მოქმედების ფარგლებთან მიმართებაში.
გაბატონებული შეხედულებით, იგი არ წარმოადგენს საერ-
თაშორისო სამართლის პრინციპს და მას ეფექტი გააჩნია

¹²⁸ *Némedi, M.*: Ne bis in idem: a separation of acts in transnational cases? PF, vol. 7, issue 2, 2015, p. 87.

¹²⁹ *Vervaele, J.*: Ne Bis In Idem: Towards a Transnational Constitutional Principle in the EU? *Utrecht L. Rev.*, vol. 9, 2013, p. 212; საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ესტონეთის კონსტიტუციის 23-ე მუხლი, ლიეტუვას კონსტიტუციის 31-ე მუხლი.

¹³⁰ მაგ.: ბელგიის სამეფოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 360-ე მუხლი, საბერძნეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი, უნგრეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლი, რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი.

მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში.¹³¹ *Ne bis in idem*-ის ამგვარი გაგებით, პირს შესაძლებელია იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობა დაეკისროს სხვა სახელმწიფოშიც. ასეთი მიდგომა გამომდინარეობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-7 პარაგრაფიდან,¹³² ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის რედაქციიდან¹³³ და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით. თუმცა, არსებობს უმცირესობაში მყოფი მეცნიერების

¹³¹ მაგ.: *Lelieur, J.*: Transnationalising' Ne Bis In Idem: How the Rule of Ne Bis In Idem Reveals the Principle of Personal Legal Certainty, *Utrecht L. Rev.*, vol. 9, 2013, pp. 198-210; *ტურავა, მ.*: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის კომენტარი ნაშრომში: *ტურავა, პ.* (რედ.) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 551-552; *ტურავა, მ.*: ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 137; *ტრეესელი, მ.*: ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010, გვ. 431-432; *ჯიშკარიანი, ბ.*: ორმაგი დასჯის აკრძალვა („NE BIS IN IDEM“) ევროკავშირის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N1, 2009, გვ. 219; *ფაფიაშვილი, ლ.*: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: *გიორგაძე, გ.* (რედ.) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 137.

¹³² მიღებულია 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

¹³³ მიღებულია 1984 წლის 22 ნოემბერს, ძალაშია 1988 წლის პირველი ნოემბრიდან. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi91.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

მოსაზრება, რომელიც *ne bis in idem*-ს საერთაშორისო სამართლის პრინციპად განიხილავს და მისი მოქმედების არეალს ავრცელებს ტრანსნაციონალურ ურთიერთობებზეც.¹³⁴ ეს შეხედულება ძირითადად დაფუძნებულია ევროკავშირის სივრცეში *ne bis in idem*-ის სტატუსზე, რომლის საფუძველია 1985 წლის 24 ივნისის შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციის 54-ე მუხლი,¹³⁵ ძირითად უფლებათა ქარტიის 50-ე მუხლი¹³⁶ და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

წინამდებარე ნაშრომში *ne bis in idem*-ის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით არ არის გაზიარებული გაბატონებული შეხედულება. ქვემოთ მხარდაჭერილია მოსაზრება ევროპის საბჭოს ფარგლებში მის ტრანსნაციონალურ ბუნებასთან მიმართებაში. თუმცა, მსჯელობა დასაბუთებულია არა ევროკავშირის სამართლის კონტექსტიდან,¹³⁷ არამედ ექსტრადიციის ევროპული სისტემის გადმოსახედიდან გამომდინარე.

105

¹³⁴ Conway, G.: *Ne Bis in Idem in International Law*, Int'l Crim. L. Rev., 2003, pp. 217–244; Anagnostopoulos, I.: *Greece, Ne Bis In Idem*, IRPL, vol. 73, 2002, pp. 965-979; Cuesta, J.L.: *Concurrent National and International Criminal Jurisdiction and the Principle 'Ne Bis In Idem'*, IRPL, vol. 73, 2002, pp. 707-736.

¹³⁵ ხელმოწერილია 1990 წლის 19 ივნისს, ძალაშია 1995 წლის 26 მარტიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:42000A0922\(02\)&from=en](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:42000A0922(02)&from=en) (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

¹³⁶ ხელმოწერილია 2000 წლის 12 დეკემბერს, ძალაშია 2009 წლის პირველი დეკემბრიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:12012P/TXT> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

¹³⁷ იხ. თავი III, §4.1.2.

3.6.1. *Ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედების ფარგლები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით

106 როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლი¹³⁸ ადგენს ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვას. ევროპული კონვენციის თავდაპირველი რედაქცია *ne bis in idem*-ის შესახებ დებულებას პირდაპირ არ შეიცავდა. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სფეროში (სამართლიანი სასამართლოს უფლება) *ne bis in idem*-ის პრინციპს ნაგულისხმევი ფორმითაც არ მოიაზრებს.¹³⁹ ზოგადად *ne bis in idem*-ის პრინციპთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ერთიანი და თანმიმდევრულია, იგი განსაზღვრავს *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედების ფარ-

¹³⁸ „დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.“.

¹³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: E.G.M. v. Luxembourg, [24015/94].

გლებს,¹⁴⁰ შინაარსს,¹⁴¹ პირისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობის სისხლისსამართლებრივ სასჯელად შეფასების კრიტერიუმებს,¹⁴² ეროვნული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ცნებას¹⁴³ და შემთხვევებს, როდესაც ახალი მსჯავრი დადებულია იგივე ქმედებისთვის.¹⁴⁴

¹⁴⁰ მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Gestra v. Italy*, [21072/92]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Amrollahi v. Denmark*, [56811/00]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Bñheim v. Italy* [35666/05]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Trabelsi v. Belgium* [140/10]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Krombach v. France* [67521/14].

¹⁴¹ მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Maszni v. Romania*, [59892/00]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 06 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Paksas v. Lithuania*, [34932/04]. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Kurdov and Ivanov v. Bulgaria*, [16137/04].

¹⁴² მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 08 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Engel and Others v. the Netherlands* [5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *A. and B. v. Norway*, [24130/11 and 29758/11].

¹⁴³ მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Lucky Dev v. Sweden*, [7356/10]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Sismanidis and Sitaridis v. Greece*, [66602/09 and 71879/12].

¹⁴⁴ მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Sergey Zolotukhin v. Russia*, [14939/03]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Ruotsalainen v. Finland*, [13079/03]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011

Ne bis in idem-ის მოქმედების ფარგლებთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აგებულია კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის სიტყვასიტყვით განმარტებაზე, რომელიც ამ უფლების არსებობას ადასტურებს ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში და გამორიცხავს ტრანსნაციონალურ დონეზე. საქმეში *ბოჰეიმი იტალიის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი ერთი და იმავე ფაქტებისთვის გაასამართლა გერმანიისა და იტალიის სასამართლოებმა და დაირღვა *ne bis in idem*-ის პრინციპი, სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თქმით, *ne bis in idem*-ის პრინციპი მოქმედებს მხოლოდ ერთი ქვეყნის იურისდიქციის ფარგლებში და არ ზღუდავს სხვა ქვეყანას გაასამართლოს პირი იმავე ქმედებისთვის.¹⁴⁵ სასამართლომ იგივე მიდგომა გაიმეორა საქმეში *თრაბელსი ბელგიის წინააღმდეგ*, რომელშიც ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის ბრალდების გამო ხორციელდებოდა ტუნისიის მოქალაქის ექსტრადიცია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი განცხადებით, *ne bis in idem*-ის პრინციპი არ იცავს პირს სხვადასხვა სახელმწიფოებში ერთი და იმავე დანაშაულის ჩადენისთვის გასამართლებისა და დასჯისგან.¹⁴⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *კრომბახი საფრანგეთის წინააღმდეგ*

წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Tomasović v. Croatia*, [53785/09].

¹⁴⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Böheim v. Italy* [35666/05].

¹⁴⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Trabelsi v. Belgium* [140/10].

საჩივარი დაუშვებლად ცნო და *ne bis in idem*-ის პრინციპის დარღვევად არ შეაფასა საფრანგეთის მიერ განმცხადებლის გასამართლება იმ დანაშაულისთვის, რომელშიც გერმანიის სასამართლომ იგი გაამართლა. მისი შეხედულებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლით აღიარებული *ne bis in idem*-ის პრინციპი ხელს არ უშლის კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნის სასამართლოს მიერ პირის ხელმეორედ გასამართლებასა და დასჯას იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენაშიც ამ პირის მიმართ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში დადგა საბოლოო გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი.¹⁴⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედების ფარგლებთან მიმართებაში ეფუძნება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის გრამატიკულ ინტერპრეტაციას. *Ne bis in idem*-ის კონვენციური შინაარსი არ იძლევა მის ტრანსნაციონალურ დონეზე გამოყენების შესაძლებლობას, რადგან ხსენებულ ნორმაში მკაფიოდ არის გამოყენებული სიტყვები „ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში“. კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფის მკაცრად დაზუსტებული შინაარსიდან გამომდინარეც ცალსახაა, რომ ხელშემკვრელ მხარეებს არ გააჩნდათ *ne bis in idem*-ის პრინციპის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გამოყენების სურვილი.¹⁴⁸ *Ne bis in idem*-ის კონვენციური გაგე-

108

¹⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Krombach v. France* [67521/14].

¹⁴⁸ Explanatory Report to the Protocol No. 7 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, p. 7, ხელმისაწვდომია

ბა არის მისი არასრულყოფილად, ვინრო განზომილებით დადგენის ტოლფასი, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვნად ამცირებს ამ უფლების დაცვის სტანდარტს და უშვებს ერთი და იმავე დანაშაულზე პირის ხელმეორედ გასამართლებისა და დასჯის პერსპექტივას სხვა სახელმწიფოში.

3.6.2. Ne bis in idem-ის პრინციპის ტრანსნაციონალური ხასიათი ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში

109 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება *ne bis in idem*-ის პრინციპის მხოლოდ ეროვნულ იურისდიქციაში არსებობასთან მიმართებაში უგულვებელყოფს მის ტრანსნაციონალურ ხასიათს ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში. ამ პრინციპის მოქმედების ფარგლები ექსტრადიციის ევროპულ განზომილებაში უფრო ფართოა, ვიდრე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში, რადგან გამოიყენება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებშიც. შესაბამისად, ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვის უფრო მაღალი სტანდარტია დადგენილი ვიდრე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში. თუმცა, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მატერი-

ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800c96fd> (უკანასკნელად გადაამოწმებულია: 30.08.2021).

ალური იურისდიქციიდან გამომდინარე, იგი შეზღუდულად, მხოლოდ საექსტრადიციო წარმოების პროცესზე ვრცელდება და არ ფარავს მის მიღმა არსებულ შემთხვევებს.

Ne bis in idem-ის პრინციპი თავიდანვე იყო გათვალისწინებული ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში. მოგვიანებით კონვენციის პირველმა დამატებითმა ოქმმა მისი შინაარსი გააფართოვა. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პარაგრაფი ერთი და იმავე დანაშაულზე პასუხისმგებლობის ორჯერ დაკისრების აკრძალვასთან მიმართებაში ადგენს როგორც იმპერატიულ მოთხოვნას, აგრეთვე სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

Ne bis in idem-ის პრინციპის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს ექსტრადიციას თუ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლისთვის ექსტრადიცია მოითხოვება, პირის მიმართ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება (*res judicata*). ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისთვის ირელევანტურია სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგი (პირის გამართლება თუ გამტყუნება), მთავარია იგი იყოს საბოლოო და არ ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას.¹⁴⁹

Ne bis in idem-ის პრინციპთან მიმართებაში სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს მის შესაძლებლობას პირი არ გადასცეს თხოვნის გამგზავნ სახელმწი-

¹⁴⁹ Explanatory Report to the European Convention on Extradition, Paris, 1957, p. 8.

ფოს თუ იგი გადანყვეტს – არ დაინყოს ან შეწყვიტოს სამართალწარმოება იმ დანაშაულზე, რომელსაც ექსტრადიციის თხოვნა უკავშირდება. თუმცა, ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, რომლითაც არსებობს პირის მიმართ სამართალწარმოების განახლების ობიექტური საფუძველი, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ ან თავადვე უნდა დაინყოს სამართალწარმოება ან პირის ექსტრადიცია უნდა განახორციელოს.¹⁵⁰

- 113 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში შეტანილი ცვლილებებით *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედების ფარგლები კიდევ უფრო გაფართოვდა და ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი და მიმღები სახელმწიფოების იურისდიქციასთან ერთად მოიცვა ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკვერი მესამე სახელმწიფოს იურისდიქციაც, თუმცა შეზღუდული ფორმით.¹⁵¹ ეს ცვლილება არის მცირე წინგადადგმული ნაბიჯი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის სისხლის

¹⁵⁰ იქვე, პ. 9.

¹⁵¹ *Ne bis in idem*-ის პრინციპის ტრანსნაციონალური ხასიათი სამი სახელმწიფოს იურისდიქციის კონტექსტში აგრეთვე გათვალისწინებულია სისხლის სამართლის გადანყვეტილებათა საერთაშორისო ვალიდურობის შესახებ 1970 წლის ევროპული კონვენციის 53-ე მუხლით, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/0900001680072d3b> (ukanasknelad gadamowmwebulia: 30.08.2021) და სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაცემის შესახებ 1972 წლის ევროპული კონვენციის 35-ე მუხლით, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/0900001680072d42> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

სამართლის საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების ურთიერთალიარების ხელშეწყობის თვალსაზრისით.¹⁵²

ზემოხსენებულის გარდა, *ne bis in idem*-ის პრინციპის გამო პირის გადაცემა აკრძალულია მაშინაც, თუ მის მიმართ იმ დანაშაულზე, რომლისთვის ექსტრადიციას მოთხოვნილი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ მესამე სახელმწიფოში მიღებული საბოლოო, გასაჩივრებას დაუქვემდებარებელი სასამართლო გადაწყვეტილებით (*res judicata*): 1. პირი გამართლდა; 2. პატიმრობის ვადა ან სხვა სასჯელი, რომელიც პირს შეეფარდა იქნა სრულად აღსრულებული ან სასჯელი მთლიანად ან ის ნაწილი, რომელიც არ იქნა აღსრულებული, დაექვემდებარა შეწყობას ან ამნისტიას; 3. გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი სანქციის გარეშე.¹⁵³ თუმცა, *ne bis in idem*-ის აკრძალვა არ მოქმედებს, როდესაც დანაშაული ერთი მხრივ, მიმართულია პირისკენ ან ორგანოსკენ, რომელსაც ექსტრადიციის თხოვნის გამომგზავნ სახელმწიფოში საჯარო სტატუსი გააჩნიათ (*ე.წ. სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები*),¹⁵⁴ ან მეორე მხრივ, სრულად ან ნაწილობრივ ჩადენილია ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს

114

¹⁵² Explanatory Report to the AP to the European Convention on Extradition, Strasbourg, 1975, p. 6, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800c96cb> (უკანასკნელად გადამონმეულია: 30.08.2021).

¹⁵³ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

¹⁵⁴ იქვე, მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ და „ბ“ ქვეპარაგრაფები.

ტერიტორიაზე.¹⁵⁵ გარდა ამისა, *ne bis in idem*-ის პრინციპი არ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელმა მესამე სახელმწიფომ გადანყვიტა არ დაენყო ან შეენყვიტა სამართალწარმოება იმ დანაშაულზე, რომელსაც ექსტრადიციის თხოვნა ეხება.

- 115 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვას ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში ტრანსნაციონალური ხასიათი გააჩნია. ექსტრადიციის პროცესში პირი დაცულია ხელმეორედ გასამართლებისგან. *Ne bis in idem*-ის პრინციპის არსი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გაგებით მხოლოდ ერთ განზომილებიანი – ეროვნული მასშტაბისაა. მისი კონვენციური ფარგლები გარდა იმისა, რომ არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც იგივე დანაშაულის გამო ხდება სხვა სახელმწიფოში პირის ხელმეორედ გასამართლება, ასევე არ ფარავს ექსტრადიციის სფეროს. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადმოსახედიდან პირის ექსტრადიცია მაშინაც არის შესაძლებელი თუ ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში იგი იმავე დანაშაულისთვის გასამართლდა.
- 116 ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედებს ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვის პრინციპის ორი კოლიზიური კონვენციური სტანდარტი, რომელთაგან უფრო დაბალი დადგენილია ადამიანის უფლებათა

¹⁵⁵ იქვე, მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფის „ც“ ქვეპარაგრაფი.

დაცვის ევროპული კონვენციით. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია ევროპის საბჭოს დონეზე განხორციელდეს *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედების ფარგლების უნიფიცირებულად, თანაბრად განსაზღვრა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვის პრინციპი გავრცელდეს ექსტრადიციის სფეროზეც. შედეგად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციაშიც იგი შეიძენს ტრანსნაციონალურ ხასიათს.

3.6.3. *Ne bis in idem*-ის პრინციპის ქართული მოდელი ექსტრადიციის სფეროში

Ne bis in idem-ის პრინციპის ქართული მოდელი ორ განზომილებიანია. იგი მოქმედებს როგორც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში (ეროვნული განზომილება), აგრეთვე ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის პროცესში (ტრანსნაციონალური განზომილება). 117

Ne bis in idem-ის პრინციპის ეროვნული განზომილება გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციიდან და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან. ექსტრადიციის სფეროში მისი ტრანსნაციონალური ბუნება ეფუძნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციას, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციასა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქა- 118

რთველოს კანონის სისტემურ განმარტებას. თუმცა, ქართველი მეცნიერები არ იზიარებენ მოსაზრებას *ne bis in idem*-ის პრინციპის ტრანსნაციონალურ ბუნებასთან მიმართებაში. მათი აზრით, იგი მოქმედებს მხოლოდ ეროვნულ იურისდიქციაში.¹⁵⁶

3.6.3.1. *Ne bis in idem*-ის კონსტიტუციური პრინციპის ავტონომიური სტანდარტი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში

119 *Ne bis in idem*-ის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული საპროცესო უფლებების ნაწილია. იგი არის აბსოლუტური ხასიათის და შეზღუდვას არ ექვემდებარება.¹⁵⁷ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი კრძალავს განმეო-

¹⁵⁶ ტურავა, მ.: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის კომენტარი ნაშრომში: ტურავა, პ.: (რედ.) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 552. ფაფიაშვილი, ლ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: გიორგაძე, გ.: (რედ.) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 132.

¹⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 05 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II, პ. 36.

რებით მსჯავრის დადებას ერთი და იმავე დანაშაულისთვის. ერთი შეხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია *ne bis in idem*-ის პრინციპის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს ვიდრე საქართველოს კონსტიტუცია, რადგან ევროპული კონვენცია ხელმეორედ დასჯასთან ერთად დაუშვებლად აცხადებს ხელმეორედ გასამართლებასაც. იგივე მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი ფაფიაშვილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლთან მიმართებაში, რომელიც განმეორებით მსჯავრების პარალელურად კრძალავს განმეორებით დაკავებასა და ბრალის წაყენებას.¹⁵⁸ თუმცა, კონსტიტუციურ ნორმაში არსებულ პრინციპებს, ტერმინებსა და სამართლებრივ ცნებებს ავტონომიური შინაარსი გააჩნიათ, რომლებიც შესაძლებელია ზუსტად არ ემთხვეოდეს საქართველოს კანონმდებლობაში, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებში იგივე პრინციპების, ტერმინების, ცნებების შინაარსს, მაგრამ მათ მოიცავდეს. *Ne bis in idem*-ის პრინციპის კონსტიტუციური გაგება არ უნდა იქნეს მიჩნეული მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ხელმეორედ დასჯის აკრძალვის ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოაზრებული განმეორებითი დასჯის აკრძალვის ექვივალენტად. კონსტიტუციური ნორმის ამგვარი აღქმით მნიშვნელოვნად ვიწროვდება რო-

¹⁵⁸ ფაფიაშვილი, ლ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: გიორგაძე, გ.: (რედ.) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 132; იგივე მოსაზრებისთვის ასევე იხ: დარბაიძე, ლ.: განმეორებით გასამართლებისა და დასჯისაგან დაცვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის პრაქტიკული ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2016, გვ. 31.

გორც მისი მიზანი, ასევე დაცული სფერო. კონსტიტუცია ერთი და იმავე დანაშაულზე განმეორებითი მსჯავრის დადების აკრძალვაში მოიაზირებს პრინციპს – „არავითარი ბრალი სასჯელის გარეშე“ (*nulla culpa sine poena*). *Ne bis in idem*-ის კონსტიტუციური პრინციპი იმთავითვე კრძალავს იგივე დანაშაულისთვის პირის დაკავებას, ბრალის წაყენებასა და გასამართლებას, რადგან ამ პროცესუალური ციკლის გარეშე პირისთვის მსჯავრის დადება ვერ განხორციელდება. მსჯავრის დაკისრების კონსტიტუციური შესაძლებლობის გარეშე სისხლის სამართლის პროცესის წარმოებას სამართლებრივი ლეგიტიმაცია არ გააჩნია და სახელწიფოს მხრიდან თვითნებობაა. საქართველოს კონსტიტუცია იგივე დანაშაულზე მსჯავრის დადების აკრძალვით – ე.ი. სისხლის სამართლის პროცესის საბოლოო ეტაპის გამორიცხვით აზრს უკარგავს იმავე დანაშაულთან მიმართებაში ყველა სისხლის-სამართლებრივი პროცესუალური ეტაპის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, ეროვნული იურისდიქციის კონტექსტში *ne bis in idem*-ის კონსტიტუციური პრინციპი არსებითად იდენტურია *ne bis in idem*-ის პრინციპის კონვენციური და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი შინაარსის და არ ადგენს მათზე დაბალ სტანდარტს.

3.6.3.2. Ne bis in idem-ის პრინციპის ქართული მოდელის ტრანსნაციონალური ხასიათი ექსტრადიციის სფეროში

120 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტში მი-

თითება ხორციელდება მხოლოდ *ne bis in idem*-ის პრინციპზე. იგი არ ადგენს მისი მოქმედების ფარგლებს. კონსტიტუცია ლიად ტოვებს საკითხს გამოიყენება თუ არა ეს პრინციპი საქართველოსთვის ნარდგენილ ექსტრადიციის თხოვნებთან მიმართებაში.

პროფესორი ტურავა მიიჩნევს, რომ *ne bis in idem*-ის კონსტიტუციური პრინციპის ინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად.¹⁵⁹ ამგვარი მიდგომით *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში და იგი არ გამორიცხავს პირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემას იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენისთვის გასამართლებული იქნა საქართველოში. პროფესორი ფაფიაშვილი იზიარებს მოსაზრებას *ne bis in idem*-ის პრინციპის ეროვნულ დონეზე მოქმედებასთან მიმართებაში, მისი აზრით, მას „არ აქვს ტრანსნაციონალური მოქმედება და არ უკრძალავს მე-2 სახელმწიფოს ხელახალ გასამართლებას თუ არ არსებობს აღნიშნულის შესახებ სპეციალური შეთანხმება, ან ქვეყანა არ აღიარებს სხვა ქვეყნის განაჩენთა მოქმედებას“.¹⁶⁰ პროფესორ ფაფიაშვილის

121

¹⁵⁹ ტურავა, მ.: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის კომენტარი ნაშრომში: ტურავა, პ.: (რედ.) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 552.

¹⁶⁰ ფაფიაშვილი, ლ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის კომენტარი ნაშრომში: გიორგაძე, გ.: (რედ.) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 137.

შეფასებით, *ne bis in idem*-ის პრინციპი არ ირღვევა, როცა ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის დამნაშავეობის საკითხი გადაწყვიტა საქართველოს ეროვნულმა სასამართლომ ან/და საგამოძიებო ორგანოებმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ხოლო მოგვიანებით მისი საქმე განხილულ იქნა სხვა სახელმწიფოს სასამართლოს მიერ (მაგალითად, მსჯავრდებულთა გადაცემის ან ექსტრადიციის შემთხვევაში, როდესაც მიმღები სახელმწიფოს სასამართლო უზრუნველყოფს პირისათვის ნაყენებული ბრალდების ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას).“¹⁶¹ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ *ne bis in idem*-ის პრინციპის ფარგლების განსაზღვრა მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის კონტექსტში და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის ვიწრო განმარტებით შეუფასებელია ექსტრადიციის პროცესში, კერძოდ ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაში ამ პრინციპის როლი.

- 122 „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი აღიარებს *ne bis in idem*-ის პრინციპის ტრანსნაციონალურ ხასიათს. მისი 26-ე მუხლი კრძალავს პირის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემას, როდესაც იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია, საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილია განაჩენი ან საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. *Ne*

¹⁶¹ იქვე.

bis in idem-ის პრინციპის ქართული მოდელი გარკვეულწილად ართულებს მისი შინაარსის განსაზღვრის პროცესს, რადგან ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პარაგრაფისგან განსხვავებით, არ მოითხოვს, რომ ექსტრადიციაზე უარის თქმისას არსებობდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. შესაბამისად, კანონმდებელმა საქართველოს მიანიჭა უფლება უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე მაშინაც, როდესაც მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო (*res judicata*). *Ne bis in idem*-ის პრინციპის ქართული მოდელის ტრანსნაციონალური განზომილება შეუთავსებელია ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში *ne bis in idem*-ის პრინციპის შინაარსთან. ევროპულ სახელმწიფოთა გავრცელებული მიდგომით პირის გადაცემა *ne bis in idem*-ის პრინციპით მხოლოდ იმ შემთხვევაში იკრძალება, როდესაც მის მიმართ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი აღიარებენ *ne bis in idem*-ის პრინციპის ტრანსნაციონალურ ხასიათს და მის მოქმედებას ავრცელებენ ექსტრადიციის სფეროში, თუმცა მათი შინაარსი არ არის იდენტური. ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციასთან (როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასთან) „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საერთაშორისო ხელშეკრულებაზე დაბალი რანგის მქონე აქტის) შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რეკომენდირებულია, რომ *ne bis in idem*-ის პრინციპის ქართული მოდელი დაე-

ფუძნოს ევროპულ სახელმწიფოთა კონსენსუსს და გახდეს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პარაგრაფის იდენტური. ასეთ შემთხვევაში პირის გადაცემაზე უარის თქმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების (*res judicata*) არსებობის საფუძველზე. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით საქართველოს მიერ პირის გადაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც არ არის საბოლოო, ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციას. კონსტიტუცია პირდაპირ ანიჭებს უპირატესობას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს ორგანულ და ჩვეულებრივ კანონებთან მიმართებაში.

- 124 ზემოხსენებულიდან გამომდინარე, *ne bis in idem*-ის პრინციპის ქართული მოდელი დუალური ხასიათისაა. იგი გარდა იმისა, რომ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე გამოიყენება ტრანსნაციონალურ ურთიერთობებშიც – ექსტრადიციის სფეროში.

3.6.4. Ne bis in idem-ის პრინციპის რომელი ევროპული სტანდარტი უნდა გამოიყენოს საქართველომ ექსტრადიციის პროცესში?

- 125 საქართველოსთვის წარდგენილ ექსტრადიციის თხოვნით გათვალისწინებულ იმ დანაშაულზე, რომლის ჩადენისთვისაც

მოითხოვება პირის ექსტრადიცია და არსებობს საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენი, რომელი ევროპული სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს საქართველომ? ასეთ შემთხვევაში საქართველომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი პროტოკოლის მე-4 მუხლის საფუძველზე და პირი გადასცეს ექსტრადიციის თხოვნის გამომგზავნ სახელმწიფოს, თუ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე?

ექსტრადიციის სფეროში საქართველომ ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური ევროპული სტანდარტებიდან უნდა გამოიყენოს ის, რომელიც პირის უფლების დაცვისთვის ადგენს უფრო მაღალ სტანდარტს. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია *ne bis in idem*-ის პრინციპისთვის ტრანსნაციონალური ხასიათის მინიჭებით, უფრო მაღალი სტანდარტით იცავს პირს ხელმეორედ გასამართლებისა და დასჯისაგან, ვიდრე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ერთი მხრივ, გამორიცხავს პირის გადაცემას, როდესაც თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლისთვის ექსტრადიცია მოითხოვება, მის მიმართ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება, მეორე მხრივ, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს ანიჭებს შესაძლებლობას პირი არ გადასცეს თუ გადაწყვეტს, რომ არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სამართალწარმოება იმ დანაშაულზე, რომელსაც ექსტრადიციის თხოვნა უკავშირდება. *Ne bis in idem*-ის პრინციპი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში მოქ-

მედებს და არ ფარავს ექსტრადიციის პროცესს. შესაბამისად, ექსტრადიციის სფეროში, როდესაც საქართველოსთვის წარდგენილი თხოვნა უკავშირდება ერთი და იმავე დანაშაულზე პირის გასამართლების ან დასჯის საკითხს, საქართველომ პირის გადაცემის თაობაზე გადანყვეტილება უნდა მიიღოს ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე დაყრდნობით.

3.7. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ექსტრადიციის აკრძალვა

- 127 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. მისი შინაარსი შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც „არავითარი პასუხისმგებლობა ხანდაზმულობის ვადის გარეშე“. ამ პრინციპს არ გააჩნია მოქმედების აბსოლუტური ხასიათი. იგი არ ვრცელდება საერთაშორისო დანაშაულებთან მიმართებაში.¹⁶² ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აკრძალვის მოთხოვნას კავშირი გააჩნია არა მხოლოდ ეროვნულ სისხლის სამართალწარმოებაზე, აგრეთვე ექსტრადიციაზეც. იგი ე.წ. ექსტრადიციის შესახებ 1951 წლის ფრანკო-გერმანული ხელშეკრულების გავლენით თავიდანვე იქნა გათვალისწინებული

¹⁶² სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 29-ე მუხლი.

ლი ექსტრადიციის ევროპულ სისტემაშიც.¹⁶³ თუმცა, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხთან მიმართებაში ორი, ურთიერთკოლიზიური სტანდარტი აქვს.

პირველი სტანდარტი გულისხმობს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აბსოლუტურ აკრძალვას. იგი მოცემულია ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის საწყის რედაქციაში, რომელიც გამონაკლისის გარეშე დაუშვებლად მიიჩნევს პირის გადაცემას თუ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ ან მიმღებ სახელმწიფოში გასულია ექსტრადიციის თხოვნით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი ვადა. ასეთ შემთხვევაში ექსტრადიციასთან მიმართებაში პირი იძენს იმუნიტეტს.

128

მეორე სტანდარტი ამცირებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აკრძალვის პრინციპის ფარგლებს. იგი განვითარდა ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმით,¹⁶⁴ რომლითაც 2012 წელს ცვლილებები განხორციელდა ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში. მისი პირველი პარაგრაფით ძალა-

129

¹⁶³ Honig, F.: Extradition by Multilateral Convention, Int'l & Comp. L.Q., 1956, p. 562.

¹⁶⁴ მიღებულია 2012 წლის 09 სექტემბერს, ძალაშია 2014 წლის პირველი იენისიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/212> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ში დარჩა დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ხანდაზმულობის ვადის არსებობის პირობა მხოლოდ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთან მიმართებაში. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფით ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უფლება აღარ აქვს უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე იმ საფუძვლით, რომ მისი კანონმდებლობით დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გასულია. სახელმწიფო უფლებამოსილია ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი პროტოკოლის ამ დანაწესთან მიმართებაში დათქმა გააკეთოს, რომლითაც მას ექნება შესაძლებლობა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე ორი საფუძვლით: 1. თუ ექსტრადიციის თხოვნით გათვალისწინებულ დანაშაულზე მასაც გააჩნია იურისდიქცია; 2. თუ მისი კანონმდებლობა ცალსახად კრძალავს პირის დევნას ან დასჯას დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. მეორე საფუძვლით დათქმის გაკეთებისას კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას მხედველობაში მიიღოს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში დანაშაულის გამოძიებასთან, პირის დევნასთან, მართლმსაჯულებასთან მიმართებაში არსებული ხელშემშლელი გარემოებები, ფაქტები იმგვარად როგორც იგი ასეთ შემთხვევებზე ფაქტორებს საკუთარი ეროვნული სამართალწარმოების პროცესში გაითვალისწინებდა. ექსტრადიციის ევროპულ მექანიზმში ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის

ვის დადგენილი მეორე სტანდარტი იმ სახელმწიფოების მიერ გამოიყენება, რომლებმაც ხელი მოაწერეს ან მოგვიანებით მიუერთდნენ კონვენციის მე-4 დამატებით ოქმს.

საქართველო არ წარმოადგენს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის ხელშემკვრელ მხარეს. აქედან გამომდინარე, მასზე ვრცელდება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თავდაპირველი რედაქცია. თუმცა, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მიდგომა ხანდაზმულობის ვადის გამო პირის ექსტრადიციის აკრძალვასთან მიმართებაში ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის (როგორც ახალი, ისე) ძველი რედაქციისგან შედარებით განსხვავებულია. ექსტრადიციის ქართული მოდელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პირის გადაცემის აკრძალვას უკავშირებს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ვადის გასვლას. იგი არ შეიცავს მითითებას პირის გადაცემის აკრძალვის ამ პრინციპზე ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთან მიმართებაში, მაშინ, როდესაც ამგვარ მოთხოვნას ითვალისწინებს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ძველი და ახალი რედაქციები. აღსანიშნავია, რომ ხსენებული კანონის 34¹ მუხლი, რომელიც ეხება პირის გამარტივებული წესით (ე.ი. მისი თანხმობით) ექსტრადიციას, მოითხოვს უცხო სახელმწიფოსგან საქართველოსთვის ინფორმაციის მინოდებას დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის და

მისი დინების შეწყვეტის/შეჩერების თაობაზე. თუმცა, ეს დანაწესი არ შეიძლება ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ექსტრადიციის აკრძალვის ფარგლების დავინროების ნორმატიულ კომპენსაციად, რადგან ერთი მხრივ, იგი მხოლოდ გამარტივებული ექსტრადიციის პროცედურაზე ვრცელდება, მეორე მხრივ, კანონის 24-ე მუხლიდან გამომდინარე არ არის ექსტრადიციის აკრძალვის აბსოლუტური საფუძველი. რეკომენდირებულია, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის არსებული რედაქცია შეიცვალოს, გაუთანაბრდეს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თავდაპირველი რედაქციის სტანდარტს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ხანდაზმულობის ვადის არსებობის აუცილებლობა გავრცელდეს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოზეც.

3.8. სიკვდილით დასჯის გამო პირის გადაცემის აკრძალვა

- 131 ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში სიკვდილით დასჯა არ წარმოადგენს პირის გადაცემის გამომრიცხავ გარემოებას. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი უშვებს შესაძლებლობას პირი გადაეცეს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს, რომელშიც საექსტრადიციო დანაშაულისთვის დადგენილია სიკვდილით დასჯა. ასეთ შემთხვევაში ექსტრადიცია განხორციელდება მხოლოდ მაშინ თუ საექსტრადიციო დანაშაულის ჩადენისთვის სიკვდილით

დასჯა გათვალისწინებულია ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოშიც. თუ მისი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა არ არის განსაზღვრული, ან როგორც წესი, იგი სისრულეში არ მოიყვანება, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე. თუმცა, ექსტრადიციაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებამდე, მან თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოსგან უნდა მოითხოვოს სათანადო, საკმარისი გარანტიები, რომ პირის გადაცემის შემთხვევაში სიკვდილით დასჯას არ გამოიყენებს ან არ აღასრულებს. თუ ასეთი გარანტიები იქნება წარმოდგენილი და ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფო მას მიიჩნევს საკმარისად, პირის გადაცემა შესაძლებელია.

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი დღეის მდგომარეობით „მკვდარი“ ნორმაა. იგი ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ არ გამოიყენება.¹⁶⁵ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 პროტოკოლით¹⁶⁶ სიკვდილით დასჯა აიკრძალა მშვიდობიან პერიოდში, ხოლო კონვენციის მე-13 პროტოკოლით¹⁶⁷

132

¹⁶⁵ გამონაკლისია რუსეთის ფედერაცია და სამხრეთ კორეა, სადაც სიკვდილის დასჯა როგორც სასჯელი საკანონმდებლო დონეზე კვლავ არსებობს, თუმცა მის აღსრულებაზე მორატორიუმია გამოცხადებული. თეორიულად შესაძლებელია, რომ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის გამოყენებულ იქნეს ამ ორ სახელმწიფოს შორის.

¹⁶⁶ ხელმოწერილია 1983 წლის 28 აპრილს, ძალაშია 1985 წლის 01 მარტიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/114> (უკანასკნელად გადამონმეებულია: 30.08.2021).

¹⁶⁷ ხელმოწერილია 2002 წლის 03 მაისს, ძალაშია 2003 წლის პირველი ივლისიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/187> (უკანასკნელად

სიკვდილით დასჯის აკრძალვა მოხდა ნებისმიერ ვითარებასა და დანაშაულზე.¹⁶⁸ თუმცა, ამ პროტოკოლების ამოქმედებამდე, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლმა სიკვდილის დასჯის გამო ექსტრადიციის შეზღუდვით ნაწილობრივ შეავსო ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში არსებული „ცარიელი ადგილი“.¹⁶⁹ ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი (წამების აკრძალვა) ზოგადად არ კრძალავს სიკვდილით დასჯას.¹⁷⁰

- 133 სიკვდილის დასჯის აბსოლუტურად აკრძალვის პრინციპი ძალაშია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე ყველა ქვეყნისათვის, გამონაკლისია მხოლოდ

გადამონმებულია: 30.08.2021).

¹⁶⁸ სიკვდილით დასჯის გამო ექსტრადიციის აკრძალვა არის საფუძველი, რომელიც ინტერნეტ-პლატფორმა ვიკილიქსის დამფუძნებელ ჯულიან ასანჟის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციას შეუძლებელს ხდის. აღსანიშნავია, რომ 2010-2015 წლებში ასანჟი შვედეთის მიერ გაცემული დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე იძებნებოდა გაუპატიურების ბრალდების საფუძველზე. ამის გამო ასანჟმა ლონდონში, ეკვადორის საელჩოს შეაფარა თავი, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო და რამდენიმე წლის განმავლობაში შენობა არ დაუტოვებია. თუმცა, შვედეთმა მტკიცებულებების ნაკლებობისა და ხანდაზმულობის ვადების გასვლის გამო ასანჟის წინააღმდეგ გადაცემის პროცედურები შეწყვიტა.

¹⁶⁹ *Roecks, C.R.: Extradition, Human Rights, and the Death Penalty: When Nations Must Refuse to Extradite a Person Charged With a Capital Crime, Cal. W. Int'l L.J., vol. 25, 1994, p. 195.*

¹⁷⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Soering v. The United Kingdom* [14038/88], 103-ე პარაგრაფი.

რუსეთის ფედერაცია.¹⁷¹ თუმცა, როგორც ითქვა, რუსეთში 1996 წლიდან სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმია გამოცხადებული და ასეთი განაჩენები არ სრულდება.¹⁷²

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, რომელსაც მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოქმედების იურისდიქცია გააჩნია,¹⁷³ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და მისი პროტოკოლები ვრცელდებიან არა მხოლოდ ხელშემკვრელი ქვეყნების ტერიტორიაზე, აგრეთვე სხვა ქვეყნების ტერიტორიაზეც, რომელზეც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს იურისდიქციას (*ექსტრატერიტორიულობის პრინციპი*).¹⁷⁴ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით სიკვდილის დასჯა იკრძალება იმ ქვეყნების ტერიტორიაზეც, რომლის ეფექტური კონტროლი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნის მიერ ხორციელდება.

134

¹⁷¹ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁷² Amnesty International, Death sentences and Execution 2017, London, 2018, p. 28, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.amnesty.org/download/Documents/ACT5079552018ENGLISH.PDF>, (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

¹⁷³ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის 27-ე მუხლი.

¹⁷⁴ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Loizidou v. Turkey*, [15318/89] 62-ე პუნქტი; ასევე იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Bankovic and Others v. NATO Member States*, [52207/99]; *კორკელია, კ., ქურდაძე, ი.*: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2003, გვ. 13-14.

- 135 ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას შორის სახესხვაობა არსებობს *მატერიალურ იურისდიქციასთან* მიმართებაშიც. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია არის ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ მის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის.¹⁷⁵ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით აღიარებული პრინციპებით, უფლებებითა და თავისუფლებებით (მათ შორის სიკვდილით დასჯის აკრძალვით) კონვენციის მონაწილე მხარეები შეზღუდულნი არიან არა მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობებში, არამედ იმ სახელმწიფოებთან თანამშრომლობაშიც, რომლებიც არ არიან ევროპული კონვენციის მონაწილეები.¹⁷⁶
- 136 მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონსენსუსი არსებობს სიკვდილით დასჯის აკრძალვასთან მიმართებაში, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის შენარჩუნება აუცილებელია. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ კორეაში (ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა) სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი ნორმატიულ დონეზე კვლავ არსებობს, კონვენციის ეს მუხლი არ უნდა გაუქმდეს.

¹⁷⁵ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის პირველი და 28-ე მუხლები.

¹⁷⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Soering v. The United Kingdom [14038/88]; *Dugard, J., Wyngaert, C.: Reconciling Extradition with Human Rights, Am. J. Int'l L., 1998, p. 191.*

3.9. ამნისტია

ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენციით ამნისტია, როგორც ექსტრადიციის დამაბრკოლებელი საფუძველი, არ არის განსაზღვრული. ეს ხარვეზი აღმოფხვრილ იქნა 1978 წელს, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი პროტოკოლის ხელმოწერით.¹⁷⁷ დღესდღეობით ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში¹⁷⁸ ამავე თხოვნით გათვალისწინებული დანაშაულის ამნისტია წარმოადგენს პირის (როგორც ბრალდებული, აგრეთვე მსჯავრდებულის¹⁷⁹) გადაცემის აკრძალვის საფუძველს. თუმცა, აუცილებელია, რომ ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ ქვეყანას საექსტრადიციო დანაშაულზე ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების იურისდიქცია.¹⁸⁰ თუ მას იურისდიქცია არ გააჩნია, დანაშაულის

137

¹⁷⁷ მიღებულია 1978 წლის 17 მარტს, ძალაშია 1983 წლის 05 ივნისიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/098> (უკანასკნელად გადამონმეებულია: 30.08.2021).

¹⁷⁸ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი პროტოკოლის არაოფიციალურ ქართულ თარგმანში პროტოკოლის მე-4 მუხლი არასწორად არის ჩამოყალიბებული. „თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო“ ნაცვლად უნდა ეწეროს „თხოვნის მიმღები სახელმწიფო“. პროტოკოლის არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/webContent/8268061> (უკანასკნელად გადამონმეებულია: 30.08.2021).

¹⁷⁹ Explanatory Report to the Second AP to the European Convention on Extradition, Strasbourg, 1978, p. 6.

¹⁸⁰ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი პროტოკოლის მე-4 მუხლი.

ამნისტირება არ შეიძლება ჩაითვალოს ექსტრადიციის გამორიცხვის გარემოებად.

- 138 მეორე დამატებითი ოქმით განსაზღვრული არ არის ამნისტიანინ უნდა უსწრებდეს თუ არა ექსტრადიციის თხოვნის მიღებას. თუმცა, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს ხელს არაფერი უშლის ამნისტია გამოაცხადოს ექსტრადიციის თხოვნის მიღების შემდეგ და უარი განაცხადოს ამ საფუძვლით პირის გადაცემაზე.
- 139 ექსტრადიციის ევროპული სისტემა, ექსტრადიციის ინტერ-ამერიკული რეჟიმის მსგავსად,¹⁸¹ ითვალისწინებს შეწყალების შესახებ დებულებას.¹⁸² შეწყალება აგრეთვე მიიჩნევა პირის გადაცემის აკრძალვის ერთ-ერთ საფუძვლად, თუმცა იგი განიხილება ერთი და იმავე დანაშაულზე ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვის პრინციპის (*ne bis in idem*) შემადგენელ ელემენტად.

3.10. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებზე ექსტრადიციის შეზღუდვა

- 140 სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სწრაფად

¹⁸¹ ექსტრადიციის შესახებ ინტერ-ამერიკული კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.oas.org/juridico/english/treaties/b-47.html> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

¹⁸² ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი პროტოკოლის მე-9 მუხლის მე-2 პარაგრაფის „ბ“ ქვეპარაგრაფი.

განხორციელება საქმის დროულად, გონივრულ ვადებში განხილვის უფლების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. მხოლოდ სწრაფ და ეფექტიან მართლმსაჯულებაში არის უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანად განხილვის უფლებაც. გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი საქმის გონივრულ ვადაში წარმოება გამომდინარეობს სასამართლოს განტვირთვის საჭიროებიდან. საქმის დროულად განხილვა არის არა მხოლოდ ბრალდებულის უფლება, არამედ, საჯარო ინტერესი, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას გონივრულ ვადაში გამოხატოს ინსტიტუციური რეაქცია დანაშაულთან დაკავშირებით.

საქმის დროულად განხილვის პრინციპი მოითხოვს მართლმსაჯულების განხორციელებას მაშინაც, როდესაც ბრალდებული შეგნებულად ერთი მხრივ, აფერხებს საქმის განხილვის პროცესს, მეორე მხრივ, თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. პირველ შემთხვევაში, იგი სხვადასხვა ეტაპზე შესაძლებელია მონაწილეობას იღებდეს საქმის განხილვაში, თუმცა, სისხლის სამართლის პროცესის პროცედურული ინსტრუმენტების გამოყენებით აჭიანურებდეს პროცესს. მეორე შემთხვევაში, ბრალდებული ემალება მართლმსაჯულებას, არ ცხადდება სასამართლოში და იმყოფება ან სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ქვეყნის ტერიტორიაზე ან უცხო სახელმწიფოში. ამგვარ სიტუაციებში, სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის უზრუნველსაყოფად, ბრალდებულის საქმის სამართლიანად განხილვის უფლების, მათ შორის შეჯიბრებითი პროცესის პრინციპების ხელყოფის გარეშე სახელმწიფოთა უმრავლესობაში არსებობს ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვისა და ე.წ. დაუსწრებელი

141

(*in absentia*) სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი.¹⁸³

- 142 ბრალდებულის დაუსწრებლად სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს მის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას, იმთავითვე არ გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას¹⁸⁴ და აბსოლუტურად არ გამოირიცხავს მის ექსტრადიციას.
- 143 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით შესაძლებელი გახდა პირის გადაცემა *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის დროს. თუმცა, ბრალდებულის პროცესუალური უფლებების დაცვის მიზნით დადგინდა გარკვეული შეზღუდვები.
- 144 ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო, როდესაც

¹⁸³ შეჯიბრებითი პროცესის კონტექსტში *in absentia* სამართალწარმოებაზე იხ: თუმანიშვილი, გ.: შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვისას, მზია ლეკვეიშვილი – 85 (საიუბილეო კრებული), თბილისი, 2014, გვ. 108-119; ნიპარიშვილი, ბ.: ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2016, გვ. 5-28.

¹⁸⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Sejdovic v. Italy*, [56581/00], 82-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Somogyi v. Italy*, [67972/01], 66-ე პარაგრაფი.

in absentia სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად ითხოვს პირის გადაცემას, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე მხოლოდ მაშინ, თუ იგი მიიჩნევს, რომ სამართალწარმოება, რომლის შედეგად მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება, არ აკმაყოფილებს დანაშაულის ჩადენაში ბრალეული ნებისმიერი პირისათვის უზრუნველყოფილ დაცვის მინიმალურ უფლებებს. ამასთან, *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად ექსტრადიცია განხორციელდება, თუ თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო წარადგენს გარანტიას პირისთვის ხელახალი გასამართლების უფლების მინიჭებისა და დაცვის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ და იგი თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ ჩაითვლება საკმარისად. აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომის იდენტიურია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი. თუმცა, იგი ცალკე გამოყოფს პირის სათანადოდ ინფორმირებულობის მოთხოვნას სასამართლო სხდომის გამართვასთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ინფორმირებულობის უფლებას არ მოიაზრებს დაცვის მინიმალურ უფლებებში.

პირი, როცა თანახმაა ექსტრადიციაზე, თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო პირდაპირ აღასრულებს *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუ იგი წინააღმდეგობას გამოთქვამს, თხოვნის გამგზავნმა სახელმწიფომ უნდა დაიწყოს მისი ხელახალი გასამართლების პროცესი.

145

3.10.1. რა იგულისხმება „დაცვის მინიმალურ უფლებებში“?

- 146 ექსტრადიციის ევროპული სისტემა არ განსაზღვრავს იმ უფლებათა ჩამონათვალს, რომლებიც მოიაზრება „დაცვის მინიმალურ უფლებებში“. ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს არ გააჩნია მკაფიო კონვენციური მითითება შეაფასოს თხოვნის გამომგზავნ სახელმწიფოში *in absentia* სამართალწარმოების პროცესში რამდენად იყო დაცული ბრალდებულის უფლებები და აღწევს თუ არა იგი მინიმალურ სტანდარტებს. ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა ასეთი შეფასებისთვის გამოუსადეგარია. *in absentia* სასამართალწარმოებასთან მიმართებაში იგი შესაძლებელია ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთან შედარებით ერთი მხრივ, ადგენდეს დაცვის მაღალ სტანდარტს და ყოველთვის ბარიერს ქმნიდეს პირის გადაცემისთვის, ან მეორე მხრივ, აწესებდეს უფრო დაბალ სტანდარტს და ექსტრადიციით არღვევდეს პირის უფლებებს. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა ამ მიმართულებით უნდა გამოიყენონ ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმები.
- 147 ბრალდებულის მინიმალური უფლებები მოცემულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფში, რომელიც სისხლის სამართალწარმოების პროცესში მას სხვადასხვა გარანტიებს ანიჭებს. თუმცა, მისი შინაარსი არ არის საკმარისი *in absentia* სასამართლო განხილვაში ბრალდებულის მინიმალური უფლებების სრულად დადგენისათვის, რადგან ახორციელებს უფლებების საჭიროზე მეტ კონკრეტიზაციას და პირდაპირ

არ არის განკუთვნილი სისხლის სამართლის იმ პროცესის-
თვის, რომელიც განიხილება ბრალდებულის დაუსწრებლად.

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე და- 148
მატებითი ოქმის განმარტებითი ბარათი¹⁸⁵ მონაწილე სა-
ხელმწიფოებს სთავაზობს ბრალდებულის დაცვის მინი-
მალური უფლებების იდენტიფიკაციისთვის ადამიანის
უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის
მე-3 პარაგრაფთან ერთად მხედველობაში მიიღონ ევროპის
საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1975 წლის (75) 11 რეზო-
ლუცია, რომლითაც დადგენილია ბრალდებულის დაუსწრებ-
ლად საქმის განხილვის კრიტერიუმები.¹⁸⁶ მნიშვნელოვანია
ითქვას, რომ განმარტებით ბარათში მითითება არ ხორ-
ციელდება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართე-
ბაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეც-
ედენტულ სამართალზე.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 149
მუხლის მე-3 პარაგრაფი ბრალდებულს ანიჭებს უფლებას:
მისთვის გასაგებ ენაზე და დაუყოვნებლივ ეცნობოს ბრალი;
ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი
დაცვის მოსამზადებლად; თავი დაიცვას პირადად ან მის
მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, თუ მას არ გააჩნია
საკმარისი საშუალება დამცველის მომსახურების ასანაზ-

¹⁸⁵ Explanatory Report to the Second AP to the European Convention on
Extradition, Strasbourg, 1978, p. 5.

¹⁸⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის ტექსტი ხელ-
მისანდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804f7581>
(უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ლაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები; დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში; სამართალწარმოების პროცესში ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, როდესაც მას არ შეუძლია გაიგოს სამართალწარმოების ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

- 150 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1975 წლის (75) 11 რეზოლუციაში მითითებულია 9 კრიტერიუმი, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისგან განსხვავებით განკუთვნილია უშუალოდ *in absentia* სასამართლო განხილვისათვის. იგი ბრალდებულს არა მხოლოდ აღჭურავს სხვადასხვა გარანტიებით, აგრეთვე ადგენს *in absentia* სასამართლო განხილვის სტანდარტებს. რეზოლუციაში გათვალისწინებული მინიმალური წესები¹⁸⁷

¹⁸⁷ 1. არავინ არ შეიძლება გასამართლეს სასამართლოს უწყების გარეშე, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს გამოცხადდეს და საკუთარი დაცვა მოამზადოს გონივრულ ვადაში, ეს წესი არ მოქმედებს თუ დადგინდა, რომ ბრალდებული შეგნებულად ცდილობს მართლმსაჯულებისგან მიმალვას.

2. სასამართლოს უწყებაში უნდა შეიცავდეს მითითებას იმ შედეგების თაობაზე, რომელსაც გამოიწვევს სასამართლოში ბრალდებულის გამოუცხადებლობა.

3. სასამართლო, როდესაც დაასკვნის, რომ ბრალდებულს, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში, ჩაბარებული ჰქონდა სასამართლო უწყება, ვალდებულია სხდომა გადადოს თუ მიაჩნია, რომ ბრალდებულის არ ყოფნა სასამართლო პროცესზე გამოწვეულია დაუძლეველი ძალით ან ბრალდებულისთვის სასამართლო პროცესზე გამოცხადებაში ხელის შეშლით.

შესაძლებელს ხდის შეფასდეს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში *in absentia* სამართალწარმოებისას პირს გააჩნდა თუ არა დაცვის მინიმალური უფლებები.

4. დაუშვებელია ბრალდებულის დაუსწრებლად მისი გასამართლება თუ შესაძლებელია საქმის მასალების გადაგზავნა სხვა სახელმწიფოში ან ბრალდებულის ექსტრადიციის პროცედურის განხორციელება.

5. ბრალდებულს, როდესაც დაუსწრებლად ასამართლებენ, მტკიცებულებების გამოკვლევა უნდა განხორციელდეს ორდინარული წესით და დაცვის მხარეს უფლება უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში.

6. ბრალდებულის დაუსწრებლად მიღებული სასამართლოს გადანყვეტილება მსჯავრდებულს უნდა ეცნობოს სასამართლო უწყების ჩაბარებისთვის დადგენილი წესების შესაბამისად და მისი გასაჩივრების ვადის ათვლა არ უნდა დაიწყოს სანამ მსჯავრდებული ეფექტიანად არ იქნება ინფორმირებული დაუსწრებლად მიღებული სასამართლოს გადანყვეტილების შესახებ, ეს წესი არ მოქმედებს თუ იგი შეგნებულად ცდილობს მართლმსაჯულებისგან მიმალვას.

7. ნებისმიერ პირს, რომელიც დაუსწრებლად გასამართლდა, უნდა მიეცეს სასამართლოს გადანყვეტილების გასაჩივრების იმგვარი შესაძლებლობა როგორც სასამართლო პროცესზე დასწრების შემთხვევაში ექნებოდა.

8. პირს, რომელიც დაუსწრებლად გასამართლდა სასამართლოს უწყების ჩაბარების შესაბამისი და სათანადო ფორმის გარეშე, უნდა გააჩნდეს დაუსწრებლად მიღებული გადანყვეტილების გაუქმების შესაძლებლობა.

9. პირს, რომელიც დაუსწრებლად გასამართლდა, თუმცა, მას შესაბამისი ფორმით ჩაბარებული ჰქონდა სასამართლო უწყება, უნდა მიეცეს ხელახალი გასამართლების შესაძლებლობა თუ დაამტკიცებს, რომ მისი სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა და მოსამართლის გაფრთხილების შეუძლებლობა გამონაკვეთია დაუძლეველი ძალით.

- 151 *In absentia* სასამართლო განხილვაში ბრალდებულის მინიმალური უფლებების შეფასება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფით, ამავე მუხლის პირველი პარაგრაფისგან იზოლირებულად, კიდევ უფრო ავიწროვებს *in absentia* სამართალწარმოების ეფექტიანად შემონმების პერსპექტივას. აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1975 წლის (75) 11 რეზოლუციით დადგენილ კრიტერიუმებთან და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო *in absentia* სამართალწარმოებას აფასებს კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფთან მიმართებაში.¹⁸⁸
- 152 *In absentia* სამართალწარმოების ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პარაგრაფებთან შესაბამისობის დადგენისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გარდა იმისა, რომ მხედველობაში იღებს:¹⁸⁹ 1. პირმა სათანადო ფორმით იცოდა თუ არა მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება;¹⁹⁰ 2. პირმა შესაბამისი წყაროებიდან

¹⁸⁸ თუმანიშვილი, გ.: შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვისას, მზია ლეკვიშვილი – 85 (საიუბილეო კრებული), თბილისი, 2014, გვ. 111.

¹⁸⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი ინ აბსენტია სამართალწარმოებასთან მიმართებაში ვრცლად იხ: იქვე, გვ. 111-116; ნიჰარიშვილი, ბ.: ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და პროცესის შეჯიბრებითობა, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2016, გვ. 11-16.

¹⁹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Kamasinski v. Austria, [9783/82], 79-ე პარაგრაფი.

იცოდა თუ არა სხვა სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი პროცესის წარმოების შესახებ¹⁹¹ და გააჩნდა თუ არა ეფექტიანი შესაძლებლობა პირადად დასწრებოდა მას ან საკუთარი თავი დაეცვა წარმომადგენლის მეშვეობით;¹⁹² 3. ეროვნულმა სასამართლომ გადადო თუ არა პროცესი, როდესაც პირი არ იყო წარმოდგენილი სასამართლოში;¹⁹³ 4. პირმა საკუთარი ნებით განაცხადა თუ არა უარი სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე;¹⁹⁴ 5. პირმა საკუთარი სურვილით დათმო თუ არა *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება,¹⁹⁵ იგი ზოგადად ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში ამოწმებს განხორციელდა

¹⁹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: F.C.B. v. Italy, [12151/86], 35-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Somogyi v. Italy, [67972/01], 73-ე პარაგრაფი.

¹⁹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Hokkeling v. The Netherlands, [30749/12]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Pirozzi v. Belgium [21055/11].

¹⁹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: F.C.B. v. Italy, [12151/86], 33-ე პარაგრაფი.

¹⁹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Sejdic v. Italy, [56581/00], 82-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1985 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Colozza v. Italy, [9024/80], 28-ე პარაგრაფი.

¹⁹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Sejdic v. Italy, [56581/00], 85-ე პარაგრაფი.

თუ არა სასამართლოს უფლების უხეში უარყოფა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სასამართლოს უფლების უხეშ უარყოფას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ეროვნულ დონეზე არ გააჩნდა *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ან პროცესის ხელახლა წარმოების მოთხოვნის იმგვარი უფლება, სადაც მოხდებოდა ფაქტებისა და მტკიცებულებების ხელახალი გამოკვლევა.¹⁹⁶ ამგვარი შესაძლებლობის არარსებობა „ამ-კარად ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლსა და მასში მოაზრებულ პრინციპებს“.¹⁹⁷

- 153 ზემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით, ექსტრადიციის ევროპული სისტემის ფარგლებში სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ *in absentia* სამართალწარმოება აკმაყოფილებდა თუ არა დაცვის მინიმალურ უფლებებს, უნდა შეაფასონ არა ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (და არა მხოლოდ მისი მე-3 პარაგრაფის), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1975 წლის (75) 11 რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. შეფასების ამგვარი სტანდარტი

¹⁹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Einhorn v. France*, [71555/01], 33-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Stoichkov v. Bulgaria*, [9808/02], 54-ე-56-ე პარაგრაფები.

¹⁹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Stoichkov v. Bulgaria*, [9808/02], 56-ე პარაგრაფი.

უზრუნველყოფს რაციონალურ ბალანსს გადაცემას დაქვემდებარებული პირის უფლებებსა და ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ინტერესებს შორის.

3.10.2. რა ითვლება „საკმარის გარანტიად“?

ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი გარანტია პირისთვის ხელახალი გასამართლების უფლების მინიჭებისა და დაცვის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ საკმარისია თუ არა, სრულად არის დამოკიდებული ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფოს შეფასებაზე. ასეთი გარანტია უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ და მატერიალურ სტანდარტებს. 154

ფორმალური თვალსაზრისით, იგი უნდა იყოს წერილობითი ფორმით შედგენილი, სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოს (პროკურატურის) ან მის საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის (იუსტიციის მინისტრის) მიერ გაცემული და სათანადო საკომუნიკაციო არხით წარდგენილი. 155

მატერიალური კუთხით, გარანტია უნდა შეიცავდეს ერთი მხრივ, მითითებას ეროვნული სამართლის იმ ნორმების თაობაზე, რომელიც პირს აძლევს ხელახალი გასამართლების შესაძლებლობას, მეორე მხრივ, ე.წ. საჯარო დაპირებას – პირისთვის ამგვარი უფლებების მინიჭებასთან და ეფექტიანად სარგებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირე- 156

ბით.¹⁹⁸ თუ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობა ხელახალი გასამართლების მექანიზმს არ ითვალისწინებს, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ იგი უნდა მიიჩნიოს არასაკმარისად და საქმის სამართლიანად განხილვის უფლების დარღვევის პრევენციისთვის უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე.¹⁹⁹

3.10.3. ხელახალი გასამართლების ვადის ათვლის სავალდებულო წესი

- 157 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 და მატებითი ოქმის მე-3 მუხლი მკაფიოდ ადგენს, რომ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი და მიმღებ სახელმწიფოებს შორის კომუნიკაცია *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით პირის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, არ ითვლება ფორმალურ ცნობად და იმთავითვე არ განაპირობებს ხელახალი გასამართლების ვადის დაწყებას. ამგვარი მიდგომის მიზანია პირს ექსტრადიციის შემდეგ მიეცეს გონივრული ვადა საკუთარი დაცვის მომზადებისთვის.

¹⁹⁸ CDPC, Criteria to assess whether proceedings leading to a judgment in absentia or the additional guarantees provided by the requesting state satisfy the rights of defense (in connection with Article 3 of the Second AP to the European Convention on Extradition), Strasbourg, 2014, p. 5, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016802f7bb4> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

¹⁹⁹ იქვე.

ვის, რადგან ექსტრადიციის პროცედურები შესაძლებელია გაგრძელდეს რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში.²⁰⁰

3.11. ბავშვის ექსტრადიცია – რომელი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფომ?

ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში სპეციალური კონვენციური წესები ბრალუწარიანი ბავშვის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით არ არსებობს. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენცია²⁰¹ არასრულწლოვანს არ იცავს უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემისგან. ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში არასრულწლოვანისა და სრულწლოვანის უფლებები და მოვალეობები არსებითად იდენტურია. ერთადერთი მითითება, რომელიც ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ბავშვთან მიმართებაში გააჩნიათ, უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის სოციალური რეაბილიტაციის ინტერესის უზრუნველყოფის გათვალისწინებასა და ამ

158

²⁰⁰ Explanatory Report to the Second AP to the European Convention on Extradition, Strasbourg, 1978, p. 5.

²⁰¹ ხელმოწერილია 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაშია 1990 წლის 2 სექტემბრიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

მიმართულებით ყველაზე ოპტიმალური ღონისძიების განხორციელებას.²⁰² თუმცა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ეს რეზოლუცია არის ე.წ. რბილი სამართალი, რომლის შესრულება სახელმწიფოთა სურვილზეა დამოკიდებული.

- 159 მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციის ევროპული სისტემა არასრულწლოვანს, როგორც განსაკუთრებულ სუბიექტს სრულწლოვანისგან იზოლირებულად არ განიხილავს და მისი სხვა სახელმწიფოში გადაცემისთვის არ ადგენს სპეციფიკურ პროცედურებს, ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციიდან გამომდინარე, ექსტრადიციის პროცესში ეკისრებათ მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ვალდებულება.²⁰³ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ყველა სხვა ინტერესთან (მათ შორის ექსტრადიციის სფეროში ეფექტიანი თანამშრომლობის) მიმართებაში უპირატესობით უნდა სარგებლობდეს.²⁰⁴ მისი შინაარსი სამგანზომილებიანია. იგი განიხილება როგორც ბავშვის უფლება, ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი და პროცედურული წესი, რომელიც გად-

²⁰² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1975 წლის 21 მაისის (75) 12 რეზოლუცია, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804f6da9> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

²⁰³ CRC, General comment No. 14 (2013) on the Right of the Child to have his or her best interests taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), p. 2, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolNo=_CRC%2fC%2fG-C%2f14&Lang=en (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

²⁰⁴ იქვე, p. 4.

ანვეტილების მიღებისას სახელმწიფოს აკისრებს ბავშვზე მისი პოზიტიურად და ნეგატიურად შესაძლო ზემოქმედების შეფასების ვალდებულებას.²⁰⁵ აქედან გამომდინარე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი მასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობებისთვის განსაზღვრავს როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ფორმირების, განმარტებისა და აღსრულების ორიენტაციის ვექტორს. ბავშვთან მიმართებაში სახელმწიფოს ქმედება ან უმოქმედება ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე მხოლოდ მისი საუკეთესო ინტერესების დაცვით უნდა იყოს განპირობებული.²⁰⁶

160

ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში არსებული მიდგომა, რომელიც ექსტრადიციის პროცესში სახელმწიფოებს ავალდებულებს ბავშვის სოციალური რეაბილიტაციის ინტერესის მხედველობაში მიღებას – როგორც არასრულწლოვანთან მოპყრობის სტანდარტი წარმოადგენს თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის, მის სამივე განზომილებაზე გავრცელების ექვივალენტს? *ე.წ. რბილი სამართლით* ამ სტანდარტის დანესება არის თუ არა საკმარისი, ეფექტიანი მექანიზმი ექსტრადიციის პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად? ბავშვის ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას სახელმწიფომ უნდა იხელმძღვანელოს საერთაშორისო (ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ კონვენციით დადგენილი) თუ ევროპული (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით შეთავაზებული) სტანდარტით?

²⁰⁵ იქვე, p. 2.

²⁰⁶ იქვე, p. 4.

- 161 ექსტრადიციის კონტექსტში ბავშვის სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფაში შეიძლება მოაზრებულ იქნეს არასრულწლოვანის გასამართლების შემდეგ მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის პერსპექტივა. გადანყვეტილების მიღებამდე სახელმწიფომ უნდა გაანალიზოს ექსტრადიცია რა დონეზე შეაფერხებს არასრულწლოვანის განვითარების ხარისხს, მშობლებთან მისი განშორება როგორ აისახება მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, უცხო სახელმწიფოში ექნება თუ არა მას განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ადექვატური სერვისის მიღების შესაძლებლობა და სხვა. შესაბამისად, ექსტრადიციის პროცესში არასრულწლოვანის სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მოთხოვნა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პროცედურული ინსტრუმენტი. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა არის *ე.წ. რბილი სამართლით* აღიარებული და მისი რეალიზაცია სახელმწიფოს „კეთილ ნებაზეა“ დამოკიდებული, ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული ბავშვის უფლებად. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ხსენებული რეზოლუციით ბავშვს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს, ადვოკატს არ წარმოეშობათ სახელმწიფოს წინაშე არასრულწლოვანის სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინების მოთხოვნის უფლება.
- 162 სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მექანიზმი არ იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში არასრულწლოვანთან მიმართებაში მოქმედებს თუ არა სისხლისსამართლებრივი

მართლმსაჯულების სპეციალური წესები, სადაც იგი ისარგებლებს სრულწლოვანისგან განსხვავებული მოპყრობით. ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა მოითხოვს, რომ არასრულწლოვანის გასამართლების პროცესი არსებითად განსხვავდებოდეს ორდინარული სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისგან.²⁰⁷ ასეთი მიდგომა არის ბავშვის უფლებათა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მინიმალური სტანდარტი.

ზემოთ დასმულ საკითხებზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება. ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში მოქმედი მიდგომა ბავშვის სოციალური რეაბილიტაციის ინტერესის მხედველობაში მიღებასთან დაკავშირებით არის მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის პროცედურული განზომილება. იგი, რადგან მოცემულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციაში და მიეკუთვნება ე.წ. რბილი სამართლის კატეგორიას, არ განიხილება ბავშვის უფლებად და მას არ ანიჭებს ეფექტიან შესაძლებლობას ექსტრადიციისას მოითხოვოს მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის სტანდარტით შეუძლებელია შეფასდეს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ბავშვთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების წესების შეს-

163

²⁰⁷ CRC, General Comment No. 10 (2007), Children's Rights in Juvenile Justice, Geneva, 2013, p. 5, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [https://tinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGC%2f10&Lang=en](https://tinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=_CRC%2fC%2fGC%2f10&Lang=en) (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

აბამისობა საერთაშორისო სამართლის მინიმალურ სტანდარტებთან. აქედან გამომდინარე, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ ბავშვის გადაცემისას უნდა იხელმძღვანელოს ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ კონვენციით და გადაწყვეტილება მიიღოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის საფუძველზე. ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მინიმალურ წესებთან შესაბამისობის მიზნით, ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებს დააკისრებს არასრულწლოვანთან მიმართებაში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის შესაბამისად მოქმედების ვალდებულებას.

- 164 ბავშვის გადაცემასთან დაკავშირებით საქართველოს მიდგომა განსხვავდება ექსტრადიციის ევროპული სისტემისგან. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს პირის გადაცემას, როდესაც მისი არასრულწლოვანებიდან გამომდინარე, ქმედების ბუნების და ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს ინტერესების მხედველობაში მიღებით საქართველო ჩათვლის, რომ ექსტრადიცია აშკარად არ შეესაბამება ადამიანური მოპყრობის ძირითად სტანდარტებს. ექსტრადიციის პროცესში საქართველო ნაწილობრივ აღიარებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ვალდებულებას.

3.12. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია – ექსტრადიციის აკრძალვის ნორმატიული ინსტრუმენტი

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ძირითადი უფლების დაცვის სფეროში „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტია“, ²⁰⁸ რომელიც როგორც ცოცხალი ორგანიზმი ევოლუციას განიცდის. ²⁰⁹ მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ჩამოყალიბებაზე. თავისთავად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ტექსტი არ არის უნიკალური, ყოვლისმომცველი და თანამედროვე. მისი ეფექტიანობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე ინტერპრეტაციის სხვადასხვა დახვეწილი მეთოდების ხარჯზე მიიღწევა. ²¹⁰ აქედან გამომდინარე, ევროპული კონ-

165

²⁰⁸ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland*, [45036/98], 156-ე პარაგრაფი.

²⁰⁹ მაგ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1978 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: *Tyrer v. The United Kingdom*, [5856/72], 31-ე პარაგრაფი; *კორკელია, კ., ქურდაძე, ი.*: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2003, გვ. 66; *კორკელია, კ.*: როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით?, თბილისი, 2010, გვ. 32.

²¹⁰ ევროპული კონვენციის ინტერპრეტაციის მეთოდებისთვის მაგალითად იხ.: *კორკელია, კ., ქურდაძე, ი.*: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2003, გვ. 63-83; *კორკელია, კ.*: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 5, N4, 2002, გვ. 466-

ვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ამ ნორმატიული ინსტრუმენტის ქმედითობას და განვითარებას უზრუნველყოფს, ერთობლიობაში ქმნიან ძირითადი უფლებების დაცვის კონვენციურ სისტემას. ამ სისტემაში დადგენილია ძირითადი უფლების დაცვის მინიმალური სტანდარტები, რომლებიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სამართალსა და პრაქტიკაში სულ მცირე იდენტურად უნდა იყოს დაცული.²¹¹

- 166 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ნორმატიული თვალსაზრისით ექსტრადიციასთან დაკავშირებულ უფლებებს არ ითვალისწინებს. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით მისი სუბრა-ეროვნული ეფექტი ექსტრადიციის სფეროზეც გავრცელდა. შესაბამისად, ევროპულ კონვენციას ევროპულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს, ხოლო ნაციონალურ სივრცეში კონვენციის ნორმების თვითშესრულებადი ხასიათი²¹² იძლევა ექსტრადიციის პროცედურებში ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებას.²¹³

500; Letsas, G.: A Theory of Interpretation of the European Convention on Human Rights, Oxford, 2009.

²¹¹ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 53-ე მუხლი.

²¹² კორკელია, კ., ქურდაძე, ი.: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2003, გვ. 34.

²¹³ მაგ. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება 351-19; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება 311-19; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის განჩინება 281-19; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1989 წლამდე ევროპული კონვენციით აღიარებულ ძირითად უფლებებს ექსტრადიციის განზომილებაში არ განიხილავდა. მან *ზოერინგის საქმეში*²¹⁴ ჩაუყარა საფუძველი სახელმწიფოს მოქმედებების კონვენციასთან შეფასების პრაქტიკას. იგი ექსტრადიციის დასაშვებობაზე საქმეებს ძირითადად კონვენციის მე-3, მე-6 და მე-13 მუხლებთან მიმართებით იხილავს.²¹⁵

167

სასამართლოს შეფასებით, ევროპული კონვენციის პირველი მუხლი, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფის ვალდებულებას, შეზღუდული შინაარსისაა, განსაკუთრებით ტერიტორიულობის თვალსაზრისით.²¹⁶ იგი მხოლოდ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოსკენაა მიმართული და მიზნად არ ისახავს კონვენციის მონაწილე ქვეყნის მიერ სხვა სახელმწიფოსთვის უფლებებისა და თავისუფლებების

168

2019 წლის 24 ივნისის განჩინება №231-19; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინება N171.

²¹⁴ წინამდებარე საქმის ანალიზისთვის იხ.: *კორკელია, კ.*: ექსტრადიციის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 5, N1, 2002, გვ. 176-180.

²¹⁵ *Tinsley, A.*: The Reference in Case C-396/11 Radu: When does the Protection of Fundamental Rights Require Non-execution of a European Arrest Warrant?, EUR. CRIM. L. REV., 2012, pp. 345-346.

²¹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Soering v. The United Kingdom* [14038/88], 86-ე პარაგრაფი.

კონვენციის შესაბამისად დაცვის ვალდებულების დაკისრებას.²¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თქმით, ევროპული კონვენციის განმარტებისას აუცილებელია მისი, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კოლექტიური დაცვის ხელშეკრულების სპეციალური ხასიათის გათვალისწინება.²¹⁸ ევროპული კონვენციის, როგორც ინდივიდუალური უფლებების დაცვის ინსტრუმენტის მიზანი და ობიექტი მოითხოვს კონვენციური ნორმები იმგვარად იქნეს ინტერპრეტირებული და გამოყენებული, რომ გარანტირებული იქნეს მათი პრაქტიკულობა და ეფექტიანობა.²¹⁹ „გარდა ამისა, უფლებებისა და თავისუფლებების ყოველი ინტერპრეტაცია თავსებადი უნდა იყოს კონვენციის ზოგად სულისკვეთებასთან, ინსტრუმენტთან, რომელიც შექმნილია დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებისა და იდეალების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის“.²²⁰

- 169 სასამართლომ ექსტრადიციის კონტექსტში კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში განაცხადა, რომ იგი ხელშემკვრელ მხარეს არ ათავისუფლებს პასუხისმეზლობისგან ყველა იმ განჭვრეტადი გარემოებისგან, რომელიც პირის სხვა იურისდიქციაში ექსტრადიციისთვის თანმდევია.²²¹ კონვენციის ღირებულებებთან შეუთავსებელია ხელშემკვრელი მხარის მიერ პირის სხვა ქვეყანაში ექსტრადიცია, როდესაც, არსებობს

²¹⁷ იქვე.

²¹⁸ იქვე, 87-ე პარაგრაფი.

²¹⁹ იქვე.

²²⁰ იქვე.

²²¹ იქვე.

საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი იქ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.²²² პირის გადაცემას ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-3 მუხლით პირდაპირ არ არის აკრძალული, თვისობრივად ეწინააღმდეგება ამავე მუხლის სულისკვეთებას.²²³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებულია სტანდარტები, რომელთა საფუძველზე მოპყრობა შესაძლებელია შეფასდეს წამებად, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობად ან სასჯელად.²²⁴ აქედან გამომდინარე, კონვენციის ხელშემკრველი სახელმწიფო ვალდებულია ექსტრადიციამდე შეაფასოს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში პირის ღირსების უფლების დაცვის პერსპექტივა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლს ექსტრადიციის განზომილებაში ძირითადად ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ

²²² იქვე, 88-ე პარაგრაფი.

²²³ იქვე.

²²⁴ არაადამიანურმა მოპყრობამ ან სასჯელმა უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ხარისხს, რომ მოთავსდეს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებაში. მოპყრობამ მიაღწია თუ არა მინიმალურ ხარისხს ინდივიდუალურად შეფასებითი და ფარდობითია, იგი დამოკიდებულია საქმის მონაცემების მთლიანობაზე, გარემოებებზე, მოპყრობის ან სასჯელის ბუნებასა და კონტექსტზე, მის ხასიათსა და აღსრულების მეთოდზე, ხანგრძლივობაზე, მენტალურ და ფიზიკურ ეფექტებზე და ზოგიერთ შემთხვევაში პირის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ვრცლად იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Shamayev and Others v. Georgia and Russia, [36378/02].

სახელმწიფოში *in absentia* სამართალწარმოების ხარისხის შესაფასებლად იყენებს და მხედველობაში იღებს: პირმა სათანადო ფორმით იცოდა თუ არა მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება; პირმა შესაბამისი წყაროებიდან იცოდა თუ არა სხვა სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი პროცესის წარმოების შესახებ და გააჩნდა თუ არა ეფექტიანი შესაძლებლობა პირადად დასწრებოდა მას ან საკუთარი თავი დაეცვა წარმომადგენლის მეშვეობით; ეროვნულმა სასამართლომ გადადო თუ არა პროცესი, როდესაც პირი არ იყო წარმოდგენილი სასამართლოში; პირმა საკუთარი ნებით განაცხადა თუ არა უარი სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე; პირმა საკუთარი სურვილით დათმო თუ არა *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. ასევე, იგი ზოგადად ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებაში ამონიშნავს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში განხორციელდა თუ არა სასამართლოს უფლების უხეში უარყოფა, რომელიც ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ეროვნულ დონეზე არ აქვს *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ან პროცესის ხელახლა წარმოების მოთხოვნის იმგვარი უფლება, სადაც მოხდება ფაქტებისა და მტკიცებულებების ხელახალი გამოკვლევა.²²⁵

- 171 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როდესაც ექსტრადიციასთან დაკავშირებულ საქმეში ევროპული კონვენციის მე-13 მუხლს იყენებს, მსჯელობს სამართალწარმო-

²²⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Einhorn v. France*, [71555/01], 33-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Stoichkov v. Bulgaria*, [9808/02], 54-ე-56-ე პარაგრაფები.

ბის ხარისხზე, რომელიც მოჰყვება ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე გადანყვეტილების მიღებას.²²⁶

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია იმ შემთხვევაში თუ ადგენს ძირითადი უფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ვიდრე ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი პროტოკოლები, ნარმოადგენს ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში პირის გადაცემის აქცესორულ ნორმატიულ ინსტრუმენტს.

172

²²⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 07 ივლისის გადანყვეტილება საქმეზე: Soering v. The United Kingdom [14038/88], 119-ე პარაგრაფი.

4. შეჯამება

- 173 ექსტრადიციის ევროპული სისტემა ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის კლასიკური რეჟიმია. იგი ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელისგან განსხვავებით, არ ეფუძნება სახელმწიფოთაშორისი ნდობისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივად აღიარების პრინციპებს. მისი ძირითადი მიზანია ექსტრადიციის საკითხებზე სახელმწიფოებისთვის სამართლებრივი ურთიერთდახმარებისთვის შექმნას სახელმძღვანელო ხასიათის ნორმატიული ჩარჩო.²²⁷ თუმცა, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი პროტოკოლები მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფენ ექსტრადიციის სფეროში ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის დაახლოებას.
- 174 ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში პირის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების კომპლექსური და არაერთგვაროვანი წესებია დადგენილი. ექსტრადიციის კომპეტენციის მქონე ორგანოებისა და ნორმატიული პროცედურების განსაზღვრის უფლებამოსილება სახელმწიფოებისთვის არის მინდობილი. აქედან გამომდინარე, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს საერთო მიდგომა ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე ეროვნულ ორგანოსთან, ექსტრადიციის პროცედურებთან მიმართებაში.
- 175 ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი პოლიტიკურ-სამართ-

²²⁷ *Vervaele, J.*: The European Arrest Warrant and Applicable Standards of Fundamental Rights in the EU, *Rev. Eur. Adm. L.*, 2013, p. 37.

ლებრივია, რადგან მასში სასამართლოებთან ერთად მონაწილეობენ პოლიტიკური სუბიექტები – აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები (იუსტიციის ან/და საგარეო საქმეთა მინისტრები) ან კოლეგიური ორგანო (მთავრობა, მინისტრთა საბჭო). ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში პირის გადაცემაზე გადანყვეტილების მიღების 2-ეტაპიანი პროცედურა არსებობს. საწყის ეტაპზე პირის გადაცემის საკითხს განიხილავს და გადანყვეტილებას იღებს სასამართლო. მეორე ეტაპზე, ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილება პოლიტიკური სუბიექტების მიერ მიიღება. შესაბამისად, პირის გადაცემის ევროპული მოდელი არ არის აგებული მართლმსაჯულების განმახორციელებელ სუბიექტებს შორის თანამშრომლობის პრინციპზე, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოებს აძლევს ექსტრადიციის ევროპული სისტემის პოლიტიკური ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტად გამოყენების შესაძლებლობას.

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის სფეროში ნდობის დაბალი ხარისხი, ექსტრადიციის ეროვნული პროცედურების კომპლექსურობა და მრავალფეროვნება განაპირობებს ექსტრადიციისგან დაცვის მყარი საფუძვლების არსებობას. ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციასა და მის დამატებით პროტოკოლებში მოცემულია ექსტრადიციის აკრძალვისა და შეზღუდვის ფართო სპექტრი, რომლებსაც სახელმწიფოები ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემების მახასიათებლებიდან გამომდინარე, დათქმების გაკეთებით კიდევ უფრო აფართოებენ და ზოგიერთ შემთხვევაში კოლიზიურ მიდგომებს ავითარებენ. შესაბამისად, ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოებს შორის ნდო-

ბის არასაკმარისმა ხარისხმა ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში საფუძველი ჩაუყარა ექსტრადიციისგან დაცვის მყარი, ეფექტიანი ნორმატიული გარანტიების შექმნას.

- 177 ექსტრადიციისგან დაცვის კონვენციური უფლებების პარალელურად ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს პირის გადაცემის სტანდარტს უნესებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინსპირაციის მთავარი წყაროა კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლები და ნან-ილობრივ კონვენციის მე-13 მუხლი.
- 178 საერთო ჯამში, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, მისი დამატებითი პროტოკოლები და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ერთობლიობაში ექსტრადიციის ევროპული სისტემისთვის ქმნიან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებს.

თავი III.

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა

იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობა ევროკავშირის ფარგლებში წარმოადგენს თავისუფლების, მართლმსაჯულების და უსაფრთხოების სფეროს ერთ-ერთ პირველ პრიორიტეტულ მიმართულებას. იგი ეფუძნება ორმხრივი აღიარების პრინციპს, რომელიც გულისხმობს კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოების გადანყვეტილებების, განჩინებების, ბრძანებების სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებასა და წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის აპროქსიმაციას.²²⁸ ამ მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მექანიზმის ფორმირება, რომლის მიზანია პირის გადაცემის პროცედურების გამარტივება და ექსტრადიციის ევროპული სისტემის ქვაზი-ევროპული რეჟიმით ჩანაცვლება.²²⁹ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ჩამოყალიბებით კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცესი ურთიერთდახმარების ფორმატიდან გადავიდა ორმხრივი ნდობის დონეზე.²³⁰

179

²²⁸ იხ.: *მირიანაშვილი, გ.*: ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი, თბილისი, 2015, გვ. 88.

²²⁹ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], 36-ე პარაგრაფი.

²³⁰ *Haggenmüller, S.*: The Principle of Proportionality and the European Arrest Warrant, *Oñati Socio-legal Series*, 2013, p. 99.

- 180 ექსტრადიციის ევროპული სისტემა, სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელშეუვალი ცნებიდან, სამართლებრივი (მაგ.: მოქალაქის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის აკრძალვა, ორმხრივი დასჯის პრინციპი, ე.წ. „პოლიტიკური დანაშაულები“, უნდობლობა ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მიმართ) და პროცედურული (მაგ.: ექსტრადიციის 2-ეტაპიანი სისტემა, ვადა) ხასიათის სირთულეებიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს ექსტრადიციის ეფექტიანი რეჟიმის არსებობას. იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით ევროკავშირის ამბიციური მიზნებისთვის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით დადგენილი მექანიზმი არ აღმოჩნდა საკმარისი.²³¹
- 181 1999 წელს ევროპული საბჭოს ტამპერეს სამიტზე წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა მიიღეს ექსტრადიციის უნიფიცირებული სისტემის ჩამოყალიბების შესახებ გადაწყვეტილება.²³² ამ მიზნით, 2002 წელს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა წევრ სახელმწიფოებს შორის დაკავების ევროპული ორდერისა და გადაცემის პროცედურების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილება,²³³ რომელშიც

²³¹ Vennemann, N.: The European Arrest Warrant and Its Human Rights Implications, Heidelberg J. Of Int'l L., 2003, p. 110.

²³² იხ.: Presidency Conclusions at Tampere European Council 15 and 16 October 1999, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.europarl.europa.eu/summits/tam_en.htm#union (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²³³ იხ.: Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=cel-ex%3A32002F0584> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ცალკეული ცვლილებები განხორციელდა 2009 წელს.²³⁴ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის დაფუძნებით პირის გადაცემის პროცესი ერთდონიანი გახდა²³⁵ და ეფუძნება დაკავების ევროპულ ორდერს. პირის კავშირის სხვა წევრი ქვეყნისთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების მიერ მიიღება. პოლიტიკური უწყებები წარმოადგენენ გადაცემის თაობაზე მოთხოვნის მიმღებ სუბიექტებს, რათა უზრუნველყონ ასეთი მოთხოვნის აღსრულება.

ნაშრომის ამ ნაწილში მიმოხილულია პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესი, რომელიც კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელის ჩამოყალიბებამდე გაიარეს. აგრეთვე, განხილულია ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ფუნდამენტური პრინციპები და ზოგადი მახასიათებლები, რომლებიც მას რადიკალურად განასხვავებს ექსტრადიციის ევროპული მექანიზმისგან. ამასთანავე, მსჯელობა ხორციელდება დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ნორმატიულ საფუძვლებზეც, რომლითაც მნიშვნელოვნად შემცირდა ერთი მხრივ, პირის გადაცემის გამომრიცხავი და დამაბრკოლებელი გარე-

182

²³⁴ იხ.: Council Framework Decision of 26 February 2009 amending Framework Decisions 2002/584/JHA, 2005/214/JHA, 2006/783/JHA, 2008/909/JHA and 2008/947/JHA, thereby enhancing the procedural rights of persons and fostering the application of the principle of mutual recognition to decisions rendered in the absence of the person concerned at the trial, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2009.081.01.0024.01.ENG (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²³⁵ Vennemann, N.: The European Arrest Warrant and Its Human Rights Implications, Heidelberg J. Of Int'l L., 2003, p. 108.

მოებები, მეორე მხრივ, ექსტრადიციის სფეროში ძირითადი უფლების დაცვის სტანდარტები.

1. ექსტრადიციის ევროპული სისტემიდან ქვაზი-ევროპულ მოდელამდე

183 ევროკავშირის ფარგლებში ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და გამარტივების პროცესი მიზნად ყოველთვის არ ისახავდა ევროპის საბჭოს სისტემისგან თავის დაღწევას. ევროპული ინტეგრაციის საწყის ეტაპზე ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციას, როგორც ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის მთავარ სამართლებრივ ჩარჩოს,²³⁶ კავშირის წევრი სახელმწიფოები ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის ძირითად მექანიზმად განიხილავდნენ.²³⁷ ამგვარი მიდგომა გამომდინარეობდა წევრი ქვეყნების ინტერესებიდან – ევროპული ინტეგრაცია, მისი სუპრანაციონალური და მთავრობათაშორისი ფორმატებით დაფუძნდებოდა მხოლოდ ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობას.²³⁸ მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მიზნები მოითხოვდა სუპრანაციონალური და ეროვნული

²³⁶ *Vervaele, J.*: The European Arrest Warrant and Applicable Standards of Fundamental Rights in the EU, *Rev. Eur. Adm. L.*, 2013, p. 37.

²³⁷ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომში: *Blekxtoon, R.*: (ed.) *Handbook on the European Arrest Warrant*, Hague, 2004, p. 16.

²³⁸ *Chaves, M.*: *The Evolution of European Union Criminal Law (1957-2012)*, 2012, London, pp. 35-36.

სამართლის ნორმების ეფექტიან აღსრულებას, სახელმწიფოები სისხლის სამართალს არ მიიჩნევდნენ ამგვარი ამოცანების მიღწევის საშუალებად²³⁹ და არ თმობდნენ იურისდიქციას.²⁴⁰ თავიანთი სუვერენული ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მათ არ გააჩნდათ ევროპული ინტეგრაციის დონეზე პოლიტიკური კოოპერაციის,²⁴¹ მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის მექანიზმის დაფუძნების სურვილი.²⁴²

1.1. ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ფრაგმენტული პერიოდი (1970-1994წწ)

1970-იან წლებში ევროპაში მომხდარი ტერორისტული აქტები საფუძვლად დაედო ევროპული ინტეგრაციის დონეზე ინიციატივას სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის გაღრმავებასთან მიმართებაში, რომელიც პირველად საფრანგეთის მიერ 1975 წელს ევროპული საბჭოს ფორმატში გაჟღერდა.²⁴³ იგი მიზნად ისახავდა საერთო ევროპული მარ-

184

²³⁹ *Guild, E., Geyer, F.*: The Search for EU Criminal Law – Where it is Headed? ნაშრომში: *Guild, E., Geyer, F.*: (eds.), Security versus Justice? Police and Judicial Cooperation in the European Union, Burlington, 2008, p. 1.

²⁴⁰ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1981 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Criminal proceedings against Guerrino Casati [C-203/80], 27-ე პარაგრაფი.

²⁴¹ *Blackstock, J.*: Procedural Safeguards in the European Union: a Road well travelled?, EUR. CRIM. L. REV., 3(2), 2012, p. 21.

²⁴² *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 14.

²⁴³ *Chaves, M.*: The Evolution of European Union Criminal Law (1957-2012),

თლმსაჯულებების სივრცის შექმნას, რომელშიც წევრ სახელმწიფოებს შორის გამარტივებული ფორმით განხორციელდებოდა ექსტრადიცია, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების აღსრულება და მსჯავრდებულთა გადაცემა.²⁴⁴ 1982 წელს საფრანგეთმა წარადგინა ექსტრადიციასთან დაკავშირებული კონვენციის ხელმოწერისა და სისხლის სამართლის ევროპული სასამართლოს შექმნის იდეა. მოგვიანებით, სისხლის სამართლის ევროპული სასამართლოს დაფუძნების ინიციატივა ჩანაცვლდა ექსტრადიციის ტრიბუნალის შექმნის სურვილით, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ქვაზი-ევროპული ინსტრუმენტის შემოღება წარუმატებლად დასრულდა.²⁴⁵

- 185 1985 წელს ევროპული ინტეგრაციის დონეზე აქტიური მსჯელობა მიმდინარეობდა საერთო ევროპული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის დასრულების თაობაზე, რაც თავის მხრივ, მოითხოვდა კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის შიდა სასაზღვრო შემოწმებების აკრძალვას. ამავე წელს ევროპულმა კომისიამ მოამზადა რეკომენდაციები, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებდა 1992 წელს საერთო ბაზრის დაფუძნებისა და სასაზღვრო კონტროლის აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადებისკენ.²⁴⁶ საერთო ბაზრის და-

2012, London, p. 44.

²⁴⁴ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 17.

²⁴⁵ იქვე.

²⁴⁶ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://aei.pitt.edu/1113/1/internal_market_wp_COM_85_310.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია:

ფუძნების მიზანი 1986 წელს აისახა ერთიან ევროპულ აქტში,²⁴⁷ რომელმაც კავშირის ფარგლებში პირველად შექმნა იუსტიციისა და შიდა საქმეებში პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმატის ჩანასახი.²⁴⁸ გამომდინარე იქიდან, რომ კავშირის ნევრ სახელმწიფოებში არ არსებობდა პოლიტიკური კონსენსუსი გადაადგილების თავისუფლების გამართვებისთან და სასაზღვრო შემოწმების აკრძალვასთან მიმართებაში, ამ საკითხის სუპრანაციონალურ განზომილებაში დარეგულირება ვერ მოხერხდა. სასაზღვრო კონტროლის ეტაპობრივად გაუქმების მიზანი დაისახა 1985 წლის შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციით²⁴⁹ მხოლოდ გერმანიას, საფრანგეთსა და ბენელუქსის ქვეყნებს შორის. კონვენციის 59-ე-66-ე მუხლები უშუალოდ ექსტრადიციას უკავშირდება. ისინი ადგენენ ექსტრადიციის ევროპული სისტემისგან განსხვავებულ რეჟიმს ექსტრადიციით თხოვნით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გადაგზავნასთან, სპეციალურობის წესთან, ამნისტირებულ დანაშაულში ბრალდებული/მსჯავრდებული პირის გადაცემასთან მიმართებაში. კავშირის ნევრი სახელმწიფოების მონაწილე-

30.08.2021).

²⁴⁷ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:11986U/TXT&from=EN> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁴⁸ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 18.

²⁴⁹ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:42000A0922\(02\)&from=en](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:42000A0922(02)&from=en) (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ობით, შენგენის 1985 წლის შეთანხმება არის პირველი მრავალმხრივი აქტი, რომელიც ექსტრადიციის ევროპული სისტემის ფარგლებში მათ შორის თანამშრომლობის მოდიფიკაციას ახორციელებდა.

- 186 ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით მოკრძალებული როლი შეასრულა მასტრიხტის ხელშეკრულებამ,²⁵⁰ მიუხედავად იმისა, რომ მისი ტექსტი ექსტრადიციისაზე არ მიუთითებს.²⁵¹ მან ევროპული ინტეგრაცია არსობრივად შეცვალა და დააფუძნა თანამშრომლობის სამ მიმართულებას, რომლებსაც შეუქმნა კოოპერაციის საერთო პოლიტიკური ინსტრუმენტი. მასტრიხტის ხელშეკრულებით გარდაქმნილი ევროპული ინტეგრაციის ინსტიტუციურ წყობას იურიდიულ ლიტერატურაში ადარებენ ბერძნული ტაძრის სტრუქტურას.²⁵² პირველი სვეტი გულისხმობდა სუპრანაციონალურ თანამშრომლობას ევროპული გაერთიანებების²⁵³ ფარგლებში, მეორე სვეტი ეხებოდა სა-

²⁵⁰ ხელმოწერილია 1992 წლის 07 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 1993 წლის 01 ნოემბერს, ხელშეკრულების თავდაპირველი ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:11992M/TXT&from=EN> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁵¹ Vennemann, N.: The European Arrest Warrant and Its Human Rights Implications, Heidelberg J. Of Int'l L., 2003, p. 106.

²⁵² Kaczorowska, A.: European Union Law, 2nd edition, New-York, 2011, p. 22; Plachta, M., Ballegoij, W.: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომში: Blekxtoon, R.: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 14; ჯიშკარიანი, ბ.: ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბილისი, 2011, გვ. 39.

²⁵³ ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება, ევროპული ეკონომი-

ერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას, ხოლო მე-სამე სვეტი – იუსტიციასა და შიდა საქმეებს. სამივე სვეტში თანამშრომლობის საერთო პოლიტიკური ინსტრუმენტი (ტაძრის სახურავი) იყო ევროკავშირი.

იუსტიციისა და შიდა საქმეების სფერო გულისხმობდა კავშირის ნევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას თავშესაფრის, იმიგრაციის პოლიტიკის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების მიმართულებით და სხვა. მასში გამოიყენებოდა მთავრობათაშორისი თანამშრომლობის მეთოდი, რომელიც ერთი მხრივ, ზღუდავდა ევროპული ორგანოების მონაწილეობას, მეორე მხრივ, ითვალისწინებდა ისეთი სამართლებრივი აქტების (დეკლარაციებისა და საერთო პოზიციების) მიღებას, რომლებსაც არ გააჩნდათ სუპრანაციონალური ბუნება.²⁵⁴ მასტრიხტის ხელშეკრულებით საფუძველი ჩაეყარა სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობას,²⁵⁵ რომელმაც თავის მხრივ, მოგვიანებით გავლენა იქონია ექსტრადიციის მიმართულებით კოოპერაციაზეც.

187

კური გაერთიანება, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება.

²⁵⁴ მასტრიხტის ხელშეკრულების K3 მუხლის მე-2 პარაგრაფი; *Neagu, N.: European (Criminal) Law v. National (Criminal) Law – A Two Street, LR, vol. 2, 2015, pp. 47-48.*

²⁵⁵ *Conway, G.: The Council of Europe as a Normative Backdrop to Potential European Integration in the Sphere of Criminal Law, Denning L.J., vol. 19, 2007, p. 124.*

1.2. ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების წარუმატებელი მცდელობა (1995-1996წწ.)

188 მასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ კავშირის წევრი სახელმწიფოების იუსტიციის მინისტრებმა ლიმელეტეს დეკლარაციით ექსტრადიციის პროცედურების გამარტივება ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადეს.²⁵⁶ იუსტიციისა და შიდა საქმეების საბჭო პირის გადაცემის პროცედურების გამარტივებას მხოლოდ ექსტრადიციის ევროპული სისტემის ფარგლებში განიხილავდა და სამ ძირითად საკითხს უკავშირებდა: 1. ექსტრადიციის თხოვნაზე სასამართლოს კონტროლის ფარგლების შეზღუდვას, 2. ექსტრადიციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში პოლიტიკური ხელისუფლების ინტერვენციის შესაძლებლობის შემცირებას; 3. პირის თანხმობის შემთხვევაში, მისი ექსტრადიციის პროცედურების გამარტივებას.²⁵⁷ ამ მიზნების რეალიზაციისათვის 1995 წელს მიღებულ იქნა კონვენცია ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ,²⁵⁸ ხოლო 1996 წელს ხელი მოეწერა ექსტრადიციასთან დაკავშირებულ კონვენციას.²⁵⁹

²⁵⁶ Vermeulen, G., VanderBeken, T.: Extradition in the European Union: State of the Art and Perspectives, 4, Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 1996, p. 207.

²⁵⁷ Vermeulen, G., VanderBeken, T.: New Conventions on Extradition in the European Union: Analysis and Evaluation, Dick. J. Int'l L., vol. 15, 1997, p. 275.

²⁵⁸ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:41995A0330\(01\):EN:HTML](https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:41995A0330(01):EN:HTML), (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁵⁹ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=LEGISSUM:I14015b&from=EN> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციის მიზანი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ფარგლებში თანამშრომლობის გამარტივებაა (პირველი მუხლი). იგი ექსტრადიციის მხოლოდ იმ შემთხვევას არეგულირებს, როდესაც პირი თანახმაა კავშირის სხვა ნევრი სახელმწიფოში გადაცემისთვის (მე-2 მუხლი). აღსანიშნავია, რომ ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში ასეთი მექანიზმი 2010 წელს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 დამატებითი პროტოკოლით დაინერგა.²⁶⁰

189

ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურა იწყება პირის დროებითი დაპატიმრების შესახებ თხოვნის მიღებით ან შენგენის საინფორმაციო სისტემაში პირის ძებნის თაობაზე ინფორმაციის განთავსებით. ორივე შემთხვევაში, ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენცია კავშირის ნევრ ქვეყნებს ათავისუფლებს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-12 მუხლით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებიგან (მე-3 მუხლი). პირი, როდესაც თანხმობას აცხადებს კავშირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემაზე, კონვენცია იმთავითვე ითვალისწინებს მისთვის ე.წ. სპეციალურობის წესის დაცვითი გარანტიის ჩამორთმევას (მე-9 მუხლი). თუმცა, კავშირის ნევრ ქვეყნებს მიეცათ კონვენციაზე ამ წესიგან განსხვავებული დათქმების გაკეთების შესაძლებლობა. იგი ადგენს 20-დღიან ვადას ექსტრადიციისათვის (მე-10 მუხლი). აქედან გამომდინარე, ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს

190

²⁶⁰ ხელმოწერილია 2010 წლის 10 ნოემბერს, ძალაშია 2014 წლის პირველი ივლისიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/212> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

მიერ პირის კავშირის სხვა წევრი ქვეყნისთვის გადაცემა (რეექსტრადიცია) აღარ საჭიროებს იმ ქვეყნის თანხმობას, რომლისგანაც პირი მას გადაეცა (მე-13 მუხლი).

- 191 კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გაითვალისწინეს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება და ექსტრადიციასთან დაკავშირებულ 1996 წლის კონვენციაში შეამცირეს პირის გადაცემის დამაბრკოლებელი და გამომრიცხავი გარემოებები, რომლებიც ეხება მოქალაქის გადაცემასა და პოლიტიკურ დანაშაულებს. ამ თვალსაზრისით, იგი მოცემული პერიოდისთვის იყო უნიკალური დოკუმენტი.²⁶¹
- 192 ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, ექსტრადიციასთან დაკავშირებული 1996 წლის კონვენციით პირდაპირ გამოირიცხა ექსტრადიციის თხოვნით გათვალისწინებული ქმედების პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულად განხილვა და ამ საფუძვლით პირის გადაცემაზე უარის თქმა (მე-3 მუხლი).²⁶² ამასთან, კონვენციამ შესაძლებელი გახადა მოქალაქეთა გადაცემის აკრძალვის ტრადიციული მიდგომისგან გამონაკლისის დაშვება, თუმცა, წევრ სახელმწიფოებს დაუტოვა დათქმის გაკეთების

²⁶¹ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 22.

²⁶² თუმცა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1977 წლის ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ცალკეულ დანაშაულებთან მიმართებაში წევრ სახელმწიფოებს მიეცათ დათქმების გაკეთების შესაძლებლობა და ე.წ. „პოლიტიკური დანაშაულის პრინციპის“ გავრცელება.

დისკრეცია.²⁶³ ევროპულმა პარლამენტმა კონვენციის ხელმოწერა ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის განვითარების დადებით დინამიკად შეაფასა, თუმცა, იმედგაცრუებელი დარჩა ნევრი სახელმწიფოებისთვის კონვენციაზე იმგვარი დათქმების გაკეთების შესაძლებლობის მიცემისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებდა მის პოზიტიურ ეფექტს. გარდა ამისა, ევროპულმა პარლამენტმა ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის კონვენციური ფორმატი არ მიიჩნია საკმარის ღონისძიებად კავშირის ნევრი სახელმწიფოების სისხლისამართლებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის.²⁶⁴ მან უკმაყოფილება ასევე გამოთქვა კონვენციის აღსრულებაზე ზედამხედველობის განმახორცილებელი მექანიზმის არ არსებობასთან დაკავშირებით.²⁶⁵

ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციითა და ექსტრადიციასთან დაკავშირებული 1996 წლის კონვენციით დაგეგმილი ცვლილებების მიუხედავად, მათი მეშვეობით კავშირის ფარგლებში ექსტრადიცი-

²⁶³ ავსტრიამ, გერმანიამ, საბერძნეთმა, დანიამ და ლუქსემბურგმა გააკეთეს დათქმები, რომლითაც კრძალავდნენ თავიანთი მოქალაქეების გადაცემას. ნიდერლანდების, პორტუგალიის, ფინეთისა და შვედეთის დათქმებით განისაზღვრა მოქალაქის გადაცემის პირობები, რომლებშიც საერთო მოთხოვნად დადგინდა სასჯელის მოხდის მიზნით პირის მშობლიურ სახელმწიფოში დაბრუნება. ვრცლად იხ.: *Plachta, M., Ballegooij, W.: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union*, ნაშრომში: *Blekxtoon, R.:* (ed.) *Handbook on the European Arrest Warrant*, Hague, 2004, pp. 22-23.

²⁶⁴ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+REPORT+A4-1997-0265+0+DOC+XML+V0//EN> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁶⁵ იქვე.

ის სფეროში თანამშრომლობა არასდროს გაღრმავებულა,²⁶⁶ მათ არ მოუხდენიათ რევოლუციური ეფექტი პირის გადაცემის პროცედურებზე.²⁶⁷ ისინი ძალაში არასდროს შესულან, რადგან კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს არ განუხორციელებია მათი რატიფიკაცია. ხსენებული კონვენციები მხოლოდ იმ წევრ სახელმწიფოებს შორის გამოიყენებოდა, რომლებმაც ერთი მხრივ, მოახდინეს მათი რატიფიკაცია, მეორე მხრივ, სარატიფიკაციო სიგელის კავშირის საბჭოში ჩაბარებისას ან მოგვიანებით თანხმობა განაცხადეს კონვენციების მათთან მიმართებაში გამოყენებაზე.

1.3. ჩარჩო-გადანყვეტილების როგორც ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის გამარტივების ნორმატიული ინსტრუმენტის შექმნა (19976)

194 ევროკავშირის შიდა ბაზრისა და შენგენის სივრცის ერთ-ერთ ფუნდამენტური პრინციპია პირის თავისუფალი გადაადგილების უფლება, რომელიც გულისხმობს კავშირის წევრ სახელმწიფოებში შიდა სასაზღვრო კონტროლის აკრძალვას. თავის მხრივ, სასაზღვრო შემონმების გარეშე პირების თავ-

²⁶⁶ *Sorcale, G.*: The Judicial Cooperation in Criminal Matters in the European Union — The Discipline of the European Arrest Warrant, Saarburken, 2016, p. 123; *Spencer, J. R.*: The European Arrest Warrant, Cambridge Y.B. Eur. Legal Stud., 2004, p. 203.

²⁶⁷ *Plachta, M.*: European Arrest Warrant: Revolution in Extradition? Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2003, p. 179.

ისუფალი გადაადგილების უფლებამ წარმოშვა კავშირის წევრ ქვეყნებში კრიმინალის თავისუფლად მოძრაობის შესაძლებლობაც.²⁶⁸ ევროპული სივრცის უსაფრთხოებისთვის 1997 წელს კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ამსტერდამის ხელშეკრულებას,²⁶⁹ რომელმაც ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივას ახალი იმპულსები შესძინა და ევროკავშირს გარკვეულწილად ე.წ. აპროქსიმაციის კომპეტენცია მიანიჭა.²⁷⁰ ხელშეკრულების ძირითად მიზანს წარმოადგენდა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა კავშირის მოქალაქეთა უსაფრთხოება (პირველი მუხლის მე-3 პარაგრაფი). ამ ამოცანის მისაღწევად ევროპული ინტეგრაციის მესამე სვეტში (იუსტიცია და შიდა საქმეები) მოაზრებული ცალკეული სფეროები (თავშესაფრის, იმიგრაციის პოლიტიკა, სამოქალაქო საქმეებზე თანამშრომლობა) აყვანილ იქნა ზეეროვნულ რანგში და მათზე გავრცელდა თანამშრომლო-

²⁶⁸ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 26; *Ostropolski, T.*: The Principle of Proportionality under the European Arrest Warrant — with an Excursus on Poland, *NEW J. EUR. CRIM. L.*, vol. 5, 2014, p. 168; *Niemesch, M.*: Aspects of CJEU case law regarding the European Arrest Warrant (EAW), *Law Annals Titu Maiorescu U.*, 2015, p. 178.

²⁶⁹ ხელმოწერილია 1997 წლის 02 ოქტომბერს, ძალაში შევიდა 1999 წლის 01 მაისს, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:11997D/TXT> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁷⁰ *De Bondt, W.*: The missing link between “necessity” and “approximation of criminal sanctions” in the EU, *EUR. CRIM. L. REV.*, 2014, p. 149.

ბის სუპრანაციონალური მეთოდი.²⁷¹ მესამე სვეტიცის დარგობრივი სფეროების დავინროების გამო, მისი დასახელება შეიცვალა და ეწოდა „პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე“. ამსტერდამის ხელშეკრულებამ წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის გამარტივება მიაკუთვნა სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური თანამშრომლობის განზომილებას.²⁷²

- 195 თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ჩამოყალიბება თავის მხრივ, სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური თანამშრომლობის ეფექტიანად რეალიზაციისთვის მოითხოვდა სათანადო სამართლებრივი ინსტრუმენტის შექმნას, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოება.²⁷³ მასტრიხტის ხელშეკრულებით დადგენილი მექანიზმი – საერთო ქმედება – ვერ უზრუნველყოფდა დასახული ამოცანის მიღწევას. აქედან გამომდინარე, ამსტერდამის ხელშეკრულებამ პირველად შექმნა ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ნორმატიული ინსტრუმენტი – ჩარჩო-გადაწყვეტილება. მისი უპირატესობა კონვენციასთან მიმართებაში ცალსახა იყო. კონვენციისგან განსხვავებით, ჩარჩო-გადაწყვეტილების ძალაში შესვლა არ მოითხოვდა კავშირის ყველა წევრი სახელ-

²⁷¹ Sorcale, G.: The Judicial Cooperation in Criminal Matters in the European Union — The Discipline of the European Arrest Warrant, Saarburken, 2016, p. 131.

²⁷² ამსტერდამის ხელშეკრულების 3 მუხლი.

²⁷³ Klimek, L.: European Arrest Warrant, London, 2015, p. 16; Chaves, M.: The Evolution of European Union Criminal Law (1957-2012), London, 2012, p. 109.

მნიფოს მიერ რატიფიკაციას.²⁷⁴ მისი ინიცირების უფლება-მოსილება მიენიჭა კავშირის წევრ სახელმწიფოსა და ევროპულ კომისიას,²⁷⁵ ხოლო მიღების კომპეტენცია გადაეცა კავშირის საბჭოს. ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებამდე, კავშირის საბჭოს დაეკისრა ევროპულ პარლამენტთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება.²⁷⁶

ჩარჩო-გადაწყვეტილება განსხვავებით კავშირის რეგულაციისგან, დირექტივისა და გადაწყვეტილებისგან, არ არის საკანონმდებლო აქტი. იგი სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის სფეროში მიიღებოდა.²⁷⁷ ჩარჩო-გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო იყო მასში განსაზღვრული მიზნის მიღწევასთან მიმართებაში. მას უშუალოდ მოქმედი და გამოყენებადი ბუნება, თვითშესრულებადი ხასიათი არ გააჩნდა. დირექტივის მსგავსად, ჩარჩო-გადაწყვეტილებაც საჭიროებდა მისი მიზნის ეროვნულ სამართალში „გადატანას“. ფორმებისა და მეთოდების შერჩევა კავშირის წევრ სახელმწიფოებზე იყო დამოკიდებული.²⁷⁸

196

²⁷⁴ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 27.

²⁷⁵ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი.

²⁷⁶ იქვე, 39-ე მუხლი.

²⁷⁷ ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებას აღარ ითვალისწინებს და სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დაახლოების მექანიზმად განიხილავს დირექტივას. იხ.: ლისაბონის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 67-ე პარაგრაფი.

²⁷⁸ *Sorcale, G.*: The Judicial Cooperation in Criminal Matters in the European Union — The Discipline of the European Arrest Warrant, Saarbuerken, 2016, p. 133.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ჩარჩო-გადაწყვეტილები
როგორც ნორმატიული ინსტრუმენტის შექმნამ მნიშვნელო-
ვანი როლი ითამაშა სისხლის სამართლის სფეროში, მათ შო-
რის ექსტრადიციის საკითხებზე ნევრ სახელმწიფოთა თა-
ნამშრომლობის გაღრმავების, კანონმდებლობის დაახლოების
თვალსაზრისით.²⁷⁹ თუმცა, ამსტერდამის ხელშეკრულების
ერთ-ერთ ხარვეზად სამართლიანად მიიჩნევა ჩარჩო-გად-
ანწყვეტილებების იმპლემენტაციაზე ევროპული კომისიისა და
ევროკავშირის საბჭოს ადექვატური საზედამხედველო კომ-
პეტენციის არ არსებობა.²⁸⁰ მართლმსაჯულების ევროპულ
სასამართლოსაც ამ მიმართულებით არ მინიჭებია საკმარისი
ძალაუფლება.²⁸¹ მას გააჩნდა მხოლოდ წინასწარი გადანყ-
ვეტილების პროცედურის²⁸² ფარგლებში ჩარჩო-გადაწყვე-
ტილების ნორმების ინტერპრეტაციისა და მათი კავშირის
დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან შესაბამისობის განხილ-
ვის უფლებამოსილება.²⁸³ ეს კომპეტენციაც მხოლოდ იმ შე-
მთხვევაში ექნებოდა, თუ ნევრი სახელმწიფო ამსტერდამის
ხელშეკრულებაზე გააკეთებდა დეკლარაციას და ევროკავში-

²⁷⁹ იქვე, 44.

²⁸⁰ *Denza, E.*: The Intergovernmental Pillars of the European Union, Oxford, 2002, p. 254.

²⁸¹ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 28.

²⁸² წინასწარი გადანწყვეტილების პროცედურასთან დაკავშირებით ვრ-
ცლად იხ.: *Kaczorowska, A.*: European Union Law, 2nd edition, New-York, 2011, pp. 256-295.

²⁸³ *Nilsson, H.G.*: 25 Years of Criminal Justice in Europe, EUR. CRIM. L. REV., 2012, p. 117.

რის სასამართლოს ამგვარ შესაძლებლობას მიანიჭებდა.²⁸⁴

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ საკუთარი პრაქტიკით ჩარჩო-გადაწყვეტილება მაქსიმალურად მიამსგავსა დირექტივას. მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა ჩარჩო-გადაწყვეტილების ფაქტობრივად სუპრანაციონალურ აქტად გარდაქმნისთვის. აქედან გამომდინარეა, რომ ლისაბონის ხელშეკრულებით²⁸⁵ სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის ნორმატიულ ინსტრუმენტად დირექტივა განისაზღვრა. თუმცა, ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ მიღებულმა ჩარჩო-გადაწყვეტილებებმა მოქმედების ძალა შეინარჩუნეს.

198

მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს *პუპინოს საქმეზე* მსჯელობა მოუწია ჩარჩო-გადაწყვეტილების ინტერპრეტაციის პრინციპებზე. მისი თქმით, ეროვნული ინსტიტუტი ან/და ორგანო ვალდებულია ეროვნულ სამართალში მაიმპლემენტირებელი აქტის ინტერპრეტაცია განახორციელოს ჩარჩო-გადაწყვეტილების ტექსტისა და მიზნების შეს-

199

²⁸⁴ კავშირის ათმა წევრმა სახელმწიფომ დეკლარაციით განაცხადეს, რომ ისინი თავიანთ ნებისმიერ ეროვნულ სასამართლოსა და ტრიბუნალს ანიჭებდნენ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის კომპეტენციას, ესპანეთმა ეს უფლება მხოლოდ უზენაეს სასამართლოს მიანიჭა, ხოლო ოთხ სახელმწიფოს (დანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და ირლანდია) დეკლარაცია არ გაუკეთებია.

²⁸⁵ ხელმოწერილია 2007 წლის 13 დეკემბერს, ძალაში შევიდა 2009 წლის 01 დეკემბერს, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12007L%2FTXT> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

აბამისად.²⁸⁶ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილება არის შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტი ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობისთვის.²⁸⁷ *მელონის საქმეზე* სასამართლოს მიერ დადგინდა ჩარჩო-გადაწყვეტილების პრიმატი ეროვნულ სამართლებრივ აქტებზე, მათ შორის წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზეც.²⁸⁸

1.4. პოლიტიკური კონსენსუსი სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივად აღიარებაზე (1998-2000წწ)

200 1998 წელს ევროპული საბჭოს კარდიფის სამიტზე კავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურებმა ხაზი გაუსვეს ტრანს-სასაზღვრო დანაშაულების წინააღმდეგ

²⁸⁶ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Maria Pupino [C-105/03], 47-ე პარაგრაფი.

²⁸⁷ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2007 წლის 03 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Advocaten voor de Wereld VZW, [C-303/05], 31-33-ე პარაგრაფები.

²⁸⁸ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], 59-ე პარაგრაფი. წინამდებარე საქმის ანალიზისთვის იხ.: *მირიანაშვილი, გ.*: წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე ევროკავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა მელონის საქმის მიხედვით, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 2018 (2), გვ. 123-128.

ბრძოლის მიმართულებით ეფექტიანი იუსტიციური თანამშრომლობის მნიშვნელობას, რომელიც მოითხოვდა ეროვნული სამართლებრივი სისტემების მჭიდროდ დაახლოებას.²⁸⁹ ევროპულმა საბჭომ მოუწოდა კავშირის საბჭოს ნევრი სახელმწიფოების სასამართლოების გადანაცვეტილებების ორმხრივად აღიარების მექანიზმის შემუშავებისკენ.²⁹⁰

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორმხრივი აღიარების პრინციპის სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ სასამართლო გადანაცვეტილებებზე გავრცელების ინიციატივა ეფუძნება კავშირის შიდა ბაზარში პროდუქციის თავისუფალ გადაადგილებასთან მიმართებაში იგივე პრინციპის მოქმედებას,²⁹¹ რომელიც მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ დადგინდა.²⁹² *მერფის,*

201

²⁸⁹ Cardiff European Council (15-16 June 1998) Presidency Conclusions, 39-ე პარაგრაფი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.europarl.europa.eu/summits/car1_en.htm (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

²⁹⁰ იქვე.

²⁹¹ *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 19; *Sorcale, G.*: The Judicial Cooperation in Criminal Matters in the European Union — The Discipline of the European Arrest Warrant, Saarburken, 2016, pp. 65-66.

²⁹² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1979 წლის 20 თებერვლის გადანაცვეტილება საქმეზე: *Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein*, [C-120/78]. ნინამდებარე გადანაცვეტილების მიხედვით, ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოში წარმოებული და დაფასობული პროდუქცია მისაღები უნდა იყოს კავშირის სხვა სახელმწიფოსათვის მიუხედავად იმისა, იგი აკმაყოფილებს თუ არა სხვა ნევრ ქვეყანაში არსებულ ტექნიკურ ან სხვა ტიპის მახასიათებლებს იგივე პროდუქტთან მიმართებაში. ეს პრინციპი მოგვიანებით გავრცელდა კავშირის შიდა ბაზრის სხვა თავისუფლებებზეც. ვრცლად *Kaczorowska, A.*: European Union Law, 2nd edition, New-York, 2011, p. 490.

და ესპის მიხედვით, ორმხრივი აღიარების პრინციპის ევროპულ სისხლის სამართალში ინტეგრაციით გაჩნდა ეროვნული სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციის გზით დაახლოების ალტერნატივა, რასაც შეეძლო ამ რთული ამოცანის მარტივად შესრულება,²⁹³ რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო მარტივად მიღწევადი იქნებოდა. კლიპის თქმით, ორმხრივი აღიარების პრინციპმა შესაძლებელი გახადა პროდუქციის მსგავსად, კავშირის ნევრ სახელმწიფოში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების თავისუფლად „გადაადგილება“, სხვა ნევრ ქვეყანაში არსებულ სტანდარტებთან შემოწმების გარეშე ვალიდურობა.²⁹⁴

202

კავშირის საბჭომ და ევროპულმა კომისიამ კარდიფის ევროპული საბჭოს სამიტის შედეგებზე რეაგირება იმავე წელსვე განახორციელეს. 1998 წლის 03 დეკემბერს მათ წარმოადგინეს ე.წ. „ვენის სამოქმედო გეგმა“,²⁹⁵ რომელიც ექსკლუზიურად თავისუფლების, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სივრცის შექმნის ეტაპებს ეხებოდა. სამოქმედო გეგმა, ამსტერდამის ხელშეკრულების ამოქმედებიდან არაუმეტეს ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებთან ერ-

²⁹³ *Murphy, C.C.*: The European Evidence Warrant: Mutual Recognition and Mutual (Dis)Trust, ნაშრომში: *Eckes, C., Konstadinides, T.*: (eds.) Crime within the Area of Freedom, Security and Justice: a European Public Order, Cambridge, 2011, p. 225; *Asp, P.*: Mutual Recognition and the development of Criminal Law Cooperation within the EU ნაშრომში: *Husabo, E.J., Standbakken, A.*: (eds.) Harmonization of Criminal Law in Europe, Oxford, 2005, p. 31.

²⁹⁴ *Klip, A.*: European Criminal Law: An Integrative Approach, 2nd edition, Portland 2012, p. 356.

²⁹⁵ ტექსტი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.refworld.org/docid/3f5341ce2.html> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

თად, მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციისა და ექსტრადიციასთან დაკავშირებული 1996 წლის კონვენციის ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ეფექტიან იმპლემენტაციას (45 (ც) პარაგრაფი), მეორე მხრივ, სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივად აღიარებისა და აღსრულებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტის შექმნის პროცესის დაწყებას (45 (ფ) პარაგრაფი).

1999 წელს ტამპერეს სამიტზე ევროპული საბჭო კვლავ მიუბრუნდა ევროპული ინტეგრაციის დონეზე თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის დაფუძნების საკითხს. წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურმა ლიდერებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ ორმხრივი აღიარების პრინციპი უნდა გამხდარიყო „სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური თანამშრომლობის ქვაკუთხედი“²⁹⁶ და გავრცელებულიყო არა მხოლოდ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე, ასევე, მის ყველა აქტზე. ამ პოზიციამ სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის მიმართულებით ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში შექმნა ახალი კონტექსტი²⁹⁷ და მყარი ფუნდამენტი.²⁹⁸

203

²⁹⁶ Tampere European Council (15-16 October 1999) Presidency Conclusions, 33-ე პარაგრაფი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.europarl.europa.eu/summits/tam_en.htm#union (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

²⁹⁷ *Plachta, M., Ballegoij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 28.

²⁹⁸ *Apap, J., Carrera, S.*: European Arrest Warrant: A Good Testing Ground for

ტამპერეს სამიტზე ევროპულმა საბჭომ ექსტრადიციასთან დაკავშირებით სამი პრიორიტეტული მიმართულება დაასახელა: 1. ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციისა და ექსტრადიციასთან დაკავშირებული 1996 წლის კონვენციის დროული რატიფიკაცია; 2. მსჯავრდებული პირების ექსტრადიციის ფორმალური პროცედურის მარტივი მექანიზმით ჩანაცვლება; 3. ექსტრადიციის პროცედურების გამარტივება საქმის სამართლიანი განხილვის უფლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.²⁹⁹ ზოგიერთი მეცნიერი მართებულად მიუთითებს, რომ ტამპერეს დასკვნაში გარკვეულწილად ურთიერთგამომრიცხავი პოზიციებია გამოხატული.³⁰⁰ მაქარელის აზრით, ზემოხსენებული კონვენციების რატიფიკაცია არათუ განაპირობებს ექსტრადიციის ფორმალური, ტრადიციული პროცედურების გაუქმებას, არამედ გამოიწვევს ასეთი მიზნის მიღწევას.³⁰¹ ამ მოსაზრებას კლიმეკი არ ეთანხმება, იგი თვლის, რომ ტამპერეს სამიტზე გამოიძებნა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელის ზოგადი მიმართულებები.³⁰² მი-

Mutual Recognition in the Enlarged EU? CEPS Policy Brief NO. 46, 2004, pp. 11-12.

²⁹⁹ Tampere European Council (15-16 October 1999) Presidency Conclusions, 35-ე პარაგრაფი.

³⁰⁰ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 29.

³⁰¹ *Mackarel, M.*: The European Arrest Warrant – the Early Years: Implementing and Using the Warrant, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2007, p. 43.

³⁰² *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 21; *Klimek, L.*: Surrender vs. Extradition: A Comparison Focused on Innovations of European Arrest Warrant, *ICLR*, vol. 11 (1), 2011, pp. 151-152.

უხედავად იმისა, რომ ტამპერეს პოლიტიკურ კონსენსუსს მნიშვნელოვანი როლი აქვს სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით, იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ჩანასახის წყაროდ. ამ პერიოდში ინტეგრაციის პოლიტიკური დღის წესრიგი ექსტრადიციის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას და საერთო მიდგომების დადგენას არ ითვალისწინებდა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს 2000 წლის დასასრულს კავშირის საბჭოს მიერ მომზადებული პროგრამა – სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს გადანყვეტილებების ორმხრივად აღიარების პრინციპის საიმპლემენტაციო ღონისძიებების შესახებ.³⁰³ პროგრამაში საუბარია ერთი მხრივ, მხოლოდ სულ მცირე ოთხ ყველაზე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან მიმართებაში გამოცემული დაპატიმრების ორდერის ავტომატურად აღსრულებასა და გადაცემაზე, მეორე მხრივ, მსჯავრდებული პირების გამარტივებული ფორმით ექსტრადიციაზე, რომელიც უნდა დაფუძნებოდა ექსტრადიციასთან დაკავშირებულ 1996 წლის კონვენციასა და ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციას. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებებს მე-2 რანგის პრიორიტეტული სტატუსი მიენიჭა.

³⁰³ Programme of Measures to Implement the Principle of Mutual Recognition of Decisions in Criminal Matters, OJ C 12/02 15/01/2001, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32001Y0115\(02\)&from=EN](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32001Y0115(02)&from=EN) (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

1.5. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ჩამოყალიბება – ექსტრადიციის პროცესის დეპოლიტიზაციის დასაწყისი (2001-2002წწ)

205 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის დაფუძნებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა.³⁰⁴ შეერთებულ შტატებზე თავდასხმა აღქმულ იქნა მთლიანად დასავლურ სამყაროზე თავდასხმად.³⁰⁵ 2001 წლის 19 სექტემბერს ევროპულმა კომისიამ მოამზადა დაკავების ევროპული ორდერისა და ნევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ ჩარჩო-გადამწყვეტილების პროექტი,³⁰⁶ რომელიც წარედგინა კავშირის საბჭოსა და ევროპულ პარლამენტს. პროექტის ერთ-ერთი მთავარ სულისკვეთებას წარმოადგენდა ექსტრადიციის „იუსტიციალიზაცია“.³⁰⁷ მისი მიღებით ხორციელდებოდა ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციისა და ექსტრადიციასთან და-

³⁰⁴ *Nohlen, N.: Germany: The European Arrest Warrant Case, Int'l J. Const. L., 2008, p. 153; Spencer, J. R.: The European Arrest Warrant, Cambridge Y.B. Eur. Legal Stud., 2004, p. 204.*

³⁰⁵ *Klimek, L.: European Arrest Warrant, London, 2015, p. 23; Jimeno-Bulnes, M.: The Enforcement of the European Arrest Warrant: A Comparison between Spain and the UK, Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2007, p. 263.*

³⁰⁶ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52001PC0522&from=EN> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³⁰⁷ *Plachta, M., Ballegooij, W.: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: Blekxtoon, R.: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 29.*

კავშირებული 1996 წლის კონვენციის უარყოფა. თუმცა, პროექტის ინიცირებულ ვერსიაში ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული თანამედროვე სისტემის ძირითადი მახასიათებლები სრულად არ იყო გათვალისწინებული (მაგ.: პირის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღება, ექსტრადიციის შემჭიდროებული ვადა და სხვ.).

2001 წლის 21 სექტემბრის ევროპული საბჭოს ექსტრაორდინალურ შეხვედრაზე წევრი სახელმწიფოების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ხარისხი არ იყო თავსებადი ევროპული ინტეგრაციის შედეგად კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბებულ ნდობის ხარისხთან და კავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილების პროექტის 2001 წლის 6-7 დეკემბერს მიღებისკენ მოუწოდეს.³⁰⁸ ამკარაა, რომ ევროპულმა საბჭომ, როდესაც ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის არასაკმარისად ვეფექტიანობაზე მიუთითა, ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციასთან და ექსტრადიციასთან დაკავშირებულ 1996 წლის კონვენციასთან ერთად, იგულისხმა ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, რომელიც იმ პერიოდისთვის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობისთვის იყო ძირითადი მექანიზმი.

ევროპულმა პარლამენტმა ჩარჩო-გადაწყვეტილების პროექტზე 40-მდე შენიშვნა გამოთქვა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდებოდა ჩარჩო-გადაწყვეტილების ტექსტში ძირ-

³⁰⁸ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.consilium.europa.eu/media/20972/140en.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ითადი უფლებების შესახებ დებულებების არ არსებობას.³⁰⁹ გარდა ამისა, პარლამენტმა კავშირის საბჭოს მოუწოდა ე.წ. გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურის³¹⁰ გამოყენებისკენ იმ შემთხვევაში თუ საბჭოს ფარგლებში კონსენსუსი ვერ იქნებოდა მიღებული.

208 ევროკავშირის საბჭოში 2001 წლის 6-7 დეკემბერს ჩარჩო-გადაწყვეტილების ტექსტთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების მინისტრებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. იტალია არ ეთანხმებოდა ორმხრივი დასჯის მოთხოვნის აკრძალვას 32 კატეგორიის დანაშაულზე და სურდა მისი 6-მდე შემცირება.³¹¹ იტალიის პრემიერ-მინისტრს განსაკუთრებული წინააღმდეგობა გააჩნდა კორუფციასა და თაღლითობასთან მიმართებაში ორმხრივი დასჯის პრინციპის გაუქმებაზე.³¹² ჩარჩო-გადაწყვეტილების პროექტის დაბლოკვის თავიდან ასაცილებლად საფრანგეთმა და ბელგიამ გამოთქვეს პროცე-

³⁰⁹ *Plachta, M., Ballegooij, W.*: The Framework Decision on the European Arrest Warrant and Surrender Procedures Between Members States of the European Union, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, pp. 34-36. *Plachta, M.*: European Arrest Warrant: Revolution in Extradition? *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2003, pp. 180-183.

³¹⁰ გაძლიერებული თანამშრომლობის პროცედურასთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: *მირიანაშვილი, გ.*: ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი, თბილისი, 2015, გვ. 17-19.

³¹¹ *Impalia, F.*: European Arrest Warrant in the Italian Legal System between Mutual Recognition and Mutual Fear within the European Area of Freedom, Security and Justice, *Utrecht L. Rev.*, 2005, pp. 57-58.

³¹² *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 25; *Marin, L.*: The European Arrest Warrant in the Italian Republic, *EUCONST*, 2008, pp. 252-253.

სის იტალიის გარეშე გაგრძელების ინიციატივა.³¹³ საბოლოო ჯამში, იტალია იძულებული გახდა დათანხმებოდა ჩარჩო-გადაწყვეტილების ტექსტს.³¹⁴ ევროპულ პარლამენტთან ხელახალი კონსულტაციის შემდეგ, კავშირის საბჭომ 2002 წლის 13 ივნისს მიიღო ჩარჩო გადაწყვეტილება³¹⁵ დაკავების ევროპული ორდერისა და ნევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ, რომელმაც კავშირის ნევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობისთვის პირველად შექმნა ევროპის საბჭოს სისტემისგან დამოუკიდებელი პრაქტიკულ-სამართლებრივი, დეპოლიტიზირებული ინსტრუმენტი.³¹⁶

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის დაფუძნების საჭიროებასთან, ეფექტიანობასთან და ფუნქციონირებასთან მიმართებაში მეცნიერების შეხედულებები განსხვავებულია. ალევრისა და ლიეფის აზრით, ევროპული ინტეგრაცია მზად არ იყო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ჩამოყალიბებისათვის და ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებით „ნაად-

209

³¹³ *Burgess, M., Vollaard, H.*: (eds.) *State Territoriality and European Integration*, 1st Edition, New-York, 2006, p. 238.

³¹⁴ *Marin, L.*: *The European Arrest Warrant in the Italian Republic*, EUCONST, 2008, pp. 252-253; *Kaunert, C.*: “Without the Power of Purse or Sword”: *The European Arrest Warrant and the Role of the Commission*, JEI, vol. 29 (4), 2007, pp. 401-404.

³¹⁵ ძალაშია 2004 წლის პირველი იანვრიდან, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32002F0584> (უკანასკნელად გადამონმეებულია: 30.08.2021).

³¹⁶ *Colson, R.*: *Domesticating the European Arrest Warrant: European Criminal Law between Fragmentation and Acculturation* ნაშრომი: *Colson, R., Field, S.*: (eds.) *EU Criminal Justice and the Challenges of Diversity: Legal Cultures in the Area of Freedom, Security and Justice*, Cambridge, 2016, p. 201.

რევად გადაიდგა შორეული ნაბიჯი“.³¹⁷ პლარტა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას პირის გადაცემის ჩვეულებრივ მოდელად განიხილავს და უარყოფს მის „რევიოლუციურ“ ხასიათს.³¹⁸ დინ-რაქსმანისთვის ეს სისტემა ექსტრადიციის სხვა მექანიზმების განვითარებისთვის სამაგალითოდ მიიჩნევა.³¹⁹ პროცედურული თვალსაზრისით, ჩარჩო-გადაწყვეტილება გაცილებით დახვეწილი ინსტრუმენტია, ვიდრე ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, იგი უფრო სრულყოფილად არეგულირებს ექსტრადიციის პროცედურებს და ამარტივებს პირების გადაცემას. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი ექსტრადიციის პროცესის ადამიანის ცალკეულ ძირითად უფლებებთან შეუსაბამობაა.³²⁰

2. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის პრინციპები

210

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა დაფუძნებულია ევროკავშირის სამართლის ზოგად და სპეციალურ (კონცეპტუალურ) პრინციპებზე, რომლებსაც არა მხოლოდ მისთვის,

³¹⁷ *Alegre, S., Leaf, M.*: Mutual recognition in Europe Judicial Cooperation – a step too far too soon? Case study: the European Arrest Warrant, EUR. L.J., 2004, p. 201.

³¹⁸ *Plachta, M.*: European Arrest Warrant: Revolution in Extradition? Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2003, pp. 190-194.

³¹⁹ *Deen-Racsmány, Z.*: Lessons of the European Arrest Warrant for Domestic Implementation of the Obligation to Surrender Nationals to the International Criminal Court, LJIL, 2007, pp. 167-191.

³²⁰ იხ.: თავი IV.

არამედ მთლიანად სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ევროპული რეჟიმისთვის სხვა პრინციპებთან ერთად კონსტიტუციური მნიშვნელობა გააჩნიათ.³²¹ ისინი ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ მოდელთან მიმართებაში ერთი მხრივ, აყალიბებენ კავშირის წევრ სახელმწიფოთა საერთო სამართლებრივ და ინსტიტუციურ მიდგომებს და მეორე მხრივ, მისი ეფექტიანობისთვის თვითონვე აწესებენ ეროვნული სამართლისა და პოლიტიკის დამოკიდებულების ფარგლებს. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემისთვის ამ პრინციპების შექმნა არის მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს აქტივიზმისა და შემდგომ უკვე კავშირის წევრი სახელმწიფოების კონსენსუსის შედეგი.

2.1. ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპები

ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპები მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ევროპული ინტეგრაციის დონეზე სხვადასხვა ეტაპზე, სფეროებში³²² თანამშრომლობის გაღრმავებისთვის განავითარა.³²³ ექსტრა-

211

³²¹ *Mitsilegas, V.*: Constitutional Principles of the European Community and European Criminal Law, Eur. J.L. Reform, vol. 8, 2006, p. 301.

³²² მაგალითად იხ.: *Emaus, J.*: The Interaction Between Mutual Trust, Mutual Recognition and Fundamental Rights in Private International Law in Relation to the EU's Aspirations Relating to Contractual Relations, EP, vol. 2, 2017, pp. 117-140.

³²³ თუმანიშვილი, გ., მირიანაშვილი, გ.: დაკავების ევროპული ორდე-

დიციის ქვაზი-ევროპული სისტემისთვის მათ გააჩნიათ დამფუძნებლური ხასიათი,³²⁴ იმყოფებიან მჭიდრო კავშირში,³²⁵ თუმცა აქვთ განსხვავებული შინაარსი.³²⁶ ამ პრინციპების მეშვეობით შესაძლებელია შეიქმნას და შენარჩუნდეს ისეთი სივრცე, რომელსაც არ ექნება ეროვნული საზღვრები,³²⁷ სადაც იარსებებს ყველა წევრ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კავშირის სამართლის შესაბამისად დაცვის პრეზუმფცია³²⁸ და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტანდარტის გამოყენებით საფრთხე არ შეექმნება კავშირის დონეზე ფორმირებული სისხლის სამარ-

რის შეუსრულებლობის ძირითადი და აქცესორული საფუძვლები, *ჟურნალი სამართალი*, 2018 (1), გვ. 161-162.

³²⁴ *Rusu, I., Rusu, M.B.*: The European Arrest Warrant, Romanian and European Legislation, Doctrine and Jurisprudence, 2013, p. 74.

³²⁵ *Marin, L.*: "Only You": The Emergence of a Temperate Mutual Trust in the Area of Freedom, Security and Justice and Its Underpinning in the European Composite Constitutional Order, EP, vol. 2, 2017, p. 142; შეად.: *Pollicino, O.*: European Arrest Warrant and Constitutional Principles of the Member States: a Case Law-Based Outline in the Attempt to Strike the Right Balance between Interacting Legal Systems, German L.J., 2008, pp. 1319-1320.

³²⁶ შეად.: *Cambien, N.*: Mutual Recognition and Mutual Trust in the Internal Market, EP, vol. 2, 2017, p. 94.

³²⁷ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Ruslanas Kovalkovas*, [C 477/16], 27-ე პარაგრაფი; მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218 (11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 191-ე პარაგრაფი.

³²⁸ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე: *N.S.* [C-411/10], *Secretary of State for the Home Department and M. E.* [C-493/10], 78-ე-მე-80 პარაგრაფები.

თლის საქმეებზე თანამშრომლობის ინსტრუმენტის ეფექტიანობის იმპლემენტაციას.³²⁹

2.1.1. ორმხრივი ნდობის პრინციპი

სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა იმთავითვე გულისხმობს სახელმწიფოებს შორის გარკვეულ ნდობას. თუმცა, იგი მათ არ აკისრებს „ბრმად“, უპირობოდ თანამშრომლობის ვალდებულებას.³³⁰ ეს პრინციპი ექსტრადიციის ყველა მექანიზმის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ, ყველა ამ სისტემაში თანაბარი ხარისხით არ არსებობს. ორმხრივი ნდობის პრინციპის ფარგლები გარკვეულწილად დამოკიდებულია ექსტრადიციის სისტემის მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობასა და მათ შორის ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირზე. იგი არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ექსტრადიციის სისტემის ეფექტიანობას პირის გადაცემის დამაბრკოლებელი და გამომრიცხველი საფუძვლების შემცირების ხარჯზე.³³¹ ყველაზე მკაფიო განსხვავება ექსტრადიციის ევროპულ და ქვაზი-ევროპულ სისტემებს შორის, სახელმწიფოთა ნდო-

212

³²⁹ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], მე-60 პარაგრაფი.

³³⁰ Klimek, L.: European Arrest Warrant, London, 2015, p. 74.

³³¹ De Groot, S.: Mutual Trust in (European) Extradition Law, ნაშრომი: *Bleektoorn, R.*: (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2005, pp. 34-36; *Plachta, M.*: European Arrest Warrant: Revolution in Extradition? Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2003, pp. 90-96.

ბის ხარისხშია. კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აქედან გამომდინარე გადაწყვიტეს ექსტრადიციის ევროპული სისტემისგან იზოლირებული, ნდობის მაღალ ხარისხზე დაფუძნებული მექანიზმის შექმნა,³³² სადაც ექსტრადიციის დაბლოკვის გარემოებები მინიმუმამდეა დაყვანილი.³³³ თუმცა, „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო გადაწყვეტილების ტექსტი ორმხრივი ნდობის პრინციპის შესახებ ნორმას პირდაპირ არ შეიცავს. იგი ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის დამფუძნებლური პრინციპია და მის პრეამბულაშია ხაზგასმული.³³⁴

- 213 ექსტრადიციის კონტექსტში ორმხრივი ნდობის პრინციპი კავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებს შორის ძირითადი უფლებების დაცვასთან მიმართებაში აყალიბებს ნდობის ფართო მასშტაბს. იგი კრძალავს კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში ერთი მხრივ, ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტის ეფექტიანობასა და ხარისხში ეჭვის შეტანას,³³⁵ მეორე მხრივ, სისხლისსამართლებრივ საქ-

³³² *Van Sliedregt, E.*: The European Arrest Warrant between Trust, Democracy and Rule of Law, Introduction, the European Arrest Warrant: Extradition in Transition, EUCONST, 2007, p. 248.

³³³ *Turner, J.*: Interstate Conflict and Cooperation in Criminal Cases: An American Perspective, EUR. CRIM. L. REV., 2014, p. 128.

³³⁴ იხ.: „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო გადაწყვეტილების პრეამბულის მე-10 აბზაცი.

³³⁵ *Billing, F.*: The Parallel Between Non-removal of Asylum Seekers and Non-execution of a European Arrest Warrant on Human Rights Grounds: The CJEU Case of N.S. v. Secretary of State for the Home Department, EUR.

მეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების, აუცილებლობის, პროპორციულობის შემოწმებას.³³⁶ ორმხრივი ნდობის პრინციპი მოითხოვს, რომ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან, მათ შორის პირის გადაცემასთან დაკავშირებით, კავშირის წევრმა სახელმწიფომ გადაუდებელი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სხვა წევრი სახელმწიფოს მოქმედებები იმთავითვე მიიჩნიოს კავშირის სამართლით აღიარებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესაბამისად,³³⁷ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოქმედებების შედეგი შესაძლებელია სხვაგვარი ყოფილიყო ამ სახელმწიფოში.³³⁸

ორმხრივი ნდობის პრინციპი გულისხმობს კავშირის წევრი სახელმწიფოს რწმენას, რომ წინასაექსტრადიციო და პოსტსაექსტრადიციო პროცედურებში სხვა წევრმა ქვეყანამ დაიცვა (დაიცავს) პირის ძირითადი უფლებები. ფაქტობრივად ასეთი რწმენა ქმნის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ძირითადი უფლებების სათანადოდ დაცვის პრეზუმფციას და არ საჭიროებს ექსტრადიციის ლეგიტიმაციის შემოწმებას. ორმხრივი ნდობის პრინციპის ამგვარი გაგება უცხოა ექსტრადიციის ევროპული სისტემისთვის, სადაც სახელმ-

214

CRIM. L. REV., 2012, p. 78.

³³⁶ Klimek, L.: *European Arrest Warrant*, London, 2015, p. 75.

³³⁷ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Aranyosi and Căldăraru, [C-404/15 and C-659/15], 78-ე პარაგრაფი.

³³⁸ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Hüseyin Gözütok and Klaus Brügge [C-385/01 and C-187/01], 33-ე პარაგრაფი.

ნიფოები ყოველმხრივ განიხილავენ პირის გადაცემის დასაშვებობის საკითხს.

- 215 ორმხრივი ნდობის პრინციპი გამომდინარე იქიდან, რომ უფრო პოლიტიკური კონცეფციაა, ვიდრე სამართლებრივი ინსტრუმენტი, იურიდიულ ლიტერატურაში საერთო კრიტიკას იმსახურებს მისი სამართლებრივი დეფინიციის არ არსებობა. *ჰერლინ-კარნელი* ამ პრინციპის დეკონცეპტუალიზაციას ევროპული სისხლის სამართლის „ცარიელ ადგილად“, „ღია საკითხად“ მიიჩნევს.³³⁹ *ფიჩერას აზრით*, ორმხრივი ნდობის პრინციპი თუ კონცეფციის მიღმა, ექსტრადიციის პრაქტიკაში ნევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს, იგი უნდა გულისხმობდეს პირის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის ჰომოგენურობას, რომელიც კულტურული, ლინგვისტური თუ სამართლებრივი სისტემების განსხვავებულობის მიუხედავად, აღიარებს კავშირის სხვა ნევრი ქვეყნის მართლმსაჯულების პროდუქციის ლეგიტიმაციას.³⁴⁰
- 216 ორმხრივი ნდობის პრინციპის ლეგალურად დეფინირება ევროპული ინტეგრაციის დღევანდელი სამართლებრივი კონფიგურაციისთვის რთულად რეალიზებადი ამოცანაა. საკითხის კომპლექსურობას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი. *პირველი*, ნევრ სახელმწიფოებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საკმარისი ნდობა ერთმანეთის სამართლებრივი სისტემის, ძირითად უფლებათა დაცვის ეროვნული სტანდარტების მიმართ. *მეორე*, აბსოლუტური რწმენა, რომ სისხლის სამართ-

³³⁹ *Herlin-Karnell, E.*: From Mutual Trust to the Full Effectiveness of EU Law: 10 years of the European Arrest Warrant, ECL, 2013, p. 383.

³⁴⁰ *Fichera, M.*: The Implementation of the European Arrest Warrant in the European Union: Law, Policy and Practice, Edinburgh, 2009, pp. 191-192.

ლის საქმეებზე სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი არის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის იდენტური, ენინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. შესაბამისად, ორმხრივი ნდობის პრინციპის არსისა და მოქმედების ფარგლების განსაზღვრა მთლიანად მინდობილია მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოზე, რომელმაც გონივრული ბალანსი უნდა დაამყაროს ამ პრინციპის შინაარსსა და ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტების სულ მცირე შენარჩუნებას შორის.

2.1.2. ორმხრივი აღიარების პრინციპი

ორმხრივი აღიარების პრინციპი ევროპული მართლმსაჯულების სივრცის ფუნდამენტური კონცეფციაა.³⁴¹ მას კავშირის ნევრი სახელმწიფოების ნდობა უდევს საფუძვლად. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობა მთავრობათაშორის ფორმატში ხორციელდება, ორმხრივი ნდობის პრინციპი სუპრანაციონალური განზომილების ნაწილია.³⁴² სისხლის სამართლის სფეროზე მისი გავრცელების მიზანი იყო კავშირის ნევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის

217

³⁴¹ *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 69.

³⁴² *Delmas-Marty, M.*: Towards an Integrated European Criminal Law, Cambridge Y.B. Eur. Legal Stud., vol. 7, 2005, p. 20.

ალტერნატიული,³⁴³ უმტკივნეულო ინსტრუმენტის შექმნა.³⁴⁴ ექსტრადიცია სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის პირველი ფორმაა, რომელზეც ეს პრინციპი გავრცელდა.³⁴⁵

- 218 ორმხრივი აღიარების პრინციპის ფარგლებში კავშირის ერთი ნევრი სახელმწიფო ვალდებულია სისხლის სამართლის საქმეზე აღმოუჩინოს მაქსიმალური სამართლებრივი დახმარება კავშირის სხვა ნევრ სახელმწიფოს,³⁴⁶ თუმცა ამ პროცესში იგი უზრუნველყოფს კავშირის ნევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემის სუბსტანციური ნაწილის ხელშეუხებლობას.³⁴⁷ ორმხრივი აღიარების პრინციპი ერთი მხრივ, ეროვნულ სასამართლოებს შორის აყალიბებს ორმ-

³⁴³ *Asp, P.*: Mutual Recognition and the development of Criminal Law Cooperation within the EU ნაშრომი: *Husabo, E.J., Standbakken, A.*: (eds.) Harmonization of Criminal Law in Europe, Oxford, 2005, p. 31; *Fichera, M.*: The European Arrest Warrant and the Sovereign State: A Marriage of Convenience?, *ELJ*, vol. 15, 2009, p. 75.

³⁴⁴ *Murphy, C.C.*: The European Evidence Warrant: Mutual Recognition and Mutual (Dis)Trust, in: *Eckes, C., Konstadinides, T.*: (eds.) Crime within the Area of Freedom, Security and Justice: a European Public Order, Cambridge, 2011, p. 225

³⁴⁵ „დაკავების ევროპული ორდერისა და ნევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადანყვეტილების პრეამბულის მე-6 აბზაცი.

³⁴⁶ *Borgers, M. J.*: Mutual Recognition and the European Court of Justice, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2010, p. 1.

³⁴⁷ ორმხრივი დასჯის პრინციპის ფარგლებზე იხ.: *Suominen, A.*: Limits of Mutual Recognition in Cooperation in Criminal Matters within the EU – especially in Light of Recent Judgments of both European Courts, *EUR. CRIM. L. REV.*, 2014, pp. 210-235; *Möstl, M.*: Preconditions and Limits of Mutual Recognition, *CML Rev.*, 2010, pp. 405–436.

რივ ნდობას, მეორე მხრივ, მათ აკისრებს ლოიალური თანამშრომლობის ვალდებულებას.³⁴⁸

აღნიშნული პრინციპი კავშირის წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს სისხლის სამართლის საქმესთან, მაგალითად მტკიცებულებების, ბრალდებულის გადაცემასთან, მსჯავრდებულის ექსტრადიციასთან, კონფისკაციასთან დაკავშირებით სხვა წევრი ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილება მიუხედავად „უცხოური“ წარმოშობისა, ავტომატურად აღიაროს ლეგიტიმურად და ვერიფიკაციის გარეშე, მისი სრულად აღსრულების მიზნით განახორციელოს სათანადო მოქმედებები.³⁴⁹ იგი ფაქტობრივად ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებას ანიჭებს „ექსტრატერიტორიულ“ ბუნებას.³⁵⁰ კავშირის წევრმა სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ეროვნული კანონმდებლობის იმგვარად ფორმირებისგან, მოდერნიზებისგან, რომელიც საფრთხეს შეუქმნის სხვა წევრი ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების შესრულებას.

ევროპული სამართლის მეცნიერები ხშირად აკრიტიკებენ ორმხრივი ნდობის მექანიზმს სხვადასხვა კონტექსტში. მათი

³⁴⁸ იხ.: *Larsen, L.B.*: Some Reflections on Mutual Recognition in the Area of Freedom, Security and Justice, ნაშრომი: Cardonnel, P., Rosas, A., Wahl, N.: (eds.) *Constitutionalising the EU Judicial System: Essays in Honour of Pernilla Lindh*, Oxford, 2012, p. 148.

³⁴⁹ *Klimek, L.*: *European Arrest Warrant*, London, 2015, p. 72.

³⁵⁰ *Taupiac-Nouvel, G.*: The Principle of Mutual Recognition in Criminal Matters: a New Model of Judicial Cooperation within the European Union, *EUR. CRIM. L. REV.*, 2012, p. 241; *Marin, L.*: European Arrest Warrant and Domestic Legal Orders. Tensions between Mutual Recognition and Fundamental Rights: The Italian Case, *MJECCL*, 2008, p. 482.

ნეგატიური განწყობა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ორმხრივი ნდობის პრინციპის შეუთავსებლობას ადამიანის ძირითად უფლებებთან. კალდერონის აზრით, ორმხრივი ნდობის პრინციპის მსგავსად, ეს პრინციპიც თეორიული ხასიათისაა და პრაქტიკაში რთულად რეალიზდება.³⁵¹ მიცილეგასი,³⁵² ერბეზნიკი³⁵³ და მარინი³⁵⁴ თვლიან, რომ უცხო სასამართლოს გადაწყვეტილებების პირდაპირი აღიარება ეწინააღმდეგება წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციით აღიარებულ ზოგიერთ უფლებასა და სისხლის სამართლებრივი კანონის განჭვრეტადობის პრინციპს და აქედან გამომდინარე იგი საჭიროებს ძირითადი უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ მექანიზმად გარდაქმნას. მიოსტლი ორმხრივი აღიარების პრინციპის აშკარა პრობლემად განიხილავს სამართლიანი ბალანსის დამყარების შეუძლებლობას ინდივიდუალურ თავისუფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის.³⁵⁵ სიევერსის კრიტიკა უკავშირდება ამ პრინციპის არასრულყოფილებას. მისი შეფასებით, სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარებისთვის საკმარისი არ

³⁵¹ *Calderoni, F.*: Organized Crime Legislation in the European Union: Harmonization and Approximation of Criminal Law, National Legislations and the EU Framework Decision on the Fight against Organized Crime, New-York, 2010, p. 17.

³⁵² *Mitsilegas, V.*: The Constitutional Implications of Mutual Recognition in Criminal Matters in the EU, CML Rev., 2006, p. 1288.

³⁵³ *Erbežnik, A.*: The Principle of Mutual Recognition as a Utilitarian Solution, and the Way Forward, EUR. CRIM. L. REV., 2012, p. 15.

³⁵⁴ *Marin, L.*: European Arrest Warrant and Domestic Legal Orders. Tensions between Mutual Recognition and Fundamental Rights: The Italian Case, MJECL, 2008, p. 782.

³⁵⁵ *Möstl, M.*: Preconditions and Limits of Mutual Recognition, CML Rev., 2010, p. 407.

არის მხოლოდ წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობა, დამატებით აუცილებელია: 1. სხვა წევრი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი სისტემის ექვივალენტურად განხილვა, 2. კავშირის წევრი ქვეყნების სისხლისსამართლებრივი სისტემების თავსებადობა და 3. ეროვნული სასამართლოების ინსტიტუციური თვალსაზრისით მხარდაჭერა.³⁵⁶

221

ექვივალენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის უნდა არსებობდეს არა მხოლოდ ურთიერთნდობა, არამედ საერთო ევროპული მიზნების მისაღწევად ეროვნულმა სასამართლომ სხვა წევრი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი სისტემა, იურიდიული ტრადიციები, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები უნდა მიიჩნიოს საკუთარი ქვეყნის ექვივალენტად.³⁵⁷

222

თავსებადობის კრიტერიუმის თანახმად, კავშირის წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემები ფორმალური და პროცედურული თვალსაზრისით უნდა იყვნენ თავსებადი. ასეთ შემთხვევაში თავიდან იქნება აცილებული მათ შორის კოლიზია.³⁵⁸ შეიძლება ითქვას, რომ სიევერსი თავსებადობის კრიტერიუმის განვითარებით ორმხრივი ნდობის პრინციპის სრული რეალიზაციისთვის მიანიშნებს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საჭიროებაზე.

ეროვნული სასამართლოების ინსტიტუციური მხარდაჭერა

223

³⁵⁶ Sievers, J.: Managing diversity: The European Arrest Warrant and the potential of mutual recognition as a mode of governance in EU Justice and Home Affairs, Conference Paper presented at the EUSA Tenth Biennial International Conference, Montréal, 17 – 19 May 2007, pp. 8-9.

³⁵⁷ იქვე, p. 8.

³⁵⁸ იქვე, p. 9.

უნდა განხორციელდეს კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ სისტემებზე ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, იურისდიქციასთან დაკავშირებული კოლიზიური შემთხვევების მოგვარების, ეროვნული სამართლებრივი ნორმების შეუთავსებლობის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით.³⁵⁹ სიევერსიამ კონტექსტში გულისხმობს ევროიუსტიცისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ევროპული ქსელის აქტიურ როლს იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებით.

2.2. ეროვნული სამართლის ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად განმარტების პრინციპი

224 კავშირის წევრ სახელმწიფოებს ეროვნული სამართლის ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან თავსებადად ინტერპრეტაციის ვალდებულება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ *პუპინოს საქმეზე* მიღებული გადაწყვეტილებით დაეკისრათ.³⁶⁰ მნიშვნელოვანია ითქვას, რომ სასამართლოს წინაშე განსახილველი საკითხი გამომდინარეობდა „დაზარალებულის სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის შესახებ“ კავშირის საბჭოს 2001 წლის 15 მარტი ჩარჩო-გადაწყვე-

³⁵⁹ იქვე.

³⁶⁰ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Maria Pupino [C-105/03].

ტილებიდან³⁶¹ და კავშირი არ ჰქონდა ექსტრადიციასთან. თუმცა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ჩარჩო-გადაწყვეტილებას როგორც იუსტიციურ სფეროში, მათ შორის ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის ნორმატიულ ინტერუმენტს, დირექტივის მსგავსად, მიენიჭა არაპირდაპირი მოქმედების ძალა, რაც გამოიხატება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განმარტებაში.³⁶² სასამართლოს თქმით, ასეთი ვალდებულებისგან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც: 1. *ეროვნული სამართლის ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად ინტერპრეტაცია გამოიწვევს სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპისა და სისხლის სამართლის კანონის უკუძალის პრინციპის ხელყოფას*; 2. *ეროვნული სამართლის ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისი განმარტების შედეგი იქნება ეროვნული სამართლის contra legem ინტერპრეტაცია*.³⁶³ ეროვნულმა სასამართლოებმა შიდასახელმწიფოებრივი ნორმების ჩარჩო-გადაწყვეტილების თავსებადად განმარტების პროცესში აგრეთვე უნდა გაითვალისწინონ ძირითადი უფლებები და თავისუფ-

³⁶¹ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32001F0220&from=EN> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021). ჩარჩო-გადაწყვეტილება 2012 წელს ჩანაცვლდა „დაზარალებულის დაცვის, მხარდაჭერისა და უფლებების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ევროპული პარლამენტისა და კავშირის საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივით.

³⁶² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Maria Pupino [C-105/03], 43-ე პარაგრაფი.

³⁶³ იქვე, 44-ე-45-ე და 47-ე პარაგრაფები.

ფლებები და თავადვე უნდა დაამყარონ რაციონალური ბალანსი ეროვნულ და ევროპულ განზომილებებს შორის.³⁶⁴

- 225 პუპინოს პრეცედენტით მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ პოლიციისა და იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობის განზომილებაზე გაავრცელა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფით აღიარებული ე.წ. ლოიალური (გულწრფელი) თანამშრომლობის პრინციპი. ხსენებული პრინციპით კავშირის წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება ევროპული ინტეგრაციის მესამე სვეტის ფარგლებში მიღებული აქტის (მათ შორის ექსტრადიციასთან დაკავშირებით) იმპლემენტაცია განახორციელონ კეთილსინდისიერად, დასახული მიზნების შესაბამისად და იმგვარად იმოქმედონ, რომ ზიანი არ მიადგეს პოლიციისა და იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობის რომელიმე განზომილებაში კოოპერაციას.

2.3. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სამართლის ეროვნულ სამართალზე უპირატესობის პრინციპი

- 226 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს განგრძობადად ჩამოყალიბებული პრაქტიკითა³⁶⁵ და ეროვნული სა-

³⁶⁴ იქვე, მე-60 პარაგრაფი.

³⁶⁵ მაგ. იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადანიშნულებები საქმეებზე: *Flaminio Costa v E.N.E.L.* [C-6-64]; *Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr- und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel* [C-11-70]; *The Queen v Secretary of State for Transport, ex parte: Factortame Ltd and others* [C-213/89]; *Opinion 2/13 pursuant to*

სამართლოების კონსენსუსით³⁶⁶ ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებსა და საკანონმდებლო აქტებს³⁶⁷ ეროვნულ სამართალთან მიმართებაში იერარქიული უპირატესობა გააჩნიათ.³⁶⁸ ნევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება

Article 218 (11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties.

³⁶⁶ ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: Judgment EAW, 03.05.2006, ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=974>, (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021); პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: P-1/05 (Judgment), EAW, 27.04.2005, ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=976>, (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021); გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები: BVerfG, Order of the Second Senate of 15, ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2015/12/rs20151215_2bvr273514en.html, (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021); BVerfGE 73, 339 2 BvR 197/83 Solange II, ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv0733339.html>, (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021). BVerfGE 37, 271 2 BvL 52/71 Solange I, ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv0372721.html>, (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

³⁶⁷ ევროკავშირის პირველად და მეორეულ აქტებზე ვრცლად იხ.: ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 61-73.

³⁶⁸ აღსანიშნავია, რომ ევროპული კონსტიტუციის პროექტის მე-10 მუხლი პირდაპირ ადგენდა, რომ ევროპულ კონსტიტუციასა და ევროკავშირის სხვა სამართლებრივ აქტებს, რომელიც მიღებულია

ერთი მხრივ, საკუთარი სამართლებრივი ნორმები განმარტონ კავშირის პირველად და მეორეულ სამართალთან თავსებადად, მეორე მხრივ, ეროვნული და ევროპული აქტების კოლიზიის შემთხვევაში, იმოქმედონ ევროპული აქტის შესაბამისად.³⁶⁹

- 227 წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „სტეფანო მელიონი ესპანეთის გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ“,³⁷⁰ წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობაზე ევროკავშირის სამართლის მოქმედების უპირატესობის დოქტრინა გაავრცელა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში, მათ შორის ექსტრადიციასთან დაკავშირებით მიღებულ აქტებზე – ჩარჩო-გადაწყვეტილებებზეც. ეს საქმე უკავშირდებოდა იტალიაში ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლების შედეგად მიღებული გამამტყუნებელი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მსჯავრდებულის ესპანეთის მიერ იტალიისთვის გადაცემას, სადაც იგი ვერ ისარგებლებდა ხელახალი გასამართლების ან განაჩენის გადასინჯვის უფლებით. მელიონის მიაჩნდა, რომ ასეთ პირობებში მისი იტალიაში ექსტრადი-

კავშირი კომპეტენციების შესაბამისად, გააჩნიათ უპირატესობა კავშირის წევრი სახელმწიფოების სამართალთან, მათ შორის კონსტიტუციასთან მიმართებაში. იხ.: https://europa.eu/european-union/sites/europa.eu/files/docs/body/treaty_establishing_a_constitution_for_europe_en.pdf, (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

³⁶⁹ Conway, G.: Judicial Interpretation and the Third Pillar — Ireland’s Acceptance of the European Arrest Warrant and the Gozutok and Brugge Case, EUR. J. CRIME CRIM. L. & CRIM. JUST., 2005, pp. 269-270.

³⁷⁰ წინამდებარე საქმის ანალიზისთვის ვრცლად იხ.: თავი IV, §2.

ცია არღვევდა ესპანეთის კონსტიტუციით აღიარებულ ღირსების უფლებასა და საქმის სამართლიანად განხილვის უფლებას და ეწინააღმდეგებოდა ამ უფლებების კონტექსტში ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასაც.³⁷¹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს თქმით, ევროკავშირის სამართლის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ეროვნული სამართლის, მათ შორის კონსტიტუციურ ნორმას არ შეუძლია საფრთხე შეუქმნას, ხელყოს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის, მათ შორის ჩარჩო-გადაწყვეტილების მოქმედება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.³⁷² მიუხედავად იმისა, რომ „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ 2002 წლის ჩარჩო-გადაწყვეტილებას სუპრანაციონალური სტატუსი არ გააჩნია, კავშირის წევრი სახელმწიფო ვალდებულია ექსტრადიციის პროცესში იმოქმედოს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის შესაბამისად იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი ქმედებით შეიძლება დაარღვიოს საკუთარი ეროვნული აქტი, მათ შორის კონსტიტუცია.

³⁷¹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], მე-20 პარაგრაფი.

³⁷² იქვე, 59-ე პარაგრაფი.

3. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ზოგადი მახასიათებლები

228 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა გამოირჩევა პირის გადაცემის ტრადიციული მექანიზმებისგან. იგი არის ექსტრადიციის სფეროში მრავალმხრივი და ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მოდელების ერთგვარი ჰიბრიდი, რომელიც ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის განზომილების ტრანსფორმაციამ განაპირობა.³⁷³ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელი უფრო მეტად ექსტრადიციის ევროპული სისტემის მოდერნიზებული ინსტრუმენტია, ვიდრე პირის გადაცემის ახალი, ინოვაციური მექანიზმი.³⁷⁴ თუმცა, ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის თვალსაზრისით, იგი არ არის ექსტრადიციის სკანდინავიური რეჟიმის ექვივალენტი.³⁷⁵ მას ხსენებული ორივე სისტემისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს იმ დოზით, რაზედაც კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური კონსენსუსი შედგა.

³⁷³ *Fichera, M.*: The Implementation of the European Arrest Warrant in the European Union: Law, Policy and Practice, Edinburgh, 2009, p. 81.

³⁷⁴ შუად.: *Plachta, M.*: European Arrest Warrant: Revolution in Extradition? Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2003, pp. 178-194.

³⁷⁵ ექსტრადიციის სკანდინავიურ სისტემაზე იხ.: *Standbakken, A.*: Extradition between Nordic Countries, and the new Nordic Arrest Warrant naSromSi: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.*: (eds.) the European Arrest Warrant in Practice, Hague, 2009, pp. 363-376; *Mathisen, G.*: Nordic Cooperation and the European Arrest Warrant: Intra-Nordic Extradition, the Nordic Arrest Warrant and Beyond, *Nordic J. Int'l L.*, 2010, pp. 1-33.

ექსტრადიციის ევროპულ და ქვაზი-ევროპულ სისტემებს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განასხვავებს, რაც თავის მხრივ, ევროკავშირის ფარგლებში პირის გადაცემის პროცედურებს ხდის უფრო ეფექტიანს. 229

ექსტრადიციის ევროპული სისტემისგან მას უპირველეს ყოვლისა კავშირის წევრი სახელმწიფოების მჭიდრო პოლიტიკური, სამართლებრივი და ლირებულებითი კავშირი განასხვავებს, რომელიც ევროპულ იდენტობაზე, სოლიდარობასა და ორმხრივ ნდობაზეა დაფუძნებული (*სახელმწიფოთაშორისი იდენტობისა და ნდობის ფაქტორი*). ევროპის საბჭოს ფარგლებში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები არ არის გაჯერებული ასეთი სულისკვეთებით. 230

მეორე განმასხვავებელი ფაქტორი, რომელიც ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის აშკარა უპირატესობას განაპირობებს ექსტრადიციის სამართლებრივი ინსტრუმენტია (*სამართლებრივი ინსტრუმენტის ფაქტორი*). ექსტრადიციის ევროპული რეჟიმი კონვენციურ ფორმატში რეალიზდება, რაც სახელმწიფოებს აძლევს ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციასთან ან მის დამატებით პროტოკოლებთან მიერთების არჩევანის ან/და მიერთების შემთხვევაში გამონაკლისების დაშვებისთვის დათქმების ფართო სპექტრის გაკეთების შესაძლებლობას. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის ნორმატიული წყაროა „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო, არაპირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია, არ ითვალისწინებს დათქმების გაკეთებას და რო- 231

მელსაც კავშირის წევრი სახელმწიფოების ექსტრადიციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე აქვს კოორდინაციული და ჰარმონიზაციული ეფექტი.

- 232 მესამე ფაქტორი, რომელიც ფუნდამენტურად განასხვავებს ექსტრადიციის ევროპულ მოდელს ქვაზი-ევროპული სისტემისგან, არის ექსტრადიციის სამართლებრივი ჩარჩოს სათანადოდ იმპლემენტაციასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების ინსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტრუმენტების არ არსებობა (*ზედამხედველობის ფაქტორი*). შეიძლება ითქვას, რომ ექსტრადიციის ევროპულ რეჟიმში ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ეფექტიანად აღსრულებაზე ზედამხედველობის ეფექტიანი პროცესი არ მიმდინარეობს. ევროპის საბჭოს ფარგლებში ექსტრადიციის პროცედურების სრულყოფილად განხორციელება მხოლოდ სახელწიფოებზეა მინდობილი. ერთადერთი ორგანო, რომელიც ექსტრადიციასთან მიმართებაში შეისწავლის და განაზოგადებს ეროვნულ კანონმდებლობასა და სახელმწიფოთა პრაქტიკას არის სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის სფეროში არსებული კონვენციების ფუნქციონირების შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტი. მას მაკონტროლებელი ფუნქციები არ აქვს მინიჭებული. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის გამართულად იმპლემენტაცია და რეალიზაცია კავშირის რამდენიმე ორგანოს – ევროკავშირის საბჭოს, ევროიუსტის, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და ევროპული კომისიის საერთო ამოცანაა.
- 233 ზემოხსენებული ფაქტორების ერთობლიობა აყალიბებს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის თანდაყოლილ მახასიათებლებს, რაც გამოიხატება პირის დაკავებისა და გადა-

ცემის საერთო ევროპული ჩარჩოს – დაკავების ევროპული ორდერის შექმნაში, სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გად-
ანწყვეტილებების ლეგიტიმაციის ავტომატურად აღიარებაში, ექსტრადიციის პროცესის „იუსტიციალიზაცია“ და დე-
პოლიტიზაციაში, პირის გადაცემისთვის მკაფიოდ დადგენი-
ლი ვადის განსაზღვრასა და ორმხრივი დასჯის პრინციპის, ექსტრადიციის დამაბრკოლებელი და გამომრიცხველი ტრადიციული საფუძვლების შეზღუდვაში.

3.1. სიტყვების „ექსტრადიცია“ და „პირის გადაცემა“ ურთ- იერთიმართება

„დაკავების ევროპული ორდერისა და ნევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-
გადანწყვეტილების ერთ-ერთი ძირითადი სულისკვეთებაა სიტყვა „ექსტრადიცია“ სრულად ჩაანაცვლოს სიტყვით „გა-
დაცემა“. იგი პირის გადაცემასთან მიმართებაში სიტყვას „ექს-
ტრადიცია“ არ იყენებს. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მო-
დელის ამგვარი თავისებურებიდან გამომდინარე, იურიდიულ
ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები
ხსენებული სიტყვების შინაარსთან და კონცეფციებთან მი-
მართებაში. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მათ განს-
ხვავებული შინაარსი და კონცეფცია გააჩნიათ. მეორე ნაწილს
მიაჩნია, რომ ამ კონტექსტში ექსტრადიციის ევროპულ და
ქვაზი-ევროპულ სისტემებს შორის სახესხვაობა არ არ-
სებობს.

234

235 ლაგოდნის მიაჩნია, რომ გადაცემასა და ექსტრადიციას შორის განსხვავება გამოიხატება პირის გადაცემის პროცედურულ ასპექტებში, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ფარგლებში პირის ფიზიკური ტრანსფერის გადწვევით იღებს მხოლოდ სასამართლო, ხოლო ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში სასამართლოსთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირი.³⁷⁶ მისი გაგებით, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში პირის გადაცემა ხორციელდება ავტომატურად, დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სასამართლოს თანხმობის გარეშე, რაც მიუთითებს, რომ „გადაცემა“ ექსტრადიციის ახალი კონცეფციაა.³⁷⁷ ნანდა აღნიშნულ სიტყვებს შორის განსხვავებას ხედავს მოქალაქის სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციის აკრძალვის ტრადიციულ წესთან მიმართებაში. მისი შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ ჩარჩო-გადაწვევით ექსტრადიცია ჩანაცვლებულია სიტყვით „გადაცემა“, მოქალაქის კავშირის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემაზე აღარ ვრცელდება კონსტიტუციებით ან სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი აკრძალვები.³⁷⁸

³⁷⁶ *Lagodny, O.*: ‘Extradition’ without a Granting Procedure: The Concept of ‘Surrender’, ნაშრომი: *Blekxtoon, R.*, (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, pp. 34-36. *Plachta, M.*: European Arrest Warrant: Revolution in Extradition? Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2003, p. 42.

³⁷⁷ იქვე, p. 43.

³⁷⁸ *Nanda, V.P.*: Extradition and Mutual Legal Assistance: Recent Trends in Inter-state Cooperation to Combat International Crimes ნაშრომი: *Brown, B.S.*: (ed.) Research Handbook on International Criminal Law, Northampton, 2011, p. 338; *Fichera, M.*: The European Arrest Warrant and the Sovereign State: A Marriage of Convenience?, *ELJ*, vol. 15, 2009, p. 78.

კლიპის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადანყვეტილებაში ექსტრადიციის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „გადაცემა“, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ფარგლებში პირის გადაცემაც ექსტრადიციის ტოლფასია.³⁷⁹ დინ-რაქსმანისთვის და ფიჩერასთვის ჩარჩო-გადანყვეტილებაში არსებულ ტერმინებსა და წესებს ექსტრადიციის ტრადიციული სისტემებისთვის დამახსიათებელი ცნებები და შინაარსი აქვთ, იგი პირის გადაცემას განიხილავს ექსტრადიციის ერთ-ერთ ქვეკატეგორიად.³⁸⁰ კლიმეკიც ამ პოზიციას იზიარებს და დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე პირის გადაცემას ექსტრადიციის ნაირსახეობას უწოდებს.³⁸¹ მეცნიერთა მოსაზრებები „ექსტრადიციისა“ და „გადაცემის“ ცნებების ერთგვაროვნებასთან მიმართებაში გასაზიარებელია. დოქტრინალური თვალსაზრისით, ექსტრადიციასა და პირის გადაცემას შორის განსხვავება არ არსებობს. ორივე მექანიზმის ფარგლებში ხორციელდება ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ერთი სახელმწიფოს სუვერენული სივრციდან სხვა ქვეყნის იურისდიქციაში „ტრანსფერი“.³⁸² ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ამოძრავებდათ პოლიტიკუ-

³⁷⁹ *Klip, A.*: European Criminal Law: An Integrative Approach, 2nd edition, Portland, 2012, p. 411.

³⁸⁰ *Deen-Racsmany, Z.*: Lessons of the European Arrest Warrant for Domestic Implementation of the Obligation to Surrender Nationals to the International Criminal Court, LJIL, 2007, pp. 170-171.

³⁸¹ *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 312.

³⁸² *Spinellis, D.*: Extradition — Recent Developments in European Criminal Law, Eur. J.L. Reform, 2006, p. 223.

რი მოტივაცია, როდესაც ჩარჩო-გადაწყვეტილებაში სიტყვა „ექსტრადიცია“ სიტყვით „გადაცემა“ ჩაანაცვლეს. ეს ნაბიჯი იყო გზავნილი, რომ კავშირის წევრი ქვეყნები ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის მიმართულებით აბსოლუტურად იზოლირდნენ ექსტრადიციის ევროპული სისტემისგან და ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციისა და ექსტრადიციასთან დაკავშირებული 1996 წლის კონვენციისგან.

3.2. ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები

237 ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულებთან მიმართებაში ჩარჩო-გადაწყვეტილების ინიცირებული ვერსია არსებულისგან განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებდა. ევროპული კომისია მხარს უჭერდა ორმხრივი დასჯის პრინციპის გაუქმებას და ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების ე.წ. ნეგატიური სიის დადგენას.³⁸³ ასეთი რეგულირების პირობებში კავშირის წევრი სახელმწიფო უფლებამოსილი იქნებოდა განესაზღვრა ის დანაშაულები, რომლებზეც გაავრცელებდა ორმხრივი დასჯის მოთხოვნას. წევრი სახელმწიფოების შეუქცევადი წინააღმდეგობის გამო კომისიამ

³⁸³ ევროპული კომისია მიიჩნევდა, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ვერიფიკაცია იყო დროის კარგვა. იხ.: Communication from the Commission to the Council and the European Parliament on Mutual Recognition of Final Decisions in Criminal Matters, COM (2000) 495 final of 26.07.2000.

პოზიცია შეცვალა და აირჩია შუალედური მიდგომა ექსტრადიციას დაქვემდებარებული ცალკეული დანაშაულების ე.წ. პოზიტიური სიის დადგენის სასარგებლოდ.³⁸⁴

ექსტრადიციის ქვაბი-ევროპულ სისტემაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების ორი განზომილებაა. პირველ განზომილებაში მოიაზრება ჩარჩო-გადანწყვეტილებით გათვალისწინებული 32 კატეგორიის დანაშაული, რომლებთან მიმართებაში გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ვერიფიკაციას არ საჭიროებს და პირდაპირ ექვემდებარება აღსრულებას.³⁸⁵ თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაკმაყოფილებულია ორი კუმულაციური კრიტერიუმი. თუკი დაკავების ევროპული ორდერით ექსტრადიცია განპირობებულია შემდეგი რომელიმე დანაშაულით (პირველი კრიტერიუმი):

238

- კრიმინალური ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობა;
- ტერორიზმი;
- ადამიანის ორგანოების ტრეფიკინგი;
- ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია;

³⁸⁴ *Sliedregt, V.E.*: The Dual Criminality Requirement, ნაშრომი: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.*: (eds.) *The European Arrest Warrant in Practice*, Hague, 2009, pp. 54-55.

³⁸⁵ *Pieter, A.*: The European Arrest Warrant system: Recent developments in the case law of the Court of Justice, *MJECJ*, vol. 24(6), 2017, p. 896; *Spinellis, D.*: Extradition — Recent Developments in European Criminal Law, *Eur. J.L. Reform*, 2006, p. 229.

- ნარკოტიკებითა და ფსიქოტროპული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობა;
- ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალით, ფეთქებადი ნივთიერებით ან ასაფეთქებელი მოწყობილობით უკანონო ვაჭრობა;
- კორუფცია; თაღლითობა (მათ შორის, ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ 1995 წლის 26 ივლისის კონვენციით გათვალისწინებული მნიშვნელობით);
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება);
- ყალბი ფულის, მათ შორის, ევროს დამზადება;
- კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაულები;
- დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ, მათ შორის, გადამენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველის ან ველური მცენარის ჯიშებით უკანონო ვაჭრობა;
- საზღვრის უკანონო კვეთასა და თავშესაფრის უკანონოდ მიღებაში დახმარება;
- მკვლელობა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება;
- ადამიანის ორგანოებითა და ქსოვილით უკანონო ვაჭრობა;
- ადამიანის გატაცება, თავისუფლების უკანონოდ შეზღუდვა და მძევლად აყვანა;
- რასიზმი და ქსენოფობია;

- ორგანიზებული ან შეიარაღებული ძარცვა;
- კულტურული ნივთის, მათ შორის ანტიკვარებისა და ხელოვნების ნიმუშის უკანონო გადაზიდვა, გადატანა;
- რეკეტი და გამოძალვა;
- პროდუქციის გაყალბება;
- ყალბი ადმინისტრაციული დოკუმენტის დამზადება და მისით ვაჭრობა;
- გადახდის საშუალებების გაყალბება;
- ჰორმონალური ნივთიერებებითა და სხვა მზარდი პრო-მოტორებით უკანონო ვაჭრობა;
- ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობა;
- მოპარული სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობა;
- გაუპატიურება;
- ცეცხლის წაკიდება;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას მიკუთვნებული დანაშაულები;
- თვითმფრინავების/გემების უკანონო ჩამორთმევა და საბოტაჟი.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ხსენებულ რომელიმე დანაშაულთან მიმართებაში დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებდეს თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას სულ მცირე სამი წლის ვადით (მეორე კრიტერიუმი). ჩარჩო-

239

-გადაწყვეტილება არ შეიცავს ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ვერიფიკაციის გარეშე ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების შემადგენლობას, კატეგორიზაციას ან მათი ჩადენისთვის დადგენილ სასჯელებს.³⁸⁶ მათი დეფინირება და სასჯელის ზომის განსაზღვრა კავშირის წევრი სახელმწიფოების მიხედულებაა. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიზანი არ არის ამ დანაშაულების ეროვნულ დონეზე ჰარმონიზაცია, დოგმატურად განსხვავებული სამართლებრივი სისტემების დაახლოება.³⁸⁷ მისთვის მთავარია შექმნას ვარაუდი, რომ წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემები იზიარებენ საერთო მიდგომებს.³⁸⁸

240 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ინდეფერენტული დამოკიდებულება 32 კატეგორიის დანაშაულის შემადგენლობების რეგულირებასთან, ნაციონალური სისხლის-სამართლებრივი სისტემების დაახლოებასთან დაკავშირებით განაპირობებს აზრთა სხვადასხვაობას სამეცნიერო წრეებში.

³⁸⁶ ვრცლად. იხ.: *Peers, S.*: Mutual recognition and criminal law in the European Union: Has the Council got it wrong? *CML Rev.*, 2004, pp. 35-36; *Keijzer, N.*: The Fate of the Double Criminality Requirement, ნაშრომი: *Guild, E., Marin, L.*: (eds.) Still not resolved? Constitutional issues of the European Arrest Warrant, Brussels, 2008, pp. 61-75; *Ambos, K.*: Is the development of a Common Substantive Criminal Law for Europe possible? Some preliminary reflections, *MJECCL*, 2005, pp. 173-191; *Amicis, G.*: Initial Views of the Court of Justice on the European Arrest Warrant: Towards a Uniform Pan-European Interpretation? *EUR. CRIM. L. REV.*, 2012, p. 49.

³⁸⁷ *Sarmiento, D.*: European Union: The European Arrest Warrant and the quest for Constitutional Coherence, *Int'l J. Const. L.*, vol. 6, 2008, p. 176.

³⁸⁸ *Alegre, S., Leaf, M.*: Mutual recognition in Europe judicial cooperation — a step too far too soon? Case study: the European arrest warrant, *EUR. L.J.*, 2004, p. 208.

მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომლებიც უმცირესობაში იმყოფებიან, აკრიტიკებენ დაკავების ევროპული ორდერის *a priori* აღსრულების მოთხოვნას დანაშაულის ლეგალურობის პრინციპის, სისხლის სამართლის ნორმის განჭვრეტადობის პრინციპისა და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების კონტექსტში.

კეიჯ ზერის მოსაზრებით, დანაშაულის ლეგალურობის პრინციპი (*nulla poena sine lege*) ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობასთან მიმართებაში რადიკალურად განსხვავებული, შეუთავსებელია კავშირის წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა.³⁸⁹ მაგალითად, იგი ასეთ დანაშაულად მიიჩნევს გაუპატიურებას, რომლის შემადგენლობა ცალკეულ ქვეყნებში (ინგლისი, უელსი და საფრანგეთი) მაშინ არის სახეზე, როდესაც პროცესში მონაწილეობს „ერთი ან მეტი სასჯესო ორგანო (დაზარალებულისა და დამნაშავის) ან ანუში“, მაშინ, როდესაც ნიდერლანდებში საკმარისია ადგილი ჰქონდეს სხვა პირის სხეულში სექსუალურად მოტივირებულ შეჭრას მისი თანხმობის გარეშე.³⁹⁰ კეიჯ ზერის თქმით, თუ ბრიტანელი მოსამართლე ჰოლანდიელი კოლეგისგან მიიღებს დაკავების ევროპულ ორდერს ე.წ. „ფრანგულ კოცნასთან“ დაკავშირებით, იგი იმთავითვე, ორმხრივი დასჯის მოთხოვნის შემონღმების გარეშე არ უნდა აღასრულოს, რადგან ბრიტანეთში ასეთი ქმედება არ არის გაუპატიურება.³⁹¹ ამ შეხედ-

³⁸⁹ Keijzer, N.: The Double Criminality Requirement, ნაშრომი *Blekxtoon, R.*, (ed.) Handbook on the European Arrest Warrant, Hague, 2004, p. 151.

³⁹⁰ იქვე.

³⁹¹ იქვე.

ულებას კლიმეკი არ იზიარებს, მას მიაჩნია, რომ ასეთ საქმეზე მოსამართლემ გაუპატიურება უნდა განმარტოს არა ეროვნული კანონმდებლობის, არამედ ჩარჩო-გადანყვეტილების მიზნისა და მნიშვნელობის შესაბამისად და პირი ნიდერლანდებს გადასცეს.³⁹² კეიჯ ზერის პოზიციის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ორმხრივი დასჯის მოთხოვნას სუბსტანციური კავშირი არ გააჩნია დანაშაულის ლეგალურობის პრინციპთან. დანაშაულის ლეგალურობის პრინციპი თავისთავად ვრცელდება როგორც დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ, ისე ადრესატ სახელმწიფოებზე, თუმცა მისი მოქმედება სრულდება ამ სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში. დანაშაულის ლეგალურობის კონცეფცია არ აერთიანებს მათ იურისდიქციას.³⁹³ იგი ამ სახელმწიფოებში, მათი სუვერენიტეტიდან გამომდინარე დამოუკიდებლად არსებობს. შესაბამისად, შემთხვევაზე, როდესაც დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში პირის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული, დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში მოქმედი დანაშაულის ლეგალურობის პრინციპი არ ვრცელდება. გარდა ამისა, არასწორი იქნება დანაშაულის ლეგალურობის პრინციპის იმგვარი ინტერპრეტაცია, რომ იგი გასცდეს სახელმწიფო იურისდიქციის ფარგლებს და მიიღოს გენერალური ხასიათი. ამ ნორმა-პრინციპის ძირითადი არსი

³⁹² Klimek, L.: European Arrest Warrant, London, 2015, p. 101.

³⁹³ ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 03 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Pl. US 66/04, I, 102-ე პარაგრაფი, ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crim-just.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=974> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

არის ერთი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში არადან-
აშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის პირის სისხლისსამართ-
ლებრივი პასუხისგებაში მიცემისგან დაცვა. მას არ აქვს სხ-
ვა სამართლებრივ წესრიგში მოქმედების პრეტენზია. ასევე,
დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფო
პირის გადაცემას ითხოვს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი
კანონმდებლობით ჩადენის დროს დანაშაულად იყო აღიარე-
ბული. შესაბამისად, პირის ექსტრადიციის შემთხვევაში (თუ
მისი ბრალეულობაც დამტკიცდება), მას პასუხისმგებლობა
დაეკისრება იმ სისხლისსამართლებრივი ნორმის დარღვე-
ვისთვის, რომელიც ქმედების ჩადენისას მოქმედებდა.

მიუხედავად ზემოთ წარმართული მსჯელობისა, შესაძლებე-
ლია ზოგიერთ სიტუაციაში დანაშაულის ლეგალურობის 242
პრინციპისა და სხვა სახელმწიფოს სამართლებრივი წესრი-
გის ერთიან კონტექსტში განხილვა. თუმცა, მას ამ შემთხვე-
ვაშიც არ ექნება კავშირი ორმხრივი დასჯის მოთხოვნასთან.
მაგალითად, თუ დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი
სახელმწიფოში ქმედება ჩადენისას არ ითვლებოდა დანა-
შაულად, დაკავების ევროპული ორდერის ადრესატმა სახელ-
მწიფომ დანაშაულის ლეგალურობის პრინციპიდან გამო-
მდინარე უარი უნდა განაცხადოს პირის გადაცემაზე,
მნიშვნელობა არ აქვს დაკავების ევროპული ორდერის ადრე-
სატ სახელმწიფოში ქმედება არის თუ არა დანაშაული. ორ-
მხრივი დასჯის მოთხოვნა და დანაშაულის ლეგალურობის
პრინციპი დამოუკიდებელი ინსტრუმენტებია ექსტრადიციის
პროცესში. ორმხრივი დასჯის მოთხოვნა არის ექსტრადიცი-
ის პროცედურული ასპექტი, ექსტრადიციასთან დაკავშირე-
ბით სახელმწიფო პოლიტიკის, სამართლებრივი სისტემის
დამოკიდებულების გამომხატველი ინსტრუმენტი. იგი არ

წარმოადგენს გადასაცემი პირის უფლებას – მოითხოვოს ექსტრადიციის უარყოფა. მაგალითად, ექსტრადიციის სკანდინავიური სისტემა არ იცნობს ორმხრივი დასჯის მოთხოვნის ვერიფიკაციის ცნებას,³⁹⁴ რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის პროცედურულ ხასიათზე.

- 243 სისხლის სამართლის ნორმის განჭვრეტადობის პრინციპთან მიმართებაში კრიტიკა უკავშირდება ჩარჩო-გადანწყვეტილებით აღიარებული დანაშაულების ბუნდოვან, განუსაზღვრელ შინაარსს. *სლიედრეგტისა და პირსის აზრით*, ვინაიდან ჩარჩო-გადანწყვეტილება არ აყალიბებს დანაშაულების მატერიალურ კონსტრუქციას, პირებს არ აქვთ სათანადო წარმოდგენა უცხო სახელმწიფოში რომელი ქმედების შემადგენლობა ითვლება ჩარჩო-გადანწყვეტილებით გათვალისწინებულ დანაშაულად, რაც შეიძლება გახდეს პირის სამართლებრივი უსაფრთხოების უფლების დარღვევის საფუძველი.³⁹⁵ აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ასეთ დანაშაულებზე გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი არ აღსრულდეს ავტომატურად და შემოწმდეს ქმედების დასჯადობა.³⁹⁶ ამ პოზიციების საწინააღმდეგოდ, ჩარჩო-გადანწყვეტილებით გათვალისწინებული დანაშაულების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართ-

³⁹⁴ იხ.: *Suominen, A.*: The Nordic Arrest Warrant finally in force, EUR. CRIM. L. REV., 2014, pp. 41-45.

³⁹⁵ *Peers, S.*: EU Justice and Home Affairs Law, Oxford, 2006, p. 442; *Sliedregt, V.E.*: The Dual Criminality Requirement, ნაშრომი: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.*: (eds.) The European Arrest Warrant in Practice, Hague, 2009, p. 60.

³⁹⁶ *Sliedregt, V.E.*: The Dual Criminality Requirement, ნაშრომი: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.*: (eds.) The European Arrest Warrant in Practice, Hague, 2009, p. 60

ლომ განაცხადა, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ამოცანა არ არის დანაშაულების შემადგენლობების ჰარმონიზაცია, მათი დეფინირება კავშირის ნევრ სახელმწიფოებზეა დამოკიდებული.³⁹⁷ შესაბამისად, ჩარჩო-გადანწყვეტილების მხრიდან სამართლებრივი უსაფრთხოების უფლების დარღვევა ვერ განხორციელდება, იგი შეიძლება მხოლოდ ეროვნულ დონეზე დაირღვეს.³⁹⁸ სლიედრეგტისა და პირსის შეხედულებები გაზიარებას იმსახურებს. ჩარჩო-გადანწყვეტილებაში მხოლოდ დანაშაულების მშრალი ფორმით დეკლარირება (მაგ.: კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაულები) მათი შემადგენლობების, შინაარსობრივი კომპოზიციების გარეშე, არ არის საკმარისად ცხადი პირის მიერ სხვა სახელმწიფოებში ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შეფასებისათვის. პირს უნდა ჰქონდეს მისი ქმედების შედეგების განსაზღვრის ნორმატიული შესაძლებლობა. დანაშაულების განუსაზღვრელობის პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს უცხო სახელმწიფოს ენის არ ცოდნა და სისხლისსამართლებრივი სისტემის ლინგვისტური თავისებურებები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ევროკავშირის დონეზე დირექტივით განხორციელდეს ჩარჩო-გადანწყვეტილებით გათვალისწინებული 32 კატეგორიის დანაშაულის ელემენტების დადგენა, რაც ერთი მხრივ, სრულად გამორიცხავს მათთან მიმართებაში ორმხრივი დასჯის პრინციპის მოქმედებას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დაცვას.

³⁹⁷ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2007 წლის 03 მაისის გადანწყვეტილება საქმეზე: *Advocaten voor de Wereld VZW, [C-303/05]*, 52-ე პარაგრაფი.

³⁹⁸ იქვე, 53-ე პარაგრაფი.

გინტერისა და კეიზჯერის მიხედვით, ჩარჩო-გადანყვეტილებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებაში დაკავების ევროპული ორდერის ავტომატური შესრულება (რომელიც ორმხრივი დასჯის პრინციპის მოთხოვნის შემომნების მექანიზმის არ არსებობის პირობებში იძლევა დაკავების ევროპულ ორდერში მხოლოდ ეროვნული სისხლის სამართლის ნორმის სახელობითად და არა მუხლობრივად ან/და მთლიანი ტექსტის მითითების შესაძლებლობას) არ არის სრულად თავსებადი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფში დეკლარირებულ უფლებასთან,³⁹⁹ რომელიც დაკავებულს ანიჭებს უფლებას გასაგებ, „არა-ტექნიკურ“ ენაზე, დაუყოვნებლივ ეცნობოს დაკავების მიზეზი და ბრალდების ძირითადი არსი, სამართლებრივი საფუძველი.⁴⁰⁰ ნაწილობრივ ეს პოზიციაც მხარდასაჭერია. დაკავების ევროპული ორდერის დუალური ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც ექსტრადიციის თხოვნისგან განსხვავებით, იმავდროულად პირის დაკავებისა და გადაცემის საფუძველია, პირს უნდა ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია ბრალდების არსთან, უცხო სახელმწიფოში ქმედების შემადგენლობასთან, სასჯელთან

³⁹⁹ *Ginter, J.: The Content of a European Arrest Warrant*, ნაშრომი: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.: (eds.) The European Arrest Warrant in Practice*, Hague, 2009, p. 9; *Sliedregt, V.E.: The Dual Criminality Requirement*, ნაშრომი: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.: (eds.) The European Arrest Warrant in Practice*, Hague, 2009, p. 66.

⁴⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე: *Fox, Campbell and Hartley v. The United Kingdom*, (Appl. No. 12244/86; 12245/86; 12383/86), მე-40 პარაგრაფი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.refworld.org/cases,ECHR,3ae6b6f90.html> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

დაკავშირებით, რათა შეძლოს სასამართლო სხდომაზე დაცვის უფლების ადექვატურად რეალიზაცია.

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულების მეორე განზომილებაში იგულისხმება 32 კატეგორიის მიღმა დარჩენილი ყველა სხვა დანაშაული. მათზე გავრცელებულია დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნა და ადრესატ სახელმწიფოებში დასჯის მოთხოვნა. დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნა სახელმწიფოში ქმედება ჩადენის პროცესში უნდა წარმოადგენდეს დანაშაულს (*ex tunc*), ხოლო ადრესატ სახელმწიფოში პირის გადაცემაზე გადანყვებილების მიღებისას (*ex nunc*).⁴⁰¹ ასეთ დანაშაულებზე დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი ქმედებისთვის დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას სულ მცირე 12 თვის ვადით ან თუკი ამ პირის მიმართ განაჩენი უკვე გამოტანილია და მას სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა სულ მცირე 4 თვის ვადით. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში არსებული ეს წესი არ არის ექსტრადიციის ევროპული სისტემის იდენტური. მისგან განსხვავებით, მსჯავრდებულის მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი მაშინაც ექვემდებარება აღსრულებას, როდესაც ჩადენილი ქმედებისთვის

245

⁴⁰¹ *Sliedregt, V.E.*: The Dual Criminality Requirement, ნაშრომი: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.*: (eds.) *The European Arrest Warrant in Practice*, Hague, 2009, pp. 52-53.

პოტენციური (კანონმდებლობით გათვალისწინებული) სასა-
ჯელი შეიძლება იყოს 12 თვეზე ნაკლები.⁴⁰²

- 246 შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ექსტრადიციის ქვაზი-
ევროპული სისტემის დაფუძნების შემდეგ ორმხრივი დასჯის
მოთხოვნის მოქმედების ფარგლები ექსტრადიციის ევროპულ
სისტემაში არსებულ იგივე პრინციპთან შედარებით შემცირდა.
ინტეგრაციის სივრცეში ასეთი მოთხოვნის ვერიფიკაციის გა-
რეშე ექსტრადიცია ხორციელდება ჩარჩო-გადაწყვეტილებით
აღიარებულ 32 კატეგორიის დანაშაულზე, რომელთა შემად-
გენლობისა და სასაჯელის ზომის განსაზღვრა კავშირის წევრი
სახელმწიფოების სამართლებრივ წესრიგზეა დამოკიდებული.
ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მექანიზმის დანერგვამ არ
განაპირობა ორმხრივი დასჯის მოთხოვნის აბსოლუტური
გაუქმება და ექსტრადიციის ევროპული სისტემის მსგავსად,
რიგ შემთხვევებში იგი კვლავ წარმოადგენს პირის გადაცემის
გამომრიცხავ საფუძველს.

3.3. დაკავების ევროპული ორდერის გამომცემი და აღმას- რულებელი ორგანო

- 247 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა განსხვავებით
ექსტრადიციის ევროპული მექანიზმისგან დაფუძნებულია
იუსტიციურ ორგანოებს შორის თანამშრომლობაზე. დაკავე-
ბის ევროპული ორდერის გამოცემა და აღსრულება კავშირის
წევრი სახელმწიფოს იუსტიციური ორგანოს, ძირითად

⁴⁰² იქვე, p. 56.

შემთხვევაში სასამართლოს ან მისი ექვივალენტი ორგანოების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირს, პოლიციას ასეთი კომპეტენცია არ გააჩნია.⁴⁰³ დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების პროცესში ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს მხოლოდ ლიმიტირებული როლი, რაც გამოიხატება იუსტიციური ორგანოების პრაქტიკულ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერაში. დაკავების ევროპული ორდერის გამოცემისა და აღსრულების პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მატერიალური მონაწილეობა ეწინააღმდეგება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიზანსა და არსს.

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ კოვალკოვასის საქმეში ცალსახად გამორიცხა იმ ორგანოს მიერ დაკავების ევროპული ორდერის გამოცემა, რომელიც არ ახორციელებს სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებას ან/და არ მონაწილეობს მისი ადმინისტრირების პროცესში. ამ საქმეში დაკავების ევროპული ორდერი ლიეტუვას იუსტიციის სამინისტროს მიერ იყო გამოცემული,⁴⁰⁴ რომელიც ითხოვდა ნიდერლანდების სამეფოდან პირის დაკავებასა და გადაცემას სხეულის მძიმე დაზიანებისთვის დაკისრებული

248

⁴⁰³ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე; Krzysztof Marek Poltorak [C-452/16], 52-ე პარაგრაფი.

⁴⁰⁴ ეს შემთხვევა არ იყო პირველი, როდესაც დაკავების ევროპულ ორდერს ლიეტუვას იუსტიციის სამინისტრო გამოსცემდა, მაგ. იხ.: Evaluation report of the Council of 14 December 2007 concerning national practices relating to the European arrest warrant [Evaluation report on the fourth round of mutual evaluations 'the practical application of the European arrest warrant and corresponding surrender procedures between Member States': Report on Lithuania [12399/2/07 REV 2].

სასჯელის აღსასრულებლად.⁴⁰⁵ ლიეტუვას იუსტიციის სამინისტროს აზრით, ჩარჩო-გადაწყვეტილების პირველ მუხლში არსებული ტერმინის – „იუსტიციური უწყება“ შინაარსს განსაზღვრავს წევრი სახელმწიფო საკუთარი შეხედულებით. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიხედვით, ამ ტერმინის ცნების დეფინირების კომპეტენცია წევრ სახელმწიფოს არ გააჩნია.⁴⁰⁶ მას კავშირის სამართალში აქვს ავტონომიური ბუნება, ხასიათი.⁴⁰⁷ „იუსტიციური უწყება“ გულისხმობს ორგანოს, რომელიც ახორციელებს ან მონაწილეობს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესში.⁴⁰⁸ კავშირის წევრი სახელმწიფო ვალდებულია კავშირის სამართლებრივი აქტის, მათ შორის ჩარჩო-გადაწყვეტილების ეროვნულ სამართალში გადატანის, ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციის პროცესში გაითვალისწინოს მისი კონტექსტი და მიზანი.⁴⁰⁹ გარდა ამისა, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ლიეტუვას იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, რომლის გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი არ ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.⁴¹⁰ აქედან გამომდინარე, ასეთი ორდერი არ

⁴⁰⁵ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Ruslanas Kovalkovas, [C 477/16], მე-10-მე-12 პარაგრაფები.

⁴⁰⁶ იქვე, 32-ე პარაგრაფი.

⁴⁰⁷ იქვე.

⁴⁰⁸ იქვე, 34-ე პარაგრაფი.

⁴⁰⁹ იქვე, 33-ე პარაგრაფი.

⁴¹⁰ იქვე, 44-ე პარაგრაფი.

არის საკმარისი წევრ სახელმწიფოებს შორის მაღალი ნდობის ჩამოყალიბებისა და არსებობისთვის.⁴¹¹

ეროვნული სასამართლოების გარდა, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ *პ.ფ.-ის საქმეში* ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიზნებისთვის „იუსტიციურ უწყებაში“ ასევე მოიაზრა გენერალური პროკურორი, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად იგი არის აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს თვალსაზრისით აბსოლუტურად დამოუკიდებელი,⁴¹² მონაწილეობს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესში⁴¹³ და შესაძლებელია მისი გადწყვეტილებების სასამართლო კონტროლი.⁴¹⁴

249

4. დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სავალდებულო და არასავალდებულო ნორმატიული საფუძვლები

კავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება როგორც აღინიშნა ორმხრივი ნდობი-

250

⁴¹¹ იქვე.

⁴¹² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2019 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: PF [C-509/18] 52-ე პარაგრაფი.

⁴¹³ იქვე, 53-ე პარაგრაფი.

⁴¹⁴ იქვე, 43-ე-49-ე პარაგრაფები.

სა და ორმხრივი აღიარების პრინციპებიდან გამომდინარე სავალდებულოა. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში გაუქმებულია შეზღუდვები პოლიტიკური და სამხედრო დანაშაულების ჩადენისთვის⁴¹⁵ მსჯავრდებულნი/ბრალდებული პირების გადაცემასთან, მოქალაქეების ექსტრადიციასთან, ნაწილობრივ ორმხრივი დასჯის მოთხოვნასთან მიმართებაში. თუმცა, ექსტრადიციის ევროპული სისტემის მსგავსად, მაგრამ არა იგივე ხარისხით, ჩარჩო-გადანწყვეტილებაც შეიცავს დებულებებს ექსტრადიციის გამომრიცხავი და შემაფერხებელი გარემოებების თაობაზე. იგი მათ აჯგუფებს პირის გადაცემაზე უარის თქმის სავალდებულო, არასავალდებულო და სპეციალურ შემთხვევებად. თუ არსებობს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სავალდებულო გარემოება, პირი გადაცემას არ ექვემდებარება. თუმცა, თუკი დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებას აფერხებს ჩარჩო-გადანწყვეტილებაში მითითებული რომელიმე არასავალდებულო საფუძველი, პირის გადაცემა დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოს სასამართლოს ნებასა და საკანონმდებლო ჩარჩოზეა დამოკიდებული. ზოგადად დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება არის წესი და ჩარჩო-გადანწყვეტილებით დადგენილი შეუსრულებლობის შემთხვევები ვინროდ უნდა განიმარტოს.⁴¹⁶ ჩარჩო-გადანწყვეტილებით გათვალისწინებული შემ-

⁴¹⁵ *Spinellis, D.*: Extradition — Recent Developments in European Criminal Law, Eur. J.L. Reform, 2006, p. 237; *Fichera, M.*: The European Arrest Warrant and the Sovereign State: A Marriage of Convenience? ELJ, vol. 15, No. 1, 2009, p. 81.

⁴¹⁶ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Daniel Adam Poptawski [C-579/15], მე-19 პარაგრაფი.

თხვევის გარდა, სხვა საფუძვლით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა არის ჩარჩო-გადაწყვეტილების დარღვევის, ე.ი. ევროკავშირის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ტოლფასი.⁴¹⁷

4.1. შეუსრულებლობის სავალდებულო საფუძვლები

დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სავალდებულო საფუძვლები მხოლოდ ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლშია მოცემული, ისინი ორდერის ინდივიდუალურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სავალდებულო აქცესორულ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულის მე-10 აბზაცით გათვალისწინებული გარემოება, რომლის არსებობისას დაკავების ევროპული ორდერის შესრულების საკითხის განხილვა ინდივიდუალურ მსჯელობას არ საჭიროებს.⁴¹⁸

251

⁴¹⁷ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], 63-ე პარაგრაფი. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Pál Aranyosi [C 404/15], Robert Căldăraru [C 659/15 PPU], მე-80 პარაგრაფი.

⁴¹⁸ დაკავების ევროპული ორდერის დროებითი შეუსრულებლობის ერთ-ერთი საფუძველია გადაცემას დაქვემდებარებული პირის იმუნიტეტი, პრივილეგიები. ეს საფუძველი მოცემულია „დაკავების ევროპული ორდერისა და პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-20 მუხლში. ნიშანდობლივია,

4.1.1. ამნისტია

252 პირველი გარემოება, რომელიც ექსტრადიციის ევროპული სისტემის მსგავსად, პირის გადაცემას გამორიცხავს ამნისტიას. თუ დაკავების ევროპული ორდერი უკავშირდება დანაშაულს, რომელიც ადრესატ სახელმწიფოში ამნისტირებულია და მას გააჩნდა იმავე დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების იურისდიქცია ეროვნული სამართლის მიხედვით, დაკავების ევროპული ორდერის შესრულება დაუშვებელია. *კლიმეკის* შეფასებით, ამნისტირებულ დანაშაულებზე პირის გადაცემის დაუშვებლობა მოიცავს შეწყალებული პირის ექსტრადიციის აკრძალვასაც.⁴¹⁹ ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ შეწყალების კონტექსტში პირის გადაცემის აკრძალვა წარმოადგენს ერთი და იმავე დანაშაულზე ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვის პრინციპის (*ne bis in idem*) შემადგენელ ელემენტს.

რომ სწორედ ამ მიზეზით შეაჩერეს გერმანულმა სასამართლოებმა ესპანეთის ერთ-ერთი რეგიონის – კატალონიის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელის კარლოს უჩედემონის მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება, ვინაიდან მან ევროპული პარლამენტის ნევრად არჩევის გამო იმუნიტეტი შეიძინა.

⁴¹⁹ *Klimek, L.: European Arrest Warrant, London, 2015, p. 152; Klimek, L.: Implementation of the Grounds for Non-execution the European Arrest Warrant: Lex Ferenda towards the Act No. 154/2010 Coll. on the European Arrest Warrant, LQ, vol. 6, 2016, p. 2.*

4.1.2. ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვის ტრანსნაციონალური პრინციპი

დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის მეორე საფუძველია ჰორიზონტალური *ne bis in idem*-ის პრინციპი. ჩარჩო-გადანყვეტილების მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, პირის გადაცემა აკრძალულია თუ ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს სასამართლოს შეატყობინეს, რომ პირის მიმართ კავშირის ნევრ სახელმწიფოში გამოტანილია საბოლოო გადანყვეტილება იმ ქმედებისთვის, რომლის გამოც მოთხოვნილია მისი ექსტრადიცია და თუკი ამგვარ შემთხვევაში მას სასჯელი დაეკისრა, აუცილებელია, რომ მიმდინარეობდეს სასჯელის აღსრულების პროცესი ან მისი აღსრულება დასრულებული იყოს ან კავშირის ნევრ სახელმწიფოს კანონმდებლობით ამ სასჯელის აღსრულება აღარ იყოს შესაძლებელი. ეს დანაწესი გამომდინარეობს ძირითად უფლებათა ქარტიის 50-ე მუხლიდან, რომელიც *ne bis in idem*-ის პრინციპს ტრანსნაციონალურ ბუნებას ანიჭებს.⁴²⁰ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში იყენებს *ne bis in idem*-ის პრინციპის იმ სტანდარტებს, რომლებიც შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციის 54-ე მუხლთან მიმართებაში ჩამოაყალიბა.⁴²¹

253

ევროკავშირის სამართლის მიზნებისთვის ტერმინს „ერთი და იგივე ქმედება“ ავტონომიური მნიშვნელობა აქვს და მისი

254

⁴²⁰ *Ambos, K.*: European Criminal Law, Cambridge, 2018, p. 144.

⁴²¹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის გადანყვეტილება საქმეზე: Gaetano Mantello [C-261/09], 39-ე და მე-40 პარაგრაფები.

დეფინირება არ არის დამოკიდებული ნევრი სახელმწიფოების კანონმდებლობასა თუ სასამართლო პრაქტიკაზე.⁴²² დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების საკითხის განხილვისას „ერთი და იმავე ქმედების“ შეფასება არ უნდა განხორციელდეს დაცული სამართლებრივი ინტერესის ან ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის საფუძველზე.⁴²³ ამ მიმართულებით გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რომლებიც დროსა და სივრცეში ერთმანეთთან უწყვეტად არიან დაკავშირებულნი.⁴²⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაიდან კავშირის ნევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არ არის ჰარმონიზებული, შეფასების კრიტერიუმად დაცული სამართლებრივი ინტერესის ან ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის გამოყენებით თავისუფალი გადაადგილების უფლებისთვის შეიძლება შეიქმნას იმდენი დაბრკოლება, რამდენი ეროვნული სისხლისსამართლებრივი სისტემაცაა.⁴²⁵

255 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიზნებისთვის საბოლოო გადაწყვეტილებაში, რომლითაც განხორციელდა ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის გასამართლება, იგულისხმება სასამართლოს მიღმა მიღებული გადაწყვეტილება, რომლის შემდეგ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა

⁴²² იქვე, 38-ე პარაგრაფი,

⁴²³ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2006 წლის 09 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Leopold Henri Van Esbroeck [C-436/04], 35-ე პარაგრაფი.

⁴²⁴ იქვე, 36-ე პარაგრაფი.

⁴²⁵ იქვე, 35-ე პარაგრაფი.

აკრძალულია,⁴²⁶ ან წევრი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ პირი საბოლოოდ იქნა გამართლებული ან დამნაშავედ ცნობილი.⁴²⁷ სისხლისსამართლებრივი დევნის აკრძალვაში მაგალითად მოაზრებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი ეროვნული ორგანო (მაგ.: პროკურატურა) პირს აკისრებს სასჯელის მსგავს ვალდებულებას.⁴²⁸ ერთი და იმავე ქმედებისგან განსხვავებით, საბოლოო გადაწყვეტილების ცნების განსაზღვრის კომპეტენცია კავშირის იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობაზეა დამოკიდებული, რომლის ფარგლებშიც მიღებულ იქნა ეს გადაწყვეტილება.⁴²⁹

ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფით დადგენილი სასჯელის აღსრულების ელემენტები ძირითად უფლებათა ქარტიის 50-ე მუხლში პირდაპირ არ არის მოცემული, თუმცა განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ქარტიის 50-ე მუხლი საკუთარი დაცული სფეროთი შეესაბამება შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციის 54-ე – 58-ე მუხლების შინაარსს.⁴³⁰ მართლმსაჯუ-

256

⁴²⁶ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Gaetano Mantello [C-261/09], 45-ე პარაგრაფი.

⁴²⁷ იქვე.

⁴²⁸ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Hüseyin Gönütok [C-187/01], Klaus Brügge [C-385/01], 30-ე პარაგრაფი.

⁴²⁹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Gaetano Mantello [C-261/09], 46-ე პარაგრაფი.

⁴³⁰ Explanation Relating to the Charter of Fundamental Rights, (2007/C 303/02), p. 32, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32007X1214%2801%29> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ლების ევროპული სასამართლო ამ პოზიციას იზიარებს.⁴³¹ თავის მხრივ, ვინაიდან ჩარჩო-გადანყვეტილებისა და შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციის სტანდარტები *ne bis in idem*-ის პრინციპის კონტექსტში ექვივალენტურია, ჩარჩო-გადანყვეტილების მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფიც თავსებადია ძირითად უფლებათა ქარტიის 50-ე მუხლთან. თუმცა, ჩარჩო-გადანყვეტილების მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფით დადგენილი სასჯელის აღსრულების ელემენტები, ისევე როგორც შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციის 54-ე მუხლის შემთხვევაში,⁴³² ქარტიის 52-ე მუხლის პირველი პარაგრაფიდან გამომდინარე არის ძირითად უფლებათა ქარტიის 50-ე მუხლით დაცული სფეროს შეზღუდვის საფუძველი.

- 257 მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს ჯერჯერობით ჩარჩო-გადანყვეტილების მე-3 მუხლის მე-2 პარაგრაფის სასჯელის აღსრულების ელემენტებზე არ უმსჯელია, თუმცა, *ne bis in idem*-ის პრინციპზე მისი ზოგადი მიდგომით სავარაუდოა, რომ ამ მიმართულებითაც შენგენის შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ კონვენციის 54-ე მუხლთან მიმართებაში განვითარებულ პრეცედენტულ სამართალს დაეყრდნობა.

⁴³¹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადანყვეტილება საქმეზე: Zoran Spasic [C 129/14], 54-ე პარაგრაფი.

⁴³² იქვე, 55-ე პარაგრაფი.

4.1.3. გადაცემას დაქვემდებარებული პირის ბრალუენარობა ასაკის გამო

დაკავების ევროპული ორდერის შესრულებაზე უარის თქმის სავალდებულო **მესამე საფუძველია** ასაკის გამო პირის ბრალუენარობა დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში. იგი გულისხმობს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობას, როდესაც ის გამოცემულია ბრალუენარო არასრულწლოვანთან ან ისეთ პირთან მიმართებაში, რომელიც ასაკიდან გამომდინარე მოხუცებულია გასამართლებისთვის.⁴³³

ზოგადად, ევროპაში, მათ შორის ევროკავშირის სახელმწიფოებში არ არსებობს საერთო კონსენსუსი, ერთიანი სტანდარტი ასაკიდან გამომდინარე მართლსაწინააღმდეგო ქმედების პირისთვის შერაცხავსთან მიმართებაში.⁴³⁴ ასაკობრივი ბრალუენარობის ზღვარი და მისი ათვლის წესი სახელმწიფოების შეხედულებაზეა დამოკიდებული. თუ ბელგიაში არასრულწლოვანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 18 წლიდან ეკისრება, ბრალის შერაცხვა შოტლანდიაში 8 წლიდან, ინგლისსა და უელსში 10 წლიდან, ჩრდილოეთ ირლანდიაში 12 წლიდან, მალტაში 9 წლიდან, პოლონეთში 15 წლიდან, ესტონეთში 14 წლიდან ხდება.⁴³⁵

⁴³³ Herlin-Karnell, E.: From Mutual Trust to the Full Effectiveness of EU Law: 10 years of the European Arrest Warrant, ECL, 2013, p. 375.

⁴³⁴ Klimek, L.: Implementation of the Grounds for Non-execution the European Arrest Warrant: Lex Ferenda towards the Act No. 154/2010 Coll. on the European Arrest Warrant, LQ, vol. 6, 2016, p. 5.

⁴³⁵ ვრცლად იხ.: Panzavolta, M.: Humanitarian Concerns within the EAW System, ნაშრომში: Keijzer, N., Sliedregt, V.E.: (eds.) The European Arrest Warrant in Practice, Hague, 2009, pp. 184-190.

დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოს არასრულწლოვანის გადაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობა მაშინ აქვს, თუ ის მისი ასაკიდან გამომდინარე სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობით ითვლება ბრალუ-უნაროდ.⁴³⁶ დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ პირი არასრულწლოვანია, დაუშვებელია.⁴³⁷ გარდა ამისა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს თქმით, დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოს ეკრძალება ბრალუწარმადი არასრულწლოვანის მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების საკითხის განხილვისას მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვანის ინდივიდუალური, ოჯახური მახასიათებლები, სიმწიფის ხარისხი და სხვა, მან ის უპირობოდ უნდა შეასრულოს.⁴³⁸ ამგვარი მიდგომა შეუთავსებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპთან. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ბავშვის გადაცემის კიდევ უფრო დაბალი სტანდარტი არსებობს, ვიდრე ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში, სადაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის სოციალური რეაბილიტაციის ინტერესის უზრუნველყოფის გათვალისწინებასა და ამ მიმართულებით ყველაზე ოპტიმალური ღონისძიების განხორციელებას.⁴³⁹

⁴³⁶ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის გადანყვეტილება საქმეზე: Dawid Piotrowski [C 367/16], 38-ე პარაგრაფი.

⁴³⁷ იქვე, 29-ე პარაგრაფი.

⁴³⁸ იქვე, 51-ე და 52-ე პარაგრაფები.

⁴³⁹ ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში ბავშვის გადაცემასთან დაკავშირებით იხ.: თავი II, §3.11.

დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე ბრალუნარიანი არასრულწლოვანის უპირობო გადაცემა ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-3 მუხლით აღიარებულ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს. იგი არის არა მხოლოდ ბავშვის უფლება, ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, ასევე პროცედურული წესი, რომელიც გადანაცვებილების მიღებისას სახელმწიფოს აკისრებს ბავშვზე ასეთი გადანაცვებილების დადებითად თუ უარყოფითად შესაძლო ზემოქმედების შეფასების ვალდებულებას.⁴⁴⁰ შესაბამისად, ეს პრინციპი ბავშვთან მიმართებით ყველა სამართლებრივი ურთიერთობებისთვის, მათ შორის ექსტრადიციისთვის წარმოშობს როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე ევროპული და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შექმნის, ინტერპრეტაციისა და შესრულების მიმართულებებს. ბავშვთან მიმართებაში სახელმწიფოს ქმედება ან უმოქმედება ეროვნულ, ევროპულ თუ საერთაშორისო დონეზე მხოლოდ მისი საუკეთესო ინტერესების დაცვით უნდა იყოს განპირობებული.⁴⁴¹ აქედან გამომდინარე, ბრალუნარიანი არასრულწლოვანის მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის განხილვის პროცესში სასამართლო ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპით შეზღუდულია და მან ის უნდა გამოიყენოს როგორც გადანაცვებილების მიღების პროცედურული ინსტრუმენტი.

⁴⁴⁰ CRC, General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), p. 2, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fG-C%2f14&Lang=en (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁴⁴¹ იქვე, p. 4

4.1.4. დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მუდმივად და სერიოზულად დარღვევის გამო

- 261 დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის დამატებით საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულის მე-10 აბზაცი, რომლის მიზანი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფაა. მაგრამ, იგი არ წარმოადგენს ისეთ საფუძველს, რომელიც დაკავების ევროპული ორდერის ინდივიდუალური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ამ საფუძვლის არსებობისას საერთოდ აღარ უნდა მოხდეს დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების საკითხის in concreto განხილვა და სასამართლომ იგი ფორმალურად, აბსტრაქტულად უნდა შეაფასოს.⁴⁴² პრეამბულის მე-10 აბზაცის მიხედვით:
- 262 „დაკავების ევროპული ორდერის მექანიზმი ეფუძნება წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობის მაღალ ხარისხს. მისი იმპლემენტაცია შესაძლებელია შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრი სახელმწიფო მუდმივად და სერიოზულად არღვევს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფში გადმოცემულ პრინციპებს და ასეთი დარღვევა დადგენილია კავშირის საბჭოს მიერ ხსენებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად და დამდგარია იმავე ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პარაგრაფის შედეგი.“
- 263 ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირ-

⁴⁴² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: LM [C-216/18], 72-ე პარაგრაფი.

ველი პარაგრაფი ძირითად უფლებათა ქარტიას აცხადებს ევროკავშირის პირველადი სამართლის ნაწილად. შესაბამისად, კავშირის წევრი სახელმწიფოს მიმართ მხოლოდ მაშინ შეიძლება შეჩერდეს დაკავების ევროპული ორდერის მექანიზმი, როდესაც იგი მუდმივად და სერიოზულად დაარღვევს ძირითად უფლებათა ქარტიით გათვალისწინებულ პრინციპებს, უფლებებსა და თავისუფლებებს. ასეთი დარღვევა არის თუ არა მუდმივი და სერიოზული ხასიათის განისაზღვრება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველი და მეორე პარაგრაფების საფუძველზე ევროკავშირის ორგანოების გადანყვეტილებებით. ეს პროცესი სამი ეტაპისგან შედგება.

პირველი ეტაპი (ე.წ. „წინასწარი გაფრთხილების მექანიზმი“) – კავშირის წევრი სახელმწიფოების ერთი მესამედის, ევროპული პარლამენტის ან ევროპული კომისიის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, საბჭო უფლებამოსილია ევროპული პარლამენტისგან თანხმობის მოპოვების შემდეგ სრული შემადგენლობის ოთხი მეხუთედით განსაზღვროს, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოში არსებობს ძირითად უფლებათა ქარტიის დარღვევის სერიოზული რისკი, რომლებსაც ეფუძნება ევროპის კავშირი. ამგვარი გადანყვეტილების მიღებამდე საბჭო ვალდებულია მოისმინოს ამ სახელმწიფოს პოზიცია. საბჭოს ასეთი სახელმწიფოსთვის რეკომენდაციით მიმართვის უფლებაც გააჩნია. ამასთანავე, იგი რეგულარულად ახორციელებს სახელმწიფოში იმ გარემოებების შემოწმებას კვლავ არსებობს თუ არა ძირითად უფლებათა ქარტიის ხელყოფის საფრთხე.

264

მეორე ეტაპზე ხდება კავშირის ღირებულებების სერიოზუ-

265

ლი და მუდმივი დარღვევის დადგენა. კავშირის წევრ სახელმწიფოთა ერთი მესამედის ან ევროპული კომისიის წინადადების საფუძველზე და ევროპული პარლამენტისგან თანხმობის მიღების შემდეგ ევროპული საბჭო ერთხმად იღებს წევრ სახელმწიფოში კავშირის ღირებულებების სერიოზული და მუდმივი დარღვევის დადგენის შესახებ გადანყვეტილებას. ამგვარი გადანყვეტილების მიღებამდე იგი ვალდებულია მოისმინოს ამ სახელმწიფოს პოზიცია.

266 მესამე ეტაპი *სანქციის განსაზღვრის* საფეხურია. ევროპული საბჭოს მიერ მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე, კავშირის საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით იღებს გადანყვეტილებას წევრი სახელმწიფოსთვის კავშირის ძირითადი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლების (მათ შორის, საბჭოში ხმის მიცემის უფლების) შეჩერების ან არ შეჩერების შესახებ. საბჭომ გადანყვეტილების მიღებამდე მხედველობაში უნდა მიიღოს უფლების შეჩერების სავარაუდო შედეგები ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. უფლების შეჩერება წევრ სახელმწიფოს არ ათავისუფლებს კავშირის ძირითადი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან. იმ შემთხვევაში თუ სანქციის დაკისრების განმავლობაში გარემოებები შეიცვლება, კავშირის საბჭოს უფლება აქვს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით მიიღოს სანქციის შეცვლის ან გაუქმების შესახებ გადანყვეტილება.

267 ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულის მე-10 აბზაცით გათვალისწინებული დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის საფუძველი იმდენად რთული და კომპლექ-

სურია, რომ არაეფექტიან მექანიზმად უნდა იქნეს მიჩნეული. მას სამართლებრივზე მეტად, პოლიტიკური ხასიათი აქვს. მისი ამოქმედება კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვან პოლიტიკურ კონსენსუსზეა დამოკიდებული.⁴⁴³ თუ ასეთი შეთანხმება იქნება მიღწეული, ეროვნული სა-სამართლო შებოჭილი იქნება კავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით და დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება მის გაუქმებამდე, გამოიწვევს ძირითად უფლებათა ქარტი-სა და ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების დარღვევას.

4.2. არასავალდებულო საფუძვლები

ჩარჩო-გადაწყვეტილებაში უფრო მეტი შემთხვევაა მოცემუ- 268
ლი, როდესაც დაკავების ევროპული ორდერის შესრულება არ არის სავალდებულო თუ გადაცემის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს. კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ჩათვალეს, რომ მათ ჩარჩო-გადაწყვეტილების

⁴⁴³ სწორედ ამ ინსტრუმენტის პოლიტიკური ხასიათი უშლის ხელს პოლონეთის მიმართ მის ამოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულმა კომისიამ დასაბუთებული წინადადება პოლონეთში სამართლის უზენაესობის პრინციპის მუდმივად და სერიოზულად დარღვევასთან დაკავშირებით დასაბუთებული წინადადება კავშირის საბჭოს წარუდგინა. იხ.: Proposal for a Council Decision on the determination of a clear risk of a serious breach by the Republic of Poland of the rule of law COM/2017/0835 final — 2017/0360 (NLE) ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52017PC0835> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

ეროვნულ დონეზე გადატანისას ჰქონდათ ფართო დისკრეცია და იმპლემენტაციის პროცესი „თვითნებურად“ განახორციელეს. სახელმწიფოების უმრავლესობის მხრიდან დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის არასავალდებულო საფუძვლების ტრანსპოზიციის ორი ძირითადი პრობლემატური მიმართულება გამოიკვეთა. პირველი, სახელმწიფოთა ნაწილმა არასავალდებულო საფუძვლები ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში გარდაქმეს სავალდებულო შემთხვევებად.⁴⁴⁴ მეორე, სახელმწიფოთა გარკვეულმა რაოდენობამ ეროვნული კანონმდებლობით გააფართოვეს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის არასავალდებულო საფუძვლებისთვის ჩარჩო-გადანყვეტილებით დადგენილი ფარგლები.⁴⁴⁵ ევროპული კომისიის მიერ ორივე მიდგომა სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე სახელმწიფოთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ეს ხარვეზი გამოასწორა და შიდა საკანონმდებლო ჩარჩო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას შეუსაბამა.⁴⁴⁶ მარ-

⁴⁴⁴ იხ.: Report From the Commission based on Article 34 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, (2005) 63 final, p. 4, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=86> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁴⁴⁵ იქვე.

⁴⁴⁶ იხ.: Report From the Commission to the European Parliament and the Council On the implementation since 2007 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, (2011) 175 final, p. 5, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=140> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

თლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პოზიციას, რომ ნებისმიერი ეროვნული ნორმა, რომელიც ჩარჩო-გადაწყვეტილებაზე მეტად შეზღუდავს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის არასავალდებულო საფუძვლებს, მხოლოდ გააძლიერებს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში პირის გადაცემის პროცედურებს და დადებითად აისახება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობაზე.⁴⁴⁷

4.2.1. 32 კატეგორიის მიღმა არსებული დანაშაულების ორმხრივი დასჯის მოთხოვნა

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში გადაცემას დაქვემდებარებული 32 კატეგორიის მიღმა დარჩენილი ყველა სხვა დანაშაულის მიმართ მოქმედებს ორმხრივი დასჯის მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ქმედება ჩადენის პროცესში უნდა წარმოადგენდეს დანაშაულს დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ სახელმწიფოში, ხოლო ადრესატ სახელმწიფოში ქმედება დანაშაულის ფორმით უნდა არსებობდეს პირის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას.⁴⁴⁸ ეროვნული სასამართლო ასეთ დანაშაულებზე გა-

269

⁴⁴⁷ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2009 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Dominic Wolzenburg*, [C-123/08], 58-ე პარაგრაფი.

⁴⁴⁸ *Sliedregt, V.E.*: The Dual Criminality Requirement, ნაშრომი: *Keijzer, N., Sliedregt, V.E.*: (eds.) *The European Arrest Warrant in Practice*, Hague, 2009, pp. 52-53.

მოცემულ დაკავების ევროპულ ორდერს შეასრულებს იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი ქმედებისთვის დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობა სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას სულ მცირე 12 თვის ვადით ან თუკი ამ პირის მიმართ განაჩენი უკვე გამოტანილია და მას სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ან შეზღუდვა სულ მცირე 4 თვის ვადით.⁴⁴⁹

270 ეროვნული სასამართლო უფლებამოსილია უარი განაცხადოს დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებაზე თუ პირის გადაცემა მოთხოვნილია ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ხსენებული 32 კატეგორიის რომელიმე დანაშაულისთვის და მასთან მიმართებაში დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობა სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას სულ მცირე 3 წლის ვადით.⁴⁵⁰

4.2.2. ერთი და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოებანი

271 ეროვნული სასამართლო უფლებამოსილია არ შეასრულოს დაკავების ევროპული ორდერი, როდესაც გადაცემას დაქვემ-

⁴⁴⁹ „დაკავების ევროპული ორდერისა და ნევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ 2002 წლის ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლის პირველი პარაგრაფი.

⁴⁵⁰ იქვე, მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფი, მე-4 მუხლის პირველი პარაგრაფი.

დებარებული პირის მიმართ დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ ქმედებისთვის, რომელიც დაკავების ევროპული ორდერის გამოცემას დაედო საფუძველად.⁴⁵¹

4.2.3. *Ne bis in idem*-ის პრინციპი როგორც დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის არასავალდებულო საფუძველი

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში *ne bis in idem*-ის პრინციპს როგორც დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ერთ-ერთ არასავალდებულო საფუძველს ორი მიმართულება აქვს. 272

პირველი მიმართულება გამომდინარეობს *ne bis in idem*-ის პრინციპის კავშირის სივრცეში მოქმედების წესიდან. ეროვნულ სასამართლოს უფლება აქვს პირის გადაცემაზე განაცხადოს უარი, როდესაც დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოს იუსტიციური ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმ ქმედებაზე სისხლისსამართლებრივი დევნის არ განხორციელების შესახებ, რომელიც დაკავების ევროპულ ორდერის გამოცემას ეფუძნება, ან ასეთი გადაწყვეტილებით სამართალწარმოება შეწყდა, ან კავშირის რომელიმე წევრმა სახელმწიფომ მიიღო იმგვარი საბოლოო გადაწყვეტილება გადაცემას დაქვემდებარებული პირის მიმართ იგივე ქმედებასთან დაკავშირებით, რომლი-

⁴⁵¹ იქვე, მე-4 მუხლის მეორე პარაგრაფი.

თაც იგი კრძალავს სამართალწარმოების პროცესის გაგრძელებას.⁴⁵²

- 274 მეორე მიმართულებაში *ne bis in idem*-ის პრინციპს არა ევროპული, არამედ საერთაშორისო ხასიათი აქვს. ეროვნული სასამართლო მაშინაც არის უფლებამოსილი არ შეასრულოს დაკავების ევროპული ორდერი, თუ მას შეატყობინეს, რომ გადაცემას დაქვემდებარებული პირის მიმართ მესამე (კავშირის არა წევრ) სახელმწიფოში გამოტანილია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება იმ ქმედებისთვის, რომლის გამოც მოთხოვნილია მისი ექსტრადიცია. თუ ამგვარ შემთხვევაში პირს სასჯელი დაეკისრა, აუცილებელია, რომ მიმდინარეობდეს სასჯელის აღსრულების პროცესი ან მისი აღსრულება დასრულებული იყოს ან მესამე სახელმწიფოს კანონმდებლობით ამ სასჯელის აღსრულება აღარ იყოს შესაძლებელი.⁴⁵³

4.2.4. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ექსტრადიციის შეზღუდვა

- 275 ეროვნულ სასამართლოს შესაძლებლობა აქვს არ შეასრულოს დაკავების ევროპული ორდერი, როცა გადაცემას დაქვემდებარებული პირის სისხლისსამართლებრივი დევნა ან გასამართლება დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში კანონით არის აკრძალული და დაკავების ევ-

⁴⁵² იქვე, მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფი.

⁴⁵³ იქვე, მე-4 მუხლის მე-5 პარაგრაფი.

როპული ორდერით გათვალისწინებული დანაშაული არის ადრესატი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის ნაწილი. დაკავების ევროპული ორდერის აღუსრულებლობის ამ საფუძველში მოიაზრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი ვადის გასვლა ანუ დამნაშავის დასჯის ხანდაზმულობა.

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ამ პრინციპის შინაარსი მკვეთრად განსხვავდება ექსტრადიციის ევროპული მოდელის ორივე მიდგომისგან. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის საწყისი რედაქცია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე კრძალავს პირის გადაცემას თუ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ ან მიმღებ სახელმწიფოში გასულია ექსტრადიციის თხოვნით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი ვადა. იგი ასევე განსხვავდება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმით შეტანილი ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული მე-10 მუხლისგანაც, რომელიც ერთი მხრივ, მოქმედებაში ტოვებს დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ხანდაზმულობის ვადის არსებობის პირობას მხოლოდ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთან მიმართებაში, მეორე მხრივ, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს უფლებას აღარ აძლევს უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე იმ საფუძველით, რომ მისი კანონმდებლობით დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გასულია.

4.2.5. მოქალაქის გადაცემა

- 277 ექსტრადიციის ევროპული სისტემისგან განსხვავებით, ქვაზი-ევროპულ მოდელში მოქალაქის გადაცემასთან მიმართებაში სამართლებრივი თვალსაზრისით შედარებით უფრო რბილი, ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობაზე ორიენტირებული მიდგომაა.⁴⁵⁴ მოქალაქის გადაცემაზე უარის თქმა არ არის სახელმწიფოს უფლება.⁴⁵⁵ მას არ აქვს შესაძლებლობა დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის შესახებ გადანყვეტილება დააფუძნოს პირის მოქალაქეობიდან მომდინარე პრივილეგიებზე, მოქალაქის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის კონსტიტუციური აკრძალვის სტანდარტზე თუ მოქალაქისა და სახელმწიფოს შორის არსებულ განსაკუთრებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ კავშირზე.⁴⁵⁶
- 278 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში მოქალაქის გადაცემასთან დაკავშირებით მისი სისხლისსამართლებრივი პროცესუალური სტატუსიდან გამომდინარე ორი მიდგომა არსებობს. პირველი ეხება ბრალდებული მოქალაქის ექსტრადიციას, მეორე – მსჯავრდებული მოქალაქის გადაცემას.

⁴⁵⁴ *Deen-Racsmany, Z., Blekxtoon, R.*: Decline of the Nationality Exception in European Extradition — The Impact of the Regulation of (Non-)Surrender of Nationals and Dual Criminality under the European Arrest Warrant, Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2005, p. 321.

⁴⁵⁵ *Deen-Racsmany, Z.*: The European Arrest Warrant and the Surrender of Nationals Revisited: The Lessons of Constitutional Challenges, Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2006, p. 272.

⁴⁵⁶ *Pieter, A.*: The European Arrest Warrant system: Recent developments in the case law of the Court of Justice, MJECL, vol. 24(6), 2017, p. 885.

4.2.5.1. ბრალდებული მოქალაქის გადაცემა

კავშირის ნევრი სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი მოქალაქე, რომელიც ბრალდებულია კავშირის სხვა ნევრ ქვეყანაში, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე გადასცეს ამ სახელმწიფოს.⁴⁵⁷ თუმცა, ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილია ორი ნორმატიული საფუძველი, რომლებიც სახელმწიფოს საშუალებას აძლევენ არ აღასრულოს კავშირის სხვა ნევრ სახელმწიფოში ბრალდებული მისი მოქალაქის მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი. პირველი, როდესაც სახელმწიფოს თვითონვე აქვს დაკავების ევროპული ორდერით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისა და მოქალაქის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების იურისდიქცია, იგი უფლებამოსილია ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფის (ერთი და იმავე დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოებანი) შესაბამისად უარი განაცხადოს მოქალაქის გადაცემაზე. მეორე, ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია არ გადასცეს საკუთარი მოქალაქე, თუ იგი მოითხოვს გარანტიას, რომ გასამართლების შემდეგ დაკავების ევროპული ორდერის გამომცემი სახელმწიფო უზრუნველყოფს სასჯელის მოხდის მიზნით მოქალაქის მის ტერიტორიაზე დაბრუნებას და ეს სახელმწიფო მას ასეთ დაპირებას არ მისცემს.

279

⁴⁵⁷ იქვე, მე-4 მუხლის მე-6 პარაგრაფი.

4.2.5.2. მსჯავრდებული მოქალაქის გადაცემა

- 280 მსჯავრდებული მოქალაქის, რეზიდენტის, მუდმივად მცხოვრები პირის კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემა სასჯელის სახით დაკისრებული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზნით სავალდებულოა. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფო გადანყვეტს, რომ ამ პირების მიმართ ეროვნული სამართლის შესაბამისად თვითონ აღასრულოს სასჯელი.⁴⁵⁸ თუ მისი კანონმდებლობით სასჯელის აღსრულება შეუძლებელი იქნება რაიმე მიზეზის გამო, მაშინ ეს საგამონაკლისო წესი არ მოქმედებს და მოქალაქე კავშირის სხვა წევრ ქვეყანას უნდა გადაეცეს.⁴⁵⁹
- 281 მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ მსჯავრდებული მოქალაქის, რეზიდენტისა და მუდმივად მყოფი პირის კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემაზე უარის თქმის სტანდარტი დაადგინა. მისი თქმით, დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოს მიერ სასჯელის საკუთარი იურისდიქციის სივრცეში აღსრულების შესახებ გადანყვეტილების მიღებამდე, იგი ვალდებულია შეაფასოს არსებობს თუ არა ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც გაამართლებს სასჯელის მის ტერიტორიაზე აღსრულებას.⁴⁶⁰ გარდა ამისა, მხედველობაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს

⁴⁵⁸ იქვე.

⁴⁵⁹ *Glerum, V., Rozemond, K.: Surrender of Nationals ნაშრომი: Keijzer, N., Sliedregt, V.E.: (eds.) The European Arrest Warrant in Practice, Hague, 2009, p. 77.*

⁴⁶⁰ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე: Szymon Kozłowski [Case 66/08], 44-ე პარაგრაფი.

სასჯელის აღსრულების პროცესში საზოგადოებაში პირის უკეთესად რეინტეგრაციის პერსპექტივაც.⁴⁶¹ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო აბსოლუტურად თავისუფალი არ არის მსჯავრდებული მოქალაქის, რეზიდენტისა თუ მუდმივად მყოფი პირის გადაცემის საკითხის განხილვისას და მისი გადანყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

ექსტრადიციის მიზნებისთვის სიტყვებს „რეზიდენტი“ და „მუდმივად მყოფი პირი“ ევროკავშირის სამართალში ავტონომიური, უნიფიცირებული მნიშვნელობა აქვთ და ისინი არ უნდა იქნეს გაგებული ეროვნული სამართლით განსაზღვრული შინაარსით. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ეს ცნებები *კოზლოვსკის საქმეში* განმარტა. დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში „რეზიდენტად“ უნდა ჩაითვალოს პირი, როდესაც მას ამ ქვეყანაში აქვს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი იმყოფება სტაბილურად და მასთან აქვს ისეთი კავშირები, რომელიც ბინადრობის მსგავსია.⁴⁶² ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიზნებისთვის, როდესაც განიხილება პირის „მუდმივად მყოფ პირად“ მიჩნევის საკითხი, ეროვნულმა სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს საქმის სხვადასხვა ობიექტურ ფაქტორებზე, მათ შორის დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში ამ პირის ყოფნის ხანგრძლივობაზე, მიზანზე, ოჯახურ მდგომარეობაზე და ეკონომიკურ კავშირებზე და მხოლოდ ამ გარემოებების ერთობლივად შეფასების საფუძველზე მიიღოს გადანყვეტილება.⁴⁶³

282

⁴⁶¹ იქვე, 45-ე პარაგრაფი.

⁴⁶² იქვე, 54-ე პარაგრაფი.

⁴⁶³ იქვე.

4.2.5.3. მოქალაქის გადაცემის ვალდებულების შესაბამისობა კავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციებთან – საკონსტიტუციო სასამართლოების არაერთგვაროვანი მიდგომები

283 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში მოქალაქის გადაცემის აკრძალვის ტრადიციული კონსტიტუციური პრინციპისგან განსხვავებული წესის შემოღებამ კავშირის ზოგიერთ სახელმწიფოში კონსტიტუციური მართლმსაჯულების პროვოცირება გამოიწვია.⁴⁶⁴ გერმანიის, პოლონეთის, ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოებმა და კვიპროსის უზენაესმა სასამართლომ იმსჯელეს შეესაბამება თუ არა კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში მოქალაქის ექსტრადიციის ვალდებულება ამ მიმართულებით კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებს.⁴⁶⁵ სასამართლოებმა მოქალაქის გადაცემის კონსტიტუციურ წესებზე მსჯელობისას კონტრაპუნქტუალური მიდგომები არ განავითარეს.⁴⁶⁶ მათ გამოამყვანეს ჯერ კიდევ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ევროკავშირის სამართალსა და კონსტიტუციას შორის თანაფარდობის მიმართ, რომელსაც მადურო „პათოლოგიურ შემთხვევებს“ უწოდებს.⁴⁶⁷

⁴⁶⁴ *Sliedregt, V.*: The European Arrest Warrant: between Trust, Democracy and the Rule of Law, EUCONST, 2007, p. 244.

⁴⁶⁵ *Deen-Racsmany, Z.*: Lessons of the European Arrest Warrant for Domestic Implementation of the Obligation to Surrender Nationals to the International Criminal Court, LJIL, 2007, p. 170.

⁴⁶⁶ ვრცლად იხ.: *Komarek, J.*: European Constitutionalism and the European Arrest Warrant: In Search of the Limits of Contrapunctual Principles, CML Rev., 2007, pp. 9-40. *Sliedregt, V.*: The European Arrest Warrant: between Trust, Democracy and the Rule of Law, EUCONST, 2007, pp. 245-247.

⁴⁶⁷ *Maduro, M.P.*: Contrapunctual Law: Europe's Constitutional Pluralism in

4.2.5.3.1. გერმანიის ძირითადი კანონის სუპრა-ევროპული ინტერპრეტაცია

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩარჩო-გადანყვეტილების ტრანსპოზიციის მიზნით ახალი ნორმატიული აქტი არ იქნა მიღებული. ის ეროვნულ სივრცეში იმპლემენტირდა სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ აქტით, ვინაიდან გერმანული მიდგომა ერთმანეთისგან არ განასხვავებს ექსტრადიციასა და გადაცემას.⁴⁶⁸ თუმცა, იგი იცნობს საერთაშორისო ექსტრადიციისა და ევროპული ექსტრადიციის მექანიზმებს.⁴⁶⁹ ეროვნულმა აქტმა გაითვალისწინა გერმანიის მოქალაქის კავშირის სხვა ნევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის შემთხვევაც.

გერმანიის ძირითად კანონთან მიმართებაში ჩარჩო-გადანყვეტილების მაიმპლემენტირებელი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა გერმანიისა და სირიის მოქალაქემ, რომლის გადაცემასაც ითხოვდა ესპანეთი, სადაც მას ბრალად ედებოდა ტერორისტული ორგანიზაციის – ალქაიდას ნევრობა და მისი აქტიური მხარდაჭერა.⁴⁷⁰ მოსარჩელე

Action, ნაშრომში: *Walker, N.*: (ed.) *Sovereignty in Transition*, Oxford, 2003, p. 503.

⁴⁶⁸ *Klimek, L.*: *European Arrest Warrant*, London, 2015, p. 290.

⁴⁶⁹ *Sinn, A., Wörner, L.*: *The European Arrest Warrant and Its Implementation In Germany – Its Constitutionality, Laws and Current Developments*, ZIS, 2007, pp, 206-207.

⁴⁷⁰ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: 2 BvR 2236/04, A, პირველი პარაგრაფი, ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=891> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

თვლიდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ აქტი ეწინააღმდეგებოდა გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პარაგრაფს, რომელიც გერმანიის მოქალაქის კავშირის ნევრ სახელმწიფოში ექსტრადიციას დასაშვებად აცხადებს კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის პირობით.⁴⁷¹

286 გერმანიის მთავრობის არგუმენტები სადავო აქტის კონსტიტუციურობასთან მიმართებაში ძირითადად გამომდინარეობდა ევროკავშირის სამართლის ეროვნულ სამართალზე უზენაესობის კონცეფციიდან. მთავრობას მიაჩნდა, რომ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებას უპირატესობა გააჩნია ეროვნულ კანონმდებლობაზე, მათ შორის ძირითად უფლებათა კონსტიტუციურ ნორმებზეც.⁴⁷²

287 გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არგუმენტაცია ძირითადად სახელმწიფოსა და მოქალაქის მიქიდრო კავშირზე,⁴⁷³ კონსტიტუციური ნორმის ისტორიულად ჩამოყალიბებულ შინაარსზე დააფუძნა.⁴⁷⁴ მისი მსჯელობის პათოსი გერმანიის ძირითადი კანონის იდენტობის შენ-

⁴⁷¹ გერმანიის ძირითადი კანონი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.btg-bestellservice.de/pdf/80201000.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021)

⁴⁷² გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: 2 BvR 2236/04, A, IV, პირველი პარაგრაფი.

⁴⁷³ *Mitsilegas, V.*: The Constitutional Implications of Mutual Recognition in Criminal Matters in the EU, CML Rev., 2006, p. 1295.

⁴⁷⁴ *Pollicino, O.*: European Arrest Warrant and Constitutional Principles of the Member States: a Case Law-Based Outline in the Attempt to Strike the Right Balance between Interacting Legal Systems, German L.J., 2008, p. 1329.

არჩუნებისკენაა მიმართული, თუმცა მხოლოდ ძირითადი უფლებების კონსტიტუციური სტანდარტების კონტექსტში.⁴⁷⁵ სასამართლოს განცხადებით, გერმანიის მოქალაქის ექსტრადიციის აკრძალვა მომდინარეობს არა მხოლოდ მოქალაქის მიმართ სახელმწიფოს დაცვის ვალდებულებიდან, არამედ თავისუფლების უფლებიდანაც, რომელიც მოქალაქეს იცავს საკუთარი ნების გარეშე სხვა, უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაყვანისგან.⁴⁷⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პარაგრაფით დათქმული პირობა – კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა – მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციასთან მიმართებაში, კანონმდებელს აკისრებს ვალდებულებას სხვა სახელმწიფოსთვის მოქალაქის გადაცემის მატერიალური შემთხვევა – ე.ი. თავისუფლების უფლება შეზღუდოს მხოლოდ კანონით, თანაც იმგვარად, რომ იყოს პროპორციული.⁴⁷⁷ ამ მიდგომაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გულისხმობს, რომ კანონმდებელმა მაქსიმალურად უნდა შეამციროს მოქალაქის კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის პერსპექტივა და როდესაც შესაძლებლობა არსებობს (მაგ.: დანაშაულზე გერმანიის ტერიტორიული იურისდიქციიდან გამომდინარე) იგი გერმანულ მართლმსაჯულებას დაუქვემდებაროს.⁴⁷⁸ საბოლოო ჯამში, ჩარჩო-გადანყვეტილების მაიმპლემენტირებელი აქტი არა-

⁴⁷⁵ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: 2 BvR 2236/04, B, I, პირველი პარაგრაფის „b“ ქვეპარაგრაფი.

⁴⁷⁶ იქვე, B, I, პირველი პარაგრაფი.

⁴⁷⁷ იქვე, C, I, პირველი პარაგრაფის „C“ ქვეპარაგრაფი.

⁴⁷⁸ იქვე.

კონსტიტუციურად ცნო თავისუფლების უფლების არაპროპორციულად შეზღუდვის გამო. გერმანიის სასამართლოებს აეკრძალათ გერმანიის მოქალაქის მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება. შესაბამისად, ჩარჩო-გადაწყვეტილების ხელახალ იმპლემენტაციამდე კავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქალაქის ექსტრადიციის საკითხი წყდებოდა ექსტრადიციის ევროპული სისტემისა და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით გერმანიამ ჩარჩო-გადაწყვეტილების ეროვნულ სამართალში გადატანა 2006 წელს განახორციელა.⁴⁷⁹

288 გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ესპანეთის ეროვნული სასამართლოს მწვავე რეაქცია გამოიწვია, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის სასამართლოების მიერ გამოცემულ ყველა დაკავების ევროპულ ორდერს გააუქმებდა,⁴⁸⁰ ვინაიდან მათ შორის ორმხრივი ნდობა აღარ არსებობდა.⁴⁸¹ მას იურიდიულ ლიტერატურაშიც ხშირად აკრიტიკებენ. *პოლიჩინოს თქმით*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გად-

⁴⁷⁹ ვრცლად იხ.: *Sinn, A., Wörner, L.*: The European Arrest Warrant and Its Implementation In Germany – Its Constitutionality, Laws and Current Developments, ZIS, 2007, pp. 204-220.

⁴⁸⁰ *Mann, G.*: The European Arrest Warrant: a Short-lived Mechanism for Extradition? *Syracuse J. Int'l L. & Com.*, 2007, p. 716.

⁴⁸¹ Report From The Commission on the implementation since 2005 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, (2007) 407 final, p. 5, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=1307> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ანწყვეტილების წაკითხვისას, არ ჩნდება განცდა, რომ იგი ცდილობს გერმანელი კანონმდებლისთვის კონსტიტუციის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, არამედ მისი რეალური მიზანი იყო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის რეალიზაციის პროცესის შეფერხება.⁴⁸² ტომუსჩატი იმედგაცრუებულია გერმანელი მოსამართლეების არგუმენტებით, იგი ვერ ხედავს მათ მსჯელობაში დასაბუთებას.⁴⁸³ ზაცგერისა და პოლის შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ამ გადაწყვეტილებით დაარღვევდნენ ევროკავშირის სამართალს, მათ შეეძლოთ სხვაგვარად ემოქმედათ და სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება გარკვეული პერიოდით გადაედოთ.⁴⁸⁴ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური ნორმის ინტერპრეტაცია პრო-ეროვნული გადმოსახედიდან, კონსტიტუციური იდენტობის შენარჩუნებიდან გამომდინარე განახორციელა. სასამართლოს არგუმენტაცია და მიდგომაში ნამდვილად იკვეთება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება. მას რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის შეფერხება არ გამოენვია, თუმ-

⁴⁸² Pollicino, O.: European Arrest Warrant and Constitutional Principles of the Member States: a Case Law-Based Outline in the Attempt to Strike the Right Balance between Interacting Legal Systems, German L.J., 2008, p. 1329.

⁴⁸³ Tomuschat, C.: Inconsistencies – the German Federal Constitutional Court on the European Arrest Warrant, EUCONST, 2006, pp. 209-214.

⁴⁸⁴ Satzger, H., Pohl, T.: The German Constitutional Court and the European Arrest Warrant — ‘Cryptic Signals’ from Karlsruhe, Int’l Crim. Just., 2006, p. 696.

ცა, სასამართლომ ყველაზე რადიკალური ნაბიჯი გადადგა.⁴⁸⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა ე.წ. პუპინოს პრინციპის საფუძველზე კონსტიტუციური ნორმა განემარტა ჩარჩო-გადანწყვეტილებასთან ჰარმონიულად და კონსტიტუციის დარღვევა არ დაედგინა. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლის მე-2 პარაგრაფი ითვალისწინებს კავშირის ნეგრი სახელმწიფოსთვის გერმანიის მოქალაქის გადაცემის შემთხვევას. აგრეთვე, გერმანელ მოსამართლეებს საშუალება ჰქონდათ პოლონელი კოლეგების მსგავსად, სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის გარდამავალი პერიოდი დაედგინათ და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისთვის კანონმდებლისთვის გონივრული ვადა მიეცათ. გარდა ამისა, მათ სულ მცირე შექმნათ მთლიანად სადავო აქტი არ გაეუქმებინათ და გერმანია ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემისგან აბსოლუტურად არ „გაეთიშათ“,⁴⁸⁶ შესაძლებელი იყო სასამართლოს არაკონსტიტუციურად ეცნო მხოლოდ ის სადავო ნორმები, რომლებიც გერმანიის მოქალაქის ექსტრადიციას უკავშირდებოდა.

⁴⁸⁵ *Nohlen, N.*: Germany: The European Arrest Warrant Case, *Int’l J. Const. L.*, 2008, p. 160.

⁴⁸⁶ *Kühn, Z.*: The European Arrest Warrant, Third Pillar Law and National Constitutional Resistance/Acceptance, *The EAW Saga as Narrated by the Constitutional Judiciary in Poland, Germany, and the Czech Republic*, CYELP, vol. 3, 2007, p. 111. *Nohlen, N.*: Germany: The European Arrest Warrant Case, *Int’l J. Const. L.*, 2008, p. 160.

4.2.5.3.2. ჩეხეთის კონსტიტუციის ევრო-მეგობრული ინტერპრეტაცია

ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩარჩო-გადანწყვეტილების იმპლემენტაცია ინტენსიური პოლიტიკური დისკუსიების ფონზე წარიმართა. იგი ეროვნულ სამართალში გადატანილ იქნა 2004 წლის ივლისში ჩეხეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით, კონსტიტუციის გადასინჯვის გარეშე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვრა ჩეხეთის მოქალაქის კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის პროცედურები. 289

ჩეხეთის მთავრობამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის პროექტთან ერთად პარლამენტს წარუდგინა კონსტიტუციური რანგის აქტის – ჩეხეთის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის⁴⁸⁷ მე-14 მუხლის (თავისუფალი გადაადგილების უფლება) გადასინჯვის პროექტიც,⁴⁸⁸ თუმცა პარლამენტის ქვედა პალატის ფარგლებში კონსტიტუციის რევიზიის ინიციატივა არ იქნა მხარდაჭერილი და მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცეს-

⁴⁸⁷ ტექსტის სრული ვერსია ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: https://www.usoud.cz/fileadmin/user_upload/ustavni_soud_www/Pravni_uprava/AJ/Listina_English_version.pdf (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

⁴⁸⁸ პროექტის თანახმად, ქარტიის მე-14 მუხლს დაემატებოდა შემდეგი შინაარსის პარაგრაფი: „მოქალაქე შეიძლება გადაეცეს კავშირის წევრ სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასჯელის მოხდის მიზნით თუ ეს გამომდინარეობს ჩეხეთის რესპუბლიკის, როგორც კავშირის წევრი სახელმწიფოს ვალდებულებიდან, ამ ვალდებულების შეზღუდვა ან უგულებელყოფა დაუშვებელია.“

სო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები იქნა მიღე ბული.⁴⁸⁹ ჩეხეთის პრეზიდენტმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების პროექტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობიდან გამომდინარე ვეტო დაადო, რომელიც პარლამენტის ქვედა პალატამ დაძლია.⁴⁹⁰ საბოლოო ჯამში მას ხელი მოაწერეს და გამოაქვეყნეს პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარემ და ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა.⁴⁹¹

- 291 ჩეხეთში მოქალაქის კავშირის ნევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის რეგულირება კონსტიტუციური სამართალწარმოების საგანი ისე გახდა, რომ ჩეხეთის დაკავების ევროპული ორდერი ჩეხეთის მოქალაქის მიმართ არ იყო გამოცემული. 2004 წლის ნოემბერში ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატისა და სენატის დეპუტატებმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული მუხლების, მათ შორის იმ ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, რომლებიც მოქალაქის კავშირის ნევრი სახელმწიფოსთვის გადაცემას არეგულირებდა. მოსარჩელეთა მოთხოვნა ეფუძნებოდა ჩეხეთის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტის მე-14 მუხლის მე-4 პარაგრაფის მეორე წინადადებას, რომლის თანახმად „სამშობლოს დატოვების მიზნით მოქალაქის იძულება დაუშვებელია“. ისინი მიუთითებდნენ, რომ მოქალაქის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის კონსტიტუციური დანაწესი აბსოლუტური და უპირობოა. იგი არ იძლევა კანონის საფუძველზე ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევისა და

⁴⁸⁹ Klimek, L.: European Arrest Warrant, London, 2015, p. 297.

⁴⁹⁰ იქვე.

⁴⁹¹ იქვე.

შეზღუდვის შესაძლებლობას.⁴⁹² მოსარჩელეთა განცხადებით, ჩარჩო-გადანწყვეტილებას არ გააჩნია პირდაპირი მოქმედების ძალა, მასზე არ ვრცელდება ეროვნულ სამართალზე ევროკავშირის სამართლის უპირატესობის პრინციპი, აქედან გამომდინარე, კონსტიტუციასთან შეუთავსებელია ეროვნული აქტების, მათ შორის თავად კონსტიტუციის ჩარჩო-გადანწყვეტილებასთან თავსებადი განმარტება, როდესაც ინტერპრეტაციის შედეგი მკაფიოდ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ტექსტს.⁴⁹³

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არ დააკმაყოფილა. მან საკუთარი არგუმენტაცია ორი მიმართულებით განავითარა. პირველი, სასამართლომ იმსჯელა ქარტიის მე-14 მუხლის მე-4 პარაგრაფის ისტორიულ შინაარსზე და განაცხადა, რომ მისი ქარტიაში არსებობა განპირობებულია კომუნისტური რეჟიმის მძიმე გამოცდილებით, რომელიც ადამიანებს საკუთარი სამშობლოს დატოვებას აიძულებდა.⁴⁹⁴ ქარტიის მე-14 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიღების მიზანი მხოლოდ ე.წ. სოციალისტური დეკონტამინაციის პრევენცია, მომავალი თაობებისთვის კომუნისტური იდეოლოგიის სისასტიკის შეხსენებაა, იგი არასდროს უკავშირდებოდა ჩეხეთის მოქალაქის ექსტრადიციის საკითხს.⁴⁹⁵

292

⁴⁹² ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 03 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Pl. US 66/04, I, მე-6 და მე-9 პარაგრაფები, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=974> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁴⁹³ იქვე, I, მე-11 პარაგრაფი.

⁴⁹⁴ იქვე, II, 66-ე და 67-ე პარაგრაფები.

⁴⁹⁵ იქვე, II, 66-ე პარაგრაფი.

- 293 მეორე, სასამართლოს შეფასებით, კავშირის წევრი ქვეყნისთვის ჩეხეთის მოქალაქის დროებით გადაცემა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების განხორციელების მიზნით და პროცესუალური ეტაპების დასრულების შემდეგ ჩეხეთში დაბრუნების პირობით, არ წარმოადგენს პირის იძულებას დატოვოს საკუთარი სამშობლო.⁴⁹⁶ შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ქარტიის მე-14 მუხლის მე-4 პარაგრაფით დაცულ სფეროში არ მოიაზრა ჩეხეთის მოქალაქის უფლება არ იქნეს გადაცემული კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის.
- 294 საინტერესო და უპრეცედენტოა საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების პროცესში ძირითადი უფლებების მოქმედებასთან მიმართებაში. მან იმთავითვე გამორიცხა, რომ დაკავების ევროპული ორდერის შესრულებით შესაძლებელია დაირღვეს ქარტიით ან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ან/და პირი დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს.⁴⁹⁷ სასამართლომ ფაქტობრივად აღიარა კავშირის წევრ სახელმწიფოებში ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ექვივალენტურად დაცვის სტანდარტი. ამ მიდგომის იდეოლოგიური წყარო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული ექვივალენტური დაცვის დოქტრინაა, რომელიც ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თა-

⁴⁹⁶ იქვე, II, 72-ე პარაგრაფი.

⁴⁹⁷ იქვე, II, 85-ე – 87-ე პარაგრაფები.

ვისუფლებების დაცვის სტანდარტს კონვენციის ექვივალენტად მიიჩნევს.⁴⁹⁸ თუმცა, იგი მხოლოდ კავშირის სამართალთან მიმართებაში მოქმედებს და არ ვრცელდება მის ნევრ სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებზე. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დოქტრინა კიდევ უფრო გააფართოვა და კავშირის სხვა ნევრ სახელმწიფოებზეც გაავრცელა. ამ პოზიციით საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად განაცხადა, რომ ჩეხეთის სასამართლო სისტემაში, მათ შორის კონსტიტუციური მართლმსაჯულების ქრილში, დაკავების ევროპული ორდერის შესრულებისას კავშირის ნევრ სახელმწიფოებში არსებული ნდობის ხარისხიდან გამომდინარე არ უნდა შემოწმდეს როგორც უშუალოდ დაკავების ევროპული ორდერის, ისე მისი გამომცემი სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტანდარტების შესაბამისობა ჩეხეთის კონსტიტუციურ უფლებებთან და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განახორციელა კონსტიტუციური ნორმის ე.წ. *ევრო-მეგობრული ინტერპრეტაცია*⁴⁹⁹ და ეროვნულ დონეზე განამტკიცა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ეფექტიანობა, მან მნიშვნელოვნად შეამცირა ჩეხეთის ტერიტორიაზე ძირითადი უფლებების ეროვნული და ევროპული სტანდარტების დაცვის ხარისხი.

⁴⁹⁸ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ანალიზისთვის იხ.: თავი V.

⁴⁹⁹ *Hamulak, O., Kerikmae, T.: Indirect Effect of EU Law under Constitutional Scrutiny – The Overview of Approach of Czech Constitutional Court, ICLR, vol. 16, N1, p. 75.*

4.2.5.3.3. კვიპროსის კონსტიტუციის არაავთენტური ინტერპრეტაცია

295 2004 წელს ევროკავშირში კვიპროსის განევრიანების შემდეგ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ეროვნულ დონეზე ტრანსპოზიცია „დაკავების ევროპული ორდერისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის პირების გადაცემის პროცედურების უზრუნველყოფის შესახებ“ კანონით განხორციელდა,⁵⁰⁰ რომლითაც განისაზღვრა მოქალაქის კავშირი წევრი ქვეყნისთვის გადაცემის პროცედურა. მოქალაქის კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის კონტექსტში კვიპროსის კონსტიტუციის მოდიფიცირება არ მომხდარა. კვიპროსის კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პარაგრაფი ითვალისწინებს მხოლოდ კვიპროსის მოქალაქეობის არ მქონე პირების დეპორტაციისა და ექსტრადიციის შესაძლებლობას.⁵⁰¹ იგი არ შეიცავდა ასეთ მითითებას კვიპროსის მოქალაქესთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, კვიპროსის მოქალაქე სარგებლობდა აბსოლუტური იმუნიტეტით სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციის მიზნებისთვის.⁵⁰²

⁵⁰⁰ Council of the European Union, Evaluation report on the fourth round of mutual evaluations “the practical application of the european arrest warrant and corresponding surrender procedures between member states” Report on Cyprus, 14135/2/07 REV2, p. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=151> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

⁵⁰¹ *Tsadiras, A.*: Cyprus Supreme Court, Judgment of 7 November 2005 (Civil Appeal no. 294/2005) on the Cypriot European Arrest Warrant Law, CML Rev., 2007, p. 1516.

⁵⁰² *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 301.

კვიპროსში მოქალაქის გადაცემის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუხილავს. მსჯელობა საერთო სასამართლოების ფარგლებში დაიწყო და დასრულდა. ბრიტანეთის მიერ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი უკავშირდებოდა ორმაგი მოქალაქეობის – ბრიტანეთისა და კვიპროსის მოქალაქის გადაცემას.⁵⁰³

რაიონულმა სასამართლომ იგი არ აღასრულა კონსტიტუციასთან შეუთავსებლობის მიზეზით. რაიონული სასამართლოს შეფასებით, კვიპროსის კონსტიტუცია არ შეიცავდა ცალსახა მითითებას სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციის მიზნით კვიპროსის მოქალაქის დაკავებასთან მიმართებაში. გენერალურმა პროკურორმა გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კვიპროსის უზენაეს სასამართლოში.⁵⁰⁴ იგი რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა ორი საფუძვლით. პოლონეთის გენერალური პროკურორის მსგავსად, კვიპროსის გენერალური პროკურორიც მიიჩნევდა, რომ პირის გადაცემა არ არის ექსტრადიციის ტოლფასი.⁵⁰⁵ გარდა ამისა, მისი მოსაზრებით ეროვნულ სამართალზე ევროკავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა ვრცელდებოდა ჩარჩო-გადაწყვეტილებებზეც, შესაბამისად, მას

296

⁵⁰³ *Tsadiras, A.*: Cyprus Supreme Court, Judgment of 7 November 2005 (Civil Appeal no. 294/2005) on the Cypriot European Arrest Warrant Law, CML Rev., 2007, pp. 1515–1516.

⁵⁰⁴ *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 301.

⁵⁰⁵ Council of the European Union, Decisions of Supreme Courts and Constitutional Courts concerning the European Arrest Warrant, 14281/05, p. 2, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=886> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

უნდა ჰქონოდა უპირატესობა კონსტიტუციასთან მიმართებაშიც.⁵⁰⁶ უზენაესმა სასამართლომ თავი შეიკავა ჩარჩო-გადაწყვეტილებისა და კონსტიტუციის თანაფარდობის საკითხის განხილვაზე და მსჯელობა მხოლოდ ზემოხსენებული კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, ვინრო, ეროვნულ კონტექტში განავითარა. სახელმწიფოში, როდესაც არსებობს კონსტიტუციური მართლმსაჯულების სპეციალიზებული მოდელი, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია კონსტიტუციის ავთენტური ინტერპრეტაციისა და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის დამახასიათებელი პროცესუალური ინსტრუმენტები (მაგ.: სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის გაუქმება, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა და მისი ძალადაკარგულად გამოცხადების გადავადება და სხვა). შესაბამისად, თავიდანვე აშკარა იყო, რომ უზენაეს სასამართლოს არ შეეძლო პოლონური გამოცდილების გაზიარება. მისი მოქმედების ფარგლები იყო ვინრო: ან უნდა განეხორციელებინა კონსტიტუციური ნორმების ევროკავშირის სამართლის სასარგებლოდ ინტერპრეტაცია ან კონსტიტუციური ნორმები განემარტა ავტონომიურად. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, კვიპროსის უზენაესმა სასამართლომაც კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი დაიცვა.

297 სასამართლოს შეფასებით მიუხედავად იმისა, გადაცემა არის თუ არა ექსტრადიცი, კონსტიტუცია არ უშვებს კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში ექსტრადიციისა თუ გადაცემის მიზნებისთვის კვიპროსის მოქალაქის⁵⁰⁷ კონსტიტუცია ამომ-

⁵⁰⁶ იქვე.

⁵⁰⁷ იქვე.

წურავად შეიცავს პირის დაკავების საფუძვლებს, რომლებიც დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების შემთხვევა არ არის გათვალისწინებული.⁵⁰⁸ აქედან გამომდინარე, სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია კონსტიტუციის ჩარჩო-გადაწყვეტილების სულისკვეთებით განმარტება.⁵⁰⁹ აღსანიშნავია, რომ უზენაესმა სასამართლომ კვიპროსის მთავრობას პირდაპირ მოუწოდა კონსტიტუციის გადასინჯვისკენ, რომელიც 2006 წლის ივლისში კვიპროსის მოქალაქის კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ კონსტიტუციური ნორმის მიღებით დასრულდა.⁵¹⁰ ცარიდასი აკრიტიკებს კვიპროსის უზენაესი სასამართლოს მიდგომას. მისი შეფასებით, სასამართლოს უნდა გამოყენებინა ე.წ. პუპინოს პრეცედენტი და კონსტიტუცია განემარტა ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად.⁵¹¹

4.2.5.3.4. პოლონეთის კონსტიტუციის ავტონომიური ინტერპრეტაცია

პოლონეთის კონსტიტუციის 55-ე მუხლის პირველი პარაგრა-

298

⁵⁰⁸ იქვე.

⁵⁰⁹ იქვე.

⁵¹⁰ *Klimek, L.*: European Arrest Warrant, London, 2015, p. 301; *Tsadiras, A.*: Cyprus Supreme Court, Judgment of 7 November 2005 (Civil Appeal no. 294/2005) on the Cypriot European Arrest Warrant Law, CML Rev., 2007, pp. 1526-1527.

⁵¹¹ *Tsadiras, A.*: Cyprus Supreme Court, Judgment of 7 November 2005 (Civil Appeal no. 294/2005) on the Cypriot European Arrest Warrant Law, CML Rev., 2007, p. 1525.

ფი მოქალაქის სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციას აბსოლუტურად კრძალავს. 1997 წელს მისი შემუშავების პროცესში კონსტიტუციური კანონის პროექტის იგივე ნორმა შეიცავდა პოლონეთის მოქალაქის ექსტრადიციის დაშვების საგამონაკლისო შემთხვევას. პოლონეთის მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია შესაძლებელი იყო, თუ ამას საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებდა.⁵¹² კონსტიტუციის საბოლოო რედაქციაში ეს მიდგომა არ იქნა გაზიარებული.

299 „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით განხორციელდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607ტ მუხლით დადგენილ იქნა პოლონეთის მოქალაქის ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებისთვის გადაცემის საფუძველი.⁵¹³ თუმცა, კონსტიტუციის 55-ე მუხლის მოდიფიკაცია მოქალაქის ექსტრადიციის საგამონაკლისო წესის დაშვების თვალსაზრისით, არ მომხდარა.

300 2005 წელს გდანსკის რეგიონული სასამართლო იხილავდა დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე პოლონეთის მო-

⁵¹² პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: P-1/05, I, 1.3. პარაგრაფი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=976> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁵¹³ *NuBburger, A.*: Poland: The Constitutional Tribunal on the implementation of the European Arrest Warrant, *Int'l J. Const. L.*, vol. 6, 2008, p. 163.

ქალაქის ნიდერლანდებისთვის გადაცემის საკითხს. რეგიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემოხსენებული ნორმა არ იყო თავსებადი პოლონეთის კონსტიტუციის 55-ე მუხლის პირველ პარაგრაფთან. მან კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც უნდა შეეფასებინა პოლონეთის მოქალაქის კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემა ეწინააღმდეგებოდა თუ არა პოლონეთის კონსტიტუციით დადგენილ მოქალაქის სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპს.

აღსანიშნავია პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 301 წინაშე პოლონეთის სემისა და გენერალური პროკურორის წარდგენილი მოსაზრებები, რომლებსაც სადავო ნორმის კონსტიტუციასთან თავსებადობის სულისკვეთება გააჩნდა.

გენერალური პროკურორი ამტკიცებდა, რომ მოქალაქის კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილი მექანიზმი არ წარმოადგენდა ექსტრადიციას. ექსტრადიცია როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ინსტიტუტი მოქმედებდა პოლონეთსა და კავშირის არა წევრ, მესამე სახელმწიფოებს შორის. შესაბამისად, მოქალაქის კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემაზე ვერ გავრცელდებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებული აკრძალვა.⁵¹⁴ გენერალური პროკურორი მიუთითებდა პირის გადაცემისა და ექსტრადიციის ინსტრუმენტების თვისობრივ განსხვავებულობაზე, მისი შეფასებით:

⁵¹⁴ პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: P-1/05, I, 2.3. პარაგრაფი.

- პირის გადაცემის შესახებ გადანყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი სასამართლო, ხოლო ექსტრადიციის თაობაზე გადანყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსთან ერთად მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლება, რაც თავის მხრივ, მის პოლიტიკურ ხასიათზე მეტყველებს;
- ექსტრადიცია გულისხმობს უცხო სახელმწიფოსთვის პირის საბოლოოდ გადაცემას, პოლონეთის მიერ მის მიმართ იურისდიქციის დათმობას, მაშინ, როდესაც პოლონეთის მოქალაქის კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემა დროებითია და დაკისრებული სასჯელის აღსასრულებლად იგი კვლავ პოლონეთს გადაეცემა;
- ექსტრადიცია არის საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმა, იგი ითვალისწინებს ბრალდებულის ან მსჯავრდებულის ურთიერთგადაცემას, ხოლო დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე პირის გადაცემა მხოლოდ კავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოების გადანყვეტილებების ორმხრივ აღიარებას ეფუძნება;
- ექსტრადიცია სახელშეკრულებო ურთიერთობაზე ან ნაცვალებების პრინციპზე დაფუძნებული თანამშრომლობის ფორმაა, მაშინ, როცა პირის გადაცემა კავშირის წევრ სახელმწიფოთა სამართალში ევროკავშირის სამართლის ინკორპორირებული ნორმებით ხორციელდება;
- ჩარჩო-გადანყვეტილებაში არსებული ტერმინი „გა-

დაცემა“ არსობრივი და თელეოლოგიური თვალსაზრისით ექსტრადიციისგან განსხვავებული შინაარსის მატარებელია.⁵¹⁵

სეიმის მარშალის არგუმენტები თითქმის გენერალური პროკურორის მოსაზრებები იდენტურია.⁵¹⁶ გარდა ამისა, იგი თვლის, რომ პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ეროვნული აქტების, მათ შორის კონსტიტუციის 55-ე მუხლის პირველი პარაგრაფის განმარტებისას პრო-ევროპული სულისკვეთებით უნდა იხელმძღვანელოს და ინტერპრეტაცია განახორციელოს ევროპული ინტეგრაციის მიზნების შესაბამისად.⁵¹⁷

პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლო როგორც სამართლებრივი, აგრეთვე პოლიტიკური დილემის წინაშე აღმოჩნდა. იმ შემთხვევაში თუ იგი სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად გამოაცხადებდა, კონსტიტუციაში ცვლილების შეტანამდე პოლონეთის მოქალაქეების მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი პოლონეთის ტერიტორიაზე აღსრულებას არ დაექვემდებარებოდა და პოლონეთი ჩარჩო-გადაწყვეტილებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევდა. სადავო ნორმის კონსტიტუციასთან თავსებადად მიჩნევით შემცირდებოდა მოქალაქის ექსტრადიციის აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპის ფარგლები.

საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევანი კონსტიტუციური უფლების სასარგებლოდ გააკეთა. მისი თქმით, ჩარჩო-გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ტერმინი „გადაცემა“

⁵¹⁵ იქვე

⁵¹⁶ იქვე, I, 3.1. პარაგრაფი.

⁵¹⁷ იქვე, I, 3.3. პარაგრაფი.

სულ მცირე ექსტრადიციის ერთგვარი ნაირსახეობაა, რადგან ორივე მექანიზმის ფარგლებში ხორციელდება პირების სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან სასჯელის აღსრულების მიზნით.⁵¹⁸ მათ შორის ტერმინოლოგიური განსხვავება არ არის საკმარისი კონსტიტუციური სტანდარტიდან გადახვევისთვის.⁵¹⁹ მისი შეფასებით, სადავო ნორმა კიდევ უფრო მტკივნეულად ერევა კონსტიტუციის 55-ე მუხლის პირველი პარაგრაფით დაცულ სფეროში, რადგან დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება ექსტრადიციის თხოვნისგან განსხვავებით სწრაფად და ეფექტიანად ხორციელდება.⁵²⁰ გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია კონსტიტუციური კონცეფციებისა და ცნებების სუბორდინაციულად დაბლა მდგომი აქტების შესაბამისად ინტერპრეტაცია. სასამართლოს მიხედვით, კონსტიტუციურ ტერმინებს ავტონომიური შინაარსი აქვთ, შეუძლებელია ვერტიკალურ იერარქიაში კონსტიტუციაზე ქვემოთ მდგომი აქტი კონსტიტუციურ ნორმას შინაარსს, არსსა და თვისებებს უცვლიდეს, პირიქით, მხოლოდ კონსტიტუციაა მთლიანი სამართლებრივი სისტემის ინტერპრეტაციის ორიენტაციის საფუძველი და სანყისი ნყარო.⁵²¹

306 საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანამდე მოქალაქის გადაცემა კავშირის სხვა ნევრი სახელმწიფოსთვის ყოველთვის არა-

⁵¹⁸ იქვე, II, 3.6. პარაგრაფი.

⁵¹⁹ იქვე.

⁵²⁰ იქვე.

⁵²¹ იქვე, II, 3.3. პარაგრაფი.

კონსტიტუციური იქნება, მიუხედავად იმისა, თუ როგორ დარეგულირდება ეს საკითხი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა ჩარჩო-გადაწყვეტილებით პოლონეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებები და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგები და სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება 18 თვით გადადო, რაც აბსოლუტურად საკმარისი იყო პოლონეთის კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანისთვის.⁵²² აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციური იყო, სასამართლოებს 18 თვის განმავლობაში მიეცათ პოლონეთის მოქალაქის მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერების აღსრულების შესაძლებლობა. პოლონეთის კონსტიტუციის 55-ე მუხლში ცვლილებები 2006 წლის ნოემბერში შევიდა და მოქალაქის ექსტრადიციის საგამონაკლისო შემთხვევები დადგინდა.⁵²³

ბაფულის შეფასებით, პოლონეთის შემთხვევაში ევროკავშირის სამართლათან ეროვნული აქტის შესაბამისობა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე კონსტიტუციური სტანდარტის დაცვა.⁵²⁴ ცხადია მისი მოსაზრება სადავო ნორმის ძალადაკარგულად 18 თვის შემდეგ გამოცხადებით არის განპირობებული. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ პირიქით, პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ

307

⁵²² იქვე, II, მე-5 პარაგრაფი.

⁵²³ *Klimek, L.*: European Arrest Warrant and the Polish Constitutional Tribunal: Revision of the Constitution, IS, vol. 7, 2015, p. 254.

⁵²⁴ *Bapuly, B.*: European Arrest Warrant under Constitutional Attack, VIENNA ONLINE J. ON INT'L CONST. L., 2009, p. 18.

კონსტიტუციური ნორმა პრო-ევროპული სულისკვეთების გარეშე, პოლონური კონსტიტუციის კონტექსტით განმარტა, თუმცა, თავად გადანყვეტილებაა პრო-ევროპული ორიენტაციის⁵²⁵ და კონტექსტის.⁵²⁶ საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად აღიარა ნორმატიულ განზომილებაში ევროკავშირის სამართალთან მიმართებაში კონსტიტუციის უზენაესობა,⁵²⁷ მაგრამ სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედების თვალსაზრისით, უპირატესობა მიანიჭა ევროკავშირის სამართალს. ამგვარი მიდგომით შესაძლებელი გახდა ძირითადი უფლების კონსტიტუციური სტანდარტის დაცვა და ევროპული ინტეგრაციის დონეზე კეთილსინდისიერი თანამშრომლობა.⁵²⁸ ევროკავშირის ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტის იმპლემენტაციის პროცესში კანონმდებელი სარგებლობს დისკრეციის იმ ფარგლებში, რომელსაც კონსტიტუცია ადგენს. კანონმდებელს არ გააჩნია აბსოლუტური უფლებამოსილება. იმპლემენტაციის შედეგად მიღებული ნორმატიული რეგულირება უნდა თავსდებოდეს კონსტიტუ-

⁵²⁵ *Kühn, Z.*: The European Arrest Warrant, Third Pillar Law and National Constitutional Resistance/Acceptance, The EAW Saga as Narrated by the Constitutional Judiciary in Poland, Germany, and the Czech Republic, CYELP, vol. 3. 2007, p. 10; *Komárek, J.*: European Constitutional Pluralism and the European Arrest Warrant: Contrapunctual Principles in Disharmony, Jean Monnet Working Paper 10/05, 2005, p. 14.

⁵²⁶ *Komarek, J.*: European Constitutionalism and the European Arrest Warrant: In Search of the Limits of Contrapunctual Principles, CML Rev., 2007, p. 21; *NuBurger, A.*: Poland: The Constitutional Tribunal on the implementation of the European Arrest Warrant, Int'l J. Const. L., vol. 6, 2008, p. 162.

⁵²⁷ *NuBurger, A.*: Poland: The Constitutional Tribunal on the implementation of the European Arrest Warrant, Int'l J. Const. L., vol. 6, 2008, p. 164.

⁵²⁸ *Lazowski, A.*: Poland: Constitutional Tribunal on the Surrender of Polish Citizens under the European Arrest Warrants, EUCONST, 2005, p. 581.

ციურ რეალობაში. სხვა შემთხვევაში მუდმივად იქნება საფრთხე, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მოდფიცირდეს ევროპული ინტეგრაციის დინამიკის შესაბამისად, რასაც შეიძლება მოჰყვეს კონსტიტუციური სტანდარტების შემცირების ტენდენცია.

4.2.5.3.5 შეესაბამება თუ არა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა საქართველოს კონსტიტუციას მოქალაქის გადაცემის კონტექსტში?

საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის აკრძალვის კონსტიტუციური მოდელი როგორც ითქვა არ არის აბსოლუტური ხასიათის. საქართველოს კონსტიტუცია საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს მოქალაქის გადაცემას. თუმცა, საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებისა და ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ინტეგრაციის შემდეგ ეს კონსტიტუციური ჩანაწერი არ იქნება საკმარისი კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფისთვის. შესაძლებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედ რედაქციასა და საკანონმდებლო ნორმას შორის, რომლითაც განისაზღვრება მოქალაქის კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემის წესი, კოლიზია წარმოიშვას. ამგვარი წინააღმდეგობის მიზეზი იქნება არა თავად საკანონმდებლო ნორმა, არამედ „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილება.

308

309

ჩარჩო-გადანყვეტილება გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარი ბუნებით არ არის საერთაშორისო ხელშეკრულება და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის სამართლებრივი ინსტრუმენტი, მის საფუძველზე მოქალაქის კავშირის ნევრი სახელმწიფოსთვის გადაცემა არაკონსტიტუციურად უნდა ჩაითვალოს. ჩარჩო-გადანყვეტილების გაიგივება საერთაშორისო ხელშეკრულებასთან იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი თვისებების უგულვებელყოფის ტოლფასი. მაგალითად, საქართველოსთვის იმ საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარება, რომელიც „მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას“,⁵²⁹ საჭიროებს საქართველოს პარლამენტის თანხმობას, რომელიც გამოიხატება რატიფიკაციის ან შეერთების გზით. ჩარჩო-გადანყვეტილებას, რომლის მიღების მიზანი იმთავითვე ეროვნული კანონმდებლობის ტრანსფორმაცია, ევროპეიზაციაა, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცება არ სჭირდება. პირიქით, მისი რატიფიკაცია იქნება ევროპული ინტეგრაციის დონეზე ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ტოლფასი. გარდა ამისა, თუ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის იმპლემენტაციისას ჩარჩო-გადანყვეტილება ქართველი კანონმდებლის მიერ ჩაითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეიძენს მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადების კომპეტენციას,⁵³⁰ შე-

⁵²⁹ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

⁵³⁰ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი.

საბამისად მუდმივად იქნება საქართველოს მიერ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ფარგლებში არსებული ვალდებულებების დარღვევის რისკი.

ქართველმა მეცნიერებმა და კანონმდებელმა შესაძლოა ჩათვალონ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის სიტყვებში „გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ მოიაზრება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის პირველი პარაგრაფის „დ“ ქვეპარაგრაფით დადგენილი განზომილება (რომელიც მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოთა სასამართლო ორგანოებს შორის თანამშრომლობისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების გამარტივებას) და იგი გაავრცელონ მოქალაქის ექსტრადიციის შემთხვევებზეც. კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის ასეთი ფართო ინტერპრეტაცია არასწორი იქნება, რადგან სასამართლოებს შორის თანამშრომლობის გამარტივება *a priori* არ გულისხმობს ექსტრადიციის პროცესის გამარტივებას, მით უმეტეს მოქალაქის გადაცემის კონტექსტში.

310

საქართველოს ევროკავშირში განევრიანების პროცესში კონსტიტუციისა და ჩარჩო-გადაწყვეტილების ჰარმონიული თანაარსებობისთვის აუცილებელი იქნება კონსტიტუციის 32-ე მუხლის ისეთი რევიზია, რომელიც პირდაპირ გაითვალისწინებს კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის საქართველოს მოქალაქის გადაცემის შემთხვევას.

311

4.2.5.4. ევროკავშირის მოქალაქეობის ეფექტი მესამე სახელმწიფოს საექსტრადიციო თხოვნებზე

312 ევროკავშირის მოქალაქეობის ინსტიტუტი 1992 წელს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით ჩამოყალიბდა. მისი მიზანი არ არის წევრ სახელმწიფოსა და მის მოქალაქეს შორის არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირის ჩანაცვლება.⁵³¹ პირიქით, იგი ხელს უწყობს ამ კავშირის გაძლიერებას ევროპული ინტეგრაციის დონეზე სხვადასხვა უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭების გზით.⁵³² კავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იმავდროულად ითვლება ევროკავშირის მოქალაქედ და პირველადი სამართლიდან გამომდინარე აქვს შემდეგი უფლებები: კავშირის სივრცეში თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება; საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ევროპული პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის აქტიური და პასიური უფლება; ევროპული პარლამენტისათვის პეტიციით მიმართვის უფლება; ევროკავშირის ომბუდსმენისთვის საჩივრით მიმართვის უფლება; ევროპული კომისიისთვის საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელებისკენ მოწოდების უფლება (კავშირის მოქალაქეთა ინიციატივა); ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის განცხადების ოფიციალურ ენებზე მიმართვისა და განცხადებაში გამოყენებულ ოფიციალურ ენაზე პასუხის მიღების უფლება; კავშირის ფარგლებს გარეთ წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ორ-

⁵³¹ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-9 მუხლი.

⁵³² მირიანაშვილი, გ.: ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი, თბილისი, 2015, გვ. 36.

განოების მიერ მისი ინტერესების დაცვის უფლება, თუ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქესაც დასაცავი პირი წარმოადგენს, დიპლომატიური ან/და საკონსულო წარმომადგენლობა მესამე სახელმწიფოში არ გააჩნია; კავშირის ინსტიტუტების მიერ მიღებულ, წარმოებულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება (მცირე გამონაკლისების გარდა); კავშირის ორგანოებისგან და სხვა წევრი სახელმწიფოებისგან დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა.⁵³³

313

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის შექმნით მოქალაქეობის ეროვნული ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის – მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემის აკრძალვის წესი შეიცვალა. როგორც ზემოთ ითქვა, მოქალაქეობა აღარ წარმოადგენს პირის გასამართლების მიზნით სხვა ქვეყნისთვის გადაცემის გამომრიცხველ სამართლებრივ საფუძველს. თუმცა, ერთგვარი კომპენსაციის სახით მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ კავშირის მოქალაქეებს მესამე სახელმწიფოების ექსტრადიციის თხოვნებთან მიმართებაში პრივილეგია მიანიჭა. ეს სამართლებრივი უპირატესობა უნდა მომდინარეობდეს თავისუფალი გადაადგილების უფლების ეფექტიანობისა და კავშირის მოქალაქის დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის⁵³⁴ უზრუნველყოფიდან. ამ

⁵³³ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-15 მუხლი, მე-20 მუხლი, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-11 მუხლის მე-4 პარაგრაფი.

⁵³⁴ ვრცლად იხ.: *Herlin-Karnell, E.: European Arrest Warrant Cases and the Principles of Non-Discrimination and EU Citizenship, Mod. L. Rev., 2010, pp. 824-835.*

კონტექსტში საინტერესოა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ *პეტრუჰინისა და პისკოტის საქმეებზე* წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

314 სასამართლომ *პეტრუჰინის საქმეში* განაცხადა, რომ, როდესაც კავშირის წევრი სახელმწიფო მიიღებს ექსტრადიციის მოთხოვნას მესამე სახელმწიფოსგან კავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქის გადაცემის თაობაზე, იგი ვალდებულია მესამე სახელმწიფოში ასეთი პირის ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ერთი მხრივ, ძირითად უფლებათა ქარტიის შესაბამისად, მეორე მხრივ, ასეთი თხოვნის შესახებ შეატყობინოს კავშირის იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქე გადასაცემი პირია და ჩარჩო-გადაწყვეტილების საფუძველზე იგი მას გადასცეს. თუმცა, ამ წევრი სახელმწიფოს მიერ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი არ შესრულდება, იმ შემთხვევაში, როცა კავშირის წევრ ქვეყანას შიდა სამართლიდან გამომდინარე არ გააჩნია ეროვნული ტერიტორიის მიღმა მისი მოქალაქის ჩადენილი დანაშაულების დასჯის კომპეტენცია.

315 ზემოხსენებულ საქმეში რუსეთის ფედერაცია ლატვიისგან ითხოვდა ესტონეთის მოქალაქის, ალექსეი პეტრუჰინის გადაცემას, რომელსაც რუსეთში ბრალი ჰქონდა წარდგენილი დიდი ოდენობით ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის.⁵³⁵ აღსანიშნავია, რომ ლატვია არ ფლობდა პეტრუჰინის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების

⁵³⁵ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Aleksei Petruhin [C 182/15], მე-10-მე-14 პარაგრაფები.

იურისდიქციას, რადგან იგი არ იყო მისი მოქალაქე და ამასთან, პეტრუჰინმა დანაშაული ჩაიდინა მესამე სახელმწიფოში. პეტრუჰინის ექსტრადიციაზე უარის თქმით დაირღვეოდა ექსტრადიციის არსი – დასაჯე ან გადაეცი. ამასთან, პეტრუჰინის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციით უგულვებელყოფილი იქნებოდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-18-მე-20 მუხლებით დადგენილი მოქალაქეობრივი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, რომელიც კავშირის წევრ სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქეს მოეპყრას საკუთარი მოქალაქის მსგავსად.⁵³⁶ მნიშვნელოვანია, რომ 1993 წელს ლატვიასა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმების 62-ე მუხლის თანახმად, მხარეთა მოქალაქეები არ ექვემდებარებიან სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციას. შესაბამისად, პეტრუჰინის პირდაპირი გადაცემით დაირღვეოდა კავშირის პირველადი სამართალი.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო რთული სამართლებრივი დილემის წინაშე დადგა. თუმცა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ოპტიმალურია, რადგან დაცული იქნა ბალანსი ადამიანის უფლებების დაცვასა და დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიან ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას შორის. სასამართლომ ე.წ. გულწრფელი თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე განაცხადა,

316

⁵³⁶ ალექსეი პეტრუჰინის საქმის ქრილში კავშირის მოქალაქის დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე იხ.: *Pozdnakova A.: Aleksei Petruhin: Extradition of EU Citizens to Third States*, EP, vol. 2, 2017, No 1, pp. 209-222.

რომ როდესაც მესამე სახელმწიფო ითხოვს კავშირის მოქალაქის გადაცემას, რომელიც სარგებლობდა კავშირის სივრცეში გადაადგილების თავისუფლებით, ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია შეატყობინოს კავშირის წევრ ქვეყანას მისი მოქალაქის მიმართ ექსტრადიციის თხოვნის თაობაზე და იგი ამავე ქვეყანას ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად გადასცეს.⁵³⁷ სხვა შემთხვევაში, იგი დაარღვევს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებით აღიარებულ კავშირის მოქალაქის დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპსა და თავისუფალი გადაადგილების უფლებას.⁵³⁸ სასამართლომ იგივე გაიმეორა *პისკოტის საქმეშიც*, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები გერმანიას სთხოვდა იტალიის მოქალაქის გადაცემას ე.წ. ევრო-ამერიკული ექსტრადიციის შეთანხმების⁵³⁹ საფუძველზე.⁵⁴⁰

317 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მოტივაციიდან იკვეთება, რომ თუ სახელმწიფოს არ ექნება საკუთარი მოქალაქის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების იურისდიქცია ან მიწოდებულ ინფორმაციას უმოქმედოდ დატოვებს, დაკავების ევროპული ორდერი არ

⁵³⁷ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Aleksei Petruhhin [C 182/15], 42-ე-43-ე პარაგრაფები.

⁵³⁸ იქვე, 32-ე პარაგრაფი.

⁵³⁹ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A22003A0719%2801%29> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁵⁴⁰ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Romano Pisciotti [C-191/16], მე-14-23-ე პარაგრაფები.

შესრულდება და კავშირის ნევრი სახელმწიფო უფლებამოსილი იქნება კავშირის მოქალაქე გადასცეს მესამე ქვეყანას, რათა დანაშაული არ დარჩეს დაუსჯელი.⁵⁴¹ თუმცა, იგი ვალდებულია შეაფასოს არსებობს თუ არა ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის სერიოზული რისკი.⁵⁴²

კავშირის მოქალაქეობას მესამე სახელმწიფოს საექსტრადიციო თხოვნებთან მიმართებაში აქვს ზეგავლენა, რომელიც გულისხმობს, რომ კავშირის პირველადი სამართლით აღიარებული მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპიდან და თავისუფალი გადაადგილების უფლებიდან გამომდინარე, ნევრი სახელმწიფო ვალდებულია, როდესაც მესამე სახელმწიფო ითხოვს კავშირის მოქალაქის გადაცემას, შეატყობინოს კავშირის იმ ნევრ ქვეყანას, რომლის მოქალაქეცაა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი, მისი მოქალაქის მიმართ ექსტრადიციის თხოვნის თაობაზე და დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე იგი ამავე ქვეყანას გადასცეს. თუმცა, თუ კავშირის ნევრ სახელმწიფოს მისი მოქალაქის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულზე იურისდიქცია არ აქვს ან იგი მინოდებულ ინფორმაციას ტოვებს უმოქმედოდ, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ კავშირის ნევრ სახელმწიფოს უფლება აქვს ევროკავშირის მოქალაქე მესამე სახელმწიფოს გადასცეს.

318

⁵⁴¹ იქვე, 56-ე პარაგრაფი.

⁵⁴² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 06 სექტემბრის განწყვეტილება საქმეზე: Aleksei Petruhin [C 182/15], 58-ე პარაგრაფი.

4.2.6. დანაშაულის ჩადენის ადგილი

319 ეროვნული სასამართლო უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე თუ დაკავების ევროპული ორდერი დაკავშირებულია იმ დანაშაულთან, რომელიც ექსტრადიციის თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლით მიიჩნევა, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ არის ჩადენილი ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ან ასეთი სტატუსის მქონე ადგილზე); ან ჩადენილია დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა და დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოს სამართალი არ იძლევა იგივე დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლებლობას, როდესაც ისინი მისი ტერიტორიის გარეთ არის ჩადენილი.⁵⁴³

4.2.7. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაზე ექსტრადიციის შეზღუდვა

320 ექსტრადიციის ევროპულ და ქვაზი-ევროპულ სისტემებში თვისებრივად განსხვავებული მდგომარეობაა ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე პირის გადაცემასთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მექანიზმისთვის *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს პირის გა-

⁵⁴³ „დაკავების ევროპული ორდერისა და ნევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ 2002 წლის ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მე-7 პარაგრაფი.

დაცემის შემაფერხებელ გარემოებას, ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ექსტრადიციაზე უარის თქმის მატერიალური საფუძვლების თვალსაზრისით. პროცედურული გადმოსახედიდან, *in absentia* სასამართლოს გადანყვეტილების აღსასრულებლად პირის გადაცემა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში უფრო უმტკივნეულო, მარტივი პროცესია, რადგან კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობის მაღალი ხარისხია, თუმცა, ამ ნდობის მიღწევა განხორციელდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პროცედურული უფლებების დაცვის სტანდარტების შემცირების ხარჯზე.

4.2.7.1. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადანყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის შესრულების პირობები

ჩარჩო-გადანყვეტილების თავდაპირველი რედაქცია სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდა ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი გადანყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის შესაძლებლობას, როდესაც: 1. ბრალდებული ოფიციალური წესით პერსონალურად არ იყო სასამართლო სხდომაზე დაბარებული ან არ ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო სხდომის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ და 2. დაკავების ევროპული ორდერის გამომცემი სასამართლო არ წარმოადგენდა ადექვატურ გარანტიას

321

პირისთვის საქმის ხელახალი განხილვის უფლების მინიჭებისა და სასამართლოზე სხდომაზე მისი მონაწილეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.⁵⁴⁴

322 გამომდინარე იქიდან, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებში არ არსებობდა ერთიანი მიდგომა დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სასამართლოს მიერ გაცემული გარანტიის ადექვატურობის შესაფასებლად, 2009 წელს კავშირის საბჭომ ჩარჩო-გადანყვეტილებით⁵⁴⁵ ცვლილება შეიტანა „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ 2002 წლის ჩარჩო-გადანყვეტილებაში.⁵⁴⁶ აქტუალური მდგომარეობით, *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა არ არის დამოკიდებული პირისთვის საქმის ხელახალი განხილვის უფლების მინიჭებისა და სასამართლოზე სხდომაზე მისი მონაწილეობის გარანტიის არსებობაზე. ჩარჩო-გადანყვეტილების 4ა მუხლის საფუძველზე სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია უარი თქვას

⁵⁴⁴ ჩარჩო-გადანყვეტილების თავდაპირველი რედაქციის მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფი.

⁵⁴⁵ იხ.: Council Framework Decision of 26 February 2009 amending Framework Decisions 2002/584/JHA, 2005/214/JHA, 2006/783/JHA, 2008/909/JHA and 2008/947/JHA, thereby enhancing the procedural rights of persons and fostering the application of the principle of mutual recognition to decisions rendered in the absence of the person concerned at the trial, პირველი მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2009.081.01.0024.01.ENG (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁵⁴⁶ იქვე, პრეამბულის მე-2 აბზაცი.

პირის გადაცემაზე თუ დაკავების ევროპული ორდერით არ დასტურდება, რომ დაკავების ევროპული ორდერის გამომგზავნ სახელმწიფოში:

- სათანადო დროში პირი პერსონალურად იქნა გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე, რომლითაც იგი ინფორმირებული იყო სასამართლოს სხდომის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ ან პირმა სხვა საშუალებით მიიღო ეს ინფორმაცია და დგინდება, რომ მან დადასტურებით იცოდა ერთი მხრივ, სასამართლო სხდომის ჩატარების შესახებ და მეორე მხრივ, იმ მოსალოდნელი გადაწყვეტილების შესახებ, რასაც გამოიწვევდა მისი სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა;⁵⁴⁷ ან
- პირისთვის ცნობილი იყო სასამართლო სხდომის შესახებ და მის ინტერესებს სასამართლო პროცესზე იცავდა ადვოკატი, რომელსაც დაცვის უფლება მიანიჭა თვითონ ან სახელმწიფომ და ამ ადვოკატმა მისი ინტერესები სასამართლო პროცესზე დაიცვა; ან
- დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პირს მკაფიოდ ეცნობა ხელახალი გასამართლების

⁵⁴⁷ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ პირის პერსონალურად გამოძახებად ან სხვა საშუალებით მისი ინფორმირებულობად არ ჩათვალა მის საცხოვრებელ მისამართზე სასამართლოს უწყების სრულწლოვანი პირისთვის ჩაბარება, იმ შემთხვევაში, როდესაც არ მტკიცდება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულობა პირმა ამ სრულწლოვანისგან ნამდვილად მიიღო ინფორმაცია სასამართლო სხდომის გამართვის შესახებ. იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Paweł Dworzecki [Case 108/16], 54-ე პარაგრაფი.

უფლებასთან ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებით, სადაც მას ექნებოდა პროცესში მონაწილეობის, მათ შორის ახალი მტკიცებულებების წარდგენის, გამოკვლევის უფლება, რასაც შეეძლო გამოენვია დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეცვლა, მაგრამ მან მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი სადავოდ არ ხდოდა გადაწყვეტილებას ან არ მოითხოვა დადგენილ ვადაში ხელახალი გასამართლება ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება; ან

- მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას პირი პირადად არ იცნობს, მაგრამ ექსტრადიციის შემდეგ იგი გადავადების გარეშე შეძლებს მის უშუალოდ გაცნობას და ინფორმირებული იქნება ხელახალი გასამართლების უფლების ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შესახებ, სადაც მას ექნება სასამართლო პროცესში მონაწილეობის, მათ შორის ახალი მტკიცებულებების წარდგენის, გამოკვლევის უფლება, რასაც შეეძლება დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეცვლა და მას ასევე ექნება უფლება მოითხოვოს დადგენილ ვადაში ხელახალი გასამართლება ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება. ასეთ შემთხვევებში პირს უფლება აქვს დაკავების ევროპული ორდერის გაცნობის შემდეგ ასევე მოითხოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი, რომელიც მას უნდა მიეცეს კავშირის წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემამდე.

4.2.7.2. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კოლიზიური ევროპული საექსტრადიციო სტანდარტი

ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში როგორც ითქვა, *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად პირის ექსტრადიცია დამოკიდებულია ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში სამართალწარმოების პროცესის ხარისხზე. ექსტრადიციის თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას ექსტრადიციაზე, თუ იგი თვლის, რომ სამართალწარმოება, რომლის შედეგად მიღებულ იქნა *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილება, არ აკმაყოფილებს დანაშაულის ჩადენაში ბრალეული ნებისმიერი პირისათვის უზრუნველყოფილ დაცვის მინიმალურ უფლებებს. ამასთანავე, *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად ექსტრადიცია განხორციელდება, თუ თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო წარადგენს გარანტიას პირისთვის ხელახალი გასამართლების უფლების მინიჭებისა და დაცვის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ და იგი თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ ჩაითვლება საკმარისად.

ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში დაცვის **მინიმალური უფლებების გარანტირება** ფასდება არა ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1975 წლის (75) 11 რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე.⁵⁴⁸

⁵⁴⁸ ვრცლად იხ.: თავი II, §3.10.1.

- 325 ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი გარანტია პირისთვის ხელახალი გასამართლის უფლების მინიჭებისა და დაცვის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ საკმარისად მიიჩნევა თუ იგი ადექვატურია ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით.⁵⁴⁹
- 326 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოს სასამართლოს არ აქვს ერთი მხრივ, *in absentia* სამართალწარმოების ხარისხის შეფასების საშუალება, მეორე მხრივ, ექსტრადიციის პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან თავსებადობაზე მსჯელობის უფლებამოსილება.
- 327 სასამართლო დაკავების ევროპული ორდერის განხილვისას მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს: ეროვნულმა სასამართლომ, როდესაც დაასკვნა, რომ ბრალდებულს, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში, ჩაბარებული ჰქონდა სასამართლო უწყება, სხდომა გადადო თუ არა, მიიჩნია თუ არა, რომ ბრალდებულის არ ყოფნა სასამართლო პროცესზე გამონვეულია დაუძლეველი ძალით ან ბრალდებულისთვის სასამართლო პროცესზე გამოცხადებაში ხელის შეშლით; დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფოში ბრალდებულის დაუსწრებლად გასამართლებამდე იმსჯელებს თუ არა საქმის მასალების სხვა სახელმწიფოში გადაგზავნაზე ან ბრალდებულის ექსტრადიციის პროცედურის განხორციელებაზე; დაცვის მხარეს უფლება ჰქონდა თუ არა მონაწილეობა მიეღო მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში და სხვა.

⁵⁴⁹ ვრცლად იხ.: თავი II, §3.10.2.

დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოს სასამართლოს აგრეთვე არ შეუძლია იმსჯელოს ორდერის გამგზავნ სახელმწიფოში არსებობს თუ არა *in absentia* სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ან პროცესის ხელახლა წარმოების მოთხოვნის იმგვარი უფლება, სადაც ეფექტიანად განხორციელდება ფაქტებისა და მტკიცებულებების ხელახალი გამოკვლევა. 328

დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ სახელმწიფოში *in absentia* სამართალწარმოების ხარისხისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების სტანდარტის შემონმების კომპეტენციის არ არსებობა გამომდინარეობს კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის თავიანთი მართლმსაჯულების სისტემების მიმართ ნდობის მაღალი ხარისხიდან, რომელიც ექსტრადიციის სფეროში ამცირებს პირის ძირითადი უფლებების სრულად დაცვის პერსპექტივას. ასეთმა არასრულყოფილმა მიდგომამ განაპირობა *in absentia* სამართალწარმოების შემონმების ავტონომიური გერმანული მოდელის განვითარება.⁵⁵⁰ 329

4.2.8. დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სპეციალური წესი

პირის გადაცემაზე უარის თქმის სპეციალური შემთხვევაა ისეთი დაკავების ევროპული ორდერის არსებობა, რომლის აღსრულებისას პირს სასჯელის სახით დაეკისრება უფადო 330

⁵⁵⁰ იხ.: თავი IV, §2.2.

თავისუფლების აღკვეთა ან პატიმრობა.⁵⁵¹ უვადო თავისუფლების აღკვეთაში იგულისხმება სასჯელის მოხდა საპატიმრო დაწესებულებაში, ხოლო უვადო პატიმრობაში – მუდმივად თავისუფლება აღკვეთილად ყოფნა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.⁵⁵² თუმცა, როდესაც დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ნორმებს პირის მოთხოვნის ან არაუგვიანეს 20 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ასეთი სასჯელის ან ღონისძიების გადასინჯვისთვის ან პირს ექნება შეწყალების, პატიმრობიდან ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო შესაძლებლობა და იგი ადრესატი სახელმწიფოს სასამართლოს მისცემს განარტიას ამ საკანონმდებლო შეღავათების პირის მიმართ გამოყენებასთან დაკავშირებით, ეროვნული სასამართლო უფლებამოსილი არ არის ხსენებული საფუძვლით უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე.⁵⁵³

⁵⁵¹ „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ 2002 წლის ჩარჩო-გადანწყვეტილების მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფი.

⁵⁵² Commission Notice — Handbook on how to issue and execute a European arrest warrant (2017/C 335/01), p. 35, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?id=2023> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁵⁵³ „დაკავების ევროპული ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ 2002 წლის ჩარჩო-გადანწყვეტილების მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფი.

4.2.9. ძირითად უფლებათა დაცვის მიზნით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ეფექტიანი ნორმატიული სტანდარტის არ არსებობა – ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ღირებულებითი დეფიციტი

დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სავალდებულო და ნებაყოფლობითი საფუძვლების ანალიზის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა ეროვნულ სასამართლოს არ აძლევს საშუალებას ინდივიდუალური საქმის შეფასების შედეგად უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე მისი ძირითად უფლებათა დაცვის მიზნით.⁵⁵⁴ ძირითად უფლებებში პირველ რიგში მოიაზრება ექსტრადიციის სფეროსთვის დამახასიათებელი უფლებები, კერძოდ, ღირსების უფლება, საქმის სამართლიანად განხილვის უფლება, ფიზიკური თავისუფლების უფლება, თვითნებური დევნის აკრძალვა.

331

აღსანიშნავია, რომ კავშირის ნევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ ჩარჩო-გადაწყვეტილების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციისას დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის აბსოლუტური შემთხვევები ჩარჩო-გად-

332

⁵⁵⁴ *Alegre, S., Leaf, M.*: Mutual recognition in Europe judicial cooperation — a step too far too soon? Case study: the European arrest warrant, EUR. L.J., 2004, p. 202; *Turner, J.*: Interstate Conflict and Cooperation in Criminal Cases: An American Perspective, EUR. CRIM. L. REV., 2014, p. 128.

ანყვეტილების პრეამბულის მე-12⁵⁵⁵ და მე-13⁵⁵⁶ აზნაცები-
სა და პირველი მუხლის მე-3 პარაგრაფის⁵⁵⁷ საფუძველზე
განავრცეს.⁵⁵⁸ ჩარჩო-გადანყვეტილების მუხლებში არსე-
ბული საფუძველების მიღმა დაკავების ევროპული ორდერის
შეუსრულებლობის შემთხვევების შემოღებას მხარს არ

⁵⁵⁵ „ეს ჩარჩო-გადანყვეტილება პატივს სცემს და იცავს ფუნდამენ-
ტურ უფლებებს, რომლებიც აღიარებულია ევროკავშირის შესახებ
ხელშეკრულების მე-6 მუხლითა და ასახულია ძირითად უფლე-
ბათა ქარტიით, განსაკუთრებით ქარტიის მე-6 თავით. ამ ჩარ-
ჩო-გადანყვეტილებაში არაფერი უნდა განიმარტოს იმგვარად,
რომ აკრძალულია იმ პირის, რომელსაც დაკავების ევროპული ორ-
დერი უკავშირდება, გადაცემაზე უარის თქმა, როდესაც არსებობს
ობიექტურ გარემოებებზე დაფუძნებული რწმენა, რომ დაკავების
ევროპული ორდერის გამოცემა მიზნად ისახავს პირის დევნას ან
დასჯას მისი სქესის, რასის, რელიგიის, ეთნიკური წარმოშობის,
მოქალაქეობის, ენის, პოლიტიკური შეხედულების ან სექსუალური
ორიენტაციის ან იმ მიზნით, რომ ამ პირის მდგომარეობას მიადგეს
ზიანი რომელიმე ასეთი მიზეზის გამო“.

⁵⁵⁶ „დაუშვებელია პირის გაძევება, გადაყვანა ან ექსტრადიცია იმ
სახელმწიფოში, სადაც არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ იგი
დაექვემდებარება სიკვდილით დასჯას, წამებას ან სხვა არაადამი-
ანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას“.

⁵⁵⁷ „ამ ჩარჩო-გადანყვეტილებას არ გააჩნია ევროკავშირის შესახებ
ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი
უფლებების და პრინციპების პატივისცემის ვალდებულების მოდ-
იფიკაციის ეფექტი“.

⁵⁵⁸ იხ.: Report From the Commission based on Article 34 of the Council Frame-
work Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the
surrender procedures between Member States, Brussels, (2005) 63 final,
p. 5, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=86> (უკანასკნელად გადამონ-
მებულია: 30.08.2021); Turner, J.: Interstate Conflict and Cooperation in
Criminal Cases: An American Perspective, EUR. CRIM. L. REV., 2014, p. 128.

უჭერს ევროპული კომისია, იგი სახელმწიფოებს მოუწოდებს ასეთი რეგულირების მხოლოდ მნიშვნელოვნად გამონაკლის სიტუაციებში გამოყენებისკენ.⁵⁵⁹ იგივე მიდგომა აქვს მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსაც, რომელიც ჩარჩო-გადანყვეტილების რელევანტურ მუხლებში მოცემული საფუძვლების გარდა დაკავების ევროპული ორდერის შესრულებაზე უარის სხვა გარემოების გამო თქმას, განიხილავს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მექანიზმისთვის შეუთავსებლად.⁵⁶⁰

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ღირებულებით დეფიციტად უნდა იქნეს მიჩნეული გადასაცემი პირის ძირითადი უფლებების დაცვის ნორმატიული მექანიზმის არ არსებობა.⁵⁶¹ ჩარჩო-გადანყვეტილების მომზადებისა და მიღების პროცესში ძირითადი უფლებების დაცვის შესახებ

333

⁵⁵⁹ Report From the Commission based on Article 34 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, Brussels, (2006) 8 final, p. 5, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.ejn-crimjust.europa.eu/ejn/libdocumentproperties.aspx?Id=138> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁵⁶⁰ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Stefano Melloni v Ministerio Fiscal [C-399/11], 38-ე პარაგრაფი; მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Ciprian Vasile Radu [C-396/11], 36-ე და 37-ე პარაგრაფები; მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Artur Leymann and Aleksei Pustovarov [C-388/08], 51-ე პარაგრაფი.

⁵⁶¹ შუად.: Vennemann, N.: The European Arrest Warrant and Its Human Rights Implications, Heidelberg J. Of Int'l L., 2003, p. 116.

ნორმების დეკლარირება აღქმულ იქნა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ეფექტიანობის საფრთხედ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ევროპული კომისიისა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომებიც. ჩარჩო-გადანყვეტილებაში მხოლოდ პრეამბულისა და აბსტრაქტული ნორმის დონეზე ნაწილ ძირითად უფლებებზე მითითება არის უფრო ტაქტიკური ნაბიჯი რაიმე ფორმით მათზე ყოფილიყო ხაზგასმა, ვიდრე ძირითადი უფლებების დაცვის მიზანი. ამგვარად, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ მოდელს როგორც კონცეპტუალური თვალსაზრისით, ასევე რეალიზაციის ფორმეში აქვს თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების ქვაკუთხედის – ძირითადი უფლებების სათანადოდ დაცვის პრობლემა.⁵⁶²

4.3. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია – დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ნორმატიული საფუძველი

334 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ დაკავების ევროპული ორდერის მხოლოდ ჩარჩო-გადანყვეტილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუსრულებლობის მოთხოვნას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო არ ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ავთენტურ

⁵⁶² *Tinsley, A.*: The Reference in Case C-396/11 Radu: When does the Protection of Fundamental Rights Require Non-execution of a European Arrest Warrant? EUR. CRIM. L. REV., 2012, p. 347.

ინტერპრეტაციას, შესაბამისად, იგი კონვენციის შინაარსს ვერ „მოარგებს“ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას. მეორე, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ევროპულ კონვენციას განიხილავს საფრთხედ ორმხრივი ნდობის პრინციპისთვის, რომელსაც პერსპექტივაში შეუძლია ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის პოტენციალის შემცირება, რაც შესაძლოა გამოიხატოს გადაცემის პროცედურების კვლავ ექსტრადიციის პროცესად გარდაქმნაში. მესამე, სასამართლოს არ სურს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განახორციელოს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მექანიზმის საგარეო კონტროლი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ექსტრადიციის პროცესის ორმხრივ ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის ურთიერთდახმარების მოდელზე ტრანსფორმაცია. სასამართლო სწორედ იგივე მიზეზით ბლოკავს კავშირის ევროპულ კონვენციაზე მიერთებას. ასევე სასამართლო აცნობიერებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის უფრო პრიორიტეტულია ძირითად უფლებათა დაცვის კონვენციური სტანდარტების შენარჩუნება, გაუმჯობესება და გადანყვეტილების მიღებისას იგი ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემასა და კონვენციას შორის არჩევანს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთებს. მეოთხე, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემისთვის კონსტიტუციურ სტანდარტებზე უფრო სერიოზულ და მასშტაბურ საფრთხედ მიიჩნევს პირის გადაცემის პროცესში მისი უფლებების ევროპული კონვენციის შესაბამისად დაცვას, რადგან კონვენცია არის უფლების დაცვის მინიმალური სტანდარტი, რომელიც ყველა მონაწილე სახელმწიფომ უნდა დაიცვას. მეხუთე, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ცდი-

ლობს უზრუნველყოს კავშირის სივრცეში პირის გადაცემის პროცედურების ერთგვაროვნება და ეფექტიანობა.

- 335 ეს მიზეზები განაპირობებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ექსტრადიციის სფეროში იმგვარი უფლებათა დაცვის ინსტრუმენტალური სტანდარტების ჩამოყალიბებას, რომლებიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და შესაბამისად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას.⁵⁶³
- 336 მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო-გადანყვეტილების ტექსტში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ნახსენები არ არის და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც უარყოფს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობას ჩარჩო-გადანყვეტილების მე-3, მე-4, 4ა და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ეროვნული სასამართლოები არ თავისუფლდებიან დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების საკითხის განხილვისას ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის ვალდებულებისგან. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავების ევროპული ორდერის შესრულებით ირღვევა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით აღიარებული რომელიმე უფლება, ეროვნულმა სასამართლომ მის საფუძველზე უარი უნდა განაცხადოს პირის გადაცემაზე. უფრო მეტიც, ეროვნული სასამართლო ვალდებულია დაკავების ევროპული ორდერის შესაბამისად პირის გადაცემის საკითხი განიხილოს არა მხოლოდ ევროპული კონვენციის ტექსტთან, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

⁵⁶³ იხ. თავი IV.

პრეცედენტულ სამართალთან მიმართებაშიც, რომელიც კონვენციის მშრალ ტექსტს სძენს დამატებით, ევოლუციურ შინაარსს.⁵⁶⁴ ეროვნული სასამართლოების ეს ვალდებულება გამომდინარეობს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, ასევე ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებიდან და ეროვნული სამართლიდან, რადგან ყველა ნეერი სახელმწიფო იმავდროულად არის ევროპული კონვენციის მონაწილე.⁵⁶⁵ იგი აგრეთვე შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულის მე-12 აბზაცსა და პირველი მუხლის მე-6 პარაგრაფშიც.

ევროკავშირის სამართალთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მტკიცედ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციის ფარგლებში ნაკისრი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება იმ საფუძვლით, რომ იგი ასრულებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის ნევრობიდან მომდინარე ვალდებულებებს, რომელსაც საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი გადასცა, შეუთავსებელია ევროპული კონვენციის მიზნებთან და არსთან, შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა და ისეთ შემთხვევაშიც, თუნდაც იგი ასრულებდეს საერთაშორისო ვალდებულებას, მას კონვენციის დარღვევისთვის დაეკისრება პასუხისმგებლობა.⁵⁶⁶ ადამიანის

337

⁵⁶⁴ ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: Judgment EAW, 03.05.2006, 86-ე პარაგრაფი.

⁵⁶⁵ Mackarel, M.: Human Rights As a Barrier to Surrender, ნაშრომი: Keijzer, N., Sliedregt, V.E.: (eds.) The European Arrest Warrant in Practice, Hague, 2009, p. 144.

⁵⁶⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თე-

უფლებათა ევროპული სასამართლო ორმხრივ ნდობაზე დაფუძნებულ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას განიხილავს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის ერთ-ერთ მოდელად, თუმცა, ამ მექანიზმის ფარგლებში დაუშვებლად მიიჩნევს კონვენციით აღიარებული ძირითადი უფლებების დარღვევას.⁵⁶⁷ აქედან გამომდინარე, ეროვნული სასამართლო დაკავების ევროპული ორდერის შესრულებისას ვალდებულია დაიცვას ევროპული კონვენცია. თუ იგი მას დაარღვევს, შესაძლებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სათანადო პასუხისმგებლობა დააკისროს მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო-გადანყვეტილებაში ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფა არ არის პირის გადაცემაზე უარის თქმის ნორმატიული საფუძველი.

338 ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დაცვის ვალდებულებას აგრეთვე წარმოშობს კავშირის პირველადი სამარ-

ბერვლის გადანყვეტილება საქმეზე: *Matthews v. the United Kingdom* [24833/94], 32-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 30 ივნისის გადანყვეტილება საქმეზე: *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland* [45036/98], 154-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადანყვეტილება საქმეზე: *M.S.S. v. Belgium and Greece* [30696/09], 338-ე პარაგრაფი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 06 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე: *Michaud v. France* [12323/11], 102-ე პარაგრაფი.

⁵⁶⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის გადანყვეტილება საქმეზე: *Pirozzi v. Belgium* [21055/11], მე-60 და 61-ე პარაგრაფები.

თალი. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს აცხადებს კავშირის სამართლის ზოგად პრინციპებად, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, კავშირის ფარგლებში, როგორც წევრი სახელმწიფოების, ასევე ევროკავშირის ორგანოების, მათ შორის მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულებას, მეორე მხრივ, კავშირის სამართლებრივი აქტების ევროპული კონვენციის შესაბამისად ინტერპრეტაციისა და გამოყენების მოვალეობას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნორმის საფუძველზე ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები ინტეგრაციის დონეზე ნებისმიერ სფეროში თანამშრომლობისას, ექსკლუზიური თუ შერეული კომპეტენციების განხორციელებისას, კავშირის სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციისა თუ ტრანსპოზიციის პროცესში შეზღუდულნი არიან ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებით. იგივე პრინციპი მოქმედებს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემასთან მიმართებაშიც. აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე ძირითადი უფლების დაცვის მიზნით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა არ უნდა იქნეს მიჩნეული ჩარჩო-გადანყვეტილების დარღვევად, რადგან უშუალოდ კავშირის პირველადი სამართალი მოითხოვს ევროპული კონვენციით დადგენილი უფლებების სათანადოდ დაცვას.

დაკავების ევროპული ორდერის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საფუძველზე შეუსრულებლობისთვის კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია კონვენციის სუპრა-ნორმატიული უპირატესობის კონცეფცია.

339

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებზე აქვს „პირდაპირი, სუპრა-კონსტიტუციური ეფექტი“.⁵⁶⁸ ეს ნიშნავს, რომ კონვენციას აქვს არა მხოლოდ დეკლარაციული, არამედ დამატებითი კონსტიტუციური ეფექტიც ეროვნულ სამართალზე.⁵⁶⁹ მისი ტრანსფორმაციული როლიდან გამომდინარე, იგი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ წესებსა და მასზე მაღალ რანგში მყოფ საერთაშორისო ნორმებს, რადგან კონვენცია არის უზენაესი კანონი ევროპის კონტინენტზე.⁵⁷⁰ ევროპაში, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების სამართალი დაქვემდებარებულია კონვენციაზე, როგორც ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ ინსტრუმენტზე.⁵⁷¹

340 ზემოთ არსებული მსჯელობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან და ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლიდან გამომდინარე არის ნორმატიული ინსტრუმენტი, რომელიც რეკომენდირებულია, რომ გამოყენებული იქნეს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობისთვის.

⁵⁶⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეების პინტო დე ალბუქუერქუესა და დედოვის თანხვედრი მოსაზრება საქმეზე: *Baka v. Hungary* [20261/12], 23-ე პარაგრაფი. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-163113%22%5D%7D> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

⁵⁶⁹ იქვე.

⁵⁷⁰ იქვე.

⁵⁷¹ იქვე.

5. შეჯამება

ათწლეულების განმავლობაში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს ექსტრადიციის ევროპული სისტემა წარმოადგენდა. თუმცა, ევროპული ინტეგრაციის დინამიკაში განვითარებამ, განსაკუთრებით შენგენის სივრცის, კავშირის შიდა ბაზრის ჩამოყალიბებამ და გადაადგილების თავისუფლების სუპრანაციონალურ დონეზე უზრუნველყოფამ, მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სივრცის ფორმირებამ დღის წესრიგში წარმოშვა ექსტრადიციის ევროპულ სისტემაზე ეფექტიანი ნორმატიული ინსტრუმენტის შექმნის საჭიროება. 1990-იან წლებში კავშირის წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ მზად ექსტრადიციის სფეროში სუვერენული ძალაუფლების დასათმობად. მათ არჩევანი კონვენციური თანამშრომლობის სასარგებლოდ გააკეთეს და ხელი მოაწერეს ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურების შესახებ 1995 წლის კონვენციას და ექსტრადიციასთან დაკავშირებულ 1996 წლის კონვენციას. მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციის ევროპული სისტემასთან შედარებით ხსენებული კონვენციებით პირის გადაცემის პროცესი გამარტივდა და სამართლებრივი ბარიერები გარკვეულწილად მოიხსნა, მათი მეშვეობით ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობა არ გაღრმავებულა. ისინი ძალაში კავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის არასდროს შესულან.

341

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა 2002 წელს ჩარჩო-გადაწყვეტილების, როგორც სისხლის სამართლის სფერო-

342

ში თანამშრომლობის ინსტრუმენტის საფუძველზე შეიქმნა. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული რეჟიმი ეფუძნება კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობის მაღალ ხარისხსა და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების ავტომატურად აღიარებას. ევროკავშირის სივრცეში პირის გადაცემის ერთადერთი სამართლებრივი ინსტრუმენტია დაკავების ევროპული ორდერი, რომლის გამოცემისა და აღსრულების უფლებამოსილება მხოლოდ იუსტიციურ ორგანოებს აქვთ. გამომდინარე იქიდან, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულმა მოდელმა კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის პირის გადაცემის პროცესი იუსტიციური თანამშრომლობის სივრცედ გარდაქმნა, მასში პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანოების მატერიალური მონაწილეობა აკრძალულია.

- 343 ევროკავშირის ფარგლებში ექსტრადიციის პროცესის გამარტივება არ განხორციელებულა მხოლოდ პროცედურების უნიფიკაციისა და სისტემატიზაციის ხარჯზე. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულმა სისტემამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გადაცემას დაქვემდებარებული პირის უფლებების დაცვის სტანდარტებზე. პირის გადაცემაზე უარის თქმა მხოლოდ ჩარჩო-გადაწყვეტილებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებშია შესაძლებელი. იგი შეიცავს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის სავალდებულო, არასავალდებულო და სპეციალურ საფუძველებს. თავის მხრივ, ზოგიერთი ასეთი გარემოება გარკვეულწილად ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი პროტოკოლებით დადგენილი ინსტრუმენტების მსგავსია, თუმცა ისინი ძირითად უფლებებს არ უკავშირდება.

ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა, ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპები და მათთან მიმართებაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრეცედენტული სამართალი ეროვნულ სასამართლოს არ აძლევს საშუალებას ერთი მხრივ, შეაფასოს დაკავების ევროპულ ორდერის გამომცემ სახელმწიფოში ძირითადი უფლებების დაცვის მდგომარეობა, მეორე მხრივ, ინდივიდუალური საქმის შეფასების შედეგად უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე მისი რომელიმე ეროვნული თუ კონვენციური ძირითადი უფლების დაცვის მიზნით. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, როგორც ნორმატიული ინსტრუმენტი, არ განიხილება დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ლეგიტიმურ საფუძვლად.

თავი IV.

ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლებისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ევროპულ და კონსტიტუციურ სტანდარტებთან მიმართებაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკით განვითარებული კოლიზიური მიდგომები

345 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადმოსახედიდან, როგორც ითქვა, მხოლოდ ჩარჩო-გადაწყვეტილებით პირდაპირ დადგენილი საფუძვლები შეიძლება იქნეს გამოყენებული დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობისთვის. მის ასეთ პოზიციას საფუძვლად უდევს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ეფექტიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცების გრძელვადიანი მიზანი, რომლის რეალიზაციაშიც სასამართლო ძირითად აქცენტს აკეთებს კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ნდობის განსაკუთრებულ ხარისხზე. თუმცა, ამ კონცეპტუალური მიდგომების უკან დამალულია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს რეალური ინტერესი – დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე პირის გადაცემა ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაუქვემდებარონ კავშირის წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით, საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სა-

მართლით დადგენილ შეზღუდვებსა თუ აკრძალვებს.⁵⁷² დაკავების ევროპული ორდერის მხოლოდ ჩარჩო-გადანყვეტილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღუსრულებლობის მოთხოვნა არის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და ევროპული მექანიზმებისგან იმუნიტეტის შექმნის გარანტია, რომელიც სამომავლოდ *a priori* გამორიცხავს რომელიმე ძირითადი უფლების დარღვევის გამო დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობას.⁵⁷³ ამ მიმართულებით მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პოლიტიკის მთავარი ტენდენცია ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში პირის გადაცემასთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოების მოდალური მეთოდებისა და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიდგომების გამოყენების აბსოლუტური პრევენციაა. მას მიზნად დასახული აქვს ექსტრადიციის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და კონსტიტუციებით დადგენილი სტანდარტების ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ანულირება, უფრო რბილად, რომ ითქვას რედეფინირება. ამ ამოცანის მისაღწევად სასამართლო გარდა იმისა, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას ინსტიტუციური იმუნიტეტის

⁵⁷² შეად.: *Romero, M.*: In Pursuit of Basics for a New Principle of Legal Reserve in Supranational Criminal Law, EUR. CRIM. L. REV., vol. 2, 2012, pp. 252-253.

⁵⁷³ *Ambos, K.*: European Criminal Law, Cambridge, 2018, p. 144; *Marguery, T.*: EU Citizenship and European Arrest Warrant: The Same Rights for All, *Merkourios-Utrecht J. Int'l & Eur. L.*, 2011, p. 91.

მინიჭებით იმთავითვე აზღვევს გარე მექანიზმების მიერ კონტროლისგან, ასევე ექსტრადიციისთვის რელევანტურ ძირითად უფლებებთან მიმართებაში პრეცედენტული სამართლით ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკასთან შედარებით უფლების დაცვის უფრო დაბალ სტანდარტებს.⁵⁷⁴ შედეგად, ექსტრადიციის სფეროში ევროპაში თანადროულად არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოებისა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტები. საბოლოო ჯამში ეს წინააღმდეგობრივი მიდგომები ნეგატიურად აისახება ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სტანდარტების ერთგვაროვნებაზე, ეფექტიანობაზე, სისტემატიზაციასა და სტაბილურობაზე, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოების რეპუტაციაზე, მათ მიმართ ნდობაზე. ამგვარად, ევროკავშირის სამართლის უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები მოქმედებენ ჩარჩო-გადაწყვეტილებისა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად.

346 ნაშრომის ამ ნაწილში წარმოჩენილი და გაანალიზებულია ერთი მხრივ, მართლმსაჯულების ევროპული სასამართ-

⁵⁷⁴ *Mitsilegas, V.*: The Symbiotic Relationship between Mutual Trust and Fundamental Rights in Europe's Area of Criminal Justice Special Issue: Session 3: Mutual Trust in the AFSJ: What Lessons for the Criminal Law Field, NEW J. EUR. CRIM. L., 2015, p. 472.

ლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კოლიზიური მიდგომები ექსტრადიციის პროცესში ღირსების უფლების დაცვასთან მიმართებაში, მეორე მხრივ, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინააღმდეგობრივი პოზიციები ექსტრადიციის სფეროში საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დაცვის სტანდარტებთან დაკავშირებით.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს კოლიზიური მიდგომები ექსტრადიციის პროცესში ღირსების უფლების დაცვასთან მიმართებაში

წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით არის გარანტირებული. იურიდიულ ლიტერატურაში ეს უფლება ღირსების უფლებით დაცულ სფეროს მიეკუთვნება.⁵⁷⁵ იგი აბსოლუტური ხასიათისაა და შეზღუდვას, ინტერვენციას არ ექვემდებარება.⁵⁷⁶ ღირსების უფლებაში ჩარევა იმთავითვე

347

⁵⁷⁵ მაგალითად იხ.: ფირცხალაშვილი, ა.: კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში, თბილისი, 2016, გვ. 90-91.

⁵⁷⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Mohammed Ali Hassan AL-MOAYAD v. Germany [35865/03], 64-ე პარაგრაფი.

მიიჩნევა მის დარღვევად.⁵⁷⁷ ღირსების უფლება არის არა მხოლოდ ადამიანის როგორც პიროვნული, ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის დაცვის გარანტია, ის ასევე სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური ღირებულებაა,⁵⁷⁸ რომელსაც თანამედროვე სახელმწიფო, სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება მათ შორის, ევროპული ინტეგრაცია ეფუძნება. ღირსების უფლება როგორც უმაღლესი სამართლებრივი ღირებულება ყველა სხვა ძირითადი უფლებისა და თავისუფლების საწყისი და საფუძველია. აქედან გამომდინარე, არ არსებობს მისი დაცვის ხარისხის ინსტრუმენტული შემცირების ლეგიტიმაციის წყარო თუ ლეგიტიმური მიზანი, თუნდაც იგი უკავშირდებოდეს ევროკავშირის სამართლის პრიმატის, ეფექტიანობის, ერთგვაროვნად გამოყენების, ერთიანობის უზრუნველყოფას.

1.1. ღირსების უფლების დაცვის კონვენციური სტანდარტი

348 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1989 წლამდე კონვენციის მე-3 მუხლს ექსტრადიციის განზომილებაში არ განიხილავდა, თუმცა *ზოერინგის საქმეში* ამ მიმართულებით დაადგინა მნიშვნელოვანი პრეცედენტი და საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს მოქმედებების ევრო-

⁵⁷⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Soering v. The United Kingdom* [14038/88], 88-ე პარაგრაფი.

⁵⁷⁸ *ფირცხალაშვილი, ა.*: კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში, თბილისი, 2016, გვ. 95.

პული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებთან მიმართებით შეფასებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თქმით, კონვენციის პირველი მუხლი, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის უზრუნველყოფის ვალდებულებას, ლიმიტირებული შინაარსისაა, განსაკუთრებით ტერიტორიულობის თვალსაზრისით.⁵⁷⁹ იგი მხოლოდ კონვენციის ხელშემკვრელი მხარისკენაა მიმართული და მიზნად არ ისახავს კონვენციის მონაწილე ქვეყნის მიერ სხვა სახელმწიფოსთვის უფლებებისა და თავისუფლებების კონვენციის შესაბამისად დაცვის ვალდებულების დაკისრებას.⁵⁸⁰ თუმცა, კონვენციის მე-3 მუხლი ხელშემკვრელ მხარეს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ყველა იმ განჭვრეტადი გარემოებისგან, რომელიც თანსდევს პირის სხვა იურისდიქციაში ექსტრადიციას.⁵⁸¹ სასამართლოს შეფასებით, კონვენციის ინტერპრეტაციისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კოლექტიური დაცვის ხელშეკრულების სპეციალური ხასიათი. ევროპული კონვენციის, როგორც ინდივიდუალური უფლებების დაცვის ინსტრუმენტის მიზანი და ობიექტი მოითხოვს მისი ნორმების იმგვარად განმარტებასა და გამოყენებას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მათი პრაქტიკულობა და ეფექტიანობა.⁵⁸²

⁵⁷⁹ იქვე, 86-ე პარაგრაფი.

⁵⁸⁰ იქვე.

⁵⁸¹ იქვე.

⁵⁸² იქვე, 87-ე პარაგრაფი.

„გარდა ამისა, უფლებებისა და თავისუფლებების ყოველი ინტერპრეტაცია თავსებადი უნდა იყოს კონვენციის ზოგად სულისკვეთებასთან, ინსტრუმენტთან, რომელიც შექმნილია დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებებისა და იდეალების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის“.⁵⁸³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, კონვენციის ღირებულებებთან შეუთავსებელია მონაწილე სახელმწიფოს მიერ პირის სხვა ქვეყნისთვის გადაცემა, როდესაც, არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.⁵⁸⁴ ექსტრადიცია ასეთ დროს მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-3 მუხლით პირდაპირ არ არის აკრძალული, თვისობრივად ეწინააღმდეგება ამავე მუხლის სულისკვეთებას.⁵⁸⁵

349 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებულია სტანდარტები, რომელთა საფუძველზე მოპყრობა შესაძლებელია შეფასდეს წამებად, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობად ან სასჯელად. არაადამიანურმა მოპყრობამ ან სასჯელმა უნდა მიაღწიოს სისატიკის მინიმალურ ხარისხს, რომ მოთავსდეს კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებაში. მოპყრობამ მიაღწია თუ არა მინიმალურ ხარისხს ინდივიდუალურად შეფასებითი და ფარდობითია,⁵⁸⁶ იგი დამოკიდებულია საქმის

⁵⁸³ იქვე.

⁵⁸⁴ იქვე, 88-ე პარაგრაფი.

⁵⁸⁵ იქვე.

⁵⁸⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12

მონაცემების მთლიანობაზე, გარემოებებზე, მოპყრობის ან სასჯელის ბუნებასა და კონტექსტზე, მის ხასიათსა და აღსრულების მეთოდზე, ხანგრძლივობაზე, მენტალურ და ფიზიკურ ეფექტებზე და ზოგიერთ შემთხვევაში პირის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.⁵⁸⁷

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხელშემკვრელი მხარის გადაწყვეტილებას პირის ექსტრადიციის თაობაზე ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად განიხილავს და მას აკისრებს პასუხისმგებლობას, როდესაც სახელმწიფოს საკმარისი საფუძველი ჰქონდა ევარაუდა, რომ ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოსთვის პირის გადაცემის შემთხვევაში არსებობს რეალური საფრთხე – იგი დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ, სასტიკ მოპყრობას ან სასჯელს⁵⁸⁸ და მან ის დაუცველი დატოვა.⁵⁸⁹ აქედან გამომდინარე, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია პირის გადაცემამდე შეაფასოს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში პირის ღირსების უფლების დაცვის პერსპექტივა.

350

აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Shamayev and Others v. Georgia and Russia [36378/02], 338-ე პარაგრაფი.

⁵⁸⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Soering v. The United Kingdom [14038/88], მე-100 პარაგრაფი.

⁵⁸⁸ იქვე, 91-ე პარაგრაფი.

⁵⁸⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Mamatkulov and Askarov v. Turkey [46827/99 da 46951/99], 69-ე პარაგრაფი.

351

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით ექსტრადიციის შესაბამისობის შეფასების მექანიზმი ეტაპობრივად დახვეწა და ცხადი, უფრო ფუნქციონალური გახადა. იგი ამ საკითხზე მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაში იყენებს ე.წ. ზოერინგის ტესტს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის რეალური საფრთხის შეფასებისას მხედველობაში იღებს იმ ფაქტებს, რომლებიც ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო მონაწილე სახელმწიფოსთვის ექსტრადიციის პროცესში.⁵⁹⁰ გარდა ამისა, იგი ეყრდნობა ერთი მხრივ, სხვადასხვა სუბიექტებისგან მიღებულ ინფორმაციას ან საჭიროების შემთხვევაში თვითონ მოიპოვებს მას,⁵⁹¹ მეორე მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და დასკვნებს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის თაობაზე.⁵⁹² აკრძალული მოპყრობის საფრთხის არსებობის შესაფასებლად

⁵⁹⁰ იქვე.

⁵⁹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Shamayev and Others v. Georgia and Russia [36378/02], 363-ე-366-ე პარაგრაფები; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Mohammed Ali Hassan AL-MOAYAD v. Germany [35865/03], 63-ე პარაგრაფი.

⁵⁹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Shamayev and Others v. Georgia and Russia [36378/02], 336-ე პარაგრაფი.

სასამართლო ხელმძღვანელობს ისეთი მტკიცებულებით, რომელიც გონივრულობის ფარგლებში არსებულ ეჭვს სცილდება.⁵⁹³ „გონივრული ეჭვი არ არის ისეთი ეჭვი, რომელიც ეფუძნება მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას ან გამოწვეულია არასასიამოვნო შედეგის თავიდან ასაცილებლად, არამედ ის არის ეჭვი, რომლის ობიექტური მიზეზები შეიძლება გამომდინარეობდეს წარმოდგენილი ფაქტებიდან“.⁵⁹⁴ არასათანადო მოპყრობის მტკიცებულება აგრეთვე შეიძლება გამომდინარეობდეს სამხილთა რაოდენობიდან, ან უდავო, საკმაოდ სერიოზული, ზუსტი და დადასტურებული ვარაუდებიდან.⁵⁹⁵

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება *საქმეზე მ.ს.ს. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ*. ეს გადაწყვეტილება პრეცედენტულია იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა კავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის სამართლის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში. ამ საქმეში ბელგიამ *ე.წ. დუბლინის რეგულაციების*⁵⁹⁶ შესაბამისად ავლანელი თავშესაფრის

352

⁵⁹³ იქვე, 338-ე პარაგრაფი.

⁵⁹⁴ იქვე.

⁵⁹⁵ იქვე.

⁵⁹⁶ Council Regulation (EC) No 343/2003 of 18 February 2003 establishing the criteria and mechanisms for determining the Member State responsible for examining an asylum application lodged in one of the Member States by a third-country national, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex>.

მადიებელი პირი, რომელიც ევროკავშირის სივრცეში საბერძნეთის მეშვეობით შევიდა, საბერძნეთს, როგორც მისი თავშესაფრის საკითხზე პასუხისმგებელ სახელმწიფოს გადასცა.⁵⁹⁷ ბელგიამ პირის გადაცემის შესახებ გადანყვეტილება მიიღო მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ, აპლიკანტი და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებდნენ საბერძნეთის თავშესაფრის სისტემის ფუნდამენტურ ხარვეზებზე, რაც გამოიხატებოდა არასათანადო საარსებო პირობებსა და თვითნებური დაკავების პრაქტიკაში, მეორე მხრივ, აპლიკანტის მტკიცებით არსებობდა საბერძნეთის მიერ მისი ავლანეთში დაბრუნების საფრთხე, სადაც მას კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამოდ მოეპყრობოდნენ.⁵⁹⁸ საბერძნეთში თავშესაფრის მადიებელი განათავსეს წინასწარი დაკავების იზოლატორში, ამასთან იგი უზრუნველყოფილი არ იქნა სათანადო საარსებო პირობებით.⁵⁹⁹

353 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა აპლიკანტის პოზიცია და განაცხადა, რომ ბელგია აცნობიერებდა როგორც საბერძნეთის თავშესაფრის სისტემაში არსებულ ხარვეზებს, მათ შორის თავშესაფრის მადიებლის დაკავების საფრთხეს, ასევე საბერძნეთის მიერ აპლიკანტის ავლანეთისთვის გადაცემის რისკს, თუმცა მიუხედავად ამი-

europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32003R0343 (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁵⁹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის გადანყვეტილება საქმეზე: M.S.S. v. Belgium and Greece, [30696/09], მე-17 პარაგრაფი.

⁵⁹⁸ იქვე, მე-19, 27-ე, 324-ე პარაგრაფები,

⁵⁹⁹ იქვე, 34-ე პარაგრაფი.

სა მაინც მიიღო გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება.⁶⁰⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ბელგიის მიერ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ორ ასპექტში დაადგინა. პირველი, სასამართლოს თქმით, ბელგიას უნდა გაეთვალისწინებინა საბერძნეთის თავშესაფრის სისტემის არაეფექტიანობა, აპლიკანტის ავლანეთში დაბრუნების საფრთხე და არ უნდა ევარაუდა, რომ თავშესაფრის მაძიებელს საბერძნეთი მოეპყრობოდა კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.⁶⁰¹ მეორე, ბელგიას სათანადოდ უნდა შეეფასებინა საბერძნეთში აპლიკანტის დაკავებისა და იმგვარ არასათანადო საარსებო პირობებში ყოფნის რეალური საფრთხე, რომელიც არის სასტიკი მოპყრობის ტოლფასი და იგი არ უნდა გადაეცა.⁶⁰²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უშუალოდ ექსტრადიციას არ უკავშირდება და ძირითად უფლებებში ექსტრადიციასთან შედარებით უფრო არაინტენსიურად ჩარევის ფორმას – გაძევებას ეხება, თუმცა, ექსტრადიციის სფეროზეც ვრცელდება.⁶⁰³ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, რადგან კავშირის წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ორმხრივი ნდობის პრინციპისგან განსხვავებულად მოქმედების მოვალეობას. ფაქტობრივად, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კავშირის წევრი სახელმწიფო ვალდებულია შეაფასოს სხვა

354

⁶⁰⁰ იქვე, 358-ე პარაგრაფი.

⁶⁰¹ იქვე, 359-ე პარაგრაფი.

⁶⁰² იქვე, 367-ე პარაგრაფი.

⁶⁰³ *Heard, C., Mansell, D.: The European Arrest Warrant: the role of judges when human rights are at risk, NEW J. EUR. CRIM. L., 2011, p. 144.*

წევრ ქვეყანაში კონვენციის მე-3 მუხლის დაცვის სტანდარტი და პირის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს. პირის გადაცემის ამგვარი სტანდარტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების საკითხის განხილვის პროცესშიც.

1.2. ღირსების უფლების დაცვის ევროკავშირის სტანდარტი

355 მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს როგორც ითქვა, ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლების დაცვის თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან განსხვავებული მიდგომა აქვს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ძირითად უფლებათა ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ, იგი პრაქტიკაში იყენებს არა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს, არამედ მის ანალოგს – ქარტიის პირველ მუხლსა (ღირსების უფლება) და მე-4 მუხლს (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა). მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ძირითად უფლებათა ქარტიით გათვალისწინებული თითოეული უფლების, მათ შორის ღირსების უფლების შინაარსი სრულად შესაბამისია, იდენტურია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებების.⁶⁰⁴ აქედან გამომდინ-

⁶⁰⁴ Explanation Relating to the Charter of Fundamental Rights, (2007/C 303/02), p. 19, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32007X1214%2801%29> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

ნარე, ევროპულ კონვენციასა და ძირითად უფლებათა ქარტიას შორის ნორმატიული კოლიზია არ არსებობს.

მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს ექსტრადიციისას ღირსების უფლების დაცვის კონტექსტში მხოლოდ 356
ორი გადანყვეტილება და ორივე წინასწარი გადანყვეტილების პროცედურის ფარგლებში აქვს მიღებული. აქედან ღირსების უფლების დაცვის ტესტი განავითარა არანიოსისა და კალდარარუს გაერთიანებულ საქმეებში და იგი მომდევნო საქმეშიც გამოიყენა.⁶⁰⁵ ეს გადანყვეტილება საკმარისია იმ მოდალობების ანალიზისთვის, რომლებსაც მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ღირსების უფლებასთან მიმართებაში ავითარებს.

2015 წელს მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს 357
წინასწარი გადანყვეტილების პროცედურის ფარგლებში შეკითხვით მიმართა ბრემენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ, რომელიც იხილავდა უნგრეთის მოქალაქის არანიოსისა და რუმინეთის მოქალაქის კალდარარუს მიმართ გამოცემული დაკავების ევროპული ორდერების აღსრულების საკითხს.⁶⁰⁶

უნგრეთში, მიშკოლცის პირველი ინსტანციის სასამართლოს 358
მიერ არანიოსის წინააღმდეგ ორი დაკავების ევროპული

⁶⁰⁵ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის გადანყვეტილება საქმეზე: ML [C-220/18].

⁶⁰⁶ ამ საქმეების ანალიზისთვის ასევე ვრცლად იხ.: *Van Ballegooij, W., Bård, P.*: Mutual Recognition and Individual Rights, Did the Court get it Right? *New Journal of European Criminal Law*, vol. 7, 2016, pp. 446-464.

ორდერი იყო გამოცემული. ორივე ორდერით, მას ბრალად ედებოდა ქურდობა და უნგრეთი ითხოვდა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით მის გადაცემას.⁶⁰⁷

- 359 კალდარარუს მიმართ დაკავების ევროპული ორდერი ფაგარასასის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იყო გამოცემული, თუმცა, არანიოსის საქმისგან განსხვავებით, რუმინეთში მას უკვე სასჯელის სახით დაკისრებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლითა და 8 თვის ვადით ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების გარეშე ექსპლუატაციისათვის.⁶⁰⁸
- 360 ბრემენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებდნენ რუმინეთისა და უნგრეთის საპატიმრო დაწესებულებებში ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამო მდგომარეობის არსებობაზე, მძიმე საცხოვრებელ პირობებსა და არაადამიანურ მოპყრობაზე, არ მიიღო არანიოსისა და კალდარარუს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა, დაკავების ევროპული ორდერების აღსრულებაზე უარი არ განუცხადებია.⁶⁰⁹ მან ევროკავშირის სამართლის მიმართ კეთილგანწყობა გამოავლინა, საქმეების განხილვა შეაჩერა და

⁶⁰⁷ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Pál Aranyosi [C 404/15], Robert Căldăraru [C 659/15 PPU], 30-ე და 31-ე პარაგრაფები.

⁶⁰⁸ იქვე, 48-ე და 49-ე პარაგრაფები.

⁶⁰⁹ იქვე, 42-ე-44-ე და 59-ე-61-ე პარაგრაფები.

მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს მიმართა ორი შეკითხვით:⁶¹⁰

- შესაძლებელია თუ არა ჩარჩო-გადანწყვეტილების პირველი მუხლის მე-3 პარაგრაფი⁶¹¹ განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ დაკავების ევროპული ორდერი არ იქნეს აღსრულებული, როდესაც არსებობს მტკიცე ინდიკატორები, რომლებიც მიუთითებენ ორდერის გამოძცემ წევრ სახელმწიფოში პატიმრობის პირობების ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლთან⁶¹²

⁶¹⁰ იქვე, 46-ე და 63-ე პარაგრაფები.

⁶¹¹ „ამ ჩარჩო-გადანწყვეტილებას არ აქვს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებებისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვის ვალდებულებაზე მოდიფიკაციის ეფექტი.“

⁶¹² „1. კავშირი აღიარებს უფლებებს, თავისუფლებებსა და პრინციპებს, რომელიც გათვალისწინებულია 2007 წლის 12 დეკემბერს სტრასბურგში მიღებული ძირითად უფლებათა 2000 წლის 07 დეკემბრის ქარტიით, რომელსაც ენიჭება იგივე სამართლებრივი ღირებულება, რაც [დამფუძნებელ – გ.მ.] ხელშეკრულებებს. ქარტიის ნორმები არ აფართოებენ [დამფუძნებელი – გ.მ.] ხელშეკრულებებით კავშირისთვის მინიჭებულ კომპეტენციებს. ქარტიაში არსებული უფლებები, თავისუფლებები და პრინციპები განიმარტება ქარტიის მე-7 თავის იმ ზოგადი დებულებების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ მის ინტერპრეტაციასა და მოქმედების სფეროს და ქარტიაში მითითებული განმარტებების გათვალისწინებით, რომლებიც გადმოცეულია ამ დებულებების წყაროებში.

2. კავშირი მიუერთდება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. მიერთებას ეფექტი არ ექნება კავშირისთვის [დამფუძნებელი – გ.მ.] ხელშეკრულებებით მინიჭებულ და განსაზღვრულ კომპეტენციებზე.

აშკარა შეუსაბამობაზე? დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოს შეუძლია თუ ის ვალდებულია, რომ ასეთ სიტუაციაში პირის გადაცემამდე დაადგინოს პატიმრობის პირობების სპეციფიკური მინიმალური მოთხოვნები და ითხოვოს მათი შესრულების გარანტია?

- შეიძლება თუ არა ჩარჩო-გადანყვეტილების მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის ინტერპრეტაცია ისეთნაირად, რომ სასამართლოებს ასევე მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება გასცენ პატიმრობის პირობების შესახებ გარანტიები, თუ ასეთი გარანტიების დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოსთვის მიცემა უნდა განხორციელდეს ორდერის გამომცემი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად?

361 თავისთავად ფაქტი, რომ ეროვნულ სასამართლოს (ამ შემთხვევაში ბრემენის უმაღლეს რეგიონულ სასამართლოს) აქვს სერიოზული ეჭვი, რომ დაკავების ევროპული ორდერის შესრულება პირის მიმართ გამოიწვევს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ მოპყრობას და მიუხედავად ამისა უარს არ აცხადებს მის აღსრულებაზე, მიუთითებს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის სტანდარტების სულ მცირე შეფერხებით მოქმედებაზე. ასეთ მდგომარეობას გა-

3. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული ძირითადი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ ნევრ სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან, წარმოადგენენ კავშირის სამართლის ზოგად პრინციპებს.“.

ნაპირობებს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ მოდელში ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპების⁶¹³ არსებობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ევროკავშირის სივრცეში ევროპული კონვენციის ეფექტიან დაცვას. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო სწორედ ამ პრინციპებს იყენებს ღირსების უფლებასთან მიმართებაში ევროპულ კონვენციაზე დაბალი სტანდარტის გამოყენების გასამართლებლად. მისი თქმით, ორმხრივი აღიარება, რომელიც დაკავების ევროპული ორდერის სისტემის ქვაკუთხედი, დაფუძნებულია წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივ ნდობაზე, რაც ქმნის პრეზუმფციას, რომ მათი სამართლებრივი სისტემებით ძირითადი უფლებები დაცულია ისევე ეფექტიანად როგორც ევროკავშირის, განსაკუთრებით კი ძირითად უფლებათა ქარტიის დონეზე.⁶¹⁴ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში გაიმეორა, რომ კავშირის წევრი სახელმწიფოს მიმართ ორმხრივი ნდობის პრინციპის ძირითადი მოთხოვნაა, რომ გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ყველა სხვა წევრ სახელმწიფოში ძირითადი უფლებების დაცვის ხარისხი მიიჩნოს კავშირის სამართლის სტანდარტებთან შესაბამისად.⁶¹⁵ სასამართლო ერთ-ერთ ასეთ გამონაკლის შემთხვევად ღირსების უფლების დაცვას მიიჩნევს.⁶¹⁶ ამ კონტექსტში იგი ძირითად უფლებათა ქარტიის

⁶¹³ ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპებთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: თავი III, §2.1.

⁶¹⁴ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Pál Aranyosi [C 404/15], Robert Căldăraru [C 659/15 PPU], 77-ე პარაგრაფი.

⁶¹⁵ იქვე, 78-ე პარაგრაფი.

⁶¹⁶ იქვე, 88-ე პარაგრაფი.

პირველ და მეოთხე მუხლებთან ერთად მიუთითებს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზეც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზეც⁶¹⁷ და ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ფარგლებში ქმნის დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ სახელმწიფოში პირის შესაძლო წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის შეფასების ინსტრუმენტს. მისი თქმით, დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სახელმწიფოს სასამართლოს, როდესაც მტკიცებულებების საფუძველზე მიაჩნია, რომ არსებობს რეალური რისკი დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ სახელმწიფოში პატიმრობაში მყოფ პირებს ეპყრობოდნენ არაადამიანურად ან სასტიკად, იგი ვალდებულია დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებამდე ეს რისკი შეაფასოს, რათა გადაცემის შემდეგ პირი არ დაექვემდებაროს არასათანადო მოპყრობას.⁶¹⁸ სასამართლო რისკის რეალურად შეფასებისთვის და ორდერის აღსრულებასთან დაკავშირებით საბოლოო გადანყვეტილების მიღებისათვის რამდენიმე კუმულაციურ ეტაპს ადგენს:

- 362 **წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ზოგადი რისკის შეფასება** – დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სასამართლო ვალდებულია დაეყრდნოს ობიექტურ, სანდო, სპეციალურ და სათანადოდ განახლებულ ინფორმაციას დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ სახელმწიფოში პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა მიუთითებდეს პატიმრობის

⁶¹⁷ იქვე, 87-ე პარაგრაფი

⁶¹⁸ იქვე, 88-ე პარაგრაფი.

არასათანადო პირობების სისტემატურ ან ზოგად ხარვეზებზე ან პირთა გარკვეული ჯგუფის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე ან ზოგიერთ საპატიმრო დაწესებულებაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე.⁶¹⁹ ეს ინფორმაცია შესაძლოა მოპოვებულ იქნეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, დაკავების ევროპული ორდერის გამომცემი სახელმწიფოს სასამართლოების პრაქტიკიდან, ევროპის საბჭოს ორგანოების ან გაეროს ეგიდით მოქმედი ორგანიზაციების გადანყვეტილებებიდან, ანგარიშებიდან და სხვა ასეთი ტიპის ოფიციალური დოკუმენტებიდან. თუმცა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო მხოლოდ პატიმრობის არასათანადო პირობების ზოგად ან სისტემურ კონტექსტს არ მიიჩნევს საკმარის გარემოებად დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობისთვის.⁶²⁰ იგი ეროვნულ სასამართლოს სთხვოს კონკრეტულად, უშუალოდ გადასაცემი პირის მიმართ ღირსების უფლების საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური საშიშროების შეფასებასაც,⁶²¹ რადგან პატიმრობის არასათანადო პირობების ზოგადი ან სისტემური მდგომარეობა იმთავითვე არ გულისხმობს, რომ გადასაცემ პირსაც ექსტრადიციის შემთხვევაში ღირსების უფლების საწინააღმდეგოდ მოეპყრობიან.⁶²²

არაადამიანური ან ღირსების შემლახველი პატიმრობის კონკრეტული რისკის შეფასება გადასაცემ პირთან მიმართებაში

363

⁶¹⁹ იქვე, 89-ე პარაგრაფი.

⁶²⁰ იქვე, 91-ე პარაგრაფი.

⁶²¹ იქვე, 92-ე პარაგრაფი.

⁶²² იქვე, 93-ე პარაგრაფი.

– დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სასამართლო ვალდებულია შეაფასოს არსებობს თუ არა სუბსტანციური საფუძველი ივარაუდოს, რომ დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებისას ამ პირის პატიმრობა იქნება არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ტოლფასი.⁶²³ ამ მიზნით მან დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა თხოვოს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება პირის გადაცემის შემდეგ მისი პატიმრობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და მისი მოწოდებისთვის განსაზღვროს რეალისტური ვადა, რაც თავსებადი უნდა იყოს ჩარჩო-გადანწყვეტილებით დადგენილ ვადებთან.⁶²⁴

364 **გადანწყვეტილების მიღების ეტაპი** – თუ დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნი სასამართლოს მოწოდებული ინფორმაციით გადასაცემი პირის ღირსების უფლების დარღვევის რისკი გაქარწყლდება,⁶²⁵ მაშინ დაკავების ევროპული ორდერი უნდა აღსრულდეს და პირის ექსტრადიცია განხორციელდეს. განსაკუთრებით საინტერესოა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომა იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, როდესაც დაკავების ევროპული ორდერის ადრესატი სასამართლო მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩათვლის, რომ არსებობს რეალური რისკი დაკავების ევროპული ორდერის შესრულების შემდეგ პირის მიმართ ღირსების უფლების საწინააღმდეგოდ მოპყ-

⁶²³ იქვე, 94-ე პარაგრაფი.

⁶²⁴ იქვე, 95-ე და 97-ე პარაგრაფები.

⁶²⁵ იქვე, 103-ე პარაგრაფი.

რობის თვალსაზრისით. იგი ცალსახად თავს იკავებს განაცხადოს, რომ ამგვარ ვითარებაში არ უნდა შესრულდეს დაკავების ევროპული ორდერი და ეროვნულ სასამართლოს მოუწოდებს მისი აღსრულების გადავადებისკენ, თუმცა სასამართლომ საქმის განხილვა არ უნდა მიატოვოს.⁶²⁶ ხსენებულ ასპექტში ამკარად არის შესაძლებელი მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განსხვავებული მიდგომების დანახვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი პირდაპირ ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური საშიშროებისას, რისკისას ექსტრადიციის აკრძალვას.⁶²⁷

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო თვლის, რომ 365
თუ ღირსების უფლების დარღვევის რეალური რისკი გონივრულ ვადაში არ გაქარწყლდება, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს დაასრულოს თუ არა გადაცემის პროცედურა.⁶²⁸

ევროკავშირის სასამართლო ამ გადაწყვეტილების არცერთ 366
ნაწილში არ საუბრობს გადასაცემი პირის ღირსების უფლების შესაძლო დარღვევისას დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობაზე. თუმცა, ვარაუდის სახით შეიძლება

⁶²⁶ იქვე, 98-ე პარაგრაფი.

⁶²⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1989 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Soering v. The United Kingdom [14038/88], 88-ე პარაგრაფი.

⁶²⁸ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Pál Aranyosi [C 404/15], Robert Căldăraru [C 659/15 PPU], 104-ე პარაგრაფი.

ითქვას, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ამგვარი საფუძვლით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობას მთლიანობაში არ გამოორიცხავს.

367 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული ღირსების უფლების დაცვის მექანიზმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ტესტთან შედარებით კომპლექსურია.⁶²⁹ მას კავშირის სამართლის მიმართ კეთილგანწყობაც ახასიათებს. ექსტრადიციის განზომილებაში ღირსების უფლების დაცვის კონვენციურ და ევროკავშირის სტანდარტებს შორის განსხვავებაა ორ ძირითად ასპექტში.

368 **პირველი**, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის რეალური რისკის არსებობისას პირდაპირ კრძალავს ექსტრადიციას, ხოლო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ღირსების უფლების დარღვევის ამკარა და რეალური რისკის დადგენის შემდეგაც დაუშვებლად თვლის დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობას და ეროვნულ სასამართლოს სთხოვს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. თუმცა, ბუნდოვანია რა ტიპის დამატებით ინფორმაციას გულისხმობს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო. იგი მასში გარანტიას აკრძალული მოპყრობის პრევენციასთან მიმართებაში არ უნდა მოიაზრებდეს, რადგან ბრემენის უმაღლესი რეგიონული სასამართლოს მეორე დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით საერთოდ არ უმსჯელია.

⁶²⁹ შეად.: Pieter, A.: The European Arrest Warrant system: Recent developments in the case law of the Court of Justice, MJEL, vol. 24(6), 2017, p. 900.

მეორე, ფუნდამენტური განსხვავებაა ამ ორ საერთაშორისო სასამართლოს შორის ღირსების უფლების დაცვის სულისკვეთებასა და მონდომებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით მექანიზმებს ქმნის ღირსების უფლების მაღალი, პრაგმატული სტანდარტისკენ მიმართული პრაქტიკით. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ამ საკითხში უფრო მიდრეკილია ევროკავშირის სამართლის ეფექტიანობისა და ქმედითობის შენარჩუნებისკენ და მის სასარგებლოდ იხრება. ის სწორედ ამ მიზეზით არ მიუთითებს მკაფიოდ ღირსების უფლების დარღვევის რეალური რისკის არსებობის დროსაც დაკავების ევროპული ორდერის აღუსრულებლობაზე.⁶³⁰

2. კოლიზიური მიდგომები ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმთან მიმართებაში

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს ქვემოთ განხილული გადაწყვეტილება გარდა იმისა, რომ უკავშირდება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ესპანეთისა და გერმანიის კონსტიტუციებით დაცვის ხარისხზე უფრო დაბალი სტანდ-

⁶³⁰ *Gáspár-Szilágyi S.*: Joined Cases Aranyosi and Căldăraru: Converging Human Rights Standards, Mutual Trust and a New Ground for Postponing a European Arrest Warrant, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.* 2016, p. 218.

არტიტ დაცვას, ასევე საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ არასუპრანაციონალურ აქტს – ჩარჩო-გადაწყვეტილებას მიანიჭა მოქმედების უპირატესობა ძირითადი უფლების დაცვის კონსტიტუციურ ნორმებთან მიმართებაში.

- 371 ძირითადი უფლებების დაცვის კონსტიტუციური სტანდარტის კავშირის სამართლის შესაბამისად რედეფინირების საკითხი საკმაოდ აქტუალურია ევროპის სამართლის ლიტერატურაში და განსაკუთრებულ გააზრებას საჭიროებს, თუმცა მისი სრულყოფილი განხილვა სცილდება ამ ნაშრომის კონტექსტსა და მიზანს. აქედან გამომდინარე, ქვემოთ შეფასებულია *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვისთვის დადგენილი კონსტიტუციური და ევროკავშირის სტანდარტები. ევროკავშირის სამართლის კონტექსტში განხილულია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ *მელონის საქმეზე* მიღებული გადაწყვეტილება.⁶³¹ *In absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვისთვის დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტის ქრილში შემოთავაზებულია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს *ე.წ. Solange III-ის* სახელწოდებით ცნობილი გადაწყვეტილება, რომელიც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან არის ინსტიტუციუ-

⁶³¹ ამ გადაწყვეტილების ანალიზისთვის ასევე იხ.: *Cavallone, G.*: European arrest warrant and fundamental rights in decisions rendered in absentia: the extent of Union law in the case C-399/11 Melloni v. Ministerio Fiscal, EUR. CRIM. L. REV., 2014, pp. 19-40. *Vervaele, J.*: The European Arrest Warrant and Applicable Standards of Fundamental Rights in the EU, Rev. Eur. Adm. L., 2013, pp. 41-54; *Pérez, A.*: Spanish Constitutional Court Constitutional Dialogue on the European Arrest Warrant: To Spanish Constitutional Court Knocking on Luxembourg's Door; Spanish Constitutional Court, Order of 9 June 2011, AsC 86/2011, EUCONST, 2012, pp. 105-127.

რი რეაქცია კავშირის სასამართლოს მიერ *მელონის საქმეზე* განვითარებულ კონცეფციასთან მიმართებაში.

2.1. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმის ევროკავშირის სტანდარტი

2004 წელს ბოლონიის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოცემული იქნა დაკავების ევროპული ორდერი იტალიის მოქალაქე *სტეფანო მელონის* წინააღმდეგ. დაკავების ევროპული ორდერის თანახმად, *მელონი* იყო მსჯავრდებული თაღლითობისთვის და მას დაუსწრებლად სასჯელის სახით დაკისრებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.⁶³² 2008 წელს დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების მიზნით ესპანეთის ცენტრალური საგამოძიებო სასამართლოს ბრძანებით *მელონი* პოლიციამ დააკავა.⁶³³ იგი არ დათანხმდა იტალიისთვის გადაცემას, თუმცა, უმაღლესი ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით ის იტალიაში ექსტრადიციას მაინც დაექვემდებარა.⁶³⁴

მელონის შეფასებით, ვინაიდან იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა ბრალდე-

⁶³² მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Melloni v. Ministerio Fiscal*, [C-399/11], მე-14 პარაგრაფი.

⁶³³ იქვე, მე-15 პარაგრაფი.

⁶³⁴ იქვე, მე-17 პარაგრაფი.

ბულის დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმს, დაკავების ევროპული ორდერი არ უნდა აღსრულებულიყო, რადგან ერთი მხრივ, „დაკავების ევროპული ორდერისა და პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად არსებობდა გადაცემაზე უარის თქმის საფუძველი, მეორე მხრივ, ასეთი საშუალების არ არსებობა ეწინააღმდეგებოდა ესპანეთის კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულ საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. იგი თვლიდა, რომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ამგვარი შეზღუდვით ილახებოდა ადამიანის ღირსებაც, ვინაიდან მას არ გააჩნდა ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში მძიმე დანაშაულისთვის დაკისრებული სასჯელის გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფდა დაცვის უფლების ეფექტიან რეალიზაციას.⁶³⁵ აქედან გამომდინარე, *მელონიმ* მიმართა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა მისი იტალიისთვის გადაცემის მიზნით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დასაშვებად ცნო კონსტიტუციური სარჩელი,⁶³⁶ თუმცა საქმის არსებითი წესით განხილვამდე დიდი ხნის განმავლობაში პირველად მიიღო გადაწყვეტილება წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე.⁶³⁷

⁶³⁵ იქვე, მე-18 პარაგრაფი.

⁶³⁶ იქვე, მე-19 პარაგრაფი.

⁶³⁷ *Pérez, A.*: Spanish Constitutional Court Constitutional Dialogue on the

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას გააჩნია „გარე“ ეფექტი, რაც გულისხმობს ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში ამ უფლების რეალიზაციისთვის მინიმალური მატერიალურ-პროცედურული ინსტრუმენტების უზრუნველყოფას.⁶³⁸ სასამართლოს თქმით, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლების დაცვის ასეთი ელემენტარული სტანდარტი არ არსებობს, არაპირდაპირი ფორმით ირღვევა ესპანეთის კონსტიტუციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და უხეშად ილახება ადამიანის ღირსება.⁶³⁹ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წელს გააუქმა პირის რუმინეთში ექსტრადიციასთან დაკავშირებული მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ დაკავების ევროპული ორდერი არ შეიცავდა რუმინეთში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად და მის წინააღმდეგ მიღებული განაჩენის გადასინჯვის მექანიზმს.⁶⁴⁰

European Arrest Warrant: To Spanish Constitutional Court Knocking on Luxembourg's Door; Spanish Constitutional Court, Order of 9 June 2011, 86/2011, EUCONST, 2012, p. 125

⁶³⁸ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], მე-20 პარაგრაფი. ვრცლად იხ.: *Manzano, M. P.*: The Spanish Constitutional Court and the Multilevel Protection of Fundamental Rights in Europe; Matters Relating to ATC 86/2011, of 6 June, EUR. CRIM. L. REV., 2013, pp. 79-106.

⁶³⁹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], მე-20 პარაგრაფი.

⁶⁴⁰ იქვე, 22-ე პარაგრაფი.

375 ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო წინამდებარე საქმეში აღმოჩნდა დილემის წინაშე. კავშირის წევრი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ევროკავშირის მეორეული სამართლის წყაროების კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილება.⁶⁴¹ ამასთან, ესპანეთი როგორც კავშირის წევრი ქვეყანა ვალდებული იყო აღესრულებინა „დაკავების ევროპული ორდერისა და პირის გადაცემის პროცედურების შესახებ“ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი. თუ იგი ესპანეთის უმაღლესი ეროვნული სასამართლოს ბრძანებას ძალადაკარგულად გამოაცხადებდა, გაუქმდებოდა იტალიისთვის *მელონის* გადაცემის სამართლებრივი საფუძველი და ესპანეთი ხსენებული ჩარჩო-გადაწყვეტილებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევდა. თუმცა, თუკი ესპანეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან თავსებადად გამოცხადდებოდა და *მელონი* სასჯელის აღსრულების მიზნით იტალიას გადაეცემოდა, ერთი მხრივ, შეიცვლებოდა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, მეორე მხრივ, სულ მცირე შემცირდებოდა ესპანეთის კონსტიტუციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებისა და ადამიანის ღირსების უფლების დაცვის სტანდარტები. აქედან გამომდინარე, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში მიმართა მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს შემდეგი შეკითხვით:

⁶⁴¹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1970 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Internationale Handelsgesellschaft mbH v Einfuhr- und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel [C-11-70], მე-4 პარაგრაფი.

ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), 48-ე (უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება) და 53-ე (უფლების დაცვის დონე)⁶⁴² მუხლების სისტემური განმარტების შემთხვევაში, უფლება აქვს თუ არა კავშირის წევრ სახელმწიფოს, რომელიც არის ექსტრადიციის თხოვნის მიმღები, საკუთარი კონსტიტუციით აღიარებული ძირითადი უფლების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვიდან გამომდინარე უარი თქვას დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ექსტრადიციის მომთხოვნ სახელმწიფოში არ არსებობს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაუსწრებლად გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის მექანიზმი?

შეკითხვის მოტივაციიდან ცალსახაა, რომ ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს სურდა ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლის საფუძველზე ამ საქმეში გამოეყენებინა კონსტიტუციური სტანდარტი, რადგან იგი უფრო მაღალ დონეზე იცავდა ძირითად საპროცესო უფლებებს ვიდრე ევროკავშირის სამართალი, კერძოდ ჩარჩო-გადანწყვეტილება.

376

⁶⁴² ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლის მიხედვით, „ამ ქარტიის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს ადამიანის ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავისუფლება, რომელიც აღიარებული და მოქმედია ევროკავშირის სამართალში და საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლის მონაწილე არის კავშირი, გაერთიანება ან ყველა წევრი სახელმწიფო, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში და წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.“

377

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო არის ევროკავშირის სამართლის ერთიანობის, უზენაესობისა და ეფექტიანობის აღსრულების გარანტი. ღირსების უფლების დაცვის ინსტრუმენტის დადგენისას გამოჩნდა, რომ იგი ზოგჯერ ამ მიზნის მიღწევას ცდილობს ძირითადი უფლებების ინსტრუმენტალური დაცვის სტანდარტის შემცირების ხარჯზეც. ამ მხრივ, ეს შემთხვევაც არ არის გამონაკლისი. მოცემულ საქმეში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომელიც კავშირის წევრ სახელმწიფოს ანიჭებს შესაძლებლობას არ გამოიყენოს ევროკავშირის სამართალი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ქარტიასთან⁶⁴³ და იმოქმედოს საკუთარი კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისად, „გაანადგურებს“ ევროკავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპს.⁶⁴⁴ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს თქმით, მისი პრეცედენტული სამართლით დადგენილი ევროკავშირის სამართლის უზენაესობის პრინციპი, რომელიც არის ამ სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტური მახასიათებელი, კრძალავს, გამორიცხავს, რომ ეროვნულმა, მათ შორის კონსტიტუციურმა რეგულაციებმა შეზღუდოს, ხელყოს ევროკავშირის სამართლის ეფექტიანობა, მოქმედება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.⁶⁴⁵

⁶⁴³ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], 53-ე პარაგრაფი.

⁶⁴⁴ იქვე, 58-ე პარაგრაფი.

⁶⁴⁵ იქვე, 59-ე პარაგრაფი.

გარდა ამისა, სასამართლომ ხაზი გაუსვა კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპების დაცვის მნიშვნელობას. მან განაცხადა, რომ დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა ჩარჩო-გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, მათ შორის, კონსტიტუციის ნორმების გამო, ხელყოფს ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპებს.⁶⁴⁶ ამ მოტივაციაზე დაყრდნობით მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებასა და პირის გადაცემას ძირითად უფლებათა ქარტიით აღიარებულ საქმის სამართლიანად განხილვის უფლებასთან შესაბამისად მიიჩნევს მიუხედავად იმისა, რომ როგორც ითქვა, პირს დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ სახელმწიფოში არ გააჩნდა მის დაუსწრებლად გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის მექანიზმი.

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მელონის კონსტიტუციური სარჩელი არ დააკმაყოფილა და ხსენებული ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოყენებით ესპანეთის კონსტიტუციით დადგენილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლებისა და ღირსების უფლების დაცვის სტანდარტი შეამცირა.

378

⁶⁴⁶ იქვე, 63-ე პარაგრაფი.

2.2. ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის მექანიზმის გერმანული სტანდარტი

379 გერმანიის ფედერაკურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გერმანიის მოქალაქის კავშირის ნევრ სახელმწიფოსთვის გადაცემის ეროვნული ნორმატიული ჩარჩოს არაკონსტიტუციურად გამოცხადების გარდა,⁶⁴⁷ მიიღო კიდევ ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომლითაც *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის აქცესორული, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემით გაუთვალისწინებელი რეჟიმი დაადგინა. დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ავტონომიური გერმანული ინსტრუმენტის შემოღება განხორციელდა ე.წ. კონსტიტუციური იდენტობის კონტროლის მექანიზმის საფუძველზე, რომლის არსებობისა და გამოყენების ძირითადი სამართლებრივი მოტივაცია გერმანიის ძირითად კანონთან ერთად ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფია. თუმცა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური იდენტობის კონტროლის მექანიზმის განვითარების რეალური მიზეზი არის ინსტიტუციური რეაქცია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ *მელონის საქმეში in absentia* სამართალწარმოების მიმართ დადგენილ პრეცედენტზე.

⁶⁴⁷ იხ.: თავი III, §4.2.5.3.1.

კონსტიტუციური იდენტობის კონტროლის მექანიზმი გერმანული კონსტიტუციური მართლმსაჯულების დოგმატური კონცეფცია, პოლიტიკის პროდუქტია. მისი მიზანია შენარჩუნდეს და ხელშეუხებელი დარჩეს გერმანიის ძირითადი კანონის იდენტობა, თანდაყოლილი მახასიათებლები, არსობრივი ელემენტები და გერმანული სახელმწიფოებრიობის პრინციპები. იგი საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას ეროვნული თუ ზეეროვნული აქტების შესაბამისობა შეაფასოს გერმანიის ძირითადი კანონის იმ მუხლებთან მიმართებაში, რომლებიც არიან კონსტიტუციური იდენტობის განმსაზღვრელი, ძირითადი კანონის ყველა სხვა ნორმის ინსპირაციული საწყისი.⁶⁴⁸

380

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც სადავოდ იყო გამხდარი იტალიაში *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის დიუსელდორფის მიწის უზენაესი სასამართლოს მიერ შესრულების შესახებ გადაწყვეტილება. სადავო გადაწყვეტილებით შესრულებას დაექვემდებარა დაკავების ევროპული ორდერი, რომელიც გამოცემული იყო სასჯელის სახით დაკისრებული 30 წლით თავისუფლების აღკვეთის აღსასრულებლად. აპლიკანტი დამნაშავედ იქნა ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების წევრობისათვის, რომელსაც გასაღების მიზნით იტალიაში კოკაინი შეჭქონდა.

381

⁶⁴⁸ ფირცხალაშვილი, ა.: ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა (1) 2018, გვ. 50.

- 382 მელონის მსგავსად, აპლიკანტი მიუთითებდა, რომ იტალიის კანონმდებლობა მას არ აძლევდა გადაცემის შემთხვევაში ხელახალი გასამართლების, მათ შორის ახალი მტკიცებულებების ნარდგენისა და გამოკვლევის, დაუსწრებლად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის ეფექტიან და აბსოლუტურ შესაძლებლობას, რადგან ხელახალი გასამართლების საკითხის განხილვა იყო არა სააპელაციო სასამართლოს საკანონმდებლო ვალდებულება, არამედ დისკრეცია.⁶⁴⁹ მას ექნება მხოლოდ საქმის ძველი მასალების აპელაციის საშუალება, რაც არ არის საქმის ხელახალი განხილვის ტოლფასი.⁶⁵⁰ აპლიკანტის შეფასებით, დიუსელდორფის მიწის უზენაეს სასამართლოს ხელახალი გასამართლების უფლების გარანტიად არ უნდა მიეჩნია ფლორენციის პროკურატურის წერილობითი პირობა, ვინაიდან მას არ გააჩნდა საკმარისი ვალიდურობა.⁶⁵¹
- 383 საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში დიუსელდორფის მიწის უმაღლესი სასამართლოს მიერ გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლით აღიარებული ღირსების უფლების, როგორც ძირითადი კონსტიტუციური იდენტობის დარღვევა დაადგინა. მან გადაწყვეტილების მოტივაციისთვის გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლით

⁶⁴⁹ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: 2 BvR 2735/14, მე-10-მე-14 პარაგრაფები, ინგლისურ ენაზე თარგმანი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/EN/2015/12/rs20151215_2bvr273514en.html;jsessionid=8C76433FF1384ABF38F047A3F8583A4E.1_cid370 (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁶⁵⁰ იქვე, მე-13 პარაგრაფი.

⁶⁵¹ იქვე, მე-16-მე-19 და 26-ე და 27-ე პარაგრაფები.

გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლება იმიტომ არ გამოიყენა, რომ მას არ განიხილავს კონსტიტუციური იდენტობის განმსაზღვრელ დებულებად. საკონსტიტუციო სასამართლოს სჭირდებოდა უფრო მაღალი რანგის უფლებაზე აპელირება ევროკავშირის სამართლის პრიმატისა და ეფექტიანობის პრინციპის შეზღუდვისათვის.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტაცია კონცეპტუალური თვალსაზრისით ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ნაწილი ეთმობა კონსტიტუციური იდენტობის კონტროლის ტესტის გამოყენების დასაბუთებას და მისი შინაარსის განსაზღვრას. მეორე ნაწილში განხილულია დიუსელდორფის მიწის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გერმანიის ძირითად კანონთან შესაბამისობა. 384

საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, გერმანული და ევროპული სამართლის კოლიზიისას კავშირის სამართლის უზენაესობა გერმანულ სამართალთან მიმართებაში არ არის აბსოლუტური ხასიათის და შეზღუდულია გერმანიის ძირითადი კანონის იდენტობით, რომელსაც ერთობლიობაში განამტკიცებენ ძირითადი კანონის 23-ე მუხლის პირველი პარაგრაფი და 79-ე მუხლი.⁶⁵² მისი შეფასებით, ძირითადი კანონის იდენტობის კონტროლი არ არღვევს როგორც კავშირის წევრ სახელმწიფოებს, ასევე კავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის ლოიალურად თანამშრომლობის ვალდებულებას, უფრო მეტიც, ეს მექანიზმი არის გულწრფელი თანამშრომლობის პრინციპის თანდაყოლილი ელ- 385

⁶⁵² იქვე, 41-ე პარაგრაფი.

ემენტი.⁶⁵³ სასამართლოს აზრით, თავად კავშირის წევრი სახელმწიფოს გადასაწყვეტია თუ რა ფარგლებს დაადგენს ევროკავშირის სამართლის მოქმედებისთვის.⁶⁵⁴ მას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში და მკაფიოდ განსაზღვრული პირობებით ევროკავშირის ინსტიტუტების ან სააგენტოების მიერ მიღებული აქტების მოქმედება შეწყვიტოს გერმანიის ტერიტორიაზე.⁶⁵⁵ მისი აზრით, ასეთი მიდგომა სუბსტანციურ საფრთხეს არ ქმნის ევროკავშირის სამართლის უნიფიცირებულად გამოყენებისათვის, რადგან შეიძლება იშვიათად მოხდეს და მხოლოდ კონსტიტუციური იდენტობის შენარჩუნებისთვის.⁶⁵⁶

386 საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ღირსების უფლება არის გერმანიის კონსტიტუციური წესრიგის საფუძველი, საერთაშორისო ორგანიზაციებში გერმანიის ინტეგრაციის მანდატი, მისი დაცვა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ევროპული ინტეგრაციის მიღწევის მიზანი.⁶⁵⁷ სასა-

⁶⁵³ იქვე, 44-ე პარაგრაფი.

⁶⁵⁴ იქვე. ეს მიდგომა ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომას, მაგ. იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: ML [C-220/18]; მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Aranyosi and Căldăraru, [C-404/15 and C-659/15]; მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal [C-399/11].

⁶⁵⁵ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: 2 BvR 2735/14, 45-ე პარაგრაფი.

⁶⁵⁶ იქვე, 46-ე პარაგრაფი.

⁶⁵⁷ იქვე, 49-ე პარაგრაფი.

მართლო ღირსების უფლების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად მოიაზრებს პრინციპს – „არავითარი პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე“ (*nulla poena sine culpa*), რომელიც მოქმედებს ექსტრადიციის პროცესშიც. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ პრინციპის დარღვევის საფუძვლებად ჩათვალა შემთხვევა, როდესაც: 1. პირის ექსტრადიცია ხორციელდება დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად და ამ პირს არ აქვს ხელახალი გასამართლების, ახალი მტკიცებულებების წარდგენის, ბრალდების მიერ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების სადავოდ მიჩნევის ეფექტიანი შესაძლებლობა;⁶⁵⁸ 2. ბრალი არ ეფუძნება რეალურ, უტყუარ ფაქტებს და სასჯელი დადგენილია ასეთი გარემოებების საფუძველზე.⁶⁵⁹

387

საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ *მელონის საქმეში* დადგენილი პრეცედენტი, რომელიც ეროვნულ სასამართლოს ავალდებულებს ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილ შემთხვევაში *a priori* შეასრულოს ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი, გერმანიის სასამართლოებს არ ათავისუფლებს ღირსების უფლებასთან მიმართებაში მისი შემონიშნების მოვალეობისგან.⁶⁶⁰ გერმანიის საერთო სასამართლოებმა ექსტრადიციის პროცესში დახმარება არ უნდა გაუწიონ კავ-

⁶⁵⁸ იქვე, 51-ე-53-ე პარაგრაფები.

⁶⁵⁹ იქვე, 57-ე პარაგრაფი.

⁶⁶⁰ იქვე, 82-ე – 83-ე პარაგრაფები.

შირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს ადამიანის ღირსების უფლების დარღვევაში⁶⁶¹ და მიუხედავად იმისა, რომ ექსტრადიციის სფეროში კავშირის ფარგლებში მოქმედებს ორმხრივი ნდობის პრინციპი, მათ დაკავების ევროპული ორდერის შესრულებამდე საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ყოველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები.⁶⁶² დაკავების ევროპული ორდერის შესრულებისას გერმანიის საერთო სასამართლოებმა უნდა გამოიძიონ და შეაფასონ ექსტრადიციის შემთხვევაში როგორ მოეპყრობა მას კავშირის სხვა წევრი სახელმწიფო.⁶⁶³ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხის შეფასებისთვის სასამართლოებს ანალოგიის სახით ექსტრადიციის სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების გამოყენებისკენ მოუწოდა.⁶⁶⁴ მან პირველ რიგში იგულისხმა ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია, რომელიც ძირითადი ევროპული მრავალმხრივი საერთაშორისო აქტია ამ მიმართულებით. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, დიუსელდორფის მიწის უმაღლესი სასამართლოს მიერ ღირსების უფლების დარღვევა გამოიწვია სწორედ ექსტრადიციის შემდგომი პერიოდის სამართლებრივი თვალსაზრისით გამოუძიებლობამ, რითაც მან ვერ დაასკვნა, რომ იტალიის სისხლის სამართლის პროცესუალური სისტემა არ ითვალისწინებს აპლიკანტისთვის *in absentia* სასამართლოს გადანყვებილების აპელაციის ეტაპზე ახალი მტკიცე-

⁶⁶¹ იქვე, 62-ე პარაგრაფი.

⁶⁶² იქვე, 63-ე და 64-ე პარაგრაფები.

⁶⁶³ იქვე, 65-ე პარაგრაფი.

⁶⁶⁴ იქვე, 76-ე პარაგრაფი.

ბულებების წარდგენისა და მათ გამოკვლევაში მონაწილეობის შესაძლებლობას.⁶⁶⁵

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია *in absentia* სამართალწარმოების შედეგად გასამართლებული პირების პროცესუალური უფლებების მინიმალური სტანდარტის დადგენისათვის. გერმანიის საერთო სასამართლოები ვალდებულნი არიან *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული დაკავების ევროპული ორდერის შესრულებისას სათანადოდ გამოიძიონ და შეაფასონ დაკავების ევროპული ორდერის გამგზავნ სახელმწიფოში რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება პირის გადაცემას. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი გაუთანაბრა ექსტრადიციის ევროპულ მექანიზმში მოქმედ წესს და ღირსების უფლების დაცვის მიზნებისთვის შეამცირა კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ნდობის მასშტაბი. ეს პრეცედენტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ადამიანის ძირითადი უფლების სრულყოფილად დაცვა და ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ეფექტიანი რეალიზაცია ჰარმონიულად, თანადროულად ვერ განხორციელდება და მოითხოვს რომელიმე ამ მიზანს ჰქონდეს პრიორიტეტი მეორესთან მიმართებაში.

388

⁶⁶⁵ იქვე, 109-ე პარაგრაფი.

3. შეჯამება

- 389 ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლების დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომებში განსხვავება ექსტრადიციის საკითხის შეფასების სტანდარტებშია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის საკმარისია ღირსების უფლების დარღვევა დაადგინოს, როცა ექსტრადიციის პროცესში არსებობდა ევროპული კონვენციის სანინალმდეგო მოპყრობის რეალური საფრთხე, ასეთ შემთხვევებში იგი მოუწოდებს სახელმწიფოებს ექსტრადიციის თხოვნის შეუსრულებლობისკენ. მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, მიუხედავად ღირსების უფლების დარღვევის ზოგადად განჭვრეტადი და კონკრეტული, რეალური საფრთხეების არსებობისას, ეროვნულ სასამართლოებს სთხოვს ექსტრადიციის პროცედურების გაგრძელებას და დაკავების ევროპული ორდერის გამოძცემ სახელმწიფოში ღირსების უფლების დარღვევის მიზეზების აღმოფხვრისთვის დალოდებას. იგი საბოლოო პასუხისმგებლობას ეროვნულ სასამართლოს აკისრებს იმ გაგებით, რომ მას სთხოვს ამგვარ შემთხვევებში გადაწყვიტოს პირის გადაცემის საკითხი, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო თავს იკავებს ღირსების უფლების დარღვევის რეალური საშიშროების დროსაც დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობაზე მითითებისგან.
- 390 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირის გადაცემაზე უარის თქმას იმ შემთხვევაში,

როდესაც მის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისთვის დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში კონსტიტუციური ნორმებით დადგენილია უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ორდერის გამომცემ სახელმწიფოში. სასამართლოს ძირითადი მოტივაცია ევროკავშირის სამართლის ერთიანობის, უზენაესობისა და ეფექტიანობის, კავშირის ნევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის სფეროში ორმხრივი ნდობის პრინციპის უზრუნველყოფაა. იგი გამორიცხავს, რომ ეროვნულმა, მათ შორის კონსტიტუციურმა ნორმებმა შეზღუდოს ევროკავშირის სამართლის ეფექტიანობა და მოქმედება ნევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ პოზიციისგან განსხვავებული მიდგომა აქვს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც კონსტიტუციური იდენტობის კონტროლის მექანიზმის საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევს კავშირის სამართლის გერმანიის ძირითადი კანონის იმ ნორმებთან მიმართებით განხილვას, რომლებიც კონსტიტუციური იდენტობის განმსაზღვრელია.

საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ *მელონის საქმეში* დადგენილი პრეცედენტი, რომელიც ეროვნულ სასამართლოს ავალდებულებს ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილ შემთხვევაში იმთავითვე, ავტომატურად შეასრულოს ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი და გერმანიის საერთო სასამართლოებს დააკისრა ასეთი შემთხვევების ღირსების უფლებასთან

მიმართებაში შემონმების ვალდებულება. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხის შეფასებისთვის საერთო სასამართლოებს ანალოგიის სახით ექსტრადიციის სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების გამოყენებისკენ მოუწოდა.

თავი V.

ექვივალენტური დაცვის დოქტრინა – დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის აქცესორული კონვენციური სტანდარტი

ექვივალენტური დაცვის თანამედროვე დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროკავშირის სამართალთან მიმართებაში განვითარებული კონცეფციაა, რომლის მიზანია კავშირის სამართლისთვის იმუნიტეტის მინიჭებით მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის ჩამოაყალიბოს კონსტრუქციული ურთიერთობა.⁶⁶⁶ ომეარა დოქტრინას მიიჩნევს ევროპული კონვენციის სისტემის ფარგლებში ევროკავშირის პრივილეგიად.⁶⁶⁷ ჰერტი და კორენიკა დოქტრინას განიხილავენ, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპრომისს, რომელიც ძირითადი უფლებების დაცვის ეფექტიანობის შემცირების ხარჯზე, თუმცა საკუთარი რეპუტაციის შენარჩუნების მიზნით იქნა მიღწეული.⁶⁶⁸ ისინი მას კავშირის, მისი წევრი სახელმწიფოებისა და ევროპის საბჭოს

392

⁶⁶⁶ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 106.

⁶⁶⁷ *O'Meara, N.*: More Secure Europe of Rights — The European Court of Human Rights, the Court of Justice of the European Union and EU Accession to the ECHR, German L.J., vol. 12, 2011, p. 1817.

⁶⁶⁸ *Hert, P., Korenica, F.*: Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, German L.J., vol. 13, 2012, p. 875.

სამართლებრივ სისტემებს შორის არსებული პრობლემების რაციონალურად გადაწყვეტის მექანიზმად თვლიან.⁶⁶⁹ მათი მოსაზრებით, დოქტრინა არ არის ამ ორ საერთაშორისო სასამართლოს შორის არსებული კონფრონტაციის აღმოფხვრის ინსტრუმენტი.⁶⁷⁰ *ქრონოვსკის* შეფასებით, ექვივალენტური დაცვის დოქტრინამ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ურთიერთობა არაფორმალური თანამშრომლობის განახლებულ ეტაპზე გადაიყვანა,⁶⁷¹ რაც კავშირისთვის ძირითად უფლებათა დაცვის სფეროში ნდობის ფართო და არა აბსოლუტური მანდატის მინიჭებაში გამოიხატა. მაგრამ, დოქტრინის აბსტრაქტული და ბუნდოვანი შინაარსი ყოველთვის არ იძლევა ასეთი მანდატის ფარგლების განსაზღვრის საშუალებას, რაც პოზიტიურად აისახება ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის ავტონომიურობაზე, თუმცა, ნეგატიურად ზემოქმედებს ევროპული კონვენციის ეფექტიანობაზე.⁶⁷² *ქრისტოუს* აზრით, ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ხელს უწყობს კავშირის სამართალთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პასიურ, ინდეფერენტულ დამოკიდებულებას.⁶⁷³

⁶⁶⁹ იქვე, p. 894.

⁶⁷⁰ იქვე.

⁶⁷¹ *Chronowski, N.*: Integration of European Human Rights Standards — Accession of EU to the ECHR, *Law Ukr.: Legal J.*, 2013, p. 269.

⁶⁷² *ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.*: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, *თბილისი, 2018*, გვ. 106-107.

⁶⁷³ *Christou, T.A., Weis, K.*: The European Arrest Warrant and Fundamental

ნაშრომის მოცემულ ნაწილში განვითარებულია მოსაზრება, რომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინა მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის სისტემაში ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს პრივილეგიებს, ასევე არის დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენციური მექანიზმი. ის, როგორც ინსტრუმენტი იძლევა საშუალებას ერთი მხრივ, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულებით ევროპული კონვენციის დარღვევისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე *in concreto* განიხილოს და კავშირის წევრ სახელმწიფოს დააკისროს პასუხისმგებლობა, მეორე მხრივ, ეროვნულმა სასამართლომ დაკავების ევროპული ორდერი არ აღასრულოს კონვენციის სტანდარტებიდან გამომდინარე. ქვემოთ შემოთავაზებულია ექვივალენტური დაცვის დოქტრინის საფუძველზე დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ტესტი.

393

ამ შეხედულებების დინამიურად წარმოდგენისთვის მსჯელობა ხორციელდება ექვივალენტური დაცვის დოქტრინის წარმოშობაზე, თანამედროვე ფორმით ჩამოყალიბებასა და მისი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის ძირითადი უფლების „ამკარად არასაკმარისად“ დაცვის კონცეფციის შემოღებაზე და ამ კონცეფციის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე გავრცელებით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენციური სტანდარტის ჩამოყალიბებაზე.

394

1. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის წარმოშობა

395 ექვივალენტური დაცვის დოქტრინა 1986 წელს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ ე.წ. *Solange II*-ის საქმეზე შეიმუშავა. საკონსტიტუციო სასამართლოს თქმით, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო საკუთარი პრაქტიკით ზოგადად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების ეფექტიან დაცვას, შესაბამისად, ევროპული გაერთიანების მეორეული სამართლებრივი აქტები მიჩნეული უნდა იქნეს გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვის მოდელის სუბსტანციურად მსგავს სისტემად.⁶⁷⁴ აქედან გამომდინარე, სასამართლომ უარი განაცხადა იურისდიქციის განხორციელებაზე. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მომავალში იგი არ განიხილავდა ევროპული გაერთიანებების მეორეული სამართლის წყაროების გერმანიის ძირითადი კანონით დადგენილი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ წარდგინებებს, სარჩელებს და მათ სცნობდა დაუშვებლად.⁶⁷⁵ ამგვარად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ინტეგრაციის სამართალთან მიმართებაში გამონათქვამი კეთილგანწყობა და აღიარა ერთი მხრივ, გერმანიის უზენაეს კანონთან მიმართებაში კავშირის მეორეული სამართლებრივი აქტების პრიმატი და მეორე მხრივ, მისი უშუალოდ მოქმედების ძალა. თუმცა, სასამართლომ აღნიშ-

⁶⁷⁴ იხ.: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განწყვეტილება საქმეზე: *Solange II*, 197/83, II, მე-3 პარაგრაფი.

⁶⁷⁵ იქვე. პირველი პარაგრაფის “f” ქვეპარაგრაფი.

ნული საკითხის განხილვის სუვერენული უფლება შეინარჩუნა. იმ შემთხვევაში თუ იგი მიიჩნევდა, რომ გაერთიანების დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის მოდელი არ წარმოადგენს გერმანიის ძირითადი კანონის სუბსტანციურად მსგავს სისტემას, სასამართლო პრეფერენციას მიანიჭებდა ძირითად კანონს.⁶⁷⁶

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შექმნილი კონცეფცია გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ *მ.&სო-ს საქმეზე*. მან მიუთითა, რომ „სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის კომპეტენციების გადაცემა არ გულისხმობს ევროპული კონვენციის დარღვევას, თუ ასეთი ორგანიზაციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვა ევროპული კონვენციის ექვივალენტურად ხორციელდება“.⁶⁷⁷ ჰერტისა და კორენიკას შეფასებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ამ მიდგომით კავშირის სამართალს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და სასამართლოს იურისდიქციასთან მიმართებაში მიენიჭა იმუნიტეტი.⁶⁷⁸ ხსენებულ გადანყვეტილებაში ექვივალენტური დაცვის დოქტრინის თაობაზე მსჯელობა ორი მიმართულებითაა

396

⁶⁷⁶ *Hert, P., Korenica, F.:* Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, German L.J., vol. 13, 2012, p. 879.

⁶⁷⁷ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1990 წლის 09 თებერვლის გადანყვეტილება საქმეზე: *M. & Co. v. Federal Republic of Germany*, [13258/87].

⁶⁷⁸ *Hert, P., Korenica, F.:* Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, German L.J., vol. 13, 2012, p. 880.

ჩამოყალიბებული. კომისია მიიჩნევს, რომ ევროპული გაერთიანებების დონეზე კონვენციური უფლებები ინსტიტუციური და ნორმატიული თვალსაზრისით ეფექტიანად იყო დაცული. ნორმატიულ ჩარჩოსთან დაკავშირებით ევროპული კომისია არ გულისხმობს ევროპული გაერთიანებების ფარგლებში ძირითადი უფლებების ნორმატიული კატალოგის არსებობას, თუმცა, ყურადღებას ამახვილებს კომისიის, საბჭოსა და ევროპული პარლამენტის მიერ 1977 წელს მიღებულ დეკლარაციაზე,⁶⁷⁹ რომლითაც მათ დაისახეს ინტეგრაციის დონეზე ნევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებითა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის მიზანი.⁶⁸⁰ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციურ ინსტრუმენტში მოიაზრა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, რომელიც კავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელებას უზრუნველყოფდა.⁶⁸¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ვეითეს და კენედის⁶⁸² და ბიარ და რეგანის საქმეებში⁶⁸³

⁶⁷⁹ დეკლარაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.europarl.europa.eu/charter/docs/pdf/jointdecl_04_77_en_en.pdf (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

⁶⁸⁰ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: M. & Co. v. Federal Republic of Germany, [13258/87].

⁶⁸¹ იქვე.

⁶⁸² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Waite & Kennedy v. Germany, No. 26083/94, [1999].

⁶⁸³ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Beer & Regan v. Germany, [28934/95].

გადანყვეტილება ექვივალენტური დაცვის დოქტრინის საფუძველზე მიიღო, თუმცა მიდგომა არ შეუცვლია მის შინაარსთან დაკავშირებით.⁶⁸⁴ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის თანამედროვე კონცეფცია განავითარა *ბოსფორუსის საქმეში*, რომელიც ქვემოთაა განხილული.

ჰერტისა და კორენიცას აზრით, ევროპული კონვენციის სისტემაში ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ინტეგრაციით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კავშირის სამართლის სასარგებლოდ დათმო იურისდიქცია,⁶⁸⁵ თუმცა ისინი არ ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ კონვენციის სისტემაში ექვივალენტური დაცვის დოქტრინა დაინერგა *ჰაუერის საქმეზე*⁶⁸⁶ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების გათვალისწინებით. ამ საქმეში მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ ევროპული გაერთიანების ინსტიტუტების მიერ ადამიანის უფლებების სავარაუდოდ დარღვევის საკითხი განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ გაერთიანების სამართლის შესაბამისად,⁶⁸⁷ იგი

397

⁶⁸⁴ *ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.*: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 108.

⁶⁸⁵ *Hert, P., Korenica, F.*: Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, German L.J., vol. 13, 2012, p. 880.

⁶⁸⁶ იქვე.

⁶⁸⁷ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1979 წლის 13 დეკემბრის გადანყვეტილება საქმეზე: *Hauer v. Land Rheinland-Pfalz*, [C-44/79], მე-14 პარაგრაფი.

შეეცადა ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის გამოორიციხვას.

2. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის არსი *ბოსფორუსის საქმის* მიხედვით

398 ექვივალენტური დაცვის თანამედროვე დოქტრინა *ბოსფორუსის საქმეზე* ჩამოყალიბდა. ეს საქმე მნიშვნელოვანია დოქტრინის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ საქმის განხილვამდე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში კავშირის სამართალს კონვენციის ექვივალენტურად განიხილავდა, მაგრამ საჩივარი პირველად სცნო დასაშვებად.⁶⁸⁸ ხსენებულ საქმეში განმცხადებელი იყო თურქული ჩარტერული ავიაკომპანია, რომელსაც იუგოსლავიის ავიახაზებისგან იჯარით ორი ბოინგი ჰქონდა გადაცემული.⁶⁸⁹ ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განვითარებული საზარელი მოვლენებისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო გაერომ იუგოსლავიას არაერთი სანქცია დააკისრა, რომლის იმპლემენტაციას ევროპული გაერთიანე-

⁶⁸⁸ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 109.

⁶⁸⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland, [45036/98], მე-14 პარაგრაფი.

ბა ახორციელებდა.⁶⁹⁰ 1993 წლის 17 აპრილს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით⁶⁹¹ ნევრ სახელმწიფოებს დაეკისრათ მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა იმ თვითმფრინავის ჩამორთმევის ვალდებულება, რომელიც იმყოფებოდა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკაში მცხოვრები ან/და დაფუძნებული იურიდიული პირის საკუთრებაში, ან ასეთ პირს გააჩნდა მისი კონტროლის ინტერესი. რეზოლუცია ინტეგრაციის ფარგლებში გაერთიანების რეგულაციებით იმპლემენტირდა,⁶⁹² რომელთა საფუძველზე ირლანდიამ აპლიკანტს თვითმფრინავი დუბლინში ჩამოართვა.⁶⁹³ თურქული ავიაკომპანიის მიერ აღნიშნული გადანაცვეტილება ორჯერ გასაჩივრდა ირლანდიის უმაღლეს სასამართლოში. გარდა ამისა, საქმე წინასწარი გადანაცვეტილების პროცედურის ფარგლებში გადაეგზავნა მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს, რომელმაც დაადგინა, რომ თვითმფრინავის ჩამორთმევა მართებულად ექცეოდა რეგულაციის ფარგლებში.⁶⁹⁴

⁶⁹⁰ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 109.

⁶⁹¹ იხ.: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 820 (1993).

⁶⁹² იხ.: ევროპული გაერთიანების რეგულაციები: 1432/92, 3534/92, 990/93, 2472/94, 2815/95, 462/96, 2382/96.

⁶⁹³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადანაცვეტილება საქმეზე: Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland, [45036/98], მე-19 პარაგრაფი.

⁶⁹⁴ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1996 წლის 30 ივლისის გადანაცვეტილება საქმეზე: Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret AS and Minister for Transport, Energy and Communications, Ireland and the Attorney General, [C-84/95], 27-ე პარაგრაფი.

399

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ საჩივარში აპლიკანტი მიიჩნევდა, რომ ევროპული გაერთიანების რეგულაციის იმპლემენტაციით ირლანდიამ დაარღვია ევროპული კონვენციის პირველი მუხლი და პირველი პროტოკოლის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება.⁶⁹⁵ სასამართლოს უნდა ემსჯელა კავშირის მეორეული სამართლებრივი აქტის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი, სასამართლომ საქმე აბსტრაქტულად განიხილა.⁶⁹⁶ მან კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ ცალკეულ სფეროებში კონვენციის ხელშემკვრელი მხარის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციისთვის სუვერენული კომპეტენციების გადაცემა არ ეწინააღმდეგება კონვენციას, თუმცა ასეთ სფეროებში ხელშემკვრელი სუბიექტის კომპეტენციის არარსებობა მას კონვენციის წინაშე არსებული ვალდებულებებისგან არ ათავისუფლებს.⁶⁹⁷ ამ შემთხვევებში ვალდებულებისგან გათავისუფლება პირდაპირ ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებსა და ამოცანებს.⁶⁹⁸ გარდა ამისა, სასამართლომ გა-

⁶⁹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland, [45036/98], 107-ე პარაგრაფი.

⁶⁹⁶ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 110.

⁶⁹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland, [45036/98], 154-ე პარაგრაფი.

⁶⁹⁸ იქვე.

ნაცხადა, რომ ევროპულ გაერთიანებაში არსებობს ადამიანის უფლებების დაცვის კონვენციით გათვალისწინებული სისტემის ექვივალენტური მოდელი.⁶⁹⁹ ექვივალენტური მოდელის ცნებაში სასამართლო გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის შედარებით მსგავს და არა იდენტურ სისტემას.⁷⁰⁰ მისი შეფასებით, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილი რეჟიმის იდენტური მოდელის ფორმირების მიზნით ევროპული გაერთიანებისთვის მოთხოვნის წაყენება საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს ეწინააღმდეგება.⁷⁰¹ სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ თურქული კომპანიისთვის თვითმფრინავების ჩამორთმევა უკავშირდებოდა გაერთიანების წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულებას და გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, ვალდებულების შესრულების პროცესში ირლანდიას არ გააჩნდა დისკრეციული უფლებამოსილება და მეორე მხრივ, ევროპული გაერთიანება კონვენციის ექვივალენტურად იცავს ადამიანის უფლებებს, არსებობს პრეზუმფცია, რომ ირლანდიის მოქმედებით კონვენცია არ დაირღვა.⁷⁰²

ევროპული სასამართლოს თქმით, იგი თითოეულ საქმეში 400 შეაფასებდა გაერთიანების ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემის ევროპული კონვენციის მოდელთან შესაბამისობას, რაც გერმანიის ფედ-

⁶⁹⁹ იქვე, 155-ე პარაგრაფი.

⁷⁰⁰ იქვე.

⁷⁰¹ იქვე.

⁷⁰² იქვე, 156-ე პარაგრაფი.

ერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი მიდგომისგან ფუნდამენტურად განსხვავდება.⁷⁰³

401 ბოსფორუსის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ევროპულმა სასამართლომ კავშირის მეორეულ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივარი ცნო დასაშვებად და ირიბად განიხილა მისი ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის საკითხი.⁷⁰⁴ გარდა ამისა, დაზუსტდა ექვივალენტური დაცვის დოქტრინის მოქმედების ფარგლები, კერძოდ, კონვენციასთან მიმართებაში იმუნიტეტით სარგებლობს არა მხოლოდ კავშირი, ასევე კავშირის წევრი სახელმწიფოც იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის მეორეული სამართლის იმპლემენტაციის პროცესში არ გააჩნია დისკრეცია.⁷⁰⁵ ევროპულმა სასამართლომ დოქტრინა გაავრცელა მხოლოდ კავშირის მეორეულ სამართლებრივ აქტებზე და იმ სფეროებზე, რომლებიც ე.წ. ტაძრის სტრუქტურის პირველ სვეტში ანუ სუპრანაციონალურ განზომილებაში მოიაზრებოდა.⁷⁰⁶

402 კავშირის პირველადი სამართლის აქტის კონვენციასთან

⁷⁰³ იხ.: *Flaherty, J.P., Lally-Green E.*: Fundamental Rights in the European Union, *Duq. L. Rev.*, vol. 36, 1998, p. 313.

⁷⁰⁴ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 111.

⁷⁰⁵ იქვე.

⁷⁰⁶ *Hert, P., Korenica, F.*: Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, *German L.J.*, vol. 13, 2012, p. 883.

შესაბამისობაზე ევროპულმა სამართლომ *მათჰეუსის საქმეში*⁷⁰⁷ იმსჯელა და ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა. სხენებულ საქმეში აპლიკანტი იყო გიბრალტარის მოქალაქე, რომელსაც დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ევროპულ გაერთიანებაში განეწვრიანების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ გააჩნდა ევროპული პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის აქტიური უფლება. იგი გაერთიანებული სამეფოს ევროპულ გაერთიანებაში განეწვრიანების შესახებ ხელშეკრულებას ასაჩივრებდა, როგორც მხოლოდ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლთან, აგრეთვე, ერთდროულად ამავე მუხლთან და ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი პროტოკოლის მე-3 მუხლთან მიმართებაში. აპლიკანტის აზრით, ვინაიდან ევროპული პარლამენტი ევროპული კონვენციით გათვალისწინებული აქტიური საარჩევნო უფლების მიზნებისთვის წარმოადგენდა საკანონმდებლო ორგანოს და ევროპული ინტეგრაციის დამფუძნებელი ხელშეკრულებები, კავშირის მეორეული სამართლის აქტები ვრცელდებოდა გიბრალტარის ტერიტორიაზე, გიბრალტარის მოქალაქისთვის ევროპული პარლამენტის არჩევნებში ხმის მიცემის აბსოლუტური აკრძალვა არღვევდა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი პროტოკოლით აღიარებულ აქტიურ საარჩევნო უფლებას და

⁷⁰⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: *Matthews v. The United Kingdom*, [24833/94], 33-ე პარაგრაფი. აგრეთვე იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2006 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Kingdom of Spain v. United Kingdom of Great Britain and Northern Ireland*, [C-145/04].

საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა მას გიბრალტარის იმ მოქალაქესთან მიმართებაში, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობდა.⁷⁰⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს არგუმენტები გაიზიარა. მან კავშირის პირველად სამართალზე დოქტრინა არ გაავრცელა იქიდან გამომდინარე, რომ ერთი მხრივ, ნევრმა სახელმწიფოებმა საკუთარი ნებით დადეს კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები⁷⁰⁹ და მეორე მხრივ, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს არ გააჩნია კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და იდენტური სამართლებრივი რანგის მქონე აქტების ნორმების გაუქმების კომპეტენცია.⁷¹⁰ სასამართლომ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა, მათ არ ათავისუფლებთ კონვენციით აღიარებული უფლებების დაცვის ვალდებულებისგან.⁷¹¹ აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება 7 წლის განმავლობაში არ აღსრულებულა.

403 ზემოთ განიხილული საქმეების საფუძველზე უნდა ითქვას, რომ კავშირის სამართლებრივი სისტემა კონვენციის რე-

⁷⁰⁸ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Matthews v. The United Kingdom, [24833/94], 27-ე და 46-ე პარაგრაფები.

⁷⁰⁹ იქვე, 33-ე პარაგრაფი.

⁷¹⁰ იქვე.

⁷¹¹ იქვე, 32-ე პარაგრაფი.

ჟიმის ექვივალენტურად მიიჩნევა, რადგან კავშირის ფარგლებში არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც კავშირის ფარგლებში უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა კონვენციის მსგავსი სტანდარტების ჩამოყალიბებასა და დაცვას.⁷¹² სამართლებრივ ინსტრუმენტში სასამართლო მოიაზრებს კავშირის წევრ სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციურ ტრადიციებსა და კავშირის სამართლის აქტებს, ხოლო ინსტიტუციურ მექანიზმად მიიჩნევს კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელიც განიხილავს ადამიანის უფლებათა სადავო დარღვევის შესახებ საქმეებს, მათ შორის წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში.⁷¹³

თეორიული თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფლებამოსილია კონკრეტულ საქმეზე განაცხადოს, რომ კავშირის სამართლის ცალკეულ სფეროებში არ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მოდელი, ან სახელმწიფოს მიერ კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულების პროცესში დაადგინოს კონვენციის დარღვევა, თუმცა გაურკვეველია ევროპული სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული მექანიზმი.⁷¹⁴ სასამართლოს განცხადებით, ექვივალენტურ-

404

⁷¹² ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 112.

⁷¹³ იქვე.

⁷¹⁴ იქვე, გვ. 112-113.

რი დაცვის დოქტრინა უარყოფილ იქნება მაშინ, თუ იგი მიიჩნევს, რომ კავშირის ფარგლებში კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა იქნება „ამჟამად არასაკმარისი“.⁷¹⁵ ამ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესს გადანონის კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში „ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური ინსტრუმენტის“ როლი და მიზნები.⁷¹⁶

405 ძირითად უფლებათა დაცვის ევროკავშირის სისტემის ევროპული კონვენციის ექვივალენტურ მოდელად განხილვა არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას. *ბოსფორუსის საქმეში* აღინიშნა, რომ „ექვივალენტის“ ცნება გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვის „შედარებით მსგავს“ და არა იდენტურ სისტემას. თუ კავშირის სამართალი კონვენციის იდენტურად არ იცავს ადამიანის უფლებებს, იგი უნდა ადგენდეს უფრო მაღალ სტანდარტებს ვიდრე ევროპული კონვენცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროკავშირის სამართალი კონვენციასთან შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ევროპული კონვენცია არის უფლების დაცვის მინიმალური დონე. მიუხედავად იმისა, რომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროპული კონვენციის არსისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრეცედენ-

⁷¹⁵ იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: *Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland*, [45036/98], 156-ე პარაგრაფი.

⁷¹⁶ იქვე.

ტული სამართლისგან, ევროპულმა სასამართლომ მიიღო პრაგმატული გადაწყვეტილება. იგი ვერ მიუთითებდა, რომ ძირითადი უფლებების დაცვის ევროკავშირის რეჟიმი კონვენციური სტანდარტების იდენტურია, რადგან გამოირიცხებოდა როგორც კავშირის მეორეული სამართლებრივი აქტის, ასევე სახელმწიფოს მიერ კავშირის ნევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული მოქმედებების კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის განხილვის პერსპექტივა. ევროკავშირის სამართლისთვის აბსოლუტური იმუნიტეტის მინიჭება ადამიანის უფლებათა სფეროში დაარღვევდა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის შორის არსებულ ბალანსს.

3. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე გავრცელება ორმხრივი ნდობის პრინციპის ეფექტის შემცირებისთვის

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *პიროზის საქმეში* ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე ე.ი. სისხლის სამართლის საქმეებში იუსტიციური თანამშრომლობის სფეროზეც გაავრცელა. ამ საქმეში აპლიკანტი სადავოდ მიიჩნევა ბელგიის მიერ *in absentia* სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოცემული დაკავების ევროპული ორდერის საფუძველზე მის იტალიისთვის გადაცემას. 1998 წელს ბრემიას რაიონულმა სასამართლომ პიროზი დამნა-

406

შავედ ცნო ნარკოტიკების ტრეფიკინგისთვის და სასჯელის სახით დააკისრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით და ჯარიმა 250,000 ევროს ოდენობით.⁷¹⁷ 2002 წელს ბრემიას სააპელაციო სასამართლომ პიროზის თავისუფლების 18-წლიანი აღკვეთა სამი წლით შეუმცირა, ხოლო ჯარიმის ოდენობად განსაზღვრა 80,000 ევრო.⁷¹⁸ პიროზი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სააპელაციო სამართალწარმოებაში არ მონაწილეობდა, თუმცა, მის ინტერესებს ადვოკატი იცავდა.⁷¹⁹ მოგვიანებით, მას 15-წლიანი თავისუფლების აღკვეთა კიდევ ერთი წლით შეუმცირდა.⁷²⁰ 2010 წელს პიროზისთვის *in absentia* სამართალწარმოების შედეგად დაკისრებული სასჯელის აღსრულების მიზნით ნეაპოლის პროკურატურამ გამოსცა დაკავების ევროპული ორდერი და ბელგიამ ის იტალიას გადასცა.⁷²¹ გადაცემამდე, პიროზი ბელგიის სასამართლოების წინაშე აცხადებდა, რომ იტალიის კანონმდებლობა მას არ აძლევს საქმის ხელახალი განხილვის ეფექტიან და მკაფიო შესაძლებლობას და დაკავების ევროპული ორდერის შესრულებით დაირღვოდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.⁷²²

⁷¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Pirozzi v. Belgium [21055/11], მე-7 პარაგრაფი.

⁷¹⁸ იქვე, მე-8 პარაგრაფი.

⁷¹⁹ იქვე.

⁷²⁰ იქვე, მე-11 პარაგრაფი.

⁷²¹ იქვე, მე-12 პარაგრაფი.

⁷²² იქვე, 21-ე პარაგრაფი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხსენებულ საქმეზეც აბსტრაქტულად იმსჯელა, ექვივალენტური დაცვის დოქტრინა საქმის სამართლიანად განხილვის უფლებასთან მიმართებაშიც გამოიყენა და კონვენციის დარღვევა არ დაადგინა. მოცემული საქმე პრეცედენტულია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენციური მექანიზმი შემოიღო, რომელშიც ექვივალენტური დაცვის დოქტრინის უარყოფი ელემენტი – ძირითადი უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვის სტანდარტი გამოიყენა.

407

ევროპულმა სასამართლომ დაკავების ევროპული ორდერის შესრულების საფუძველზე საქმის სამართლიანად განხილვის უფლების სავარაუდოდ დარღვევის შეფასების ინსტრუმენტად *ენ. ზოერინგის ტესტი* გამოიყენა, რომლის თანახმად პირის გაძევების ან ექსტრადიციის პროცესში ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მაშინ ირღვევა, როდესაც არსებობს სერიოზული საფრთხე სხვა სახელმწიფოში ადგილი ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების უხემ უარყოფას.⁷²³ ეს გარემოება მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას მიიჩნევს ექსტრადიციის ნაირსახეობად. მაგრამ, სასამართლომ ეს ტესტი პრაქტიკული მნიშვნელობით არ გამოიყენა. მას არ უმსჯელია იტალიის კანონმდებლობაში საქმის ხელახალი განხილვის უფლების სტანდარტზე. *პიროზის საქმე* უფრო საინტერესოა დაკავ-

408

⁷²³ იქვე, 57-ე პარაგრაფი.

ვების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენციური ინსტრუმენტის შემოღების კონტექსტში.

- 409 მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას ორმხრივი ნდობის ფარგლებში, რომლის კონკრეტულ გამოხატულებას დაკავების ევროპული ორდერის მექანიზმი წარმოადგენს, სასამართლო იმთავითვე ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოდ არ განიხილავს.⁷²⁴ თუმცა, ის თვლის, რომ ასეთი სივრცის ჩამოყალიბების ნებისმიერი ინსტრუმენტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის კონვენციურ უფლებებს.⁷²⁵ ევროპული სასამართლოს მიხედვით, ექვივალენტური დაცვის დოქტრინა მოქმედებს მაშინაც, როდესაც წევრი სახელმწიფოს სასამართლო ორმხრივი ნდობის პრინციპის ძალით დაკავების ევროპულ ორდერს აღასრულებს – ე.ი. კავშირის სამართლის იმპლემენტაციას ახორციელებს დისკრეციული უფლებამოსილების გარეშე, რადგან არსებობს პრეზუმფცია, რომ დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ სახელმწიფოში ძირითადი უფლებები საკმარისად დაცულია.⁷²⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის ასეთი პრეზუმფციის აბსოლუტურობა და მუდმივობა მიუღებელია. ამიტომ, ის ეროვნულ სასამართლოებს სთავაზობს მექანიზმს, რომელიც უნდა გამოიყენონ ორმხრივი ნდობის პრინციპით ნაკისრი ვალდებულების, მაგალითად დაკავების ევროპული ორდერის შესრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღე-

⁷²⁴ იქვე, მე-60 პარაგრაფი.

⁷²⁵ იქვე, 61-ე პარაგრაფი.

⁷²⁶ იქვე, 62-ე პარაგრაფი.

ბამდე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ორმხრივი ნდობის პრინციპის მიმართ ეროვნულ სასამართლოს უნდა ჰქონდეს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, თუმცა მან სხვა წევრ სახელმწიფოში ძირითადი უფლებების საკმარისად დაცვის პრეზუმფცია ავტომატურად და ძირითადი უფლებების საზიანოდ არ უნდა გამოიყენოს.⁷²⁷ ევროპული სასამართლოს თქმით, ორმხრივი ნდობის საფუძველზე ეროვნულ სასამართლოებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დაკავების ევროპული ორდერების შესრულება, როდესაც მათ გამომცემ სახელმწიფოში კონვენციით დაცული უფლებები „აშკარად არასაკმარისად“ არ არის დაცული.⁷²⁸ თუ ეროვნული სასამართლო აღმოაჩენს, რომ დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ სახელმწიფოში ადგილი აქვს ძირითადი უფლებების სუბსტანციურ და სერიოზულ დარღვევას, ეს იქნება კონვენციით აღიარებული უფლებების აშკარად არასაკმარისად დაცვის ტოლფასი და მან უნდა იმოქმედოს ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.⁷²⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეეძლო დაკავების ევროპული ორდერის შესრულებისას ეროვნული სასამართლოს მიერ გამოსაყენებელ კონვენციურ ტესტზე არ ემსჯელა და საქმე მხოლოდ აბსტრაქტულად განეხილა, ისე როგორც *ბოსფორუსის საქმის* შემთხვევაში მოიქცა. თუმცა, მან ამ ფორმით ხაზი გაუსვა ეროვნულ დონეზე ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის კონვენციასთან

410

⁷²⁷ იქვე.

⁷²⁸ იქვე, 63-ე პარაგრაფი.

⁷²⁹ იქვე, 64-ე პარაგრაფი.

თავსებადობის შემოწმების საჭიროებას და გარკვეულწილად ორმხრივი ნდობის პრინციპის მოქმედების ფარგლები ევროპული კონვენციიდან გამომდინარე შეამცირა. პირობის პრეცედენტი არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონსტრუქციული წინააღმდეგობა, ინსტიტუციური რეაქცია, რომელიც გამოსატა მელონის საქმეში და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ წარმოდგენილი პოზიციების საპასუხოდ.

- 411 დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენციური მექანიზმის შემოღება საჭირო იყო ევროპული კონვენციის ფუნქციისა და როლის შენარჩუნებისთვის. თუმცა, ვინაიდან, ამიერიდან არსებობს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ორი კოლიზიური მიდგომა, იგულისხმება კონვენციური და ევროკავშირის ინსტრუმენტები, ეროვნული სასამართლოები აღმოჩნდნენ კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში, დიდ სამართლებრივ გაუგებრობაში.
- 412 როგორც ზემოთ აღინიშნა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ეროვნულ სასამართლოებს მოუწოდებს, რომ ორმხრივი ნდობის პრინციპის მოთხოვნით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა დასაშვებია მხოლოდ ჩარჩო-გადაწყვეტლებით პირდაპირ დადგენილი რომელიმე საფუძვლის არსებობისას, ან საგამონაკლისო შემთხვევებში ძირითად უფლებათა დაცვისთვის, მაგრამ ასეთ შემთხვევებსა და უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებს თავად მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო განსაზღვრავს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ორმხრივი ნდობის პრინციპის საფუძველზე შექმნილი პრეზუმფცია, რომ კავშირის სხვა წევრი სახელმწიფო ევროპული კონვენციის შესაბამისად იცავს ძირითად უფლებებს არ არის აბსოლუტურის ხასიათის, აქედან გამომდინარე დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებად არ უნდა განხორციელდეს ავტომატურად და კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში ძირითად უფლებათა დაცვის ხარისხი საჭიროებს შემოწმებას. იგი მოუწოდებს ეროვნულ სასამართლოებს გამოიყენონ ევროპული კონვენციის სტანდარტი თუ აღმოჩნდება, რომ დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ სახელმწიფოში ძირითადი უფლებები „ამკარად არასაკმარისადაა“ დაცული და ევროკავშირის დონეზე ამ უფლებების აღსადგენად სათანადო მექანიზმი არ არსებობს.

413

პარადოქსულია, თუმცა ცალსახაა, რომ ეროვნული სასამართლოები დაკავების ევროპული ორდერების შესრულებაზე მსჯელობისას უნდა დაეყრდნონ ორ ურთიერთგასხვავებულ ინსტრუმენტებს. თუ ისინი კონვენციურ ინსტრუმენტს გამოიყენებენ, ეტაპობრივად შეიძლება შეირყეს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ეფექტიანობა და ის ექსტრადიციის ევროპულ სისტემას დაემსგავსოს. თუ სასამართლოები დაკავების ევროპული ორდერების აღსრულების საკითხის განხილვისას ევროკავშირის სტანდარტით იხელმძღვანელებენ, კავშირის წევრ სახელმწიფოებში გაგრძელდება ძირითად უფლებათა დაცვის კონვენციური სტანდარტების შემცირების პროცესი.

414

4. რას გულისხმობს ძირითად უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის მიზნებისთვის?

- 415 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ განმარტავს ძირითადი უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვის ცნებას. ამ კონცეფციის არსის ღიად დატოვება, აბსტრაქტულად არსებობა ხელსაყრელია იქიდან გამომდინარე, რომ ევროპულ სასამართლოს საშუალება აქვს მისი შინაარსი თითოეულ საქმეს მორგოს.
- 416 იურიდიულ ლიტერატურაში *ბოსფორუსის საქმის* შედეგებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მეცნიერთა ერთ ნაწილს ეჭვი ეპარება ძირითადი უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვის კონცეფციის ეფექტიანობაში, მეორე ნაწილი მას კავშირის მეორეული სამართლებრივი აქტის, ან სახელმწიფოს მიერ კავშირის წევრობიდან მომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული მოქმედების კონვენციასთან შეუსაბამოდ გამოცხადების ქმედით მექანიზმად განიხილავს. *ჰოფმაისტერი* მიიჩნევს, რომ ამ კონცეფციის განვითარებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კავშირის სამართალში ინტერვენციის ძალაუფლება შეიძინა, რომელსაც მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების უკანასკნელ საშუალებად გამოიყენებს.⁷³⁰ *კუნჰერტი* არ ეთანხმება ამ შეხედულებას, მისი

⁷³⁰ *Hoffmeister, F.*: Bosphorus Hava Yollari Turizm v. Ireland, App. No.45036/98', Am. J. Int'l L., vol. 100, 2006, p. 447.

მოსაზრებით, ბოსფორუსის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება არ მიანიშნებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გააჩნია „საბოლოო სიტყვა“ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა სამართალთან და მექანიზმებთან მიმართებაში.⁷³¹ ჰერტისა და კორენიცას შეფასებით, „აშკარად არასაკმარისობის“ კონცეფცია წარმოადგენს კავშირის სამართლებრივი აქტის განხილვის უფრო ზედაპირულ, ბუნდოვან ინსტრუმენტს, ვიდრე პრაქტიკულ მექანიზმს.⁷³² მათი მოსაზრებით, თუ დადგინდება, რომ ევროკავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვა არ ხორციელდება კონვენციის ექვივალენტურად და ინტეგრაციის ინსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმები აშკარად არასაკმარისად ჩაითვლება, გაურკვეველია კონვენციის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება კავშირს თუ წევრ სახელმწიფოს.⁷³³ ამ პოზიციის სანინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის დარღვევას დაადგენს, პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს — კავშირის წევრ სახელმწიფოს, რადგან ევროპული სასამართლო ევროკავშირთან მიმართებაში არ ფლობს პერსონალურ იურისდიქციას. თუმცა, შესაძლებელია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღ-

⁷³¹ *Kuhnert, K.*: Bosphorus — Double standards in European human rights protection? *Utrecht L. Rev.*, vol. 2, 2006, p. 188.

⁷³² *Hert, P., Korenica, F.*: Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, *German L.J.*, vol. 13, 2012, p. 886.

⁷³³ იქვე, pp. 886-887.

სრულებას პრობლემა შეექმნას. თუ ევროპული კონვენციის დარღვევა განაპირობა ნევრი სახელმწიფოს მიერ დირექტივის, რეგულაციის ან ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებულმა მოქმედებამ და მას ამ პროცესში არ გააჩნდა დისკრეცია, მხოლოდ ნევრი სახელმწიფოების ძალისხმევა არ იქნება საკმარისი, რადგან ასეთი აქტების მიღების, ან მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ ევროკავშირის ორგანოებს. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პერსპექტივა კავშირის ორგანოების ნებაზეც იქნება დამოკიდებული.

- 417 ძირითადი უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვის კრიტერიუმის ბუნდოვანებასა და კონვენციის სისტემასთან გარკვეული თვალსაზრისით შეუთავსებლობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეებიც საუბრობენ. *ბოსფორუსის საქმეზე* მიღებულ გადაწყვეტილებაში *მოსამართლეებმა როზაკისმა, ტულკენსმა, თრავამ, ბოტოუჩაროვამ, ზაგრებელსკიმ და გარლიცკიმ* თავიანთ ერთობლივ თანმხვედრ მოსაზრებაში მიუთითეს, რომ ძირითადი უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვის კონცეფციის შექმნის საფუძველზე შენარჩუნდა ევროკავშირის მეორეულ სამართალთან დაკავშირებული საქმის *in concreto* განხილვის პერსპექტივა.⁷³⁴ მიუხედავად მისი ბუნდოვანი ბუნებისა, ძირითადი უფლების „აშკარად არასაკმარისად“ დაცვის კრიტერიუმის შემოღებით კონვენციური უფლების

⁷³⁴ Joint Concurring Opinion of Judges Rozakis, Tulkens, Traja, Botoucharova, Zagrebelsky Botoucharova and Garlicki, მე-4 პარაგრაფი.

დარღვევის შემონმებისთვის დადგინდა უფრო დაბალი თამასა, რომელიც პრინციპში ზოგადად ენინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ზედამხედველობის მექანიზმებს.⁷³⁵ გამომდინარე იქიდან, რომ ევროპული კონვენცია დაცვის მინიმალურ დონეს ადგენს, ნებისმიერი ექვივალენტურობა ძირითადი უფლების კონვენციურ და ევროპული გაერთიანების სტანდარტებს შორის შესაძლებელია გამოიხატოს დაცვის საშუალებებში და არა შედეგებში.⁷³⁶

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი უფლების „ამკარად არასაკმარისად“ დაცვის შინაარსს უშუალოდ ბოსფორუსის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცავს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე რესი შეეცადა თანმხვედრ მოსაზრებაში მისი ცნების ჩამოყალიბებას. მოსამართლის შეხედულებები გაზიარებას იმსახურებს. იგი გარკვეულნილად გამოსადეგია ეროვნული სასამართლოებისთვის, როდესაც განიხილავენ დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის საკითხს კონვენციური სტანდარტის საფუძველზე.

418

მოსამართლე რესის შეფასებით, ძირითადი უფლების „ამკარად არასაკმარისად“ დაცვას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში თუ: 1. მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს კავშირის მეორეულ სამართლებრივ აქტთან მიმართებაში შეზღუდული ექნება კომპეტენცია; 2. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო კავშირის სამართლის განმარტებით

419

⁷³⁵ იქვე.

⁷³⁶ იქვე.

საკმარისზე მეტად შეზღუდავს ევროკავშირის მართლმსაჯულების მექანიზმებზე წვდომას; 3. მართლაც აშკარა იქნება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციური გარანტიების გამოყენებლობა ან არასათანადო ინტერპრეტაცია;⁷³⁷ ან 4. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო გადაუხვევს ევროპული კონვენციის ან მისი პროტოკოლების გამოყენების ან ინტერპრეტაციის იმ სტანდარტებიდან, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაა დადგენილი.⁷³⁸ ის მართებულად არ ეთანხმება სხვა მოსამართლეების პოზიციას, რომ ძირითადი უფლების დაცვის კონვენციურ და ევროკავშირის სტანდარტებს შორის ექვივალენტურობა უნდა გამოიხატებოდეს მხოლოდ დაცვის საშუალებებში. *რესისთვის* გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ევროკავშირის სამართლებრივ წესრიგში კონვენციური უფლების დაცვის შედეგი იყოს ისეთი როგორც კონვენციის სისტემაშია.⁷³⁹ ევროპული კონვენციის პროცედურულ დონეზე ანუ ინსტიტუციური მექანიზმით დაცვა საკმარისი არ არის, რომ იყოს ექვივალენტურობის საზომი. ევროპული კონვენცია ევროპის საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ ინსტრუმენტად არსებობს იქიდან გამომდინარე, რომ მისი უფლებები არის რეალური, პრაქტიკაში რეალიზებადი და არა ილუზიორული.

420 *მოსამართლე რესის* მოსაზრებისა და *პიროზის საქმეში* დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენცი-

⁷³⁷ Concurring Opinion of Judge Ress, მე-3 პარაგრაფი.

⁷³⁸ იქვე.

⁷³⁹ იქვე.

ური მექანიზმის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ძირითადი უფლების „ამკარად არასაკამრისად“ დაცვის კონცეფციის იმგვარი იუსტიციური ინსტრუმენტი, რომელსაც ეროვნული სასამართლო გამოიყენებს დაკავების ევროპული ორდერის შესრულების საკითხის განხილვისას. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ძირითადი უფლებების დაცვისთვის ადგენს მინიმალურ დონეს, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაზღვრავს, ეროვნულმა სასამართლომ დაკავების ევროპული ორდერის შესრულების საკითხის განხილვისას უნდა:

- *in abstractio* სისტემური თვალსაზრისით შეაფასოს დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ წევრ სახელმწიფოში ძირითადი უფლებების დაცვის მდგომარეობა და დაეყრდნოს ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგრიშებსა და დასკვნებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- *in concreto* შეაფასოს დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ წევრ სახელმწიფოში იმ კონვენციური უფლების დაცვის ხარისხი, რომლის სავარაუდო დარღვევაზეც გადაცემას დაქვემდებარებული პირი აპელირებს. ამ ეტაპზეც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონვენციის შესაბამის მუხლთან დაკავშირებით კავშირის წევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში არსებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკა;

- შეაფასოს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა, ეროვნული სამართალი ნორმატიული თვალსაზრისით ადგენს თუ არა რელევანტური უფლების დაცვის ევროპულ კონვენციაზე დაბალ სტანდარტს;
- გაანალიზოს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემასთან მიმართებაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კონვენციური გარანტიების (მაგ.: ღირსების უფლების ან საქმის სამართლიანად განხილვის უფლების) გამოუყენებლობის ან არასათანადოდ ინტერპრეტაციის კონტექსტში (*ძირითადი უფლების ამკარად არასაკმარისად დაცვის პირველი კრიტერიუმი*);
- იმსჯელოს მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის კონტექსტში გადაუხვია თუ არა კონვენციური უფლების გამოყენების ან განმარტების იმ სტანდარტებიდან, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაა დადგენილი (*ძირითადი უფლების ამკარად არასაკმარისად დაცვის მეორე კრიტერიუმი*).

421 ეროვნული სასამართლო ზემოხსენებული ეტაპების დასრულების შემდეგ თუ დარწმუნდება, რომ გადაცემა ენი-ნალმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, ვალდებულია მიიღოს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილება. ეს მექანიზმი გამოსადეგია ყველა იმ კონვენციურ უფლებასთან მიმართებაში, რომელიც პირს იცავს კონვენციის საწინააღმდეგო

ექსტრადიციისგან. თავის მხრივ, მოცემული ინსტრუმენტი გამოსადეგია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვისაც. სასამართლოს შეუძლია დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებით ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევისას შეაფასოს თუ რამდენად და როგორ გამოიყენეს ეს მექანიზმი ეროვნულმა სასამართლოებმა.

5. შეჯამება

- 422 ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროკავშირის მეორეულ სამართალთან მიმართებაში განვითარებული კონცეფციაა, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის სამართლისა და ევროპული კონვენციის თანაარსებობას, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაფორმალურ კონსტრუქციულ თანამშრომლობას ევროკავშირის სამართლისთვის იმუნიტეტის მინიჭების გზით.
- 423 ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ძირითადი უფლების დაცვის ევროკავშირის მოდელს ინსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით განიხილავს ევროპული კონვენციის ექვივალენტურ, შედარებით მსგავს სისტემად. იგი ვრცელდება კავშირის მეორეულ სამართლებრივ წყაროებზე და კავშირის წევრი სახელმწიფოების მოქმედებებზე მაშინ, როდესაც კავშირის მეორეული სამართლის იმპლემენტაციის პროცესში მათ არ აქვთ დისკრეცია.⁷⁴⁰ ევროკავშირის დამფუძნებელი ან ექვივალენტური აქტების ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის შეფასებისას დოქტრინა არ გამოიყენება.
- 424 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ექვივალენტური დაცვის დოქტრინას უარყოფს მაშინ, თუ მიიჩნევს, რომ კავშირის ფარგლებში კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა იქნება „აშკარად არასაკმარისი“. ამ

⁷⁴⁰ იქვე.

შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესს გადანონის ევროპული კონვენციის როლი და მიზნები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზეც გაავრცელა და შექმნა ორმხრივი ნდობის ფარგლებში დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენციური მექანიზმი, რომლის გამოყენება შეეძლება როგორც თვითონ დაკავების ევროპულ ორდერთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას, ასევე ეროვნულ სასამართლოებს – დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებაზე მსჯელობისას. ამ მექანიზმის საფუძველზე თუ ეროვნული სასამართლო აღმოაჩენს, რომ დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ სახელმწიფოში ადგილი აქვს ძირითადი უფლების სუბსტანციურ და სერიოზულ დარღვევას, ეს ჩაითვლება კონვენციით აღიარებული უფლებების ამკარად არასაკმარისად დაცვად და ეროვნული სასამართლო ვალდებულია იმოქმედოს ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად და უარი თქვას დაკავების ევროპული ორდერის შესრულებაზე.

425

თავი VI.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება ექსტრადიციის კონტექსტში – ძირითად უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება თუ გაერთიანება

- 426 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების შესახებ პოლიტიკური და მეცნიერული დისკუსიები თითქმის 50 წელია მიმდინარეობს.⁷⁴¹ ევროკავშირი ორჯერ შეეცადა ევროპულ კონვენციაზე მიერთებას, თუმცა, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ორივე შემთხვევაში მიერთების პროცესი დაბლოკა.⁷⁴²
- 427 მეორე მცდელობას ადგილო ჰქონდა 2013 წელს, როდესაც ევროპის საბჭომ და კავშირმა ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტის შე-

⁷⁴¹ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 120.

⁷⁴² იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1996 წლის 28 მარტის მოსაზრება: 2/94 Re the Accession of the Community to the European Human Rights Convention; მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties.

მუშავება დაასრულეს.⁷⁴³ ევროპული კომისიის ინიციატივით შეთანხმების პროექტი კავშირის პირველად სამართალთან შესაბამისობაზე მსჯელობის მიზნით მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს გადაეგზავნა. საერთაშორისო სამართლის მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ მიერთების ხანგრძლივმა პროცესმა დასკვნით ეტაპს მიაღწია,⁷⁴⁴ მაგრამ 2014 წელს მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ისეთი შენიშვნები გამოთქვა, რომ მიერთების პროცესი გაურკვეველი დროით გადაიდო. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მიერთების შემაფერხებელი გარემოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს ნეგატიური დამოკიდებულებაა.⁷⁴⁵ ეს მოსაზრება გარკვეული თვალსაზრისით გაზვიადებულია, თუმცა ფაქტია, რომ კავშირის სასამართლომ მნიშვნელოვნად შეაფერხა ძირითადი უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების ინტეგრაციის პროცესი.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების საკითხის ექსტრადიციის ქვაზი-ევ-

428

⁷⁴³ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 120.

⁷⁴⁴ მაგალითად იხ.: *Gragl, P.*: A Giant leap for European Union Human Rights? The Final Agreement on the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, *CML Rev.*, vol. 51, 2014, pp. 56-58; *Conforti, B.*: Comments on the Accession of the European Union to the ECHR [comments], *Italian Y.B. Int'l L.*, vol. 20, 2010, p. 90.

⁷⁴⁵ მაგ. იხ.: Editorial Comments: The EU's Accession to the ECHR – a “NO” from the ECJ!, *CML Rev.*, 2015, pp. 1–16; *Peers, S.*: EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare, *German L.J.*, vol. 16, 2015, pp. 213-222.

როპული სისტემის კონტექსტში განხილვას რამდენიმე მიზეზი აქვს. **პირველი**, მიერთების შემდეგ ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები კონვენციის სისტემის გადმოსახედიდანაც გახდება ევროკავშირის სამართლის ინტეგრირებული ნაწილი და კავშირის მხრიდან ცალმხრივად მათი დაცვის დეკლარირება აზრს დაკარგავს. **მეორე**, კავშირის სამართლებრივი წესრიგი, მათ შორის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა, მისი მაიმპლემენტირებელი ეროვნული კანონმდებლობა, წევრ სახელმწიფოთა შორის პირის გადაცემის პრაქტიკა დაექვემდებარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციას. **მესამე**, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ასევე მოექცევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში. იგი გადანყვეტილების მიღებისას შეიზღუდება ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. **მეოთხე**, მიერთება განაპირობებს ძირითად უფლებათა დაცვის კონვენციური და ევროკავშირის სტანდარტების გაერთიანებას ყველა სფეროში, მათ შორის ექსტრადიციის მიმართულებით. თუმცა, მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გამოთქმული შენიშვნები მნიშვნელოვნად ამცირებს ასეთი ოპტიმისტური მოლოდინების პერსპექტივას. ისინი მიმართულია კონვენციის სისტემის მიმართ ევროკავშირის სამართლის ეფექტიანობის, ერთიანობის, უზენაესობისა და წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ნდობის პრინციპებისთვის უპირატესობის შენარჩუნებისკენ. გარდა ამისა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართ-

ლოსთვის არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ხელსაყრელია, ვინაიდან ექვივალენტური დაცვის დოქტრინა მისი ბუნდოვანი შინაარსიდან გამომდინარე, ევროკავშირის სამართლის პრიმატის, ეფექტიანობისა და ერთიანობისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს.

ექვივალენტური დაცვის დოქტრინის როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის წინაშე ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ინსტრუმენტალური იმუნიტეტის ანალიზის შემდეგ ლოგიკურია ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების საკითხის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელის კონტექსტში განხილვა. მათ შორის კავშირია იმ თვალსაზრისით, რომ ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთებამდე, ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ასრულებს კონვენციისა და კავშირის სამართლის, მათ შორის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ნაკლებად მტკივნეულად თანაარსებობის როლს. მიერთების შემდეგ, დოქტრინა საკუთარ მიზანს მიაღწევს და მოქმედებას აქტუალურ შინაარსობრივ პარამეტრებში დაასრულებს. თუმცა, მოსალოდნელია მისი ელემენტების ტრანსფორმაცია კონვენციაზე კავშირის მიერთების შედეგების შესაბამისად.

429

ნაშრომის მოცემულ ნაწილში არის მცდელობა პასუხის გაეცეს კითხვებს – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება წარმოადგენს თუ არა ისეთ მექანიზმს, რომლითაც ექსტრადიციის სფეროში ევროკავშირის სამართალსა და ევროპულ კონვენციას, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრაქტიკას შორის

430

კოლიზიისას უპირატესობა მიენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას? ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება გამოიწვევს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე კონვენციის სტანდარტების ერთმნიშვნელოვნად გავრცელებას, თუ პირიქით, მოხდება ექსტრადიციის სფეროში არსებული უფლებათა დაცვის სტანდარტების უნიფიკაცია და ევროკავშირის სტანდარტი შთანთქმავს კონვენციის სტანდარტს?

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების პირველი წარუმატებელი მცდელობა

431 1994 წელს ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების 228-ე მუხლის მე-6 პარაგრაფის საფუძველზე საბჭომ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს სთხოვა ევროპული გაერთიანების ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე მიერთებასთან დაკავშირებით მოსაზრების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ მიერთების პირველი მცდელობისას შეთანხმების პროექტი არ იყო შემუშავებული.⁷⁴⁶ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ხსენებული საკითხის განხილვისას იხელმძღვ-

⁷⁴⁶ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს შეთანხმების პროექტის არ არსებობის პირობებში გააჩნდა თუ არა მიერთების საკითხის განხილვის კომპეტენცია იხ. ნაშრომში: ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 125-126.

ანელა ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების 3ბ და 235-ე მუხლებით.

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების 3ბ მუხლი ადგენდა ევროპული გაერთიანების კომპეტენციების ფარგლებს. მისი მიხედვით, გაერთიანება ვალდებული იყო ემოქმედა დამფუძნებელი ხელშეკრულებით დასახული ამოცანების, მიზნების შესაბამისად და მხოლოდ მინიჭებული კომპეტენციების ფარგლებში. სასამართლომ განაცხადა, რომ გაერთიანებამ მინიჭებულ კომპეტენციებს პატივი უნდა სცეს, როგორც შიდა, აგრეთვე საერთაშორისო მოქმედებების განხორციელების პროცესში.⁷⁴⁷ მისი შეფასებით, გაერთიანებას ჰქონდა უფლებამოსილება საერთაშორისო შეთანხმება დაედო იმ შემთხვევაშიც, როცა მას ამგვარ კომპეტენციას დამფუძნებელი ხელშეკრულება პირდაპირ არ ანიჭებდა, მაგრამ, თუ ასეთი შეთანხმების დადების უფლება გამომდინარეობდა გაერთიანების შიდა კომპეტენციიდან და აუცილებელი იყო მისი რომელიმე მიზნის, ამოცანის მისაღწევად.⁷⁴⁸ ვინაიდან, ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების 3ბ მუხლი გაერთიანებას არ ანიჭებდა ადამიანის უფლებების სფეროში ცალსახა ან/და ნაგულისხმევ შიდა ძალაუფლებას, სასამართლომ ჩათვალა, რომ მას არ ჰქონდა ევროპულ კონვენციაზე მიერთების შესახებ საერთაშორისო შეთანხ-

432

⁷⁴⁷ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1996 წლის 28 მარტის მოსაზრება საქმეზე: 2/94 Re the Accession of the Community to the European Human Rights Convention, 24-ე პარაგრაფი.

⁷⁴⁸ იქვე, 26-ე პარაგრაფი.

მების დადების უფლება.⁷⁴⁹ სასამართლოს აზრით, კონვენციაზე მიერთება ნიშნავს როგორც გაერთიანების შესვლას სხვა საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში, ასევე, ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების ევროპული გაერთიანების სამართალში ინტეგრაციას, რაც საჭიროებს გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.⁷⁵⁰

2. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების მეორე წარუმატებელი მცდელობა – მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს შენიშვნები ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის კონტექსტში

433 ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს შორის მიერთების თაობაზე მოლაპარაკებები ორი რაუნდის ფარგლებში 2010-2013 წლებში განხორციელდა.⁷⁵¹ მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტის საბოლოო რედაქციის⁷⁵² მომზადების პროცესი 2013 წლის 5 აპრილს დასრულდა. ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების სამართლებრივი ინსტრუმენტების

⁷⁴⁹ იქვე, 27-ე პარაგრაფი.

⁷⁵⁰ იქვე, 34-ე და 35-ე პარაგრაფი.

⁷⁵¹ იხ.: ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 133-135.

⁷⁵² მიერთების შესახებ პროექტის ანალიზისთვის იხ.: იქვე, გვ. 135-154.

მომზადება საკმარისი არ იყო ხელმონწერისთვის.⁷⁵³ შემდეგი ეტაპი იყო შეთანხმების პროექტის კავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებებთან შესაბამისობის შეფასება და მისი ხელმონწერის თაობაზე კავშირის საბჭოს გადანყვეტილება. შეთანხმების პროექტი პირველად სამართალთან თავსებადობის განხილვის მიზნით მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს გადაეგზავნა, რომელმაც 2014 წლის 18 დეკემბერს იგი მასთან შეუსაბამოდ გამოაცხადა.

შეთანხმების პროექტის განხილვისას სასამართლომ იმსჯელა ჰქონდა თუ არა მას უარყოფითი ეფექტი კავშირის სამართლის მახასიათებლებზე და შეესაბამებოდა თუ არა პროექტით დადგენილი ინსტიტუციური და პროცედურული მექანიზმები კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებებით დადგენილ პირობებს.⁷⁵⁴ 434

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ კონვენციაზე მიერთების შემდეგ კავშირის ინსტიტუტები, მათ შორის მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო დაექვემდებარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საგარეო კონტროლს, რომელიც იურისდიქციას ევროპული კონვენციის პირველი მუხლის შესაბამი- 435

⁷⁵³ იქვე, გვ. 135.

⁷⁵⁴ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 178-ე პარაგრაფი.

სად განახორციელებს.⁷⁵⁵ გარდა ამისა, სასამართლომ კვლავ განაცხადა, რომ ევროკავშირის მიერ საერთაშორისო შეთანხმების დადება, რომელიც ასეთი შეთანხმების ინტერპრეტაციისა და გამოყენების მიზნით აფუძნებს სპეციალურ სასამართლოს, პრინციპში არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს, თუ კავშირს ასეთი შეთანხმების დადების კომპეტენციას მკაფიოდ ანიჭებს დამფუძნებელი ხელშეკრულებები.⁷⁵⁶ კონვენციაზე კავშირის მიერთება სასამართლოსთვის არ აღმოჩნდა სადავო ვინაიდან, პირველადი სამართლით კავშირი მკაფიოდ ფლობს ასეთ კომპეტენციას. მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით გამოთქვა ისეთი შენიშვნები, რომლებიც კონვენციისა და კავშირის სამართლის ამჟამინდელი სისტემის პირობებში მიერთებას ფაქტობრივად გამორიცხავს.⁷⁵⁷ მისი შენიშვნებიდან ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემასთან მიმართებაში საინტერესოა სამი საკითხი.

436 **პირველი** უკავშირდება შეთანხმების პროექტში ევროპული კონვენციის 53-ე მუხლისა⁷⁵⁸ და ძირითად უფლებათა ქა-

⁷⁵⁵ იქვე, 181-ე პარაგრაფი.

⁷⁵⁶ იქვე, 182-ე პარაგრაფი.

⁷⁵⁷ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს შენიშვნების ანალიზი იხ. ნაშრომში: *Mirianashvili, G.*: Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms: The Second Unsuccessful Attempt, CJSS, vol. 10, 2017, pp. 222-243.

⁷⁵⁸ „ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს ადამიანის ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავისუფლება, რომელთა უზრუნველყოფა შეიძლება ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით ან

რტიის 53-ე მუხლის⁷⁵⁹ კოორდინაციის შესახებ ნორმის არარსებობას. სასამართლო ამ საკითხზე მსჯელობისას ხაზს უსვამს საგარეო კონტროლის იმანენტურ თვისებებს. მისი შეფასებით, საგარეო კონტროლის რეალიზაციის თანდაყოლილი ელემენტია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის ნორმის განმარტება სავალდებულო იქნება ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის (მათ შორის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის), ხოლო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების ინტერპრეტაციის გათვალისწინების ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ დაეკისრება.⁷⁶⁰ სასამართლოს აზრით, მსგავსი წესი არ უნდა არსებობდეს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ კავშირის სამართლის, მათ შორის ძირითად უფლებათა ქა-

რომელიმე სხვა შეთანხმებით, რომლის მონაწილეც ის არის“.

⁷⁵⁹ „ამ ქარტიის არც ერთი დებულება არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს ადამიანის ნებისმიერი უფლება და ძირითადი თავისუფლება, რომელიც აღიარებული და მოქმედია ევროკავშირის სამართალში და საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლის მონაწილე არის კავშირი, გაერთიანება ან ყველა წევრი სახელმწიფო, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში და წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებში.“

⁷⁶⁰ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 185-ე პარაგრაფი.

რტიის განმარტებასთან მიმართებაში. იგი თვლის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ უნდა გააჩნდეს კავშირის სამართლით, მათ შორის ძირითად უფლებათა ქარტიით აღიარებული უფლების წევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში მოქმედების ფარგლების განსაზღვრის უფლებამოსილება,⁷⁶¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებული უნდა იყოს მხედველობაში მიიღოს ამ მიმართულებით მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.⁷⁶² მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ *მელონის საქმეში* მიუთითა, რომ ძირითადი უფლების ეროვნული სტანდარტის გამოყენებით საფრთხე არ უნდა შეექმნას როგორც ამ უფლების ქარტიის დონეზე დადგენილი სტანდარტის გამოყენებას, ასევე, ევროკავშირის სამართლის პრიმატს, ერთიანობასა და ეფექტიანობას.⁷⁶³ სასამართლოს მიხედვით, ვინაიდან ევროპული კონვენციის 53-ე მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს აძლევს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე მაღალი სტანდარტების დადგენის შესაძლებლობას, ამ ნორმის ქარტიის 53-ე მუხლთან კოორდინაცია სავალდებულოა და ეს უნდა მოხდეს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პოზიცია, იგი პირდაპირ აცხა-

⁷⁶¹ იქვე, 186-ე პარაგრაფი.

⁷⁶² იქვე.

⁷⁶³ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal, [C-399/11], მე-60 პარაგრაფი.

დებს, რომ კავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპული კონვენციის 53-ე მუხლით მინიჭებული დისკრეცია ძირითად უფლებათა ქარტიით დადგენილი სტანდარტებისა და კავშირის სამართლის ეფექტიანობის, ერთიანობისა და პრიმატის შენარჩუნების მიზნით შეზღუდულია.⁷⁶⁴

ევროპული სამართლის ლიტერატურაში ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლისა და ევროპული კონვენციის 53-ე მუხლის კოორდინაციის საჭიროებასთან დაკავშირებით კონსენსუსი არ არის ჩამოყალიბებული. ცალკეული მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მათი ჰარმონიული ურთიერთობის უზრუნველყოფისთვის კოორდინაციის საჭიროება არ არსებობს.⁷⁶⁵ მათი აზრით, კონვენციის 53-ე მუხლი ხელშემკვრელ მხარეებს აძლევს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბების შესაძლებლობას და კავშირის სამართლის, კერძოდ ქარტიის წინაშე არ გამორიცხავს კავშირის წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას.⁷⁶⁶ ეს მეცნიერები თვლიან, რომ ქარტიისა და კონვენციის კოორდინაციის საჭიროება მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ „გამოიგონა“.⁷⁶⁷

437

⁷⁶⁴ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 189-ე პარაგრაფი.

⁷⁶⁵ Editorial Comments: The EU's Accession to the ECHR – a “NO” from the ECJ!, CML Rev., 2015, p. 11.

⁷⁶⁶ იქვე.

⁷⁶⁷ იქვე.

კრენს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომა მართებულად მიაჩნია. მისი შეფასებით, კოორდინაციის შესახებ ნორმის არარსებობა კავშირის სამართლის ერთიანობისათვის, ეფექტიანობისა და პრიმატისთვის წარმოადგენს საფრთხეს,⁷⁶⁸ რადგან მიერთების შემდეგ ევროპული ევროპული კონვენცია შეიძენს კავშირის სამართლის აქტის სტატუსს, შესაბამისად, ნევრი სახელმწიფოს სასამართლო უფლებამოსილი იქნება ევროპული კონვენციის 53-ე მუხლის (ე.ი. კავშირის სამართლის) საფუძველზე გამოიყენოს ძირითად უფლებათა ქარტიაზე მაღალი (ეროვნული ან საერთაშორისო) სტანდარტი და წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში არ მიმართოს მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს.⁷⁶⁹ კრენის პოზიცია მხარდაჭერას იმსახურებს ხსენებული ნორმების კოორდინაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ძირითად უფლებათა ქარტიის 53-ე მუხლისა და ევროპული კონვენციის 53-ე მუხლის დისკოორდინაციის პირობებში ეროვნულ სასამართლოს შეეძლება დაეყრდნოს ევროპული კონვენციის 53-ე მუხლს როგორც ევროკავშირის სამართლის ნორმას და დაკავების ევროპული ორდერი არ შეასრულოს კონსტიტუციური სტანდარტებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ჩარჩო-გადაწყვეტილების ნორმების ძირითად უფლებებთან შესაბამისობაზე მსჯელობისას სწორედ ძირითად უფლე-

⁷⁶⁸ *Krenn, C.*: Autonomy and Effectiveness as Common Concerns: A Path to ECHR Accession after Opinion 2/13 [comments], *German L.J.*, vol. 16, 2015, p. 166.

⁷⁶⁹ იქვე. p. 158.

ბათა ქარტიას იყენებს. იმ შემთხვევაში თუ კავშირის წევრ სახელმწიფოს შეეზღუდება ეროვნული კანონმდებლობით, მათ შორის კონსტიტუციით ექსტრადიციის სფეროში ევროპულ კონვენციაზე მაღალი სტანდარტების განვითარების შესაძლებლობა, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელის უპირატესად მოქმედებისთვის შეიქმნება დამატებითი ნორმატიული გარანტია. ეროვნული სასამართლოები დაკავების ევროპული ორდერის შესრულებისას საკითხის განხილვისას ვეღარ გამოიყენებენ ევროპული კონვენციის 53-ე მუხლს კავშირის სამართალთან შედარებით უფრო მაღალი ეროვნული სტანდარტის ჩამოყალიბებისთვის.

მეორე, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე პირდაპირი გავლენა აქვს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს შენიშვნას, რომელიც უკავშირდება შეთანხმების პროექტში კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ნდობის პრინციპის შესახებ ნორმის არარსებობას. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სივრცესთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტის, მათ შორის დაკავების ევროპული ორდერისა და პირის გადაცემის პროცედურების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციის პროცესში წევრი სახელმწიფო ვალდებულია ივარაუდოს, რომ კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის რეჟიმი შეესაბამება კავშირის სამართლით დადგენილ სტანდარტს; კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოს არ მოთხოვოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროკავშირის სტანდარტებზე მაღალი სტანდარტების დადგენა; გამოაკლისი შემთხვევე-

438

ბის გარდა, არ შეამონმოს შეესაბამება თუ არა ასეთ სახელმწიფოში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები ევროკავშირის სისტემას.⁷⁷⁰ თუ მიერთების შესახებ შეთანხმებაში არ იქნება მითითება ორმხრივი ნდობის პრინციპის ამ მახასიათებლებზე, ევროპულ კონვენციაზე მიერთება „გაანადგურებს ევროკავშირის სამართლის ავტონომიურობას“.⁷⁷¹

- 439 საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპების როგორც მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სივრცის რეალიზაციის მოდალობებზე. მას მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსგან განსხვავებული შეხედულება აქვს. მისი შეფასებით, ამ მოდალობების გამოყენებით იმთავითვე არ ირღვევა ძირითადი უფლებები, თუმცა, აშკარაა, რომ მათი ეფექტიანად მოქმედების უზრუნველსაყოფად ძირითადი უფლებების დაცვაზე კონტროლის განხორციელება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ შეზღუდულია და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება.⁷⁷² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ორმხრივი ნდობის

⁷⁷⁰ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 191-ე პარაგრაფი.

⁷⁷¹ 194-ე პარაგრაფი.

⁷⁷² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Avotiņš v. Latvia [17502/07], 114-ე პარაგრაფი.

საფუძველზე სახელმწიფოს ძალაუფლების შეზღუდვა იმ თვალსაზრისით, რომ არ შეამონმოს კავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტი, პრაქტიკაში ენინააღმდეგება ევროპულ კონვენციას, რომელიც მოითხოვს, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს სულ მცირე ჰქონდეს უნარი შეაფასოს სხვა წევრ ქვეყანაში ადგილი აქვს თუ არა ძირითადი უფლებების მძიმე და სერიოზულ დარღვევას.⁷⁷³

440

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს სულისკვეთება მიმართულია იმ მიზნისკენ, რომ ევროპული კონვენციის დონეზეც განმტკიცდეს კავშირის წევრ სახელმწიფოებში ძირითადი უფლებების ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისად დაცვის პრეზუმფცია. მიერთების შესახებ შეთანხმებაში ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ნდობის პრინციპის დეკლარირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ ექნება ნორმატიული შესაძლებლობა მაგალითად ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებთან მიმართებით განიხილოს დაკავების ევროპული ორდერის შესრულება და მათი დარღვევისას პასუხისმგებლობა პირის გადამცემ წევრ სახელმწიფოს დააკისროს. მიერთების შესახებ შეთანხმებაში ამ პრინციპის გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოებს შორის კვლავ იმოქმედებს ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლებისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ევროკავშირის სტანდარტი, რომლებიც ინსტრუმენტალური თვალსაზრისით,

⁷⁷³ იქვე.

მათ ევროპულ კონვენციასთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იცავს. ამასთან, ორმხრივი ნდობის პრინციპისგან გამონაკლისი შემთხვევის დადგენის ძალაუფლება, მათ შორის დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონტექსტში, ისევ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოზე იქნება დამოკიდებული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დისტანცირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

441 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოლიტიკა ორიენტირებულია ევროპაში ძირითად უფლებათა დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, ხოლო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო მუდმივად ცდილობს ინტეგრაციის დონეზე თანამშრომლობას ნებისმიერ სხვა საკითხთან, მათ შორის ძირითად უფლებებთან მიმართებაში მიაღწიოს უპირატესობა.⁷⁷⁴ კავშირის წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა კონვენციის შესაბამისად დაცვის პრეზუმფცია შეუთავსებელია ევროპული კონვენციის მიზანთან, ევროპული კონვენციის წინაშე ხელშემკვრელ მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან.⁷⁷⁵

442 **მესამე,** მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ კავშირის პირველად სამართალთან მიმართებაში ადამიანის

⁷⁷⁴ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 159.

⁷⁷⁵ იქვე.

უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი პროტოკოლი მიიჩნია წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ჩანაცვლების საფრთხედ.

ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი პროტოკოლის მიხედვით, კონვენციის ხელშემკვრელი მხარის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო ან ტრიბუნალი საქმის განხილვისას უფლებამოსილია კონვენციით ან მისი დამატებითი პროტოკოლებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებასთან და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოსაზრების წარმოდგენის თხოვნით მიმართოს.

443

მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ შეთანხმების პროექტი შეაფასა წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის შეზღუდვის რეალურ რისკად და მოითხოვა მე-16 პროტოკოლისა და ხსენებული პროცედურის კოორდინაცია.⁷⁷⁶ სასამართლოს შეფასებით, რადგან მიერთების შემდეგ კავშირის სამართლებრივ სისტემაში კონვენციის ინტეგრირება განხორციელდება, უმაღლეს ეროვნულ სასამართლოს უფლება ექნება კავშირის ნორმის ინტერპრეტაციის მიზნით გამოიყენოს მე-16 დამატებითი პროტოკოლით დადგენილი მექანიზმი და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსთვის მიმართვაზე უარი განაცხადოს,

444

⁷⁷⁶ იხ.: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218(11) TFEU — Draft international agreement — Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties, 198-ე და 199-ე პარაგრაფები.

რაც ნეგატიურად აისახება წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ავტონომიურობასა და ეფექტიანობაზე.⁷⁷⁷ მაკორდინირებელი ნორმის გარეშე მიერთების შემდეგ უმაღლესი ეროვნული სასამართლო უფლებამოსილი იქნებოდა დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილი საფუძვლების ან მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის (მაგ.: ბრალდებულის დაუსრებლად გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ევროკავშირის სტანდარტის ან ღირსების უფლების დაცვის ინსტრუმენტალური ტესტის) ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის ეთხოვა ევროპული კონვენციის ავთენტური ინტერპრეტაცია. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ამ შესაძლებლობაში ხედავს ევროკავშირის სამართლის, მათ შორის ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ევროპული კონვენციის სტანდარტების შესაბამისად რედეფინირების საფრთხეს.

445 ალსანიშნავია, რომ კოორდინაციის გარეშე ჰიპოთეტურად ასევე არსებობს შესაძლებელობა უმაღლესმა ეროვნულმა სასამართლომ ექსტრადიციის კონტექსტში კონვენციაში დეკლარირებული უფლების განმარტების მიზნით მიმართოს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ასევე მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს.

446 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთებისთვის აუცილებელია მართლმსაჯულების

⁷⁷⁷ იქვე, 196-ე პარაგრაფი.

ევროპული სასამართლოს ყველა შენიშვნის ადექვატური დეკლარირება მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტში. სხვა შემთხვევაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო მესამედ დაბლოკავს ამ პროცესს. თუმცა, ზემოთ განხილული შენიშვნების გათვალისწინებით მნიშვნელოვნად შემცირდება ევროპულ კონვენციაზე კავშირის მიერთების ეფექტი ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე კონვენციური სტანდარტების გავრცელების თვალსაზრისით. კონვენციის სისტემაში ორმხრივი ნდობის პრინციპის ნორმატიულ დონეზე აღიარებით, შესაძლებელი იქნება, რომ ევროკავშირის სამართალი ექსტრადიციის კონტექსტში კვლავ ჩაითვალოს ძირითადი უფლებების ევროპული კონვენციის მსგავსად დაცვის მოდელად.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ წამოყენებული პირობებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება არ განაპირობებს ექსტრადიციის სფეროში *a priori* ევროკავშირის სამართალსა და ევროპულ კონვენციას, მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს შორის კოლიზიისას ევროპული კონვენციისთვის უპირატესობის მიენიჭებას. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთება არ გამოიწვევს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზე კონვენციის სტანდარტების ერთმნიშვნელოვნად გავრცელებას, რადგან კონვენციის სისტემაში ნორმატიულად ინტეგრირებული იქნება ორმხრივი ნდობის პრინციპი, რომელიც დოგმატურად შეზღუდვას ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ

სისტემაში კონვენციური სტანდარტების მოქმედების ფარგლებს. შესაბამისად, მიერთების შემდეგ, კავშირის წევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში განხორციელდება ექსტრაადიციის სფეროში არსებული უფლებათა დაცვის სტანდარტების უნიფიკაცია ევროკავშირის სტანდარტის მიერ კონვენციის სტანდარტის შთანთქმის გზით.

3. ექვივალენტური დაცვის დოქტრინის პერსპექტივა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების შემდეგ

448 კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების შემდეგ აქტუალური იქნება ექვივალენტური დაცვის დოქტრინის პერსპექტივის საკითხი. მიერთების შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კავშირთან მიმართებაში შეიძენს *rationae personae* და *rationae materiae* იურისდიქციას. იგი უფლებამოსილი იქნება წარმოებაში მიიღოს და განიხილოს ევროკავშირის წინააღმდეგ წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადი.⁷⁷⁸ თუმცა, დიდი ალბათობით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოახდენს ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ტრანსფორმირებას და იგი გარკვეული ფორმით გააგრძელებს არსებობას. ამ ვარაუდის საფუძველია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს შენიშვნები, განსაკუთრებით ორმხრივი ნდობის პრინციპის კონვენციის სისტემაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, რომლითაც ძირითადი

⁷⁷⁸ Hert, P., Korenica, F.: Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legit-

უფლების კონვენციის მსგავსად დაცვის პრეზუმფციის შენარჩუნების მყარი ნიადაგი მოამზადა. გარკვეულწილად ორმხრივი ნდობის პრინციპის გამო არსებობს კონვენციური პრეზუმფცია, რომ ინტეგრაციის დონეზე ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ ძირითადი უფლებების დაცვა კონვენციის მსგავსად ხორციელდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცდილობს ამ პრეზუმფციას მოუძებნოს კონვენციური განმარტება და დასაბუთება.

კონვენციაზე კავშირის მიერთებამდე, ექვივალენტური დაცვის დოქტრინის ჩამოყალიბების მიზანი იყო კავშირის მეორეულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებული საქმეების *in concreto* განხილვის მექანიზმის შემოღება. მაგრამ, მიერთების შემდეგ დოქტრინის მოქმედებას აზრი ეკარგება, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კავშირის სამართლებრივ სისტემაზე მოიპოვებს სრულ იურისდიქციას. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინა როგორც საქმის განხილვის ინსტრუმენტი ჩანაცვლოს კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ნდობის პრეზუმფციით, მაგრამ მან სულ მცირე უნდა შეინარჩუნოს ძირითადი უფლების „ამკარად არასაკმარისად“ დაცვის კრიტერიუმი. ასეთ შემთხვევაში ევროპული სასამართლო გააგრძელებს თითოეულ საქმეში, მათ შორის დაკავების ევროპულ ორდერთან დაკავშირებით, კონვენციური უფლებების დაცვაზე ზედამხედველობას.

449

imacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, German L.J., vol. 13, 2012, p. 891.

4. შეჯამება

- 450 ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთებას ლიმიტირებული ეფექტი ექნება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებაზე. ასეთი შედეგი არ დადგებოდა თუ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტის მიმართ პრო-ინტეგრაციული ხასიათის შენიშვნებს არ გამოთქვამდა. მისი პოზიციები საფუძველშივე გამორიცხავს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში არსებული ძირითადი უფლებების სტანდარტების კონვენციასთან თავსებადად გარდაქმნას. თუმცა, მათი სრულად გათვალისწინების გარეშე ევროკავშირი ევროპულ კონვენციას ვერ მიუერთდება.
- 451 მიერთების შემდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 53-ე მუხლისა და ევროკავშირის ძირითად უფლებათა დაცვის ქარტიის 53-ე მუხლის კოორდინაციით კავშირის ნევრი სახელმწიფო შეზღუდული იქნება დაკავების ევროპული ორდერის შესრულების საკითხის განხილვისას ევროპულ კონვენციაზე ეროვნული კანონმდებლობით, მათ შორის კონსტიტუციით დადგენილი უფრო მაღალი სტანდარტების გამოყენებისგან და განვითარებისგან. მოცემული მუხლების დაკავშირებით შეიქმნება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში მოქმედი ძირითადი უფლების დაცვის სტანდარტის უპირატესად მოქმედების ნორმატიული გარანტია.
- 452 მიერთების შესახებ შეთანხმებაში ორმხრივი ნდობის პრინ-

ციპის შესახებ ნორმის არსებობა ევროპული კონვენციის დონეზეც განამტკიცებს კავშირის ნევრ სახელმწიფოებში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისად დაცვის პრეზუმფციას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ნორმატიული თვალსაზრისით შეზღუდული იქნება ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებთან მიმართებით განიხილოს დაკავების ევროპული ორდერის შესრულება და მათი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა პირის გადამცემ ნევრ სახელმწიფოს დააკისროს. მიერთების შემდეგ ძალაში დარჩება ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლებისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების ევროკავშირის სტანდარტი, რომელიც ამ უფლებებს ევროპულ კონვენციასთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იცავს. გარდა ამისა, ორმხრივი ნდობის პრინციპის პრეზუმფციისგან გამონაკლისი შემთხვევის დადგენის ძალაუფლება კვლავ მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოს დარჩება. ორმხრივი ნდობის პრინციპის გამო ექსტრადიციის სფეროში კავშირის ნევრი სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლების ევროპული კონვენციის შესაბამისად დაცვის პრეზუმფცია შეუთავსებელია კონვენციის არსთან, ევროპული კონვენციის წინაშე ხელშემკვრელ მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან.

მიერთების შესახებ შეთანხმებაში წინასწარი გადანყვეტილების პროცედურისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი პროტოკოლის კოორდინაცია გამორიცხავს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული

სისტემის ეროვნულ დონეზე ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ევროპული კონვენციის ნორმების ავთენტური ინტერპრეტაციის ან მოქმედების ფარგლების საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის მიმართვას.

- 454 ზემოთარსებული მსჯელობა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების შემდეგ ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტი არ შეიძენს ცალსახად უპირატესის სტატუსს თუ ექსტრადიციის სფეროში ევროკავშირის სამართალი და ევროპული კონვენცია ან/და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა იქნება კოლიზიაში. მიერთების შემდეგ, კავშირის წევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში მოხდება ექსტრადიციის სფეროში არსებული უფლებათა დაცვის ევროპული და ქვაზი-ევროპული სტანდარტების ინტეგრაცია, თუმცა, ევროკავშირის სტანდარტი შთანთქავს კონვენციის სტანდარტს.

თავი VII.

ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის ფარგლები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით – ევროპული თუ ქვაზი-ევროპული სისტემის პერსპექტივა

ევროკავშირში ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს. იგი საქართველოს კონსტიტუციის დონეზეა განმტკიცებული.⁷⁷⁹ წლების განმავლობაში კავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა, რაც ძირითად შემთხვევაში გულისხმობდა საქართველოს მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას.⁷⁸⁰ ასოცირების შესახებ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა და გასცდა სამეზობლო პოლიტიკის ფორმატს.⁷⁸¹ ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებით საქართველოს მოქალაქეებისთვის გაჩნდა უფრო ხელშესახები პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სარგე-

455

⁷⁷⁹ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

⁷⁸⁰ *მირიანაშვილი, გ.*: ევროპული კავშირის ნევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის ფარგლები ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-3 გამოცემა, 2017, გვ. 40.

⁷⁸¹ იქვე.

ბლის მიღების პერსპექტივა. გარდა იმისა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველოსა და კავშირს შორის გაძლიერდა პოლიტიკური დიალოგი, ასევე შესაძლებელი გახდა ქართული სამართლებრივი სისტემის ევროკავშირის სამართალთან დაახლოება.

- 456 ასოცირების შესახებ შეთანხმება როგორც მულტისექტორული საერთაშორისო ხელშეკრულება მხარეებს შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროს და დარგის მიმართულებით. ერთ-ერთია სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის სფერო, რომელიც იმავდროულად მოიცავს ექსტრადიციის სფეროსაც. თუმცა, ამ შეთანხმებით დასახული სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების ორგანოების თანამშრომლობა, როგორც მიზნის, აგრეთვე ფარგლების გათვალისწინებით შეზღუდულია. ასოცირების შესახებ შეთანხმება ეროვნულ სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებას განიხილავს მხოლოდ ევროპის საბჭოსა და გაეროს ეგიდით მიღებულ სამართლებრივ ინსტრუმენტების ფარგლებში. მისი 21-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, „რაც შეეხება სისხლის სამართლებრივ საკითხებზე სასამართლო თანამშრომლობას, მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას ორმხრივი სამართლებრივი დახმარების კუთხით შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. ეს, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს გაეროსა და ევროპის საბჭოს შესაბამის საერთაშორისო აქტებთან მიერთებასა და მათ იმპლემენტაციას, ასევე ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის

სააგენტოსთან (EUROJUST) მჭიდრო თანამშრომლობას⁷⁸². ამ ნორმის მატერიალური კონსტრუქციიდან გამომდინარე ერთი მხრივ, შეუძლებელია საქართველოს ინტეგრირება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში, მეორე მხრივ, გამოირიცხება უშუალოდ ევროკავშირთან ექსტრადიციის საკითხზე ე.წ. *ევრო-ისლანდიური*⁷⁸³ ან *ევრო-ამერიკული*⁷⁸⁴ შეთანხმების დადების პერსპექტივაც.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ ქმნის სამართლებრივ პოტენციალს კავშირის ნევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის და ამ მიმართულებით კოოპერაციას განიხილავს ექსტრადიციის ევროპული სისტემის ფარგლებში.

457

⁷⁸² აღსანიშნავია, რომ ევროკავშირსა და მისი ნევრი სახელმწიფოების მიერ უკრაინასთან და მოლოდვასთან დადებული ასოცირების შეთანხმებები შეიცავენ იდენტური შინაარსის ნორმებს სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

⁷⁸³ Agreement between the European Union and the Republic of Iceland and the Kingdom of Norway on the surrender procedure between the Member States of the European Union and Iceland and Norway, OJ L 292, 21/10/2006.

⁷⁸⁴ Agreement on extradition between the European Union and the United States of America, OJ L 181/27, 19/07/2003.

თავი VIII.

დასკვნა და სარეკომენდაციო წინადადებები

- 458 ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებში არსებული ექსტრადიციის მექანიზმების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ევროპაში მოქმედი ექსტრადიციის სისტემები ერთმანეთისგან ფუნდამენტურად განსხვავდება როგორც ეფექტიანობის, ასევე ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტების თვალსაზრისით.
- 459 ექსტრადიციის ევროპული მოდელი აგებულია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარებისა და სახელმწიფოების სუვერენული ძალაუფლების ხელშეუხებლობის⁷⁸⁵ პრინციპებზე, ხოლო ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული რეჟიმი დაფუძნებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ნდობის მაღალ ხარისხსა და სასამართლო გადანაცვლებების ორმხრივად აღიარებაზე.⁷⁸⁶
- 460 ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპების ძალით ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა, როგორც პირის გადაცემის ნორმატიული რეჟიმი, უფრო სწრაფი და ეფექტიანია. მის პრაქტიკულობას და ქმედითობას, სათანადოდ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო. იგი პრეცედენტული სამართლით ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ მოდელზე ავრცელებს ევროკავშირის სამართლის სუპრანაციონალური განზომილებისთვის დამახასიათებელ ისეთ პრინციპებს

⁷⁸⁵ იხ.: თავი II, §2.

⁷⁸⁶ იხ.: თავი III, §2.1.

როგორცაა, პრიმატი, ეფექტიანობა, ავტონომიურობა და ერთგვაროვნება.⁷⁸⁷

ექსტრადიციის ევროპულ სისტემასთან შედარებით, ქვა-ზი-ევროპული რეჟიმის ხარისხობრივ უპირატესობას, მის სუპრანაციონალიზაციის პროცესს ზეგავლენა აქვს ექსტრადიციის სფეროში არსებული ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტებზე. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის ეფექტიანობა მიიღწევა გადაცემას დაქვემდებარებული პირის უფლებების დაცვის ევროპული და ეროვნული, მათ შორის კონსტიტუციური სტანდარტების შემცირების ხარჯზე.⁷⁸⁸ გარდა იმისა, რომ ჩარჩო-გადანყვეტილება ფაქტობრივად არ შეიცავს დაკავების ევროპული ორდერის ძირითადი უფლების დაცვის მიზნით შეუსრულებლობის ნორმატიულ საფუძვლებს,⁷⁸⁹ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კვლევამ წარმოაჩინა ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლებითა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით დაცული სფეროების ევროკავშირის სამართლის შესაბამისად გარდაქმნის ტენდენცია.⁷⁹⁰ ამ დინამიკის შედეგია, რომ ექსტრადიციის ქვა-ზი-ევროპულ მოდელში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და კონსტიტუციებით დადგენილი გარანტიები შეზღუდულად, მხოლოდ მაშინ მოქმედებს თუ არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სტანდარტებს.⁷⁹¹ თუმ-

461

⁷⁸⁷ იხ.: თავი III, §2, თავი IV.

⁷⁸⁸ იხ.: თავი IV.

⁷⁸⁹ იხ.: თავი III, §4.

⁷⁹⁰ იხ.: თავი IV.

⁷⁹¹ იხ.: თავი IV.

ცა, ეს პროცესი არ არის დასრულებული. კვლევამ აჩვენა, რომ გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური იდენტობის კონტროლის მექანიზმის,⁷⁹² ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინის⁷⁹³ საფუძველზე შეინარჩუნეს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში პირის გადაცემის წესების კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობის შეფასების ძალაუფლება. მათ მხარი არ დაუჭირეს კავშირის ნევრ სახელმწიფოებს შორის პირის ავტომატურ, ძირითადი უფლებების შეფასების გარეშე გადაცემას. აქედან გამომდინარე, ექსტრადიციის ევროპული და ქვაზი-ევროპული სისტემების ნორმატიული ჩარჩოს, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევამ ცხადყო, რომ ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებში ექსტრადიციის პროცესში მოქმედებს გადაცემას დაქვემდებარებული პირის ღირსების უფლებების დაცვისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლების კოლიზიური სტანდარტები.

- 462 კვლევის შედეგების სტრუქტურულიზებულად და ნათლად წარმოდგენისთვის მიზანშეწონილია დასკვნების, მიგნებისა და სარეკომენდაციო წინადადებების ინდივიდუალურად წარმოდგენა.

⁷⁹² იხ.: თავი IV, §2.1.

⁷⁹³ იხ.: თავი V, §4.

1. ექსტრადიციის ევროპული სისტემა სახელმწიფოთა არა-საკმარისი ნდობიდან, სისხლის სამართლის სფეროში სახელმწიფოთა სუვერენული ძალაუფლების ხელშეუხებლობიდან გამომდინარე არ ეფუძნება ექსტრადიციის კლასიკურ პრინციპს „დასაჯე ან გადაეცი“.⁷⁹⁴ 463
2. ექსტრადიციის ევროპული სისტემა პირის გადაცემის პოლიტიკური ინსტრუმენტია და არ არის აგებული მართლმსაჯულების განმახორციელებელ სუბიექტებს შორის თანამშრომლობაზე. მასში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რომლებიც სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში წარმოადგენენ საბოლოო რგოლს ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით. პოლიტიკური თანამდებობის პირებს შესაძლებლობა აქვთ პირი სხვა სახელმწიფოს არ გადასცენ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ნებადართულია ექსტრადიცია. სახელმწიფოების მიერ ექსტრადიციის ევროპული სისტემის პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენება ამცირებს მის ეფექტიანობას და ხელს უშლის ექსტრადიციის სფეროში საერთო ევროპული ტრადიციების ჩამოყალიბებას.⁷⁹⁵ 464
3. ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპი სახელმწიფოებისათვის უფრო მეტად პოლიტიკური ინსტრუმენტია, ვიდრე სამართლებრივი მექანიზმი.⁷⁹⁶ საერთაშორისო დო- 465

⁷⁹⁴ იხ.: თავი II, §2.

⁷⁹⁵ იქვე.

⁷⁹⁶ იხ.: თავი II, §3.

ნეზე მისი დეფინირება ამ მიზეზით არ ხორციელდება. ეს პრინციპი არ გამოდგება ძირითადი უფლებების დარღვევის პრევენციისათვის, რადგან მხოლოდ დანაშაულის ბუნებას აფასებს და არა ექსტრადიციის წინარე ან შემდგომ პროცესს. იგი სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის შემაფერხებელი ფაქტორია. მსგავსად ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული რეჟიმისა, პოლიტიკურ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპი ექსტრადიციის ევროპულ სისტემაშიც სასურველია გაუქმდეს.

- 466 4. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის ხარვეზია თვითნებური დევნისა და დასჯის აკრძალვის პრინციპისა და პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპის ერთი და იმავე მუხლში არსებობა. თვითნებური დევნისა და დასჯის აკრძალვის პრინციპის საფუძველზე ექსტრადიციაზე უარის თქმას შინაარსობრივი კავშირი არ გააჩნია პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან. იგი ამ უკანასკნელისგან იზოლირებულად არსებობს. სახელმწიფომ, როდესაც პირის თვითნებური დევნის ან დასჯის მიზეზით უარს აცხადებს ექსტრადიციაზე, აღარ უნდა განიხილოს დანაშაულის პოლიტიკურ ან მასთან დაკავშირებულ დანაშაულთან შესაძლო კავშირი, რადგან თვითნებური დევნის ან დასჯის აკრძალვა ექსტრადიციის დაუშვებლობის დამოუკიდებელი პრინციპია.⁷⁹⁷ აქედან გამომდინარე, ექსტრადიციის ქართული სისტემის

⁷⁹⁷ იხ.: თავი II, §3.1.2.

მსგავსად, რეკომენდირებულია, რომ თვითნებური დევნისა და დასჯის აკრძალვის პრინციპი პოლიტიკურ დანაშაულებთან დაკავშირებულ მუხლში არ იყოს მოთავსებული და არსებობდეს ავტონომიურად.

5. ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე გაკეთებული დათქმების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემისგან განსხვავებით, ევროპის საბჭოს ნევრ სახელმწიფოებს შორის მოქალაქის გადაცემასთან, მოქალაქეობის ცნების და დროში განსაზღვრასთან დაკავშირებით არ არსებობს საერთო მიდგომა.⁷⁹⁸ თუმცა, სახელმწიფოთა უმრავლესობა აბსოლუტურად კრძალავს მოქალაქის გადაცემას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე საქართველოს დათქმით კიდევ უფრო შეიზღუდა საქართველოს მოქალაქის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის გადაცემის პერსპექტივა. იგი საქართველოს მოქალაქის ექსტრადიციას უკავშირებს როგორც ნაცვალებების პრინციპს, ასევე, სამი დამატებითი კრიტერიუმის დაკმაყოფილებას: საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის გადანაცვების შესაბამისობას საზოგადოებრივ მორალთან, საჯარო პოლიტიკასთან და სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებთან.⁷⁹⁹ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის გარდა, მოქალაქის გადაცემის საკითხს ანესრიგებენ საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები იმ ცალკეულ

467

⁷⁹⁸ იხ.: თავი II, §3.5.

⁷⁹⁹ იხ.: თავი II, §3.5.1.

ქვეყნებთან, რომლებიც აგრეთვე არიან კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები. საქართველო ყველა ასეთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში მოქალაქის გადაცემას კრძალავს. ამგვარი პოზიცია ბუნდოვანს ხდის ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაზე საქართველოს გაკეთებული დათქმისა და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების სფეროში საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების თანაფარდობას და ქმნის კოლიზიის საფრთხეს. კვლევის შედეგად შემოთავაზებულია, რომ საქართველომ, როდესაც საკუთარი მოქალაქის გადაცემის თაობაზე ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სახელმწიფოსგან მიიღებს თხოვნას, გადანაცვებილება უნდა მიიღოს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის საფუძველზე, რადგან მას როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლის გადმოსახედიდანაც ენიჭება ნორმატიული უპირატესობა საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების იმ ნორმებთან მიმართებაში, რომლებიც საქართველოს მოქალაქის ექსტრადიციას კრძალავენ.⁸⁰⁰ თუმცა, კოლიზიური ქართული მიდგომების აღმოსაფხვრელად რეკომენდირებულია საქართველომ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე გაკეთებულ დათქმაში ცვლილება შეიტანოს და ჩამოაყალიბოს შემდგენიარად: „კონვენციის მიზნებისთვის საქართველოს ხელისუფლება ინარჩუნებს უფლებას მისი მოქალაქეების ექსტრადიციის საკითხი გადაწყვიტოს ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე და უარი განაცხადოს მათ ექსტრადიციაზე

⁸⁰⁰ იქვე.

საზოგადოებრივი მორალის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძვლით. ეს დათქმა არ ვრცელდება ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მონაწილე მხარეზე, რომელთანაც საქართველოს ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით აკრძალულია საქართველოს მოქალაქის ექსტრადიცია“.

6. კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ ევროპის საბჭოში ექსტრადიციის სფეროში *ne bis in idem*-ის პრინციპის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით კოლიზიური სტანდარტები არსებობს.⁸⁰¹ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ პრინციპის მოქმედებას მხოლოდ ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში აღიარებს.⁸⁰² ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია *ne bis in idem*-ს ტრანსნაციონალურ განზომილებაში განიხილავს და გადაცემას დაქვემდებარებულ პირს უფლების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვას სთავაზობს, რადგან გამოიყენება ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებშიც.⁸⁰³ *Ne bis in idem*-ის პრინციპი იმპერატიულად მოითხოვს, რომ პირი არ დაექვემდებაროს ექსტრადიციას თუ თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლისთვის ექსტრადიცია მოითხოვება, პირის მიმართ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება (*res judicata*). *Ne*

468

⁸⁰¹ იხ.: თავი II, §3.6.

⁸⁰² იხ.: თავი II, §3.6.1.

⁸⁰³ იხ.: თავი II, §3.6.2.

bis in idem-ის პრინციპის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით ევროპული სტანდარტების უნიფიკაციისთვის რეკომენდირებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში ერთი და იმავე დანაშაულზე ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვის პრინციპი გავრცელდეს ექსტრადიციის სფეროზეც. შედეგად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციაშიც, იგი შეიძენს ტრანსნაციონალურ ხასიათს.

- 469 7. *Ne bis in idem*-ის პრინციპი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საპროცესო უფლებებს მიეკუთვნება. იგი არის აბსოლუტური ხასიათის უფლება და შეზღუდვას არ ექვემდებარება. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებების მიუხედავად, კვლევამ დაადასტურა, რომ *ne bis in idem*-ის პრინციპის ქართული მოდელი ორ განზომილებიანია. იგი მოქმედებს როგორც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, აგრეთვე ექსტრადიციის მიმართულებით თანამშრომლობის პროცესში.⁸⁰⁴ თუმცა, *ne bis in idem*-ის პრინციპის ქართული მოდელი გარკვეულწილად ართულებს მისი შინაარსის განსაზღვრის პროცესს, რადგან ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი არ მოითხოვს, რომ ექსტრადიციაზე უარის თქმისას არსებობდეს სამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება. შედეგად, საქართველოს უფლება აქვს უარი განაცხადოს პირის გადაცე-

⁸⁰⁴ იხ.: თავი II, §3.6.3.

მაზე მაშინაც, როდესაც მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო (*res judicata*). ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაში) *ne bis in idem*-ის პრინციპის შინაარსს. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლში ცვლილების შეტანა და ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

8. კვლევის ფარგლებში განვითარებულია მოსაზრება, რომ ევროპის საბჭოს ნევრმა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ, მისთვის წარდგენილ ექსტრადიციის თხოვნით გათვალისწინებულ იმ დანაშაულზე, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია და არსებობს სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენი, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საფუძველზე, არამედ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისად და უარი განაცხადოს პირის გადაცემაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო მაღალი სტანდარტით იცავს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს ხელმეორედ გასამართლებისა და დასჯისაგან.⁸⁰⁵ 470

9. კვლევამ აჩვენა, რომ ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში *in absentia* სამართალწარმოების ხარისხის შეფასების არასაკმარისი სტანდარტია დადგენილი. აქედან გამომდინარე, 471

⁸⁰⁵ იხ.: თავი II, §3.6.4.

ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ, *in absentia* სამართალწარმოება აკმაყოფილებდა თუ არა დაცვის მინიმალურ უფლებებს, უნდა შეაფასონ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (და არა მხოლოდ მის მე-3 პარაგრაფის), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1975 წლის (75) 11 რეზოლუციით დადგენილი კრიტერიუმებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე.⁸⁰⁶ შეფასების ასეთი სტანდარტი უზრუნველყოფს რაციონალურ ბალანსს გადაცემას დაქვემდებარებული პირის საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასა და ექსტრადიციის სფეროში სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ინტერესებს შორის.

- 472 10. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში არსებული ე.წ. რბილი სამართლით გათვალისწინებული მიდგომა, რომელიც ექსტრადიციის პროცესში სახელმწიფოებს ავალდებულებს ბავშვის სოციალური რეაბილიტაციის ინტერესის მხედველობაში მიღებას – როგორც არასრულწლოვანთან მოპყრობის სტანდარტი არ არის გამოსადეგი მექანიზმი ექსტრადიციის პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.⁸⁰⁷ სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი არ იძლევა საშუალებას შეფასდეს ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში არასრულწლოვანთან მიმართებაში მოქმედებს თუ არა სისხლისსამართლებრივი

⁸⁰⁶ იხ.: თავი II, §3.10.

⁸⁰⁷ იხ.: თავი II, §3.11.

მართლმსაჯულების სპეციალური წესები, სადაც იგი ისარგებლებს სრულწლოვანისგან განსხვავებული მოპყრობით. გარდა ამისა, სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა რადგან, რბილი სამართლით არის აღიარებული და მისი გათვალისწინება სახელმწიფოს „კეთილნებაზე“ დამოკიდებული, ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული ბავშვის უფლებად. აქედან გამომდინარე, ექსტრადიციის თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ ბავშვის გადაცემისას უნდა იხელმძღვანელოს ბავშვის უფლებათა დაცვის შესახებ კონვენციით და გადანყვეტილება მიიღოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის საფუძველზე. ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მინიმალურ წესებთან შესაბამისობის მიზნით, ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაში უნდა გაჩნდეს ჩანაწერი, რომელიც ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებს დააკისრებს არასრულწლოვანთან მიმართებაში ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის შესაბამისად მოქმედების ვალდებულებას.

11. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ექსტრადიციის ევროპულ სისტემაში პირის გადაცემის აკრძალვის განსაკუთრებული საფუძველები არსებობს. ევროპულ კონვენციას გააჩნია სუპრა-ეროვნული ეფექტი ექსტრადიციის სფეროზე.⁸⁰⁸ ევროპულ დონეზე მას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს, ხოლო ნაციონალურ სივრცეში კონვენციის ნორმების თვით-

473

⁸⁰⁸ იხ.: თავი II, §3.12.

შესრულებადი ბუნება იძლევა ექსტრადიციის პროცედურებში ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებას. ექსტრადიციის დასაშვებობაზე საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისას ევროპის საბჭოს ნევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ევროპული კონვენციის მე-3, მე-6 და მე-13 მუხლების დაცვის ვალდებულება.

474 12. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა გამოირჩევა პირის გადაცემის ტრადიციული მექანიზმებისგან. იგი არის ექსტრადიციის სფეროში მრავალმხრივი და ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მოდელის ჰიბრიდი. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული მოდელი უფრო მეტად ექსტრადიციის ევროპული სისტემის მოდერნიზებული ინსტრუმენტი, ვიდრე პირის გადაცემის ახალი, ინოვაციური მექანიზმი.⁸⁰⁹ მათ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განასხვავებს, რაც თავის მხრივ, ევროკავშირის ფარგლებში პირის გადაცემის პროცედურებს ხდის უფრო ეფექტიანს. ესენია: კავშირის ნევრი სახელმწიფოების ევროპული იდენტობა, სოლიდარობა და ორმხრივი ნდობა; ექსტრადიციის ნესების კონვენციურ მექანიზმზე დახვეწილი სამართლებრივი ინსტრუმენტით – ჩარჩო-გადაწყვეტილებით რეალიზება; ექსტრადიციის სამართლებრივი ჩარჩოს სათანადოდ იმპლემენტაციასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების ინსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტრუმენტების არსებობა.

475 13. ექსტრადიციის ევროპული სისტემისგან განსხვავებით,

⁸⁰⁹ იხ.: თავი III, §3.

ქვაზი-ევროპული სისტემა ეფუძნება ევროკავშირის სამართლის ზოგად და სპეციალურ პრინციპებს, რომლებსაც არა მხოლოდ მისთვის, არამედ მთლიანად ევროკავშირის ფარგლებში სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობისთვის კონსტიტუციური მნიშვნელობა გააჩნიათ.⁸¹⁰ ესენია: ორმხრივი ნდობისა და ორმხრივი აღიარების პრინციპები, ეროვნული სამართლებრივი აქტების, მათ შორის კონსტიტუციის ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად განმარტების პრინციპი, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სამართლის ნაციონალურ სამართალზე, მათ შორის კონსტიტუციაზე უპირატესობის პრინციპი. დასახელებული პრინციპები ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ მოდელთან მიმართებაში აყალიბებენ კავშირის ნევრ სახელმწიფოთა საერთო სამართლებრივ და ინსტიტუციურ მიდგომებს, მისი ქმედითობისათვის ადგენენ ეროვნული სამართლისა და პოლიტიკის დამოკიდებულების ფარგლებს.

14. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა განსხვავებით ექსტრადიციის ევროპული მექანიზმისგან, პირის გადაცემის პროცესში თანამშრომლობას მხოლოდ იუსტიციურ ორგანოებს შორის ითვალისწინებს.⁸¹¹ დაკავების ევროპული ორდერის გამოცემა და აღსრულება კავშირის ნევრი სახელმწიფოს იუსტიციური ორგანოს – სასამართლოს ან მისი ექვივალენტი ორგანოების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. აღმასრულებელ ხელისუფლებას, პოლიციას ასეთი კომპეტენცია არ გააჩნია. დაკავების ევროპული

476

⁸¹⁰ იხ.: თავი III, §2.

⁸¹¹ იხ.: თავი III, §3.3.

ორდერის აღსრულების პროცესში ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს მხოლოდ შეზღუდული როლი, რაც გულისხმობს იუსტიციური ორგანოების პრაქტიკულ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. დაკავების ევროპული ორდერის გამოცემისა და შესრულების პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების მატერიალური მონაწილეობა შეუთავსებელია ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის არსთან.

- 477 15. ჩარჩო-გადანყვეტილება, რადგან არ აყალიბებს დანაშაულების მატერიალურ კონსტრუქციას, პირებს არ აქვთ სათანადო წარმოდგენა კავშირის სხვა სახელმწიფოში რომელი ქმედების შემადგენლობა მიიჩნევა ჩარჩო-გადანყვეტილებით გათვალისწინებულ დანაშაულად, რაც შეიძლება გახდეს პირის სამართლებრივი უსაფრთხოების უფლების დარღვევის საფუძველი. აქედან გამომდინარე, გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ 32 ტიპის დანაშაულზე გამოცემული დაკავების ევროპული ორდერი არ აღსრულდეს ავტომატურად და შემონმდეს ქმედების დასჯადობა. ჩარჩო-გადანყვეტილებაში მხოლოდ დანაშაულების მშრალი ფორმით დეკლარირება, მათი შემადგენლობების, შინაარსობრივი კომპოზიციების გარეშე, არ არის საკმარისად ცხადი პირის მიერ სხვა სახელმწიფოებში ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის შეფასებისათვის. პირს უნდა შეეძლოს მისი ქმედების შედეგების განსაზღვრის ნორმატიული შესაძლებლობა. დანაშაულების განუსაზღვრელობის პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს უცხო სახელმწიფოს ენის არ ცოდნა და სისხლისსამართლებრივი სისტემის ლინგვისტური თავისებურებები. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ევროკავშირის

დონეზე განხორციელდეს ჩარჩო-გადანყვეტილებით გათვალისწინებული 32 კატეგორიის დანაშაულის ელემენტების დადგენა, რაც ერთი მხრივ, სრულად გამოორიცხავს მათთან მიმართებაში ორმხრივი დასჯის პრინციპის მოქმედებას, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დაცვას.⁸¹²

16. კვლევის პროცესში გაზიარებულ იქნა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ჩარჩო-გადანყვეტილებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებაში დაკავების ევროპული ორდერის ავტომატური შესრულება (რომელიც ორმხრივი დასჯის პრინციპის მოთხოვნის შემონეშების მექანიზმის არ არსებობის პირობებში იძლევა დაკავების ევროპულ ორდერში მხოლოდ ეროვნული სისხლის სამართლის ნორმის სახელობითად და არა მუხლობრივად ან/და მთლიანი ტექსტის მითითების შესაძლებლობას) არ არის სრულად, იმთავითვე შესაბამისი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფში დეკლარირებულ უფლებასთან, რომელიც დაკავებულს ანიჭებს უფლებას გასაგებ, „არატექნიკურ“ ენაზე, დაუყოვნებლივ ეცნობოს დაკავების მიზეზი და ბრალდების ძირითადი არსი, სამართლებრივი საფუძველი. დაკავების ევროპული ორდერი, რომელიც ექსტრადიციის თხოვნისგან განსხვავებით, ერთდროულად პირის დაკავებისა და გადაცემის საფუძველია, პირს უნდა ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია ბრალდების არსთან, უცხო სახელმწიფოში ქმედების შემადგენლობასთან, სასჯელთ-

478

⁸¹² იხ.: თავი III, §3.2.

ან დაკავშირებით, რათა სასამართლოში შეძლოს დაცვის უფლების ეფექტიანად განხორციელება.⁸¹³

- 479 17. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგადად დაკავების ევროპული ორდერის აღსრულება არის სავალდებულო წესი და ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილი შეუსრულებლობის შემთხვევები ვიწროდ უნდა განიმარტოს. ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში გაუქმებულია შეზღუდვები პოლიტიკური და სამხედრო დანაშაულების ჩადენისთვის მსჯავრდებული/ბრალდებული პირების გადაცემასთან, მოქალაქეების ექსტრადიციასთან, ნაწილობრივ ორმხრივი დასჯის მოთხოვნასთან მიმართებაში. ექსტრადიციის ევროპული სისტემის მსგავსად, თუმცა არა იგივე ხარისხით, ჩარჩო-გადაწყვეტილებაც შეიცავს დებულებებს ექსტრადიციის გამომრიცხავი და შემაფერხებელი გარემოებების თაობაზე. ჩარჩო-გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა სხვა (მაგ.: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან კონსტიტუციის) საფუძვლით დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობა არის ჩარჩო-გადაწყვეტილების დარღვევის, ე.ი. ევროკავშირის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ტოლფასი.⁸¹⁴ გარდა ამისა, ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემას აქვს ღირებულებითი დეფიციტი, რადგან დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობისთვის არ ითვალისწინებს გადასაცემი პირის ძირითადი უფლებების დაცვის ნორმატიულ მექანიზმს.⁸¹⁵

⁸¹³ იქვე.

⁸¹⁴ იხ.: თავი III, §4.

⁸¹⁵ იხ.: თავი III, §4.2.9.

18. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო ჩარჩო-გადანყვეტილებით გათვალისწინებული საფუძვლების გარდა გამორიცხავს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობას. თუმცა კვლევამ დაადასტურა, რომ ექსტრადიციის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილი გარანტიები მოქმედებს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაშიც.⁸¹⁶ კავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ევროპული კონვენცია დაიცვან დაკავების ევროპული ორდერის აღსრულების პროცესშიც.

480

19. კვლევამ წარმოაჩინა, რომ ექსტრადიციის სფეროში ღირსების უფლების დაცვასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომებში კოლიზიაა, რაც გამოიხატება პირის გადაცემის საკითხის შეფასების სხვადასხვა მოდალურ მეთოდებში.⁸¹⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ღირსების უფლების დარღვევას აღგენს, როდესაც ექსტრადიციის პროცესში არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საწინააღმდეგო მოპყრობის რეალური საფრთხე და სახელმწიფოებს სთხოვს ექსტრადიციის თხოვნის შეუსრულებლობას. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების ევროპული ორდერის შესრულებისას არსებობს ღირსების უფლების დარღვევის ზოგადად განჭვრეტადი და კონკრეტული, რეალური საფრთხე, სახელმწიფოებს მოუწოდებს გააგრძელონ ექსტრადიციის პროცედურა და დაელოდონ დაკავების ევროპუ-

481

⁸¹⁶ იხ.: თავი III, §4.3.

⁸¹⁷ იხ.: თავი IV, §1.

ლი ორდერის გამომცემ სახელმწიფოში ღირსების უფლების დარღვევის მიზეზების აღმოფხვრას. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო თავს იკავებს ღირსების უფლების დარღვევის რეალური საშიშროების დროსაც დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობაზე მითითებისგან.

482 20. კვლევის პროცესში დადგინდა, რომ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში კოლიზიური მიდგომებია ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის სტანდარტებთან დაკავშირებით.⁸¹⁸ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირის გადაცემაზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, როდესაც მის დაუსწრებლად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვისთვის დაკავების ევროპული ორდერის ადრესატ სახელმწიფოში კონსტიტუციური ნორმებით დადგენილია უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ორდერის გამომცემ სახელმწიფოში. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც კონსტიტუციური იდენტობის კონტროლის მექანიზმის საფუძველზე დასაშვებად მიიჩნევს კავშირის სამართლის გერმანიის ძირითადი კანონის იმ ნორმებთან მიმართებით განხილვას, რომლებიც კონსტიტუციური იდენტობის განმსაზღვრელია. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური იდენტობის ტესტის გამოყენებით უარყო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომა და

⁸¹⁸ იხ.: თავი IV, §2.

გერმანიის საერთო სასამართლოებს დააკისრა ბრალდებულის დაუსწრებლად გამოტანილი დაკავების ევროპული ორდერის ღირსების უფლებასთან მიმართებაში შემოწმების ვალდებულება.

21. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ექვივალენტური დაცვის დოქტრინა ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაზეც გაავრცელა და ჩამოაყალიბა ორმხრივი ნდობის ფარგლებში დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის კონვენციური მექანიზმი.⁸¹⁹ ეს ინსტრუმენტი შეუთავსებელია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ მექანიზმის საფუძველზე იხილავს დაკავების ევროპულ ორდერთან დაკავშირებულ საჩივრებს, ასევე ეროვნულ სასამართლოებს მოუწოდებს დაკავების ევროპული ორდერის აღსრულებაზე მსჯელობისას მისი გამოყენებისკენ. თუ ეროვნული სასამართლო აღმოაჩენს, რომ დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ სახელმწიფოში ადგილი აქვს ძირითადი უფლების სუბსტანციურ და სერიოზულ დარღვევას, ეს ჩაითვლება ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებების აშკარად არასაკმარისად დაცვად და ეროვნული სასამართლო ვალდებული იქნება იმოქმედოს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად და უარი თქვას დაკავების ევროპული ორდერის შესრულებაზე.⁸²⁰

483

22. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული იქნა ინსტრუმენ-

484

⁸¹⁹ იხ.: თავი V, §3.

⁸²⁰ იხ.: თავი V, §4.

ტალღური მოდალობა, რომლითაც ძირითადი უფლებების სუბსტანციური და სერიოზული დარღვევის დადგენა არის შესაძლებელი.⁸²¹ ეროვნულმა სასამართლომ დაკავების ევროპული ორდერის შესრულების საკითხის განხილვისას უნდა შეაფასოს: დაკავების ევროპული ორდერის გამომცემ წევრ სახელმწიფოში როგორც ძირითადი უფლებების, ასევე კონკრეტული უფლების დაცვის მდგომარეობა; ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემა, ეროვნული სამართალი ნორმატიული თვალსაზრისით ადგენს თუ არა რელევანტური უფლების დაცვის ევროპულ კონვენციაზე დაბალ სტანდარტს; გაანალიზოს ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემასთან მიმართებაში მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კონვენციური გარანტიების გამოუყენებლობის ან არასათანადოდ ინტერპრეტაციის კონტექსტში; შეაფასოს მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ ექსტრადიციის ქვაზი-ევროპული სისტემის კონტექსტში გადაუხვია თუ არა კონვენციური უფლების გამოყენების ან განმარტების იმ სტანდარტებიდან, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაა დადგენილი. ეროვნული სასამართლო თუ დარწმუნდება, რომ გადაცემა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას, ვალდებულია მიიღოს დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის შესახებ გადანყვეტილება.

- 485 23. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთებას ლიმიტირებული ეფექტი ექნება ექსტრადიციის ქვაზი-ევროპულ სისტემაში ძირითადი უფ-

⁸²¹ იქვე.

ლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებაზე. ასეთი შედეგს განაპირობებს მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიერ გამოთქმული შენიშვნები. კვლევამ წარმოაჩინა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე ევროკავშირის მიერთების შემდეგ ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტი არ შეიძენს იმთავითვე უპირატესის სტატუსს თუ ექსტრადიციის სფეროში ევროკავშირის სამართალი და ევროპული კონვენცია ან/და მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა იქნება კოლიზიაში. მიერთების შემდეგ, კავშირის ნევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში მოხდება ექსტრადიციის სფეროში არსებულ უფლებათა დაცვის ევროპული და ქვაზი-ევროპული სტანდარტების გაერთიანება, თუმცა, ევროკავშირის სტანდარტი შთანთქავს კონვენციის სტანდარტს.

24. მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმების შემდეგ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაჩნდა პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებისა და ქართული და ევროპული სამართლებრივი სისტემების დაახლოების შესაძლებლობა, ასოცირების შესახებ შეთანხმება არ ქმნის პერსპექტივას კავშირის ნევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის ექსტრადიციის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის. იგი ამ მიმართულებით თანამშრომლობის ნორმატიულ ჩარჩოდ განიხილავს მხოლოდ ექსტრადიციის ევროპულ სისტემას.⁸²²

486

⁸²² იხ.: თავი VII.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995).
2. „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ“ ხელშეკრულება.
3. „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ ხელშეკრულება.
4. „საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების შესახებ“ ხელშეკრულება.
5. „საქართველოს რესპუბლიკასა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ ხელშეკრულება.
6. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (სსმ, 33, 09/11/2009).
7. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონი (პარლამენტის უწყებანი, 44, 11/11/1997).
8. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი (სსმ, 48, 09/08/2010).
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსმ, 31, 03/11/2009).
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (სსმ, 41(48), 13/08/1999).

ქართულენოვანი ლიტერატურა:

11. *ალექსიძე, ლ.*: თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2015.
12. *ბურდული, ნ.*: ექსტრადიციის პრობლემები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ჟურნალი „სარჩევი“, 2012, გვ. 90-104.
13. *გიორგაძე, გ.*: (რედ.) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015.
14. *დარბაიძე, ლ.*: განმეორებით გასამართლებისა და დასჯისაგან დაცვის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის პრაქტიკული ასპექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2016, გვ. 29-49.
15. *თანდილაშვილი, ხ.*: განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის (NE BIS IN IDEM) გამოყენების პრობლემები ევროპული კავშირის სამართლებრივ სივრცეში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2017, გვ. 110-134.
16. *თოფურიძე, ნ.*: ხალხის თვითგამორკვევის პრინციპისა და სახელმწიფოებრიობის კონცეფციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2015, გვ. 82-92.
17. *თუმანიშვილი, გ., მირიანაშვილი, გ.*: დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ძირითადი და აქცესორული საფუძვლები, ჟურნალი სამართალი, 2018 (1), გვ. 159-176.
18. *თუმანიშვილი, გ.*: შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვისას, მზია ლეკვეიშვილი – 85 (საიუბილეო კრებული), თბილისი, 2014, გვ. 108-119.
19. *კორკელია, კ., ქურდაძე, ი.*: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2003.

20. *კორკელია, კ.*: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტების პრინციპები, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 5, №4, 2002, გვ. 466-500.
21. *კორკელია, კ.*: ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 5, №1, 2002, გვ. 176-180.
22. *კორკელია, კ.*: როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით?, თბილისი, 2010.
23. *მესხორაძე, ლ.*: საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში: ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ექსტრადიცია (სამართლებრივი აქტები და რეგულაციები, თბილისი, 2016.
24. *მირიანაშვილი, გ.*: ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი, თბილისი, 2015.
25. *მირიანაშვილი, გ.*: ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის ფარგლები ასოციაციების შესახებ შეთანხმების მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, მე-3 გამოცემა, 2017, გვ. 40-43.
26. *მირიანაშვილი, გ.*: წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა მელონის საქმის მიხედვით, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 2018 (2), გვ. 123-128.
27. *ნიპარიშვილი, ბ.*: ბრალდებულის დაუსწრებლად სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და პროცესის შეფიქრებულობა, მართლმსაჯულება და კანონი, №1, 2016, გვ. 5-28.
28. *ტრექსელი, შ.*: ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2010.

29. ტურავა, მ.: ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი, 2010.
30. ტურავა, პ.: (რედ.) საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.
31. ტულუში, გ.: „non-refoulement“-ის პრინციპი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 2008, №2, გვ. 138-148.
32. ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი, გ.: ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018.
33. ფირცხალაშვილი, ა.: ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა (1), 2018, გვ. 43-53.
34. ფირცხალაშვილი, ა.: კაზუსის ამოხსნის 4 მოდელი ძირითად უფლებებში, თბილისი, 2016.
35. ჯიშკარიანი, ბ.: ევროპული სისხლის სამართალი ევროკავშირის ფარგლებში, თბილისი, 2011.
36. ჯიშკარიანი, ბ.: ორმაგი დასჯის აკრძალვა („NE BIS IN IDEM“) ევროკავშირის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, №1, 2009, გვ. 216-221.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებები:

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება №35'-19;
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ივლისის განჩინება №31'-19;
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

- საქმეთა პალატის 2019 წლის 4 ივლისის განჩინება №28'-19;
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ივნისის განჩინება №23'-19;
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის განჩინება N171.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

42. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“ (ვებ-გვერდი, 13/10/2015).

ევროკავშირის სამართლის აქტები.

პირველადი სამართლის აქტები:

43. Treaty of Lisbon amending the TEU and the TEC, OJ C 306 17/12/2007 Consolidated version of the Treaty on European Union (TEU) and of the Treaty on the functioning of the European Union (TFEU) OJ C 115 09/05/2008.
44. Treaty Establishing a Constitution for Europe, OJ C 310 16/12/2004.
45. Consolidated versions of the Treaty on European Union (TEU) and of the Treaty Establishing the European Community (TEC), OJ C 325 24/12/2002.
46. Charter of Fundamental Rights of the European Union, OJ C 364/1 18/12/2001.

47. Treaty of Nice, OJ C 80 10/03/2001.
48. Treaty amending the Treaty on European Union and the Treaty Establishing the European Community, Amsterdam, OJ C 340 02/10/1997.
49. Treaty of Maastricht, original version, OJ C 191 29/07/1992.
50. Single European Act, OJ L 169 29/06/1987.

ევროკავშირის საერთაშორისო შეთანხმებები:

51. Agreement between the European Union and the Republic of Iceland and the Kingdom of Norway on the surrender procedure between the Member States of the European Union and Iceland and Norway, OJ L 292, 21/10/2006.
52. Agreement on extradition between the European Union and the United States of America, OJ L 181/27, 19/07/2003.

მეორეული სამართლის აქტები:

53. Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, OJ L 315, 14.11.2012.
54. Council Regulation (EC) No 343/2003 of 18 February 2003 establishing the criteria and mechanisms for determining the Member State responsible for examining an asylum application lodged in one of the Member States by a third-country national, OJ L 50, 25.2.2003, (Date of end of validity: 18/07/2013).
55. Council Regulation (EC) No 2382/96 of 9 December 1996 repealing Regulations (EEC) No 990/93 and (EC) No 2471/94 and concerning the termination of restrictions on economic and financial relations with the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro), the United Nations Protected Areas in the Republic of Croatia and those areas of the Republic of Bosnia and Herzegovina under the control of Bosnian Serb forces, OJ L 328, 18.12.1996.

56. Council Regulation (EC) No 462/96 of 11 March 1996 suspending Regulations (EEC) No 990/93 and (EC) No 2471/94, and repealing Regulations (EC) No 2472/94 and (EC) No 2815/95, concerning the interruption of economic and financial relations with the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro), the United Nations Protected Areas in the Republic of Croatia and those areas of the Republic of Bosnia and Herzegovina under the control of Bosnian Serb forces, OJ L 65, 15.3.1996.
57. Council Regulation (EC) No 2815/95 of 4 December 1995 suspending Regulation (EEC) No 990/93 with regard to the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro) and repealing Regulation (EC) No 2472/94, OJ L 297, 9.12.1995 (Date of end of validity: 27/02/1996).
58. Council Regulation (EC) No 2472/94 of 10 October 1994 suspending certain elements of the embargo on the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro), OJ L 266, 15.10.1994 (Date of end of validity: 22/11/1995).
59. Council Regulation (EEC) No 990/93 of 26 April 1993 concerning trade between the European Economic Community and the Federal Republic of Yugoslavia (Serbia and Montenegro), OJ L 102, 28.4.1993, Date of end of validity: 02/10/1996.
60. Council Regulation (EEC) No 3534/92 of 7 December 1992 amending Regulation (EEC) No 1432/92 prohibiting trade between the European Economic Community and the Republics of Serbia and Montenegro, OJ L 358, 8.12.1992, (Date of end of validity: 26/04/1993).
61. Council Regulation (EEC) No 1432/92 of 1 June 1992 prohibiting trade between the European Economic Community and the Republics of Serbia and Montenegro, OJ L 151, 3.6.1992 (Date of end of validity: 26/04/1993).

ჩარჩო-გადაწყვეტილებები:

62. Council Framework Decision 2009/299/JHA of 26 February 2009 amending Framework Decisions 2002/584/JHA, 2005/214/JHA, 2006/783/JHA, 2008/909/JHA and 2008/947/JHA, thereby enhancing the procedural

rights of persons and fostering the application of the principle of mutual recognition to decisions rendered in the absence of the person concerned at the trial, OJ L 81, 27.3.2009.

63. Council Framework Decision 2002/584/JHA of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedure between Member States, OJ L 190 18/07/2002.

ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოთა შეთანხმებები:

64. Convention drawn up on the basis of Article K 3 of the Treaty on European Union, on simplified extradition procedure between the Member States of the European Union, 30/03/1995 OJ C 78 and related Explanatory Report, OJ C 375 12/12/1996.
65. Convention drawn up on the basis of Article K 3 of the Treaty on European Union, relating to extradition between the Member States of the European Union, OJ C 313 23/10/1996 and related Explanatory Report, OJ C 191 23/06/1997.
66. Convention of 19 June 1990 implementing the Schengen Agreement of 14 June 1985 between the governments of the States of the Benelux Economic Union, the Federal Republic of Germany and the French Republic on the gradual abolition of checks at their common borders, OJ L 239 22/09/2000 as amended by EC Regulation n. 1160/2003 of the European Parliament and of the Council, OJ L 191 22/07/2003.

სხვა აქტები:

67. Commission Notice — Handbook on how to issue and execute a European arrest warrant, 2017/C 335/01.
68. Proposal for a Council Decision on the determination of a clear risk of a serious breach by the Republic of Poland of the rule of law COM/2017/0835 final — 2017/0360 (NLE).
69. European Union Agency for Fundamental Rights, Scope of the principle of non-refoulement in contemporary border management: evolving

areas of law, Luxemburg, 2016.

70. Explanation Relating to the Charter of Fundamental Rights, OJ C 303, 14.12.2007.
71. Evaluation report of the Council of 14 December 2007 concerning national practices relating to the European arrest warrant [Evaluation report on the fourth round of mutual evaluations ‘the practical application of the European arrest warrant and corresponding surrender procedures between Member States’: Report on Lithuania [12399/2/07 REV 2].
72. Report From the Commission to the European Parliament and the Council On the implementation since 2007 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, (2011) 175 final.
73. Council of the European Union, Evaluation report on the fourth round of mutual evaluations “the practical application of the european arrest warrant and corresponding surrender procedures between member states” Report on Cyprus, 14135/2/07 REV2 (2007).
74. Report From The Commission on the implementation since 2005 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, (2007) 407 final.
75. Report From the Commission based on Article 34 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, (2006) 8 final.
76. Report From the Commission based on Article 34 of the Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States, Brussels, (2005) 63 final.
77. Laeken European Council (14-15 December 2001), Presidency Conclusions.
78. Programme of Measures to Implement the Principle of Mutual Recognition of Decisions in Criminal Matters, OJ C 12/02 15/01/2001.

79. Communication from the Commission to the Council and the European Parliament on Mutual Recognition of Final Decisions in Criminal Matters, COM (2000) 495 final of 26.07.2000.
80. Tampere European Council (15-16 October 1999) Presidency Conclusions.
81. Action Plan of the Council and the Commission on How Best to Implement the Provisions of the Treaty of Amsterdam on an Area of Freedom, Security and Justice (“Vienna Action Plan”), 1999/C 19/01 (1998).
82. Cardiff European Council (15-16 June 1998), Presidency Conclusions.
83. European Parliament Resolution on the Convention drawn up on the basis of Article K 3 of the Treaty on European Union, relating to extradition between the Member States of the European Union, C4-0640/96, (1997).
84. Commission of the European Communities, Completing the Internal Market, Brussels (1985) 310 final.
85. Joint Declaration of European Parliament, Council and Commission, OJ C103-1 (1977).

სამართლებრივი აქტის პროექტი:

86. Draft Framework Decision on the European arrest warrant and the surrender procedures between the Member States, Brussels, 25/09/2001, COM (2001) 522 final/2.

ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტები.

საერთაშორისო ხელშეკრულებები:

87. Fourth AP to the European Convention on Extradition, 20/09/2012, CETS No.212.
88. Third AP to the European Convention on Extradition, 10/11/2010, CETS No.209.

89. Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism, 16/05/2005, CETS No196.
90. Protocol No. 13 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, concerning the abolition of the death penalty in all circumstances, 03/05/2002, ETS No.187.
91. Protocol No. 7 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 22/11/1984, ETS No.117.
92. Protocol No. 6 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms concerning the Abolition of the Death Penalty, 28/04/1983, ETS No.114.
93. Second AP to the European Convention on Extradition, 17/3/1978, ETS n.98.
94. European Convention on the Suppression of Terrorism, 27/01/1977, ETS No.090.
95. AP to the European Convention on Extradition, 15/10/1975 ETS n.86.
96. Council of Europe Convention on the Validity of Criminal Judgments, 28/05/1970 ETS n.70.
97. European Convention on Extradition and related Explanatory Memorandum, 13/12/1957 ETS n.24.
98. European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 04/11/1950 ETS n.5 as amended by Protocol 11, ETS n.155; Protocol 4 to the Convention, ETS n.46.

სხვა აქტები:

99. CDPC, Criteria to assess whether proceedings leading to a judgment in absentia, or the additional guarantees provided by the requesting state satisfy the rights of defense (in connection with Article 3 of the Second AP to the European Convention on Extradition), Strasbourg, 2014.
100. PC-OC, Information received from States on Practical Problems En-

countered and Good Practice as regards the Interaction between Extradition and Asylum Procedures, Strasbourg, 2013.

101. CDPC, PC-OC, European Convention on Extradition Explanatory notes, Strasbourg, 1998.
102. Explanatory Report to the Protocol No. 7 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Strasbourg, 1984.
103. Explanatory Report to the Second AP to the European Convention on Extradition, Strasbourg, 1978.
104. Committee of Ministers of the Council of Europe, Resolution (75) 11 on the Criteria governing Proceedings held in the Absence of the Accused, Strasbourg, 1975.
105. Explanatory Report to the AP to the European Convention on Extradition, Strasbourg, 1975.
106. Explanatory Report on the European Convention on Extradition, Paris, 1957.
107. Resolution 1900 (2012) of Parliamentary Assembly of the Council of Europe

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები:

108. Inter-American Convention on Extradition, 1981.
109. American Convention on Human Rights, 1969.

გაეროს ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტები.

საერთაშორისო ხელშეკრულებები:

110. Rome Statute of the International Criminal Court, 1998.
111. Convention on the Rights of the Child, 1989.
112. Convention against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading

Treatment or Punishment, 1984.

113. Vienna Convention on the Law of Treaties, 1969.
114. International Covenant on Civil and Political Rights, 1966.
115. Convention Relating to the Status of Refugees, 1951.
116. Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, 1948.
117. Charter of the United Nations, 1945.

სხვა აქტები:

118. A United Nations Office on Drugs and Crime and International Association of Prosecutors Guide, The Status and Role of Prosecutors, New York, 2014.
119. CRC, General comment No. 14 (2013) on the Right of the Child to have his or her best interests taken as a Primary Consideration (art. 3, par. 1), 2013.
120. UNHCR, UNHCR intervention before the Court of Final Appeal of the Hong Kong Special Administrative Region in the case between C, KMF, BF (Applicants) and Director of Immigration, Secretary for Security (Respondents), 2013, Civil Appeals Nos. 18, 19 & 20 of 2011.
121. CRC, General Comment No. 10 (2007), Children's Rights in Juvenile Justice, 2007.
122. The Security Council Resolution S/RES/820 (1993).
123. HRC, CCPR General Comment No. 20 (1992), Article 7 (Prohibition of Torture, or Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment), 1992.
124. General Assembly Resolution AGN/53/RES/7 (1984).
125. General Assembly Resolution AGN/20/RES/11 (1951).

9. უცხო სახელმწიფოების ნორმატიული აქტები:

126. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონი.

127. ესტონეთის კონსტიტუცია.
128. ლიეტუვას კონსტიტუცია.
129. პოლონეთის კონსტიტუცია.
130. ჩეხეთის კონსტიტუცია.
131. ჩეხეთის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ქარტია.
132. კვიპროსის კონსტიტუცია.
133. ესპანეთის კონსტიტუცია.
134. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია.
135. ბელგიის სამეფოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
136. საბერძნეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
137. უნგრეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
138. რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
139. ლატვიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
140. „შეირაღებული ძალების შესახებ“ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს 2006 წლის აქტი.

10. უცხოენოვანი ლიტერატურა:

141. Alegre, S., Leaf, M. Mutual recognition in Europe judicial cooperation — a step too far too soon? Case study: The European arrest warrant, EUR. L.J., 2004, pp. 200-217.
142. Ambos, K. European Criminal Law, Cambridge, 2018.
143. Ambos, K. Is the development of a Common Substantive Criminal Law for Europe possible? Some preliminary reflections, MJECCL, pp. 173-191.
144. Amicis, G. Initial Views of the Court of Justice on the European Arrest Warrant: Towards a Uniform Pan-European Interpretation? EUR. CRIM. L. REV., pp. 47-60.

145. Anagnostopoulos, I. Greece, *Ne Bis In Idem*, IRPL, vol. 73, 2002, pp. 965-979.
146. Apap, J., Carrera, S. European Arrest Warrant: A Good Testing Ground for Mutual Recognition in the Enlarged EU? CEPS Policy Brief NO. 46, 2004.
147. Asp, P. Mutual Recognition and the development of Criminal Law Cooperation within the EU in: Husabo, E.J., Standbakken, A.: (eds.) *Harmonization of Criminal Law in Europe*, Oxford, 2005, pp. 23-40.
148. Bapuly, B. European Arrest Warrant under Constitutional Attack, VIENNA ONLINE J. ON INT'L CONST. L., 2009, pp. 4-26.
149. Billing, F. The Parallel between Non-removal of Asylum Seekers and Non-execution of a European Arrest Warrant on Human Rights Grounds: The CJEU Case of *N.S. v. Secretary of State for the Home Department*, EUR. CRIM. L. REV., vol. 1, 2012, pp. 77 — 91.
150. Blackstock, J. Procedural Safeguards in the European Union: A Road well travelled? EUR. CRIM. L. REV., 3(2), 2012, pp. 20-35.
151. Blekxtoon, R. (ed.) *Handbook on the European Arrest Warrant*, Hague, 2004.
152. Borgers, M. J. Mutual Recognition and the European Court of Justice, Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just., 2010, pp. 1-11.
153. Brown, B.S. (ed.) *Research Handbook on International Criminal Law*, Northampton, 2011.
154. Burgess, M., Vollaard, H. (eds.) *State Territoriality and European Integration*, 1st Edition, New-York, 2006.
155. Calderoni, F. *Organized Crime Legislation in the European Union: Harmonization and Approximation of Criminal Law, National Legislations and the EU Framework Decision on the Fight against Organized Crime*, New-York, 2010.
156. Cambien, N. Mutual Recognition and Mutual Trust in the Internal Market, EP, vol. 2, 2017, pp. 93-115.
157. Cardonnel, P., Rosas, A., Wahl, N. (eds.) *Constitutionalising the EU Judicial System: Essays in Honour of Pernilla Lindh*, Oxford, 2012.

158. Cassese, A.: *Self-determination of peoples: a legal reappraisal*, Cambridge, 1995.
159. Cavallone, G. European arrest warrant and fundamental rights in decisions rendered in absentia: the extent of Union law in the case C-399/11 Melloni v. Ministerio Fiscal, *EUR. CRIM. L. REV.*, 2014, pp. 19-40.
160. Chaves, M. *The Evolution of European Union Criminal Law (1957-2012)*, London, 2012.
161. Christou, T.A., Weis, K. The European Arrest Warrant and Fundamental Rights: An Opportunity for Clarity, *NEW J. EUR. CRIM. L.*, 2010, pp. 31-43.
162. Chronowski, N. Integration of European Human Rights Standards — Accession of EU to the ECHR, *Law Ukr.: Legal J.*, 2013, pp. 265-277.
163. Colson, R. Domesticating the European Arrest Warrant: European Criminal Law between Fragmentation and Acculturation in: Colson, R., Field, S.: (eds.) *EU Criminal Justice and the Challenges of Diversity: Legal Cultures in the Area of Freedom, Security and Justice*, Cambridge, 2016, pp. 199-220.
164. Conforti, B. Comments on the Accession of the European Union to the ECHR [comments], *Italian Y.B. Int'l L.*, vol. 20, 2010, pp. 83-86.
165. Conway, G. Judicial Interpretation and the Third Pillar — Ireland's Acceptance of the European Arrest Warrant and the Gozutok and Brugge Case, *EUR. J. CRIME CRIM. L. & CRIM. JUST.*, 2005, pp. 255-283.
166. Conway, G. Ne Bis in Idem in International Law, *Int'l Crim. L. Rev.*, 2003, pp. 217–244.
167. Conway, G. The Council of Europe as a Normative Backdrop to Potential European Integration in the Sphere of Criminal Law, *Denning L.J.*, vol. 19, 2007, pp 123-148.
168. Cuesta, J.L. Concurrent National and International Criminal Jurisdiction and the Principle 'Ne Bis In Idem', *IRPL*, vol. 73, 2002, pp. 707-736.
169. De Bondt, W. The missing link between "necessity" and "approximation of criminal sanctions" in the EU, *EUR. CRIM. L. REV.*, 2014, pp.

- 147-168.
170. Deen-Racsmany, Z., Blekxtoon, R. Decline of the Nationality Exception in European Extradition — The Impact of the Regulation of (Non-) Surrender of Nationals and Dual Criminality under the European Arrest Warrant, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2005, pp. 317-364.
 171. Deen-Racsmany, Z. The European Arrest Warrant and the Surrender of Nationals Revisited: The Lessons of Constitutional Challenges, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2006, pp. 271-306.
 172. Deen-Racsmány, Z. Lessons of the European Arrest Warrant for Domestic Implementation of the Obligation to Surrender Nationals to the International Criminal Court, *LJIL*, 2007, pp. 167-191.
 173. Delmas-Marty, M. Towards an Integrated European Criminal Law, *Cambridge Y.B. Eur. Legal Stud.*, vol. 7, 2005, pp. 17-31.
 174. Denza, E. *The Intergovernmental Pillars of the European Union*, Oxford, 2002.
 175. Dugard, J., Wyngaert, C. Reconciling Extradition with Human Rights, *Am. J. Int'l L.*, 1998, pp. 187-212.
 176. Eckes, C., Konstadinides, T. (eds.) *Crime within the Area of Freedom, Security and Justice: A European Public Order*, Cambridge, 2011, pp. 224-248.
 177. Editorial Comments, *The EU's Accession to the ECHR – a “NO” from the ECJ!*, *CML Rev.*, 2015, pp. 1–16.
 178. Emaus, J. The Interaction Between Mutual Trust, Mutual Recognition and Fundamental Rights in Private International Law in Relation to the EU's Aspirations Relating to Contractual Relations, *EP*, vol. 2, 2017, pp. 117-140.
 179. Erbežnik, A. The Principle of Mutual Recognition as a Utilitarian Solution, and the Way Forward, *EUR. CRIM. L. REV.*, 2012, pp. 3-19.
 180. Fichera, M. *The Implementation of the European Arrest Warrant in the European Union: Law, Policy and Practice*, Edinburgh, 2009.
 181. Fichera, M. *The European Arrest Warrant and the Sovereign State: A*

- Marriage of Convenience? *ELJ*, vol. 15, 2009, pp. 70–97.
182. Flaherty, J.P., Lally-Green E. Fundamental Rights in the European Union, *Duq. L. Rev.*, vol. 36, 1998, pp. 249-364.
183. Gáspár-Szilágyi S. Joined Cases Aranyosi and Căldăraru: Converging Human Rights Standards, Mutual Trust and a New Ground for Postponing a European Arrest Warrant, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.* 2016, pp. 197-219.
184. Gragl, P. A Giant leap for European Union Human Rights? The Final Agreement on the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, *CML Rev.*, vol. 51, 2014, pp. 13–58.
185. Guild, E., Geyer, F. (eds.) Security versus Justice? Police and Judicial Cooperation in the European Union, Burlington, 2008.
186. Guild, E., Marin, L. (eds.) Still not resolved? Constitutional issues of the European Arrest Warrant, Brussels, 2008.
187. Haggemüller, S. The Principle of Proportionality and the European Arrest Warrant, *Oñati Socio-legal Series*, 2013, pp. 95-106.
188. Hamulak, O., Kerikmae, T. Indirect Effect of EU Law under Constitutional Scrutiny – The Overview of Approach of Czech Constitutional Court, *ICLR*, vol. 16, N1, pp. 69-82.
189. Heard, C., Mansell, D. The European Arrest Warrant: the role of judges when human rights are at risk, *NEW J. EUR. CRIM. L.*, 2011, pp. 133-147.
190. Herlin-Karnell, E. European Arrest Warrant Cases and the Principles of Non-Discrimination and EU Citizenship, *Mod. L. Rev.*, 2010, pp. 824-835.
191. Herlin-Karnell, E. From Mutual Trust to the Full Effectiveness of EU Law: 10 years of the European Arrest Warrant, *ECL*, 2013, pp. 373-388.
192. Hert, P., Korenica, F. Doctrine of Equivalent Protection: Its Life and Legitimacy before and after the European Union's Accession to the European Convention on Human Rights, *German L.J.*, vol. 13, 2012,

- pp. 874-895.
193. Hoffmeister, F. *Bosphorus Hava Yollari Turizm v. Ireland*, App. No.45036/98', *Am. J. Int'l L.*, vol. 100, 2006, pp. 442-449.
 194. Honig, F. *Extradition by Multilateral Convention*, *Int'l & Comp. L.Q.*, 1956, pp. 549-569.
 195. Impalia, F. *European Arrest Warrant in the Italian Legal System between Mutual Recognition and Mutual Fear within the European Area of Freedom, Security and Justice*, *Utrecht L. Rev.*, 2005, pp. 56-78.
 196. INTERPOL, *Repository of Practice: Application of Article 3 of INTERPOL's Constitution in the context of the processing of information via INTERPOL's channels*, 2nd Edition, Geneva, 2013.
 197. James, J.K. *The Political Offense Exception: Is the United States-United Kingdom Supplementary Extradition Treaty the Beginning of the End?* *AM. U. J. INT'L L. & POL'Y*, 1987, pp. 203-227.
 198. Jareborg, N. (ed.) *Double Criminality: Studies in International Criminal Law*, Uppsala, 1989.
 199. Jimeno-Bulnes, M. *The Enforcement of the European Arrest Warrant: A Comparison between Spain and the UK*, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2007, pp. 263-307.
 200. Kaczorowska, A. *European Union Law*, 2nd edition, New-York, 2011.
 201. Kapferer, S. *The Interface between Extradition and Asylum*, *Legal and Protection Policy Research Series*, Geneva, 2003.
 202. Kaunert, C. "Without the Power of Purse or Sword": *The European Arrest Warrant and the Role of the Commission*, *JEI*, vol. 29 (4), 2007, pp. 387-404.
 203. Keijzer, N., Sliedregt, V.E. (eds.) *The European Arrest Warrant in Practice*, Hague, 2009.
 204. Klimek, L. *European Arrest Warrant and the Polish Constitutional Tribunal: Revision of the Constitution*, *IS*, vol. 7, 2015, pp. 249-256.
 205. Klimek, L. *European Arrest Warrant*, London, 2015.

206. Klimek, L. Implementation of the Grounds for Non-execution the European Arrest Warrant: Lex Ferenda towards the Act No. 154/2010 Coll. on the European Arrest Warrant, *LQ*, vol. 6, 2016, pp. 1-10.
207. Klimek, L. Surrender vs. Extradition: A Comparison Focused on Innovations of European Arrest Warrant, *ICLR*, vol. 11 (1), 2011, pp. 145-156.
208. Klip, A. *European Criminal Law: An Integrative Approach*, 2nd edition, Portland 2012.
209. Komarek, J. European Constitutionalism and the European Arrest Warrant: In Search of the Limits of Contrapunctual Principles, *CML Rev.*, 2007, pp. 9-40.
210. Komárek, J. European Constitutional Pluralism and the European Arrest Warrant: Contrapunctual Principles in Disharmony, *Jean Monnet Working Paper 10/05*, 2005.
211. Krenn, C. Autonomy and Effectiveness as Common Concerns: A Path to ECHR Accession after Opinion 2/13 [comments], *German L.J.*, vol. 16, 2015, pp. 147-168.
212. Kühn, Z. The European Arrest Warrant, Third Pillar Law and National Constitutional Resistance/Acceptance, *The EAW Saga as Narrated by the Constitutional Judiciary in Poland, Germany, and the Czech Republic*, *CYELP*, vol. 3. 2007, pp. 99-133.
213. Kuhnert, K. Bosphorus — Double standards in European human rights protection? *Utrecht L. Rev.*, vol. 2, 2006, pp. 177-189.
214. Lazowski, A. Poland: Constitutional Tribunal on the Surrender of Polish Citizens under the European Arrest Warrants, *EUCONST*, 2005, pp. 569–581.
215. Lelieur, J. Transnationalising' Ne Bis In Idem: How the Rule of Ne Bis In Idem Reveals the Principle of Personal Legal Certainty, *Utrecht L. Rev.*, vol. 9, 2013, pp. 198-210.
216. Letsas, G. *A Theory of Interpretation of the European Convention on Human Rights*, Oxford, 2009.

217. Mackarel, M. The European Arrest Warrant – the Early Years: Implementing and Using the Warrant, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2007, pp. 37-65.
218. Magnuson, W. Domestic Politics of International Extradition, *VA. J. INT'L L.*, 2012, pp. 839-902.
219. Mann, G. The European Arrest Warrant: a Short-lived Mechanism for Extradition? *Syracuse J. Int'l L. & Com.*, 2007, pp. 715-740.
220. Mansell, D. The European Arrest Warrant and Defense Rights, *EUR. CRIM. L. REV.*, 2012, pp. 36-47.
221. Manzano, M. P. The Spanish Constitutional Court and the Multilevel Protection of Fundamental Rights in Europe; Matters Relating to ATC 86/2011, of 6 June, *EUR. CRIM. L. REV.*, 2013, pp. 79-106.
222. Marguery, T. EU Citizenship and European Arrest Warrant: The Same Rights for All, *Merkourios-Utrecht J. Int'l & Eur. L.*, 2011, pp. 84-91.
223. Marin, L. "Only You": The Emergence of a Temperate Mutual Trust in the Area of Freedom, Security and Justice and Its Underpinning in the European Composite Constitutional Order, *EP*, vol. 2, 2017, pp. 141-157.
224. Marin, L. European Arrest Warrant and Domestic Legal Orders. Tensions between Mutual Recognition and Fundamental Rights: The Italian Case, *MJECL*, 2008, pp. 473-492.
225. Marin, L. The European Arrest Warrant in the Italian Republic, *EU-CONST*, 2008, pp. 251–273.
226. Martinico, G., Pollicino, O. The Interaction between Europe's Legal Systems, Massachusetts, 2012.
227. Mathisen, G. Nordic Cooperation and the European Arrest Warrant: Intra-Nordic Extradition, the Nordic Arrest Warrant and Beyond, *Nordic J. Int'l L.*, 2010, pp. 1-33.
228. Mirianashvili, G. Accession of the European Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms: The Second Unsuccessful Attempt, *CJSS*, vol. 10, 2017, pp. 222-243.

229. Mitsilegas, V. Constitutional Principles of the European Community and European Criminal Law, *Eur. J.L. Reform*, vol. 8, 2006, pp. 301-323.
230. Mitsilegas, V. The Symbiotic Relationship between Mutual Trust and Fundamental Rights in Europe's Area of Criminal Justice Special Issue: Session 3: Mutual Trust in the AFSJ: What Lessons for the Criminal Law Field, *NEW J. EUR. CRIM. L.*, 2015, pp. 457-481.
231. Mitsilegas, V. The Constitutional Implications of Mutual Recognition in Criminal Matters in the EU, *CML Rev.*, 2006, pp. 1277–1311.
232. Möstl, M. Preconditions and Limits of Mutual Recognition, *CML Rev.*, 2010, pp. 405–436.
233. Neagu, N. European (Criminal) Law v. National (Criminal) Law – A Two Street, *LR*, vol. 2, 2015, pp. 46-66.
234. Némedi, M. Ne bis in idem: a separation of acts in transnational cases? *PF*, Vol. 7, issue 2, 2015, pp. 86-115.
235. Niemesch, M. Aspects of CJEU case law regarding the European Arrest Warrant (EAW), *Law Annals Titu Maiorescu U.*, 2015, pp. 178-192.
236. Nilsson, H.G. 25 Years of Criminal Justice in Europe, *EUR. CRIM. L. REV.*, 2012, pp. 106-122.
237. Nohlen, N. Germany: The European Arrest Warrant Case, *Int'l J. Const. L.*, 2008, pp. 153-161.
238. NuBburger, A. Poland: The Constitutional Tribunal on the implementation of the European Arrest Warrant, *Int'l J. Const. L.*, vol. 6, 2008, pp. 162–170.
239. O'Meara, N. More Secure Europe of Rights — The European Court of Human Rights, the Court of Justice of the European Union and EU Accession to the ECHR, *German L.J.*, vol. 12, 2011, pp. 1813-1832.
240. Ostropolski, T. The Principle of Proportionality under the European Arrest Warrant — with an Excursus on Poland, *NEW J. EUR. CRIM. L.*, vol. 5, 2014, pp. 167-191.
241. Peers, S. *EU Justice and Home Affairs Law*, Oxford, 2006.
242. Peers, S. EU's Accession to the ECHR: The Dream Becomes a Nightmare, *German L.J.*, vol. 16, 2015, pp. 213-222.

243. Peers, S. Mutual recognition and criminal law in the European Union: Has the Council got it wrong? *CML Rev.*, 2004, pp. 5-36.
244. Pérez, A. Spanish Constitutional Court Constitutional Dialogue on the European Arrest Warrant: To Spanish Constitutional Court Knocking on Luxembourg's Door; Spanish Constitutional Court, Order of 9 June 2011, 86/2011, *EUCONST*, 2012, pp. 105–127.
245. Petersen, A.C. Extradition and the Political Offense Exception in the Suppression of Terrorism, *Ind. L.J.*, vol. 67, 1992, pp. 767-796.
246. Pieter, A. The European Arrest Warrant system: Recent developments in the case law of the Court of Justice, *MJECL*, vol. 24(6), 2017, pp. 882–904.
247. Plachta, M. European Arrest Warrant: Revolution in Extradition? *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 2003, pp. 178-194.
248. Plachta, M. (non-)extradition of nationals: never ending story, *EILR*, vol. 13 (1), 1999, pp. 77-160.
249. Pollicino, O. European Arrest Warrant and Constitutional Principles of the Member States: A Case Law-Based Outline in the Attempt to Strike the Right Balance between Interacting Legal Systems, *German L.J.*, 2008, pp. 1313-1355.
250. Pozdnakova A. Aleksei Petruhhin: Extradition of EU Citizens to Third States, *EP*, vol. 2, 2017, No 1, pp. 209-222.
251. Roecks, C.R. Extradition, Human Rights, and the Death Penalty: When Nations Must Refuse to Extradite a Person Charged with a Capital Crime, *Cal. W. Int'l L.J.*, vol. 25, 1994, pp. 189-294.
252. Romero, M. In Pursuit of Basics for a New Principle of Legal Reserve in Supranational Criminal Law, *EUR. CRIM. L. REV.*, vol. 2, 2012, pp. 252-275.
253. Rusu, I., Rusu, M.B. *The European Arrest Warrant, Romanian and European Legislation, Doctrine and Jurisprudence*, 2013.
254. Sarmiento, D. European Union: The European Arrest Warrant and the quest for Constitutional Coherence, *Int'l J. Const. L.*, vol. 6, 2008, pp. 171-183.

255. Satzger, H., Pohl, T. The German Constitutional Court and the European Arrest Warrant — ‘Cryptic Signals’ from Karlsruhe, *Int’l Crim. Just.*, 2006, pp. 686-701.
256. Sievers, J. Managing diversity: The European Arrest Warrant and the potential of mutual recognition as a mode of governance in EU Justice and Home Affairs, Conference Paper presented at the EUSA Tenth Biennial International Conference, Montréal, 17 – 19 May 2007.
257. Sinn, A., Wörner, L. The European Arrest Warrant and Its Implementation in Germany – Its Constitutionality, Laws and Current Developments, *ZIS*, 2007, pp. 204-220.
258. Sliedregt, V. The European Arrest Warrant: between Trust, Democracy and the Rule of Law, *EUCONST*, 2007, pp. 244–252.
259. orcale, G. The Judicial Cooperation in Criminal Matters in the European Union — The Discipline of the European Arrest Warrant, Saarburken, 2016.
260. Spencer, J. R. The European Arrest Warrant, Cambridge Y.B. *Eur. Legal Stud.*, 2004, pp. 201-218.
261. Spinellis, D. Extradition — Recent Developments in European Criminal Law, *Eur. J.L. Reform*, 2006, pp. 223-252.
262. Stanbrook, I., Stanbrook, C. Extradition Law and Practice, 2nd edition, New York, 2000.
263. Stefanovska, V. The Concept of Political and Terrorist Offences in Extradition Matters: A Legal Perspective, *ESJ*, vol.11, 2015, pp. 69-86.
264. Suominen, A. Limits of Mutual Recognition in Cooperation in Criminal Matters within the EU – especially in Light of Recent Judgments of both European Courts, *EUR. CRIM. L. REV.*, 2014, pp. 210-235.
265. Suominen, A. The Nordic Arrest Warrant finally in force, *EUR. CRIM. L. REV.*, 2014, pp. 41-45.
266. Taupiac-Nouvel, G. The Principle of Mutual Recognition in Criminal Matters: a New Model of Judicial Cooperation within the European Union, *EUR. CRIM. L. REV.*, 2012, pp. 236-251.

267. Thompson, D.K. The Evolution of the Political Offense Exception in an Age of Modern Political Violence, *Yale J. World Pub. Ord.*, 1983, pp. 315-342.
268. Tinsley, A. The Reference in Case C-396/11 Radu: When does the Protection of Fundamental Rights Require Non-execution of a European Arrest Warrant? *EUR. CRIM. L. REV.*, 2012, pp. 338-352.
269. Tomuschat, C. Inconsistencies – the German Federal Constitutional Court on the European Arrest Warrant, *EUCONST*, 2006, pp. 209-226.
270. Torres P.A. The federalizing force of the EU Charter of Fundamental Rights, *Int’l J. Const. L.*, vol. 15 (4), 2017, pp. 1080-1097.
271. Tsadiras, A. Cyprus Supreme Court, Judgment of 7 November 2005 (Civil Appeal no. 294/2005) on the Cypriot European Arrest Warrant Law, *CML Rev.*, 2007, pp. 1515–1528.
272. Turner, J. Interstate Conflict and Cooperation in Criminal Cases: An American Perspective, *EUR. CRIM. L. REV.*, 2014, pp. 114-146.
273. Van Ballegooij, W., Bárd, P. Mutual Recognition and Individual Rights, Did the Court get it Right? *New Journal of European Criminal Law*, vol. 7, 2016, pp. 439-464.
274. Van Sliedregt, E. The European Arrest Warrant between Trust, Democracy and Rule of Law, Introduction, the European Arrest Warrant: Extradition in Transition, *EUCONST*, 2007, pp. 244–252.
275. Vennemann, N. The European Arrest Warrant and Its Human Rights Implications, *Heidelberg J. Of Int’l L.*, 2003, pp. 103-121.
276. Vermeulen, G., De Bondt, W., Ryckman, C. (eds.) *Rethinking International Cooperation in Criminal Matters in the EU*, Portland, 2012.
277. Vermeulen, G., VanderBeken, T. Extradition in the European Union: State of the Art and Perspectives, 4, *Eur. J. Crime Crim. L. & Crim. Just.*, 1996, pp. 200-225.
278. Vermeulen, G., VanderBeken, T. *New Conventions on Extradition in the European Union: Analysis and Evaluation*, *Dick. J. Int’l L.*, vol. 15, 1997, pp. 265-300.

279. Vervaele, J. Ne Bis In Idem: Towards a Transnational Constitutional Principle in the EU? *Utrecht L. Rev.*, vol. 9, 2013, pp. 211-229.
280. Vervaele, J. The European Arrest Warrant and Applicable Standards of Fundamental Rights in the EU, *Rev. Eur. Adm. L.*, 2013, pp. 37-54.
281. Walker, N. (ed.) *Sovereignty in Transition*, Oxford, 2003.
282. Wijngaert, C. The Political Offence Exception to Extradition: Defining the Issues and Searching a Feasible Alternative, Report presented at the International Seminar on Extradition, International Institut of Higher Studies in criminal Sciences. Noto, 1983, pp. 741-754.
283. Williams, S.A. The Double Criminality Rule and Extradition: A Comparative Analysis, *Nova L. Rev.*, 1991, pp. 581-623.
284. Zzulova, J. Status, Organization, Role, and Function of the Public Prosecutor's Office (Public Prosecutors) in the Czech Republic, *Judicial Reform: The Prosecution Office and Investigation Authorities in the Context of EU Membership*, Sofia, 2005.

ინტერნეტ-რესურსი:

285. <https://rm.coe.int/austria-template-extradition-2018/16808eca68> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).
286. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168042d6d0> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).
287. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806b5ebe> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).
288. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680089b39> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).
289. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806ca356> (უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

290. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/Display-DCTMContent?documentId=0900001680089b37> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
291. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/Display-DCTMContent?documentId=0900001680089b33> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
292. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/Display-DCTMContent?documentId=09000016803a72c4> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
293. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/Display-DCTMContent?documentId=090000168048c54f> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
294. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/Display-DCTMContent?documentId=09000016806b9363> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
295. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/Display-DCTMContent?documentId=090000168042d6cb> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
296. https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
297. https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
298. https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/024/declarations?p_auth=zmBsNYaK (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
299. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/webContent/8268061> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).
300. <https://www.coe.int/en/web/cdpc/home> (უკანასკნელად გადამონმებულია: 30.08.2021).

301. <https://www.amnesty.org/en/documents/act50/9870/2019/en/>
(უკანასკნელად გადამოწმებულია: 30.08.2021).

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებები:

302. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 25 ივლისის გადანყვეტილება საქმეზე: ML [C-220/18].
303. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის გადანყვეტილება საქმეზე: Romano Pisciotti [C-191/16].
304. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადანყვეტილება საქმეზე; Krzysztof Marek Poltorak [C-452/16].
305. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 10 ნოემბრის გადანყვეტილება საქმეზე: Ruslanas Kovalkovas [C-477/16].
306. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 06 სექტემბრის გადანყვეტილება საქმეზე: Aleksei Petruhhin [C-182/15].
307. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 05 აპრილის გადანყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Aranyosi and Căldăraru, [C-404/15 and C-659/15].
308. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადანყვეტილება საქმეზე: Paweł Dworzecki [Case 108/16].
309. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადანყვეტილება საქმეზე: Zoran Spasic [C-129/14].
310. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის მოსაზრება: 2/13 pursuant to Article 218 (11) TFEU — Draft international agreement — Accession of the Eu-

ropean Union to the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms — Compatibility of the draft agreement with the EU and FEU Treaties.

311. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Melloni v. Ministerio Fiscal [C-399/11].
312. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Ciprian Vasile Radu [C-396/11].
313. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Artur Leymann and Aleksei Pustovarov [C-388/08].
314. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეზე: N.S. [C-411/10], Secretary of State for the Home Department and M. E. [C-493/10].
315. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2010 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Gaetano Mantello [C-261/09].
316. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2008 წლის 03 სექტემბრის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Yassin Abdullah Kadi and Al Barakaat International Foundation v Council of the European Union and Commission of the European Communities [C-402/05 and C-415/05].
317. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2007 წლის 03 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Advocaten voor de Wereld VZW [C-303/05].
318. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2006 წლის 09 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Leopold Henri Van Esbroeck [C-436/04].

319. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Maria Pupino [C-105/03].
320. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება გაერთიანებულ საქმეებზე: Hüseyin Gözütok and Klaus Brügge [C-385/01 and C-187/01].
321. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1990 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: The Queen v Secretary of State for Transport, ex parte: Factortame Ltd and others [C-213/89].
322. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1996 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე; Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret AS and Minister for Transport, Energy and Communications, Ireland and the Attorney General, [C-84/95].
323. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1996 წლის 28 მარტის მოსაზრება: 2/94 Re the Accession of the Community to the European Human Rights Convention.
324. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1981 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Criminal proceedings against Guerrino Casati [C-203/80].
325. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1979 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Hauer v. Land Rheinland-Pfalz, [C-44/79].
326. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1979 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Rewe-Zentral AG v Bundesmonopolverwaltung für Branntwein, [C-120/78].
327. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1970 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Internationale Han-

delsgesellschaft mbH v Einfuhr- und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel [C-11-70].

328. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 1964 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Flaminio Costa v E.N.E.L. [C-6-64].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

329. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Pirozzi v. Belgium [21055/11].
330. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Krombach v. France [67521/14].
331. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Hokkeling v. The Netherlands, [30749/12].
332. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: A. and B. v. Norway, [24130/11 and 29758/11].
333. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Baka v. Hungary [20261/12].
334. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Sismanidis and Sitaridis v. Greece, [66602/09 and 71879/12].
335. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Avotiņš v. Latvia [17502/07].
336. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Trabelsi v. Belgium [140/10].

337. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Lucky Dev v. Sweden, [7356/10].
338. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Michaud v. France [12323/11].
339. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: M.S.S. v. Belgium and Greece [30696/09].
340. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Tomasović v. Croatia, [53785/09].
341. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Kurdov and Ivanov v. Bulgaria, [16137/04].
342. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 06 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Paksas v. Lithuania, [34932/04].
343. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Ruotsalainen v. Finland, [13079/03].
344. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Sergey Zolotukhin v. Russia, [14939/03].
345. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Böheim v. Italy [35666/05].
346. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Mohammed Ali Hassan AL-MOAYAD v. Germany, [35865/03].
347. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის

- 21 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Maszni v. Romania, [59892/00].
348. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Sejdivic v. Italy, [56581/00].
349. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Bader and Others v. Sweden [13284/04].
350. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland, [45036/98].
351. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Shamayev and Others v. Georgia and Russia [36378/02].
352. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Stoichkov v. Bulgaria, [9808/02].
353. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Mamatkulov and Askarov v. Turkey [46827/99 da 46951/99].
354. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: Somogyi v. Italy, [67972/01].
355. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Bankovic and Others v. NATO Member States, [52207/99].
356. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Einhorn v. France, [71555/01].
357. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის

- 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Amrollahi v. Denmark, [56811/00].
358. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Matthews v. the United Kingdom, [24833/94].
359. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Waite & Kennedy v. Germany, [26083/94].
360. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Beer & Regan v. Germany, [28934/95].
361. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Loizidou v. Turkey, [15318/89].
362. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე: Gestra v. Italy, [21072/92].
363. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: E.G.M. v. Luxembourg, [24015/94].
364. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე: F.C.B. v. Italy, [12151/86].
365. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: M. & Co. v. Federal Republic of Germany, [13258/87].
366. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Kamasinski v. Austria, [9783/82].
367. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Soering v. The United Kingdom [14038/88].

368. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1985 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: Colozza v. Italy, [9024/80].
369. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1978 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Tyrer v. The United Kingdom, [5856/72].
370. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 08 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: Engel and Others v. the Netherlands [5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72].

უცხო სახელმწიფოების სასამართლოების გადაწყვეტილებები:

371. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE, Order of the Second Senate of 15.
372. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE 73, 339 2 BvR 197/83 Solange II.
373. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE 37, 271 2 BvL 52/71 Solange I.
374. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: 2 BvR 2236/04.
375. პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: P-1/05 (Judgment), EAW, 27.04.2005.
376. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: Judgment EAW, 03.05.2006.

ავტორის შესახებ

დოქტორი გიორგი მირიანაშვილი 2015 წლიდან საკონსტიტუციო საერთაშორისო და ევროპული სამართლის მიმართულებით უძღვება სასწავლო კურსებს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლასა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლაში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

გიორგი მირიანაშვილი ამჟამად არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი საკონსტიტუციო, საერთაშორისო და ევროპული სამართლის მიმართულებით, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

გიორგი მირიანაშვილი 2015 წლიდან სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო სექტორში, მათ შორის საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

გიორგი მირიანაშვილი 2016-2019 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე, 2020 წელს დაიცვა დისერტაცია (სუმმა ცუმ ლაუდე) და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

გიორგი მირიანაშვილი 2013 წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა

2015 წელს და მიენიჭა საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი.

გიორგი მირიანაშვილი 2009-2013 წლებში სწავლობდა საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საბაკალავრო პროგრამაზე, 2013 წელს მიენიჭა სამართლის ბაკალავრის ხარისხი.

გიორგი მირიანაშვილი არის საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კვლევითი პროექტის მონაწილე, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების წევრი. მას 2015-2021 წლებში ჩატარებული აქვს ტრენინგები, საჯარო ლექციები და სემინარები ევროპის კავშირის სამართალთან და საკონსტიტუციო სამართალთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გიორგი მირიანაშვილი 2016-2019 წლებში იყო ფოლკსვაგენის ფონდის სტიპენდიანტი, 2020 წელს გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის სტიპენდიანტი. იგი 2018-2019 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტსა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში.

გიორგი მირიანაშვილი 2018 წლიდან არის მსოფლიო იურისტთა ასოციაციის წევრი, 2020 წლიდან საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

გიორგი მირიანაშვილის ავტორობითა და თანაავტორობით გამოქვეყნებულია შემდეგი ნაშრომები:

- მირიანაშვილი, გ., ევროპის კავშირის სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2022 (სახელმძღვანელო);
- მირიანაშვილი, გ., ადამიანის უფლებათა დაცვის კო-

ლიზიური ევროპული სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში, თბილისი, 2022. (მონოგრაფია);

- მირიანაშვილი, გ., ევროპის კავშირის ცნობარი, თბილისი, 2022. (ცნობარი);
- Mirianashvili, G., Accession of the European Union to the European Convention on Human Rights in the context of Extradition – Improvement or Unification of Fundamental Rights Standards? International Law, Selected issues, 2021. (statia);
- მირიანაშვილი, გ., მირიანაშვილი გ.: ორმხრივი დასჯის პრინციპის არსი და მისი მოქმედების ფარგლები ექსტრადიციის ევროპულ და კვაზი-ევროპულ სისტემებში, აკადემიური მაცნე, თბილისი, 2020. (სტატია);
- მირიანაშვილი, გ., ექვივალენტური დაცვის დოქტრინა დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის აქტესორული კონვენციური სტანდარტი, ჟურნალი სამართალი, თბილისი, 2019, N2. (სტატია);
- მირიანაშვილი, გ., დევიძე, ს.: ევროკავშირის სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2019. (დამხმარე სახელმძღვანელო);
- მირიანაშვილი, გ., თუმანიშვილი, გ.: სისხლის სამართლის სფეროში საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტები, ნაშრომში: თუმანიშვილი, გ., შრამი, ე., ჯიშკარიანი, ბ. (რედ.): ქართული სისხლის საპროცესო სამართალი ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენის ქვეშ, თბილისი, 2019. (მონოგრაფია);
- მირიანაშვილი, გ., ფირცხალაშვილი ა., ადამიანის

უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018. (მონოგრაფია);

- მირიანაშვილი, გ., ფირცხალაშვილი ა., საქართველოს სახელმწიფო მონყობის საფუძვლები, თბილისი, 2018. (დამხმარე სახელმძღვანელო);
- მირიანაშვილი, გ., ნევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა მელონის საქმის მიხედვით, საკონსტიტუციო სამართლის ყურნალი, მე-2 გამოცემა, ბათუმი, 2018. (სტატია);
- მირიანაშვილი, გ., თუმანიშვილი, გ., დაკავების ევროპული ორდერის შეუსრულებლობის ძირითადი და აქცესორული საფუძვლები, ყურნალი სამართალი, N1, თბილისი, 2018. (სტატია);
- მირიანაშვილი, გ., პროევროპული საზოგადოება ევროპული სოლიდარობისა და იდენტობის გარეშე, www.european.ge, 2017. (სტატია);
- მირიანაშვილი, გ., სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების კონსტიტუციური პარადიგმები საქართველოში, აკადემიური მაცნე, თბილისი, 2017. (სტატია);
- მირიანაშვილი, გ., ევროპული კავშირის ნევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს სასამართლოებს შორის სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ფარგლები ასოცირების შესახებ შეთანხების მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ყურნალი, ბერლინი, 2017. (სტატია);
- Mirianashvili, G., Accession of the European Union to the European

Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – the Second Unsuccessful Attempt, *Caucasus Journal of Social Sciences*, თბილისი, 2017. (სტატია);

- მირიანაშვილი, გ., ევროპული კავშირის სამართლის ცნობარი, თბილისი, 2015. (იურიდიული ცნობარი);
- მირიანაშვილი, გ., როგორ ფუნქციონირებს ევროპული კავშირი, თბილისი, 2014. (გზამკვლევი);
- მირიანაშვილი, გ., სამართლებრივი ვაკუუმისა და საკანონმდებლო ხარვეზის პრობლემა ქართულ სამართლებრივ წესრიგში, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, ბათუმი, 2013. (სტატია).

